K 88·467/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსი ჯყარუაძე

ჯალონეული მოგზაურობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინვ. 2000



8-93:8СГ-3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსი ტოლსტოი

ჯადოსნური ამოგვალი

К 80/101
3



საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი 59

საქართ. სახ. საქ. საბჭ.
საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემო პატარა მეგობრებო! თუ გაქვთ საკმაო დრო და სურვილი, მოდით, ჩავსხდეთ ინჟინერ ანდრესის „უნივერსალში“, ამ ყველაზე სრულყოფილ მანქანაში, როგორიც კი ოდესმე ადამიანს შეუქმნია, და გავემგზავროთ აფრიკის ჯუნგლებში. ოღონდ წინდაწინვე გაფრთხილებთ: არ შეგეშინდეთ ლომის ღრიალის, აფთრის ხარხარის, ვულკანის გრუხუნის და ზოგჯერ — შოლტის ტყლაშუნისა, რაც ჯერ კიდევ გაისმის ბედშავი ზანგების ქვეყანაში.

ბევრი რამ მოგხიბლავთ, გაგაოცებთ, ბევრიც დაგაღონებთ და შეგაწუხებთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველაფერს დაუფიქრდებით და შეაფასებთ, უფრო ახლო გაიცნობთ ადამიანებს, ცხოველებსა და მცენარეებს, რომელთა მსგავსნიც არასოდეს გინახავთ. ოღონდ გაუფრთხილდით თქვენს ყურებსა და თვალებს — მოსათხრობი და სანახავი ბევრი რამ არის, ამიტომაც ძალიან სწრაფად შეიცვლება ხმები და სურათები, რადგან აფრიკა დიდია, „უნივერსალი“ კი — სიზმარივით სწრაფი.

მე ზღაპრებს არ გიამბობთ. ყველაზე კარგი ზღაპარი ისაა, რომელშიაც ჩაქსოვილია სიბრძნე და სიმართლე, ნამდვილი და შესაძლებელი. წარმოიდგინეთ უდაბნოდან ოკეანემდე გაბმული ამბავთა ქარავანი. რისთვის უნდა დავუმატო მონაგონი, როცა მოსათხრობი მაქვს ამდენი სიმართლე: მე არაფერს ვაფერადებ — ამბავი ისედაც ფერადია. ესაა მხიარული მოგზაურობა. მისი მიზანია ჯერ მხოლოდ გაჩვენოთ მონობისა და ბუმბერაზ ცხოველთა ეს ძველი ქვეყანა, შეგაყვაროთ მისი სასტიკი სიდიადე, მისი ადამიანები და ცხოველთა სამყარო,

ჯუნგლები და სავანები. ამის შემდეგ კი, თუ მოისურვებთ, აფ-
რიკასა და აფრიკელებზე ისეთ საოცარ ამბებს გეტყვით, რომ
თვით ზამბეზის ნიანგები გადაიხარხარებენ, ბეჰემოთი სასაცი-
ლო ხახას დააღებს, ხოლო მამა ნილოსი თავის ათასწლოვან
დუდუნს შესწყვეტს და სმენად იქცევა, თუმცა მას იმდენი სა-
ოცარი ამბავი უნახავს, აღარაფერი არ უკვირს და თვით ვულ-
კანის ამოფრქვევას ისე გულგრილად უცქერის, თითქოს უგან-
დას ბებერი მეფე გრანტის ნაჩუქარ ჩიბუხს აბოლებდეს.

უჩვეულო ამბები აქ საოცარი სისწრაფით ეხლებიან და
შორდებიან ერთიმეორეს, მაგრამ დაკვირვებული თვალი ად-
ვილად შეატყობს, რომ არაფერი არ მეორდება, დღისა და ღა-
მის გარდა.

მაგრამ თუ თქვენ მაინც მოიწყინოთ, უფრო საშური საქმე
გამოგიჩნდეთ ან სხვა რამ მიზეზით აღარ ისურვოთ ჩემთან
ერთად ჯუნგლებში მოგზაურობა, — მაშინვე დახურეთ წიგნი,
და თქვენ ისევ აღმოჩნდებით ჩვენი მშვენიერი ქართული ცის
ქვეშ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი I

ფერადი ანდამატის მაძიებელი

დევის გამოძვაბულისაკენ

პატარა იყო რეზოს და გივის საკლასო ოთახი. მერცხლის ბუდეს ემსგავსებოდა მათი სკოლის თეთრი შენობა სალი კლდის ბექობზე. მაგრამ პატარა ბუდიდან გამოფრენილი მერცხლები შორს მიფრინავენ...

პატარა იყო სვანი ყმაწვილების საკლასო ოთახი. ერთი ძველი მაგიდა, ხუთიოდე მერხი და მსოფლიოს რუკა, კედელს რომ ფარავდა — სულ ეს იყო და ეს.

მაგრამ აი, მასწავლებელი წვრილი ჯოხით შეეხო მდუმარე რუკას — პატარა ოთახში შემოდიან კოლუმბი, მაგელანი, მიკლუხო-მაკლაი...

მიიწურა სასწავლო წელი. დგება დრო ექსკურსიების, მოგზაურობის, საბანაკო ცხოვრების, — დრო, სავსე ოცნებით, თავგადასავლებით...

არც ერთი თქვენგანი არ იტყოდა უარს ექსკურსიაზე, რომელიც თავის მოსწავლეებს შესთავაზა ჭაღარა მასწავლებელმა არდევანმა. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ აღტაცების ჟრიამული, რაც მოჰყვა მის სიტყვებს:

— ყმაწვილებო, მოემზადეთ! ხვალ დევის გამოქვაბულში მივდივართ!

— დევის გამოქვაბულში?

— ნუთუ მართლა?

— გოგოებსაც წავიყვანთ?

— მაშინ გულის წვეთებიც დაგვჭირდება, — ერთმანეთს არ აცლიდნენ ბავშვები.

— წყნარად! — გაისმა ისევ საყვარელი მასწავლებლის ხმა. — ხვალ ჩვენ პირველად შევალთ უძველეს მღვიმეში, რომელსაც ხალხი დასაბამიდან დევის გამოქვაბულს ეძახის. გაფრთხილებთ, ეს სახიფათო მიწისქვეშა სასახლეა. შეიძლება იქ ადამიანი დაიბნეს, თვალსა და ხელს შუა დაიკარგოს უცნობ დარბაზებში. ჭკუით იყავით. ნათურები იქონიეთ, თბილად ჩაიცვით. ალბათ საღამომდე მოგვიხდება დარჩენა და საგზალიც წამოიღეთ, თორემ დევების მასპინძლობის იმედი ნუ გექნებათ.

— რატომ, მასწავლებელო! — მორიდებით თქვა მეათეკლასელმა გივიმ. — აი, რეზო დახელოვნებულია დევებთან ბრძოლაში, შეიძლება გამოქვაბულიდან გარეკოს კიდეც, თუ არ დაავიწყდა გუდის, ჭყინტი ყველისა და სადგისის წამოღება.

კლასში მხიარული სიცილი ატყდა.

რეზოს და გივის მასწავლებლები „სკოლის ორსავე თვალს“ ეძახდნენ. ტყუპებივით სულ ერთად იყვნენ და თითქოს ზედმიწევნით ჰგავდნენ ერთიმეორეს. ორივე კარგად თამაშობდა ჭადრაკსა და ფეხბურთს, ორივე ფრიადოსანი იყო, ორივე თავაზიანი, მოსაზრებული და დაუზარებელი. ყველაფერში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, სულ ერთთავად დავა ჰქონდათ, მაგრამ უერთმანეთოდ მაინც ვერსად ნახავდით: სადაც გივი იყო, იქაც რეზო.

— მეგობრობაც ასეთი უნდა! — ამბობდნენ მასწავლებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლები. — დაე, იკამათონ და ყველაფერში ერთიმეორეს შეეჯიბრონ, ეს მუდამ სასარგებლოა.

ერთხელ სკოლის სცენაზე გოგოლის „რევიზორი“ დადგეს. ეს დაუვიწყარი დადგმა იყო, ნამდვილი „დიდი მოვლენა პატარა სკოლის ცხოვრებაში“, როგორც ერთმა მაყურებელმა თქვა. რეზოს და გივის ბობჩინსკის და დობჩინსკის როლები დაეკისრათ. ორი ჯუჯა, ღიპიანი, ჭორიკანა თავადის გამოჩენაზე დარბაზი ხარხარებდა.

რეზო და გივი ერთიმეორეს ჰგვანდნენო, ვთქვით.

მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შენიშნავდა, რომ „დაუდეგარი ორეულის“ მსგავსება მოჩვენებითია. რეზო უფრო მკვირცხლი იყო, გივი კი—დინჯი; რეზო ჭადრაკს უკეთესად თამაშობდა, ხოლო გივი უკეთეს ლექსებს წერდა; პირველი მათგანი წვრილი და ოდნავ უფრო მაღალი იყო ,მეორე კი — დაბალი და სქელი. ამბობდნენ, ეს უმნიშვნელო განსხვავებაა ისინ, მაგრამ თქვენ მალე დარწმუნდებით, რომ ამ უმნიშვნელო განსხვავებამ მნიშვნელოვან საფრთხეში ჩაყარა დევის გამოქვაბულის ნორჩი სტუმრები...

საიდუმლო ტალანები

დაბოლოს, აი გამოქვაბულიც! რა დილა გათენდა!

არასოდეს ყოფილან რეზო და გივი ასე ახლოს ჯადოსნურ ზღაპრებში აღწერილ ამბებთან, როგორც აღმოჩნდნენ მაშინ, ივნისის იმ ერთ მზიან დილას... მზე თითქოს ნაპრალში ჩავარდა. თვალწინ იდუმალებით მოცული წყვდიადი ჩამოწვა, — ნესტიანი მიწისქვეშა სამყარო, სადაც არ იზრდებიან მცენარეები, არ ჩხრიალებენ ჩანჩქერები, არ გალობენ ჩიტები.

გამოქვაბულში სიბნელე და დუმილი იყო. მხოლოდ რაღაც ყრუ გუგუნი ისმოდა ტალანების სიღრმიდან. ზღვის გუგუნს იტყვიან ამდაგვარს: ნიჟარას რომ ყურზე მიიდებენ, სწორედ ასეთი გუგუნი ისმის. მაგრამ აქ არ იყო არც ნიჟარა, არც ზღვა.

ბავშვების ჟრიამული ანაზდად შეწყდა. ყველა ცნობისმოყვარეობამ და შიშმა მოიცვა. თვალი ხედავდა ჩაბნელებულ

კედლებს, მაღალ თაღებს, რომლებიც მკრთალ შუქზე ოდნავ ბზინავდნენ. რამდენი წელია, რაც ამ ტალანებს დღის სინათლე არ უხილავთ? იქნებ ასი ათასი წელი? იქნებ მილიონი? ან იქნებ მეტიც.

ჩირაღდნები აანთეს. დროისა და სინესტისაგან ჩაჟანგულ კედლებს საზღაპრო იერი მიეცათ. ეხის შავი ხვრელიდან ცივი ქარი ქროდა. იატაკზე ეგდო მარტორქის თიხის ქანდაკება. მტვერსა და ნახშირში ძვლები იისფრად ციმციმებდნენ. ხმაურზე დამფრთხალი ღამურები კედლებს მოწყდნენ და წივილით შავ ნაპრალებს მიაშურეს.

მეზობელი დარბაზი ბევრად ლამაზი იყო. ჭერიდან წვეთები ჟონავდა და გამჭვირვალე სტალაგმიტები მარმარილოს სვეტებივით აზიდულიყვნენ იატაკიდან ჭერამდე. ბუდისტური ტაძარივით ციმციმებდა ვულკანის ხელით კლდეში გამოკვეთილი ძველი მღვიმე.

— მასწავლებელო, ვინ ცხოვრობდა აქ? — იკითხა გივიმ.

— შენი ბალნიანი პაპის პაპა, აგერ მისი ძვლებიც! — დაასწრო პასუხი რეზომ და მტვერში დაგდებულ გამოფიტულ ძვალზე მიუთითა. — იჯდა წლობით და ფიქრობდა, ჯოხიდან წამფური როგორ გამოვთალოო.

— შენი წინაპარი კი ამ დროს ალბათ ორთქლმავალს იგონებდა თავისი ბანჯგვლიანი თავით.

— ამ შემთხვევაში რეზო ნაწილობრივ მართალია, — გაიცინა მასწავლებელმა ერმილე გვიშიანმა. — ყოველ გამოქვაბულში, რაც ასე თუ ისე მისადგომი იყო, ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. ქვებითა და კეტებით შეიარაღებული მონადირეების მთელი ჯოგი თავს ესხმოდა გამოქვაბულის დათვს ან სხვა ნადირს, ბრძოლით ართმევდნენ და ისაკუთრებდნენ ასეთ საასახლეს.

აქ ატარებდნენ ზამთარს, იქნებ მთელ ზაფხულსაც. მიდიოდნენ სანადიროდ, ბრუნდებოდნენ ნადავლით; იძინებდნენ ნადირთა ტყავებზე, ან პირდაპირ მიწაზე და დარაჯობდნენ მფარველ ცეცხლს. ერთნი მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ და ასე მეორდებოდა ოცი-ოცდაათი ათასი წლის მანძილზე.

მერე ეს კედლები ხავსმა დაფარა და ტალანები სამუდამო დუ-
მილმა მოიცვა.

— დააკვირდით ამ იატაკს, — ამბობდა არდევანი. — ამო-
ვფხიკოთ ეს მიწა, ოღონდ ფრთხილად: აქ ყოველი სანტიმეტ-
რი ათასი წლის ამბავს მოგვითხრობს. მეცნიერები მათგან ად-
გენენ ადამიანთა მოდგმის ისტორიას. ამ ფურცლებს დიდი სი-
ფრთხილით შლიან, რადგანაც მათ მეორედ ვერ გადაშლი. შე-
ხედეთ ამ ნახშირს. ამის მიხედვით არკვევენ, თუ რა ხეებს
წვავდნენ გამოქვაბულის მობინადრენი. ამ ორმოციოდე ათა-
სი წლის წინ აქ ცხოვრობდა ნეანდერტალელი, ბანჯგვლიანი
ტანით მამონტის ტყავზე იწვა და ხელში მძიმე კეტი ეჭირა.
აქვე ახლოს ჩამოდიოდა მდინარე და გამოქვაბულის ბინადართ
სასმელ წყალს აწვდიდა; გარშემო მიდამოს ფარავდა ნადირით
სავსე ულრანი ტყეები. ეს იყო ყველაფერი, რაც მათ ესაჭირო-
ებოდათ.

— მასწავლებელო, კედელზე ნახატია! — წამოიძახა გუ-
რამმა. ყველა მიაჩერდა კლდეზე ამოკვეთილ ირმის გამოსა-
ხულებას.

— დიახ, გურამ, ჩვენს წინაპრებს მხატვრებიც ჰყავდათ.
იარაღით კლდეზე ამოკვეთდნენ სხვადასხვა ცხოველთა გამო-
სახულებას, თანაც ისეთი სისწორით, რომ სწავლულები გაო-
ცებული რჩებიან.

— მასწავლებელო, რამდენი წლისა იქნება ეს გამოსახუ-
ლება? — იკითხა ციალამ, რომელსაც ხატვა ემარჯვებოდა.

— დაბეჯითებით თქმა ძნელია, ციალა, მაგრამ დაახლოე-
ბით ოცი ათასი წლისა მაინც იქნება.

მოწაფეებს გაოცების წამოძახილი ამოხდათ.

— მაგრამ მისი დახატული ძროხა უკვე არ მომწონს, —
თქვა ციალამ. — მუცელს მიწაზე მიათრევს. განა ძროხას ასე-
თი მუცელი აქვს?

— ჩემო კარგო, ასე განგებ აკეთებდა. ამით გამოხატავდა
თავის სურვილს, რომ მისი ძროხა უფრო იოლად გამრავლე-
ბულიყო, — განმარტა მასწავლებელმა.

— აქ კი დომბას ისრებს უშენენ! — შესძახა ელისომ.

— ეს იმისათვის, რომ წარმატებით ენადირათ ამ გოლიათ ცხოველზე.

— მასწავლებელო, რამდენ ხანს ცოცხლობდა პირველყოფილი ადამიანი? —იკითხა გივიმ.

— ერთ დროს ფიქრობდნენ, პირველყოფილი ადამიანი მეტისმეტად ჯანმრთელი იყო და ძალიან დიდხანს ცოცხლობდაო. ნამდვილად საქმე სხვაგვარად ყოფილა: იშვიათად თუ აღწევდა 40-50 წლის ასაკს. აქ მოდით, აი, ეს ბარძაყის ძვალია. შეხედეთ ამ საშინელ კორძებს. ჩანს, ამისი პატრონი რაღაც მძიმე სენით ყოფილა დაავადებული.

ამ დროს მოსწავლეების სხვა ჯგუფმა, რომელსაც ერმილე გვიშიანი დაატარებდა, მეზობელ ტალანში იპოვნა კირქვისაგან გამოკვეთილი დიდი ქანდაკება.

— ნუთუ ესეც ნეანდერტალელებმა გამოაქანდაკეს? — იკითხა გაოცებულმა გივიმ. —ალბათ დევის ბიუსტია.

— ეს არდევანს უნდა ვკითხოთ. — თქვა ფიქრის შემდეგ ერმილემ.

არდევანი დიდხანს აკვირდებოდა „დევის ბიუსტს“.

— არა! თუ არ ვცდები, აქ საქმე გვაქვს გვიანდელი დროის წარმართულ კერპთან, რომელიც გამოქვაბულში გადაუმალავთ. რათა გადაერჩინათ ქრისტიანებისაგან: ისინი ხომ კერპებს ამსხვრევდნენ!

ასე მხიარული საუბრით მიდიოდნენ წინ და ვერ ატყობდნენ, როგორ გადიოდა დრო. მიწისქვეშა გვირაბებში დროის განცდა იკარგება.

ფრთხილად გაიარეს დევის ქვაბი, მოუხვიეს მგლის ხვრელისაკენ, გავიდნენ ირმის გამოქვაბულში და გაბედულად შეანათეს დათვის ბუნაგში. ასე შეაშფოთეს მხიარულმა სტუმრებმა მარადიული ბინდით მოცულ ყრუ დარბაზებში მთვლემარე წინაპართა აჩრდილები.

ამ დროს გვირაბის სიღრმიდან რეზოს ხმა გაისმა:

— გივი! აქ მოდი, რა ვიპოვნე!

— რა იპოვნე? უთუოდ რაიმე სისულელე.

— აი, ნახავ: ბრონტოზავრის ბეჭია!

გივი შეუმჩნევლად ჩამოსცილდა ამხანაგებს და მეგობარ-თან მივიდა. ორივეს სურდა რაიმე გამორჩეულის აღმოჩენა და ახლა გულმოდგინედ ათვალიერებდნენ რომელიღაც გაღაშენებული გოლიათის ძვალს, მაგრამ, როცა ხელით აღება მოინდომეს, იგი დაიფშვნა და მტვერს შეერია.

— აკი გითხარი, სისულელეს იპოვნიდი-მეთქი! — შესძახა გივიმ. — წამოდი, მასწავლებელი თვალს მიეფარა და არც ამხანაგები ჩანან.

— მერე რა, ჩვენ საკუთარი გზებით ვივლით! — ამაყად თქვა რეზომ, თუმცა მდუმარე მარტოობის წინაშე დამდგარს ფერი ეცვალა.

— საქმე ის არის, საით წაგიყვანს ეს საკუთარი გზა! წავიდეთ ჩქარა! — და ისინი ქარავანს ჩამორჩენილი მოგზაურებივით გაუდგნენ გზას. ამხანაგების ხმაც არსაიდან ისმოდა ახლა ქვესკნელში ორნი იყვნენ.

სადღაც ჭერიდან მონაჟონი წვეთი დაეცა. მას მეორე მოჰყვა. ქნარის სიმივით მგრძნობიარე გამოქვაბულის კედლები წვეთის დაცემასაც არ ტოვებდნენ გამოძახილის გარეშე.

— ეს წვეთები ჩვენი სიცოცხლის დღეებს ზომავენ! — გაუელვა თავში რეზოს, მაგრამ მეგობრისთვის არ გაუმხელია. გივი კი სხვა რამეზე ფიქრობდა: აი, ამხანაგებმა უკვე შენიშნეს, რომ რეზო და გივი აღარ არიან. ყველას ფერი ეცვალა. შეშფოთებული დაეძებენ ურჩ ოინბაზებს. ძახილი თაღებში იკარგება. საიდუმლო ტალანები ყრუ დუმილს მოუცავს. აი, სად მიიყვანა ისინი ცნობისმოყვარეობამ! არც საგზალი, არც მეგზური, არც იმედები! მაგრამ საფრთხე წინ არის.

დრაკონის ჭიშკარი

დრაკონი ზღაპრული გველეშაპი იყო. რეზომ და გივიმ ეს კარგად იცოდნენ. ახლა უგზოუკვლოდ დაეხეტებოდნენ გამოქვაბულში და სულ დრაკონი ელანდებოდათ.

— აღარ ვიცი, საით წავიდე! — თქვა გივიმ და ჯვარედინ ხვრელთან შეჩერდა.

— ამ გვირაბს გავყვებით! ცხოვრებას „არ ვიცით“ ნუ იწყებ! — გამოცდილი კაცივით მიუგო რეზომ და გვირაბს მიაშურა. გივიც ძალაუნებურად მიჰყვა, თუმცა უჩვეულო გრძნობას მოეცვა. აი, უკვე ნახევარი საათია, იქნება მეტიც, რაც შეუმჩნევლად ჩამოსცილდნენ ამხანაგებს და მარდოტმარტო დაეხეტებიან საშინელ მიწისქვეშეთში. გივი მაინც არ ჰკარგავდა იმედს: სადაც არის, გვირაბი დასრულდება, ჩვენც უკან გამოვბრუნდებით და ამხანაგებს იოლად ვიპოვნითო.

მაგრამ გვირაბს დასასრული არ უჩანდა. უარესი კიდევ ის იყო, რომ თანდათან დოქის ყელივით დავიწროვდა. ჯერ გამართული მიდიოდნენ, მერე წელში მოხრა მოუხდათ, ბოლოს ხოხვით განაგრძეს გზა.

— საით მიდიხარ, ბიჭო? სადაც არის, გავიჩხირები.

— მომყევი! სადაც აქეთ გამოეტიე, უკანაც გაეტევი, — იცინოდა რეზო. — იცი, რა ვიპოვნე? მშვენიერი დარბაზია: საბაძლეოს დავდებ, რომ აქ ნეანდერტალელთა მეფე ცხოვრობდა.

მართლაც, ერთადერთი ვიწრო გასავლის იქით ჩაბნელებული დარბაზი ჩანდა. რეზო ამ ხვრელში შედარებით იოლად გაძვრა და... თითქოს მიწამ ჩაყლაპა. შეშფოთებულმა გივიმაც ხვრელში შერგო თავი, დაიხვნეშა, გაიწია და შიგ გაიჭედა. ველარც წინ წავიდა, ველარც უკან. სუნთქვა ისედაც ჭირდა და ახლა კი გაიფიქრა: მორჩა, ჩემი კალო გალეწილია, ახლავე სული შემეხუთებაო.

ნახევრად ჩამქრალი ჩირაღდნის შუქზე მან დაინახა რეზო, რომელიც ღრმა ორმოში ჩავარდნილიყო; გასისხლიანებული და მტვერში ამოგანგლული გაჭირვებით წამოდგა ფეხზე.

— ჩქარა ჩამოძვერი, — იძახდა რეზო.

— როგორ ჩამოვძვრე, როცა გავიჭედე! — მოისმა სულშეგუბებული გივის ხმა.

მისი მდგომარეობა მართლაც უიმედო ჩანდა. სრულიად გაიჩხირა და ერთი გოჯითაც ვერ იწევდა წინ.

რეზო შეშფოთდა, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა:

— შენ უკვე წუწუნებ. ფარ-ხმალს ასე იოლად ნუ ჰყრი. კლდეს ჩაეჭიდე! ნუ დაგავიწყდება, რომ ხვრელის ჩაკეტვით

ჩემს

ცოცხლესაც საფრთხეში აგდებ, რადგანაც აქედან სხვა გასასვლელი არ მეგულება.—ამ ლაპარაკში უკანვე აცოცდა და გივის ორივე ხელით ჩაეჭიდა. თან სწევდა და თან ამხნევებდა: — ერთი წუთიც და შენ ხელმეორედ დაიბადები. აკი გაფრთხილებდი, ნაკლები ჭამე-მეთქი. ხომ ხედავ, რა საზიფათოა ზედმეტი სიმსუქნე მოგზაურობაში!

უეცრად გივი ხვრელს მოწყდა და ძირს დაგორდა, თან რეზოც ჩაიყოლია. ორივე ჭინკებივით გაეხვია მტვერში.

მღვიმის ქანგისფერ თაღებს ახედეს, გული შეეკუმშათ. ორივემ ნათლად წარმოიდგინა საზარელი მხეცები, რომლებიც თავიანთი ღრიალით ოდესღაც ამ კედლებს არყევდნენ. თვით ბუკიოტის ძახილს აღტაცებით შეხვდებოდნენ ახლა ისინი, მაგრამ მიწისქვეშეთი ყრუ იყო, როგორც იდუმალება, როგორც სიკვდილი.

ჯიბის ნათურა გაანათეს. მკრთალ შუქზე მიწის შუაგულში ჩასული ახალგაზრდა მეგობრები ერთმანეთს ძლივს სცნობდნენ. უეცრად მიწა გუგუნით შეინძრა. ორივეს შიში დაეუფლა: აქედან თავს ვეღარასოდეს დავაღწევთო. ჭერიდან ქვები ცვიოდა. ენა დაებათ. ერთ კუთხეში ადამიანის თავის ქალა ეგდო. უჩვეულოდ დიდი ყბა იყო და კბილები საზარლად დაეკრიჭა. იქით რაღაც ურჩხულის ჩონჩხი ჩანდა. ისევ განმეორდა ბიძგი, რეზოს გააჟრჟოლა. სამაგიეროდ, ახლა გივი უფრო გულგრილი აღმოჩნდა:

— რას გაშეშებულხარ! — მიუბრუნდა მეგობარს. — რაკი შემოხვედი, ნუ თრთი. მიწისძვრა მოგვეჩვენა, ჩონჩხები კი არ იკბინებიან. წამოდი აქეთ, იქნება სხვა გასასვლელი იყოს, ეს კარი ჩემთვის ვიწროა. საიდანღაც ჰაერის ნაკადი მოდის. სადაც ჰაერია, იქ ხვრელიცაა.

რეზოს შერცხვა თავისი სულმოკლეობისა და ისევ ხუმრობა დაიწყო:

— მე კი ვფიქრობ, სხვა კარი აქ არაა, და ჩვენ მოგვიხდება დაცდა, ვიდრე შენ შიმშილისაგან საკმაოდ გახდები, რომ ხვრელში გაეტიო.

— აი, პრაქტიკული წინადადება! — გაეცინა გივის. — არა, შიმშილობას ისა სჯობია, გასავლელი ვიპოვნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

К 88 3 767

დაიარეს ყოველი მხარე, მაგრამ ყრუ კედლები სასტიკად იცავდნენ გასასვლელის საიდუმლოებას. დასხდნენ და დაფიქრდნენ.

— ვერაფერი გამიგია, — თქვა გივიმ. — საიდან შემოვიდნენ ამ დახურულ დარბაზში ეს ბუმბერაზები?

— ალბათ ყოველთვის ასე ვიწრო არ იქნებოდა შემოსასვლელი, — ფიქრის შემდეგ მიუგო რეზომ. — მე სადღაც წამიკითხავს, რომ გამოქვაბულთა უზარმაზარი შესასვლელები მეწყერს დაუფარავს, მერე მიწა კლდედ ქცეულა და სამუდამოდ ჩაუკეტავს შესასვლელი.

— ეს შესაძლებელია. მით უარესი ჩვენთვის! მაგრამ ხომ უნდა გავიდეთ აქედან ოდესმე? ვინ იცის, ამხანაგები როგორ გვეძებენ.

ისევ დაიწყეს დარბაზის კედლების შემოვლა.

— მართლა, ხომ შეიძლება ამ დარბაზში დავიხოცოთ? — გულუბრყვილოდ იკითხა გივიმ.

— ჰო, ყველაფერი შეიძლება მზის ქვეშ! — მიუგო რეზომ.

— მზის ქვეშ კი, მაგრამ ჩვენ ხომ ახლა მზის ქვეშ არა ვართ, მიწის ქვეშ ვართ! ამიტომაც ხომ შეიძლება გადავრჩეთ კიდეც!

— ჰო, შეიძლება გადავრჩეთ კიდეც!

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— ჰმ! — დაარღვია სიჩუმე ისევ გივიმ. — როგორ გაუკვირდებათ ათასი წლის შემდეგ, როცა ამ დარბაზში გათხრების დროს აღმოაჩენენ, რომ პითეკანთროპისა და ნეანდერტალელის გვერდით თურმე ორი ასე განვითარებული ადამიანიც ცხოვრობდა!

— რას ბოდავ? — გაწყრა რეზო. — სიცხე თუ გაქვს?

— არ ვიცი. აანთე, ბნელა.

— რა უნდა ავანთო, როცა ნათურა დამეკარგა? ასეთ სიბნელეში თავიც დაგეკარგება, ნათურა კი არა.

— ჰოდა, თავიც რომ არ დაკარგო, მომკიდე ხელი.

დიდხანს იხეტიალეს. ქანცგაწყვეტილი გივი მამონტის ეშვზე ჩამოჯდა და თქვა: „როგორც ჩანს, ჩვენ აქ მღვიმის ვირთაგვებს გავასუქებთ!“ ამ საშინელმა აზრმა იხსნა ნორჩი გმი-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები. წამოდგნენ და ახალი ძალით განაგრძეს ძებნა. უეცრად ერთ კიდეში მბჟუტავი შუქი გამოკრთა. ეს არ იყო ჩვეულებრივი სინათლე. გეგონებოდათ, რომელიღაც უზარმაზარი ცხოველის ცისფერი თვალი ანათებსო. მაგრამ თვითონ ყველაზე კარგ სიბნელეს ყველაზე ცუდი სინათლე სჯობია, და ჩვენმა მოგზაურებმა აჩქარებით მიაშურეს ამ შუქს, გადარჩენის უკანასკნელ იმედს, ყოველ ნაბიჯზე აწყობდნენ ქვებსა და ძვლებს, ცვიოდნენ ღრმულებში, ეცემოდნენ, დგებოდნენ და ისევ გარბოდნენ. ბოლოს სინათლემ იმატა და წინ აღიმართა უცნაური თაღი, რაც გველეშაპის მოხრილ ჩონჩხსა ჰგავდა.

— დრაკონის ჭიშკარი! — წამოიძახა გივიმ. გაიხედეს და სუნთქვა შეეკრათ.

წინ გადაშლილიყო ფართო, ნათელი ქვეყანა, მშვენიერი, მაგრამ არაჩვეულებრივი, უცნობი მხარე. რაღაც ჯადოსნური დუმილი სუფევდა, როგორიც მხოლოდ ორი სამყაროს მიჯნაზე იცის. თვალს იტაცებდა ყვავილთა სიმრავლე, უზარმაზარი პალმები, ხელუხლებელი შამბნარი და მოლივლივე ცისფერი ტბა, უცნაური ფრთამოხატული ფრინველები და რაღაც მწვანე სინათლე — აქ ყველაფერი სხვანაირი იყო! თუმცა იმ წუთიდან, რაც დევის ხვრელში ფეხი შედგეს, მათ ჩვეულებრივი არაფერი ენახათ, მაგრამ ახალი სანახაობა ყველა მოლოდინს აღემატებოდა.

— სანაძლეოს ვდებ, რომ, თუ ეს სიზმარი არაა, ჩვენ ზღაპრულ ქვეყანაში აღმოვჩნდით, — თქვა რეზომ.

— უკეთ რომ ვთქვათ: ზღაპრული სინამდვილის ქვეყანაში! აი, ეს მესმის! ჩქარა გავიდეთ ამ დრაკონის ჭიშკარში! რამდენადაც ვიცი, ზღაპრის გმირები არ იღუპებიან, — და ამ სიტყვებზე გივიმ პირველად დატოვა დევის გამოქვაბულის ბნელი წიაღი. ამ დროს ისევ გაისმა რაღაც საზარელი გუგუნი. მიწა იძრა. ჩვენი მოგზაურები სირბილით მივიდნენ ბორცვთან, სწრაფად აიარეს ფერდობი, და სწორედ დროზეც, რადგანაც გამოქვაბულის მწვერვალი შეიძრა, შეზანზარდა, კლდეს მოწყდა დიდრონი ლოდები და ათასობით ქვა თავზარდამცემი გრუხუნით დაეშვა მთის კალთებიდან.

გონს მოსვლა ვერც კი მოასწრეს, რომ მაღლიდან მოწყვე-

ტილმა ხრეშმა და ქვებმა სამუდამოდ დაფარეს გამოქვაბულის საიდუმლო ხვრელი, რომელსაც ბავშვებმა „დრაკონის ჭიშკარი“ უწოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გამოსავალი მუდამ მოინახება!“

მწვერვალი ისევ ქუხდა და ბორგავდა. ნაპრალის ხროტინი მთებს აზანზარებდა. მიწა კვნესოდა და ციებიანივით იოყეოდა. ნორჩი მოგზაურები თავგამოდებით ჩამორბოდნენ ბექობზე, ეგონათ, ფეხქვეშ მიწა გვეცლებაო. ქანცგაწყვეტილებმა მიაღწიეს გორაკის ზეთავს და თვალწინ გადაშლილ ვაკეზე გავიდნენ.

მთის მწვერვალი ცეცხლის ალში იყო გახვეული, გავარვარებული ქვები ტყვიასავით ადიოდნენ მაღლა და ცვიოდნენ ძირს, პირდაპირ გამდნარი რკინის მოციმციმე ნიაღვარში, ფერდობზე რომ მახრჩობელა გველივით დაიკლაკნა.

— ეს ხომ ვულკანია! — შესძახა რეზომ. — ჩანს, ამ უცნაურ მხარეში მიწის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ არ დასრულებულა!

— და რაღა ჩვენს ბოსვლას ელოდა! — ამოიკვნესა გივიმ.

ცეცხლის ნიაღვარი ახლოვდებოდა. კიდევ რამდენიმე წუთიც და ის დაფარავდა პატარა გორაკს, ნორჩი მოგზაურები ჭიანჭველებივით ჩაიხრჩობოდნენ ნიაღვრის სქელ ტალღებში...

— ვიღუპებით! გამოსავალი აღარ არის! — წამოიძახა გივიმ და ხშირ ფოთლებში ჩაეშვა.

— გამოსავალი ყოველთვის მოინახება, ვიდრე ადამიანი სუნთქავს! — გაისმა უცნობის ხმა.

გაოცებამ შიში და საფრთხე დაავიწყათ ორთავეს.

— ცოცხლად! ჩემთან, ყმაწვილებო! ყოველი წამი ძვირფასია! აი, აქ ჩაჯექით! ოღონდ ჩქარა! — და უცნობი მსხნელის ხელმა ისინი თითქმის ძალით შეაგდო უცნაური ოვალური მანქანის კაბინაში, რომლის კედლები ვერცხლისფრად ციმციმებდნენ. მანქანის კრიალა კედელზე ბრწყინავდა წარწერა: „უნივერსალი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოულოდნელი გადაწყვეტილება

ასე დასრულდა სახიფათო მოგზაურობა წინაისტორიულ მღვიმეში.

რეზოს არასოდეს სჯეროდა სასწაული. ახლა მან დაიჯერა, რომ ქვეყნად ერთხელ სასწაულიც ხდება. ეს რწმენა გივისაც გადაედო, როცა კარი უხმაუროდ დაიხურა, უცნობი რომელიღაც ღილს თითით შეეხო, მანქანა ჩიტის სიმსუბუქით მოწყდა მიწას და უხმაუროდვე ჰაერში აფრინდა. ფანჯრის მინებიდან ჩანდა, როგორ გადაუარა ბორცვებს ცეცხლის ნიაღვარმა, ფოლადის გველებად დაიკლაკნა და ამაზრზენი წივილით ჩაეშვა ცისფერ ტბაში. ტბა აშიშხინდა, ადუღდა, ორთქლი ბოლქვებად ავარდა და მწვანე მიდამო ერთიანად დაფარა.

სულგანაბული რეზო და გივი ისხდნენ ხავერადგადაკრულ რბილ სავარძლებში და ხმას არ იღებდნენ. საჭესთან იჯდა უცნობი კაცი. გვერდზე ეკიდა ვიწრო და გრძელი დაშნა — ესპადრონი, რაც მას ფრანგი მუშკეტერის იერს აძლევდა, თავზე ეხურა სისხლივით წითელი გარიბალდური ქუდი. უბრალოდ და მოხდენილად ეცვა, ოდნავ დაუდევრად. ესპანელი ტორეადორის მსგავსი სამოსელი და მოსასხამი უცხო იერს აძლევდა.

— ჩემი მანქანის ხმაური ხომ არ გაწუხებთ, ყმაწვილებო? — გაისმა მისი ხმა.

რეზო და გივი გამხნევდნენ.

— თქვენი მანქანის ხმაური არ შეგვიშლის მოვისმინოთ მისი მფლობელის საუბარი, თუ ის მას მოისურვებს, — თქვა მოკრძალებით გივიმ.

ნორჩი პოეტის პასუხზე უცნობმა გაიღიმა; ოქროს კბილი გამოაჩინა. სახეზე ბავშვური გულკეთილობა და სიმშვიდე აღებეჭდა.

— „უნივერსალის“ კაპიტანი მზად არის ემსახუროს თავის სასურველ სტუმრებს! მაგრამ შეხედეთ, როგორ ბრაზობს ვულკანი! თუმცა თქვენ დამშვიდებული იყავით.

„უნივერსალმა“ სამჯერ შემოუარა ცეცხლოვან მთას და

ისარივით მსუბუქად გასრიალდა აღმოსავლეთისაკენ. ქუხილი აღარ ისმოდა. ყოველის მხრიდან მჭიდროდ დახურული მანქანა მიმინოსავით მსუბუქად ნავარდობდა იისფერ სივრცეში. როცა ვულკანის გრუხუნი შენელდა, ფოლადის ფრინველი მობრუნდა, უეცრად ძირს დაექანა და უხმაუროდ დაეშვა დაღუპული ტბის მიღმა გაშლილ მწვანე ველზე. ასე ეშვება ორბი სალი კლდის ქიმზე.

— ახლა კი დროა, გავეცნოთ ერთმანეთს. — თქვა უცნობმა, როცა მოლზე ნოხი გამოიტანა, დააგო და სამივე დაჯდა. — თქვენ გაისეირნეთ ჩვენი დროის სრულქმნილი მანქანით, რომელსაც მე „უნივერსალი“ ვუწოდე. ეს ჩემი სიცოცხლის ოცნება საბოლოოდ ამ რამდენიმე დღის წინ დავასრულე იმ სახელოსნოში, რომელიც ცეცხლის ნიაღვარში ჩაიმარხა, როგორც ოდესღაც აყვავებული რომაული ქალაქები პომპეი და ჰერკულანუმი. მაგრამ მე არ ვნაღვლობ, რადგან, ჯერ ერთი, ნაღვლიანობა ჩვეულებად არა მაქვს, და მეორეც, ჩემი მანქანა ასე წარმატებით გამოვგლიჯე მრისხანე ვულკანს. ახლა მიამბეთ, ვინა ხართ და როგორ მოხვდით ამ იდუმალ ხეობაში, რომელსაც ჩემამდე ადამიანის ფეხი არ მიჰკარებია.

— ჩვენ მოწაფეები ვართ,— თქვა რეზომ. — ექსკურსიაზე წაგვიყვანეს დევის გამოქვაბულში, გმირობა მოვინდომეთ და პატარა ხიფათი შეგვემთხვა მამონტის დარბაზში. ჩემი სახელია რეზო, ჩემს მეგობარ პოეტს კი, რომელიც კინაღამ გვირაბში გაიჭედა, გივი ჰქვია.

ანდრესი იცინოდა და პატარებს მღვიმეში ძვრომის ხერხებს ასწავლიდა:

—-მიწისქვეშა ნაპრალებში სამი რამ არის საჭირო: შეუპოვრობა, თოკი და სინათლე. ზედმეტი არაფერი არ უნდა გეცვათ. უნდა შეგეძლოთ ყინულოვან წყალში ცურვა, ხტომა, ქანდირბაზობა, მწვერვალებზე ასვლა...

უცნობმა საათს დახედა და განაგრძო:

—-ვწუხვარ, რომ ერთმანეთს მალე უნდა დავშორდეთ. უკვე თერთმეტი საათია. ჩემი „უნივერსალი“ თქვენ გადაგიყვანთ ამ მთების მიღმა, სამშობლო მხარეში, რადგან ამ იდუმალ ველიდან შინ დაბრუნების სხვა საშუალება მე არ ვი-

ცი. ეს მხოლოდ ორი საათით შეაგვიანებს ჩემი მოგზაურობის დაწყებას

— არ შეიძლება გვითხრათ, საით იმოგზაურებთ? — მორიდებით დაეკითხა გივი.

უცნობი ჩაფიქრდა.

— შეიძლება, რატომაც არ შეიძლება? თქვენ „უნივერსალის“ პირველი მგზავრები ხართ და უფლება გაქვთ მოითხოვოთ მისი მშენებლის ზოგი საიდუმლო. ვიდრე ამ საიდუმლოს საქვეყნოდ გავიტანდე და ხალხის საკუთრებად გამოვაცხადებდე, მე მინდა შორეული მოგზაურობით საბოლოოდ გამოვცადო ჩემი მანქანა. გარდა ამისა, მე თითქოს დაბადების დღიდან დავეძებ ერთ მრავალწახნაგოვან ფერად ანდამატს, ამ ერთადერთ ფასდაუდებელ სიმდიდრეს, რისი მოცემაც შეეძლო ჩემთვის მამაჩემს. მამამ ის მიანდერძა სიცოცხლესთან ერთად. იმავე დღეს ეს ძვირფასი თვალი გაიტაცა ცისფერმა ფრინველმა და არ ვიცი, რომელ ზღვაში, რომელ ხმელეთსა და კუნძულზე გადაკარგა, მაგრამ ვიპოვნი... მოკლედ რომ გითხრათ, მე განზრახული მაქვს შემოვიარო ჩემი „უნივერსალით“ ჩვენი პლანეტა, ვნახო მისი ყოველი კუთხე, ზღვა და ხმელეთი, ცხოველი და მცენარე, ზღვის წიაღი და ცის ლაჟვარდი.

— აჰ! — ერთხმად აღმოხდათ ყმაწვილებს. — თქვენ დედამიწას შემოივლით?

— ასეთია ჩემი გადაწყვეტილება.

— მერე... მარტო?

— სრულიად მარტო! რამ გაგაოცათ?

— მაგრამ ეს ხომ...

— შეუძლებელიაო, გინდათ თქვათ? მე ვამბობ, რომ არაა შეუძლებელი. მე მწამს, რომ შესაძლებელია! „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო,“ გახსოვთ? თუმცა არ დაგიფარავთ, მარტობა მოგზაურის ყველაზე უფრო ცუდი თანამგზავრია.

— რა ბედნიერი ვიქნებოდით, რომ შეიძლებოდეს თქვენთან... — აღარ დაათავა სათქმელი გივიმ და უცნობს მავედრებელი თვალები მიაპყრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრესი ჩაფიქრდა, გაიღიმა და ჰკითხა:

— მზად ხართ ყველა ხიფათსა და მოულოდნელობას შეხვდეთ?

— თუკი თქვენთან ერთად ვიქნებით...

— მაშ მომეცით ხელი! ამ წუთიდან თქვენ ინჟინერ ანდრესის მფარველობაში ხართ! — თქვენებს კი ხვალვე ჩემი რადიოტალღები დაამშვიდებენ.

ინჟინერი ანდრესი

ეს ისე მოულოდნელად გადაწყდა, რომ რეზოს და გივის თავი სიზმარში ეგონათ. ამ უცნობმა კაცმა რაღაც ნახევარ საათში მათი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

— კაპიტანი ნემო ხომ არ არის? — ჩურჩულით ეკითხებოდა გივი რეზოს, როცა ანდრესი თავისი მანქანისაკენ წავიდა.

— მე ვფიქრობ, რომ ნემო მეტად პირქუში კაცი იყო, — დინჯად ამბობდა რეზო. — აჰ, ოღონდ კი ნუ გადაიფიქრებს...

— შენი აზრით, ქართველია? — იკითხა გივიმ.

— შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად, — იყო პასუხი.

— ეს ცოტას ნიშნავს.. მე ვფიქრობ, უცხოელია, მაგრამ საიდან მოხვდა ჩვენში, ან როგორ ისწავლა ქართული?!

— ახლა დროა ვისაუზმოთ. — დაბრუნდა ამ დროს სანოვაგით დატვირთული ანდრესი. — თქვენ ალბათ მშიერი იქნებით.

— მხოლოდ ახლა შენიშნეს ანდრესის სახეზე ღრმა ჭრილობის კვალი. ეს იყო ნატყვიარი, რაც მარჯვენა წარბის ზემოდან გადიოდა უკან, საფეთქლისაკენ. ასეთმა აღმოჩენამ კიდევ უფრო გააღიზიანა ახალგაზრდების ცნობისმოყვარეობა. ხალისით საუბრობდნენ და თან მოუთმენლად ელოდნენ იმ წუთებს, როცა ანდრესი მათ თავის თავგადასავალს მოუთხრობდა. რეზო პირველად ვითომ „უნივერსალის“ ისტორიით დაინტერესდა და მოხერხებულადაც მოიქცა, რადგან ანდრესი და „უნივერსალი“ ერთი სიცოცხლით ცოც-

ხლობდნენ და ერთის ამბავს ისე ვერავინ იტყოდა, რომ მეორის ამბავიც თან არ დაერთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრესი ჩაფიქრდა და ბოლოს თქვა:

— კეთილი. გამგზავრება ხვალ დილისათვის გადავდოთ. ახლა კი გიამბობთ, როგორ იქმნებოდა „უნივერსალი.“

— გისმენთ, ჩვენო კაპიტანო! — წამოიძახა რეზომ,—ნება მოგვეცით, ამ წუთიდან ასე მოგმართოთ.

—თქვენი ნებაა! —გაიცინა ანდრესმა, ჩაფიქრდა და თქვა: —ჰმ! ერთ დროს მართლაც ვიყავი კაპიტანი.

ანდრესი დაჯდა. რეზოსა და გივისაკენ ნახევრად ზურგშექცეული ხავსით დაფარულ ლოდს ნიდაყვით დაეყრდნო.

კაპიტან ანდრესის თავგადასავალი

— მე დავიბადე იმ დღეს, როცა დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ჩემი სამშობლო პორტუგალიაა. დავიბადე ლისაბონში, ვასკო და გამას ქუჩაზე. იქ არ აღწევდა ომის ხმაური, მაგრამ მე ვნახე უწყალოდ ჩაძირული გემებისა და უდანაშაულო ადამიანების ჩონჩხები... შემდეგ გავიგე ომის საშინელი შედეგები: ათი მილიონი დახოცილი, თხუთმეტი მილიონი დაჭრილი, ასიათასობით უკვალოდ დაკარგული!—მარტო საფრანგეთში დაინგრა 500 ათასი შენობა და 9700 სარკინიგზო ხიდი.

ბავშვობიდანვე ვოცნებობდი ქვეყნის ყველა მხარეში მოგზაურობაზე. მამაჩემი ძველი წიგნებით ვაჭრობდა. მისი დუქანი ჩემთვის ბიბლიოთეკა იყო. ღამეებს წიგნებთან ვათენებდი, ხშირად მთვარის შუქზე ვკითხულობდი. სკოლაშიც ადრე შემიყვანეს. დავამთავრე ლისაბონის უნივერსიტეტი და მივიღე მათემატიკის დოქტორის ხარისხი. წლების მანძილზე ვსწავლობდი მექანიკას, ვაგებდი სხვადასხვა აპარატებს. ზოგი მათგანი ღირდა ყურადღებად, მაგრამ ისინი არავინ მიიღო. ზოგმა სასაცილოდ აიგდო ჩემი ცდები, მეოცნებე მიწოდეს.

— განა მეოცნებე სალახძლავი სიტყვაა? — ვერ მოითმინა გივიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პოეზიაში არა, ტექნიკაში კი... — შენიშნა რეზომ.

— არც ტექნიკაშია ოცნება გამორიცხული, — თქვა ანდრესმა. — საქმიანი ოცნება საჭიროა ყოველ საქმეში, უამისოდ წინსვლა შეწყდება. მაგრამ გააჩნია, ვის როგორ ესმის ოცნება. ჩემი მტრების ენაზე ეს ნიშნავდა სიგიჟეს. მეც მაგელანივით დავტოვე უმადური სამშობლო და ამერიკაში წავედი. იმედი მქონდა, რომ ჩემი ოცნება ფრთას შეისხამდა. მართლაც, ერთმა ფირმამ ჩემი გეგმისადმი ინტერესი გამოიჩინა. მოკლე ხანში მივაღწიე ერთგვარ წარმატებას. მეტადრე მას შემდეგ, რაც პიროფლუესის საიდუმლოება აღმოვაჩინე.

1936 წელს ერთ ამერიკულ ჟურნალში, რომელსაც ჰქონდა ასეთი გრძელი სათაური: „შეერთებული შტატების საზღვაო ინსტიტუტის შრომები“ — გამოქვეყნდა ამგვარი წერილი: „ამა წლის ნოემბერში მე, როგორც სამხედრო ფლოტის უფროსმა ინჟინერ-ოფიცერმა, მონაწილეობა მივიღე ისეთი ძრავას გამოცდაში, რომელსაც საწვავად წყალი ჰქონდა ჩემი საკუთარი აზრისა და ყველა ექსპერტის იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომ ასეთი რამ საერთოდ შეუძლებელია. გამოცდა ჩატარდა ნიუ-იორკის საზღვაო-საინჟინრო ლაბორატორიაში ავტორიტეტული საექსპერტო კომისიის მონაწილეობით. წინადადება ასეთი გამოცდის შესახებ შემოიტანა უცნობმა პორტუგალიელმა, ვინმე ენდრიუსმა, რომელმაც ვითომ აღმოაჩინა ჩვეულებრივ საავტომობილო ძრავებში საწვავად ბენზინის ნაცვლად წყლის გამოყენების საშუალება“. აი, ეს დოკუმენტიც, — აქ ანდრესმა უბიდან ამოიღო ნახევრად გაცრეცილი ფურცელი და ყმაწვილებს უჩვენა მსხვილი ლურჯი ასოებით დაბეჭდილი უცხოური ტექსტი.

— ნუთუ ეს ენდრიუსი... — გაუბედავად წამოიძახა რეზომ.

— დიახ, ეს გახლდათ თქვენს მიერ კაპიტნად წოდებული ინჟინერი ანდრესი! — მშვიდად თქვა „უნივერსალის“ მშენებელმა. — იმხანად ქალაქ პიტსბურგში ვიმყოფებოდი. გაზეთებში გამოცხადდა გამოცდის ადგილი, ნიუ-იორკში მიბარებდნენ. ჩემმა მგზავრებმა, მათ შორის ერთმა ფრანგმა სწავლულმა და საუცხოო ადამიანმა, ერიკ ბიშოფმა, რომელიც

იმ დღიდან არ მინახავს, დაადასტურეს, რომ მთელს გზაზე ჩვენ ერთი გრამი ბენზინი არ შეგვიძენია, რომ მე ცილინდრში წყალს ვასხამდი, ვუმატებდი ფერადი სითხის წვეთებს და გზას ასე განვაგრძობდით. მთელი გზა—600 კილომეტრი, სამ საათში დავფარეთ.

დაიწყო გამოცდა. არავის არ სჯეროდა ჩემი. კომისიის წევრებს ეგონათ, რომ გამოსაცდელად უთუოდ ჩემს საკუთარ მანქანას გამოვიყენებდი, და ვერ აგიწერთ მათ გაოცებას, როცა ერთ-ერთი მათგანის მანქანა მოვითხოვე. პატრონმა მისი ავზი სრულიად დაცალა. მე მომცეს წყალი, რომელშიაც ჩავუმატე ცეცხლოვანი მწვანე სითხე—პიროფლუესი. ასე ვუწოდე იმიტომ, რომ პირო ნიშნავს ცეცხლს, ფლუესი — სითხეს. მოტორი საუცხოოდ ამუშავდა. კომისიის წევრი, ზღვის სილრმეთა ცნობილი მკვლევარი ადმირალი ბერდი დაეჭვდა — წყალი შეუმჩნევლად გადაღვარეო. მაშინ ცდა მის თვალწინ გავიმეორე. მოტორი ამუშავდა და გვიჩვენა საპროექტო ძალის ოთხმოცი პროცენტი. მაინც ეჭვით მიყურებდნენ კომისიის წევრები, თუმცა თვალნათლივ ნახეს ის, რაც არ სჯეროდათ.

კომისიამ მოითხოვა საიდუმლოს გაცემა. მე მჭირდებოდა წინასწარ ორი მილიონი დოლარი. სამხედრო უწყებამ უარი მითხრა. ასე დავშორდით ერთმანეთს. მალე ამერიკის პრესა აახმაურა ახალმა ცნობამ: „ენდრიუსის მანქანის გამოცდა 1200 კილომეტრის მანძილზე წარმატებით დასრულდა!“ ამან ბევრი მტერი შემძინა. მოსყიდულმა ქურდმა ჩემი საცდელი მანქანა მომპარა. ფული არ იყო. სრულიად გავღატაკდი. ყველა ფირმა ცდილობდა ჩემს ყიდვას, მაგრამ ნივთი ხომ არ ვიყავი! ვერ ავიტანე ამდენი დამცირება. უკანასკნელი ავეჯი გავყიდე, ვალები დავფარე, გვარი „ანდრესად“ გადავაკეთე და დავტოვე ამერიკა.

...ჯერ ლისაბონში დავბრუნდი. მამა გარდაცვლილი დამხვდა. დედა ვანუგეშე. იმავე დღეს განვაგრძე ჩემი ცდები. მე გამოვიცვალე გვარი, მაგრამ არ გამომიცვლია რწმენა და მისწრაფება. საზღვაო მინისტრის მფარველობით და მექანიკოს დეკასტროს დახმარებით შევუდექი წყალქვეშა ნავ „ზვიგენის“ აგებას. მაგრამ, როცა რესპუბლიკურ ესპანეთში ფაშისტი მეამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოხეები შეიჭრნენ, ოთახში ჯდომა ველარ შევძელი. მოხალისედ წავედი. ვიბრძოდი არაგონიის ფრონტზე როგორც მეცხრე ინტერნაციონალური ბრიგადის მეომარი. არავინ იცოდა ჩემი ნამდვილი ვინაობა. მალე მივიღე კაპიტნის ხარისხი. ჩემი ახალი გამანადგურებელი „კონდორი“ მტრის რისხვად იქცა. მაგრამ მანქანის სრულყოფა არც ახლა დამცალდა. ერთ ბრძოლაში მძიმედ დავიჭერი. ექიმს ჭრილობა სასიკვდილო ეგონა, მაგრამ, როგორც ხედავთ, შეცდა: გადავრჩი.

ანდრესი ჩაფიქრდა.

— თავში დაგჭრეს? — მორიდებით იკითხა რეზომ.

— არა, ამ ჭრილობას სხვა ისტორია აქვს. — ანდრესმა ხელი მოისვა ძველ ჭრილობაზე. — გონს რომ მოვედი, ციხის საავადმყოფოში ვიყავი. ისედაც ვიწრო ფანჯარაზე რკინის ბადე აეკრათ — ალბათ სიკვდილი რომ არ შემომძვრალიყო... ციხეში ბნელოდა, დრო ზლაზვნით მიდიოდა და უმოქმედობა მაგიჟებდა. ვიჯექი და ვფიქრობდი: „ნუთუ ამ ყრუ კედლებს შორის უნდა გავატარო წლები, როცა სიცოცხლე ისედაც ასე ხანმოკლეა?“

მოწყენილობას რომ არ შევეწუხებინე, თოკის ნაჭერი დამიტოვეს. ვითომ შემთხვევით დარჩათ, ნამდვილად კი ამით თავაზიანად მეუბნებოდნენ: „შეგიძლია ჭერზე დაეკიდო და იქანაო“. მაგრამ მე მეტისმეტად ამაყი ვიყავი, რომ თავი ჩამომეხრჩო... ასეთი თავაზიანობით არასოდეს არ უნდა ვისარგებლოთ.

— ასე რომ, მეც მაინ-რიდივით ორჯერ მოვკვდი და ორჯერვე გავცოცხლდი. დრო გადიოდა. დამარცხდა რესპუბლიკა. ერთხელ კიდევ ფრთა შეეკვეცა ჩემს ოცნებას.

...მაგრამ დროს უქმად არც საპყრობილეში ვკარგავდი. საკანში მოვიფიქრე „უნივერსალის“ პროექტი. მის განხორციელებას თავისუფლება ესაჭიროებოდა. ერთხელ, მორიგი გასეირნების დროს, ციხის ეზოში ცარიელი მანქანა შევნიშნე. ბევრი ფიქრის გარეშე მივვარდი ფაშისტ გამყოლს, იარაღი გამოვტაცე და იქვე ღია მანქანაში გადავეშვი. ეს იყო სიგიჟე, მაგრამ მონობას სიგიჟე ვარჩიე. მოულოდნელობამ დრო მომაგებინა. მანქანა ელვასავით გასრიალდა ფართო გზაზე და

მოუხვია. ატყდა განგაში. არ ვიცი, რამდენი მანქანა დამდევ-
ნა. უეცრად მანქანამ სვლა შეანელა: აღარ იყო საწვავი. მდევ-
რები წინ გადამიდგნენ. გადავწყვიტე მეშვიდე ტყვიამდე თა-
ვის დაცვა, მაგრამ მესამე გასროლაც არ დამცალდა. თვალთ
დამიბნელდა, იარაღი დამივარდა და დავეცი.

...მრავალი დამცირება გადავიტანე. ბევრი დაკითხვისა და
წამების შემდეგ ბარსელონას საკონცენტრაციო ბანაკში მოვ-
ხვდი. იქ შემისრულდა ოცდახუთი წელი. ერთხელ შუაღამი-
სას ვიღაცა ხოხვით მომიახლოვდა.

— მომყევით! — ჩამძახა ჩურჩულით.

მე ვიცანი მექანიკოსი დე-კასტრო, ჩემი თანამემამულე და
მეგობარი. უჩემოდ დაესრულებინა „ზვიგენის“ აგება, რაღაც
სასწაულით გაეგო ჩემი ადგილსამყოფელი და ბარსელონას
ახლოს პატარა ყურეში მოეყენებინა წყალქვეშა ნავი. ვერ
გადმოგცემთ ყველა წვრილმანს და საერთოდ ვერც ამიხსნია
ახლა, როგორ მოხერხდა ეს გაქცევა. მთავარი ისაა, რომ ის
მოხერხდა. „ზვიგენი“ სწრაფად გაუჩინარდა ხმელთაშუა
ზღვის ზვირთებში და კურსი აიღო აღმოსავლეთისაკენ, ერთ-
გული დე-კასტრო ტულონში დარჩა, რომ სამშობლოში დაბ-
რუნებულიყო. მე სამხრეთისაკენ ვიბრუნე პირი და აფრიკის
ნაპირებს გავყევი, შემდეგ ეგეოსისა და მარმარილოს ზღვე-
ბის გავლით ჩამოვედი ჩემს მეორე სამშობლოში. საბჭოთა
კავშირში ფრთები შეესხა ჩემს მისწრაფებას. მე შემიქმნეს
ყველა პირობა ჩემი ოცნების განხორციელებისათვის. თვრა-
მეტი წელი გავატარე ამ ქვეყანაში, აქედან რვა—საქართველო-
ში. საფუძვლიანად შევისწავლე რუსული და ქართული ენები.
ჩემმა „ზვიგენმა“ ჯერ ფრენა ისწავლა, მერე ხმელეთზე სრია-
ლი. ამით გავაერთიანე ჩემი წყალქვეშა ნავის, თვითმფრინა-
ვისა და ავტომობილის კონსტრუქციები, მივიღე სრულიად
თავისებური, ჩვენი დროისათვის სრულყოფილი აპარატი, რო-
მელსაც „უნივერსალი“ ვუწოდე.

— თქვენ რკინის ჯანმრთელობა გქონიათ! — შესძახა გაო-
ცებულმა გივიმ.

— არა, ადამიანის! — ღიმილით მიუგო ანდრესმა. — რკი-
ნას ჟანგი ედება, მე კი არ მინდა ჟანგი მომედოს. დიდებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს არ ვოცნებობდი. ყოველთვის ვცდილობდი დრო არ დამეკარგა და ჩემი ცხოვრება ისე წარმემართა, რომ მისთვის მშვენიერი ეწოდებინათ.

—თქვენ რომ მხოლოდ ეს მიზანი გქონოდათ, მას უკვე მიღწეულად ჩათვლიდით,— მიაგება გივიმ მორიდებით.

— სამამულო ომის დროს ჩვენს ქვეყანაში იყავით? — დაინტერესდა რეზო.

— ცხადია! — თქვა ანდრესმა, — მეორე მსოფლიო ომმა მესამედ შეაფერხა ჩემი გეგმის განხორციელება. ჩემმა „ზვიგენმა“ მტრის მრავალ ხომალდს შეუნგრია მკერდი. შემდეგ ჩემი ნავი მცურავმა ნაღმმა დააზიანა. მაშინ ჩემი პიროფლუესი ტანკისათვის გამოვიყენე. ამ სითხის დამზადება ძვირი ჯდება, მაგრამ საუკეთესო თვისებები აქვს. მე სტალინგრადის ფრონტზე განვაგრძე არაგონიაში დაწყებული ბრძოლა. სულერთია, სადაც იბრძოლებ სიმართლისათვის.

— ასე მგონია, ჯადოსნურ ზღაპარს ვისმენ-მეთქი, — თქვა გივიმ.

— დიახ, ქვეყნად ბევრი მოულოდნელობა ხდება. აი, დევის გამოქვაბულის მიღმა ნათელი, მღელვარე სინამდვილეა, აქ კი ყველაფერი ზღაპარს ჰგავს, ასეთი მყუდრო ჭალა ავირჩიე ჩემი „უნივერსალის“ სრულქმნისათვის. ვითხოვე ნებართვა, რომ ჩემი გეგმები გარკვეულ დრომდე სრულს საიდუმლოებაში დარჩენილიყო. ბოლოს, ფანტაზია სინამდვილედ იქცა. ამ დროს თქვენც მოხვედით. მოხარული ვარ, რომ ჩემი „უნივერსალის“ პირველი მგზავრები ასეთი ცნობისმოყვარე ახალგაზრდები აღმოჩნდნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თ ა ვ ი II

„უნივერსალი“ და მისი წინაპრები

ტივიდან ოკეანის გიგანტებამდე

ხუმრობასა და მხიარულ საუბარში დრო შეუმჩნევლად გადის.

ანდრესი ახლა „უნივერსალის“ წინამორბედთა ისტორიას შეეხო.

— მოგზაურს ესაჭიროება ცოდნა ისევე, როგორც ბნელ გვირაბში მიმავალს — ჩირაღდანი. ძველი ჩინური ანდაზა ამბობს: „მოგზაურისათვის ყველაზე უფრო მსუბუქი ტვირთი — ცოდნაა“. ჩვენ ბევრ მოულოდნელობას შევხვდებით. მანამდე კი „უნივერსალის“ ისტორიას გავეცნოთ. მაგრამ ჯერ გავიხსენოთ ზოგი რამ მისი წინაპრების —გემების, წყალქვეშა ნავებისა და თვითმფრინავების ისტორიიდან.

ანდრეს მა გადაშალა ფართო ატლასი, რომელზეც ათობით ნაირ-ნაირი გემის სურათი და მაკეტი იყო გამოსახული.

— ვრცელია და საინტერესო ნაოსნობის ისტორია. ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიდრე ადამიანი ამ ხის ვიწრო ნავიდან საოკეანო „მცურავი ქალაქების“ აგებაზე გადავიდოდა. ხომალდებს უხსოვარ წარსულშიც აგებდნენ. გალერა, რომელიც ბერძნებმა აუშენეს ეგვიპტის მეფე პტოლემეოსს, იტევდა 4000 მენიჩბეს და 3000 მეომარს. მაგრამ ნამდვილი საზღვაო გოლიათების მშენებლობა დაიწყეს ჩვენი საუკუნის დასაწყისში. მათი გამოცდისა და თავგამოდებული შეჯიბრის ასპარეზად იქცა ატლანტის ოკეანე. ამ ოკეანისათვის გაჯკუთვნილ ხომალდებს ტრანსატლანტიკურს ეძახდნენ.

ტრანსატლანტიკურ ხომალდებსაც თავისი უჩვეულო ისტორია აქვთ. ზედიზედ იბადებოდნენ ახალი ხომალდები, ებრძოდნენ ზვირთებსა და ქარიშხლებს, დროსა და მანძილებს, გადაჰქონდათ ტვირთი და გადაჰყავდათ ადამიანები. მაგრამ როცა ძველდებოდნენ, მათ ექცეოდნენ ისევე, როგორც პირველყოფილი ადამიანები უმწეო მოხუცებს — თავიდან იშორებდნენ: გაათრევდნენ, შლიდნენ და რკინის ჯართად აქცევდნენ. მათგან რჩებოდა მხოლოდ ჩონჩხი და ისტორია.

„ტიტანიკის“ აღსასრული

საუკეთესო ფორმის ძებნაში გემებს აძლევდნენ გედის, თევზის, სიგარის, კიბის ფორმასაც კი. ზოგი მათგანი პირველსავე ცურვაში შუაზე ტყდებოდა. ასე მოუვიდა საცდელ ცურვაში 1870 წელს ინგლისელთა რკინის გიგანტს „კეპტენს“. მაგრამ მიღებულ გამოცდილებას სხვა მშენებლები იყენებდნენ. შეცდომები უკვალოდ არ იკარგებიან. მერწმუნეთ, ყოველ საბედისწერო შეცდომას ისტორიაში თავისი მნიშვნელობა აქვს.

მინდა გაგახსენოთ გამოცდილების უგულვებელყოფის ერთი სამწუხარო შედეგი, მშენებელთა საბედისწერო შეცდომის ამბავი, რაც შემდგომი თაობებისათვის სამახსოვრო გაკვეთილად დარჩა. მე ვგულისხმობ „ტიტანიკის“ დაღუპვას. ეს იყო ერთი უდიდესი ტრაგედია, როგორიც ნაოსნობის ისტორიას ახსოვს. ხმელეთზე ბევრად დიდი კატასტროფაც მომხდარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სულ სხვაა ათასობით ადამიანის დაღუპვა შუა ოკეანეში, ღია წყალში, სადაც ფეხქვეშ ნიადაგი არა გაქვს...

— დიახ, ეს იყო განუზომელი ტრაგედია. მე მუდამ თვალწინ მიდგას ეს მცურავი ქალაქი და თითქოს ისევ მესმის მისი განწირული ეკიპაჟის გმინვა.

... 1912 წლის 15 აპრილს მსოფლიოში უდიდესი საოკეანო ხომალდი „ტიტანიკი" ნიუ-ფაუნდლენდის სანაპიროებს მიუახლოვდა და ნიუ-იორკისაკენ გაუხვია. ესაა ევროპიდან ამერიკაში მიმავალი უმოკლესი გზა — 6000 კილომეტრზე ცოტა მეტი. ის მიაჩნდათ „მსოფლიოში ყველაზე უფრო საიმედო და უხიფათო საზღვაო გზად". ამ გზის უმოკლეს დროში გავლაზე პირველობას ათეული წლების განმავლობაში ერთიმეორეს ეცილებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებისა და კომპანიების ხომალდები. მათ შორის უძლიერესნი იყვნენ ინგლისური უაიტ სტარის („თეთრი ვარსკვლავი") გაერთიანება და ამერიკული კუნარდის ამხანაგობა. ხომალდს, რომელიც ამ გზას უმოკლეს დროში გაივლიდა, გადაეცემოდა „ტრანსატლანტიკის ცისფერი ლენტი". ამ ლენტისათვის იბრძოდნენ ხომალდები: „ლუზიტანია", „მავრიტანია", „ტიტანიკი", შემდეგ „რექსი", „ნორმანდია" და მრავალი სხვა. 1907 წლიდან „ცისფერი ლენტი" გადავიდა კუნარდის დიდი სამგზავრო ხომალდის „მავრიტანიის" ხელში. ოცდაორი წლის მანძილზე ეს ლენტი მას არავისთვის დაუთმია. „მავრიტანიას" სიგრძე ორას ორმოცდაერთი მეტრი იყო, წონა კი ოცდათორმეტი ათას ტონამდე. დღეღამეში საშუალოდ ხარჯავდა 1050 ტონა ნახშირს. მხოლოდ 1929 წელს გაყიდეს და დაშალეს „მავრიტანია". მის ნაცვლად ააგეს ათბანიანი „ახალი მავრიტანია", თავისი დროის უდიდესი და საუკეთესო გემი, რომლის აწყობაზეც 5000 მუშა მუშაობდა.

უაიტ სტარის კომპანიამ გადაწყვიტა „მავრიტანიისა" და „ლუზიტანიისათვის" პირველობის ჩამორთმევა. სწორედ ამ მიზნით ააგეს „ტიტანიკი" და „ოლიმპიკი".

როცა „ტიტანიკი" წყალში ჩაუშვეს, მსოფლიოში მას სიდიდით მეტოქე არა ჰყავდა. მისი სიგრძე ორას სამოცი მეტრი იყო, სიგანე ოცდარვა მეტრი და თითქმის თერთმეტი მეტრის სიღრმეზე იჯდა წყალში, წონით ორმოცდათორმეტი ათას სამას

ტონას აღწევდა. გემზე ენთო ათი ათასი ელნათურა და იყო მრავალი ელექტრომოტორი. მისი მექანიზმების საერთო ძალა აღწევდა ორმოცდახუთი ათას ცხენის ძალას და სიჩქარე ორმოცდაერთ კილომეტრს საათში. „ტიტანიკის“ აგება დაჯდა ერთ-ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი. ფუფუნებით მორთული დარბაზების, კინოსა და კაბინეტების გარდა, მას ჰქონდა მრავალი მომცრო ოთახი და იტევდა უფრო მეტ მგზავრს, ვიდრე სახელგანთქმული „რექსი“, „ნორმანდია“ და „კუინ მერი“. „ტიტანიკს“ შეეძლო მიეღო ერთი პატარა ქალაქის მთელი მოსახლეობა: 2566 მგზავრი. მაგრამ როდესაც „ტიტანიკი“ დაღუპვის წინაშე აღმოჩნდა, გემზე იდგა მხოლოდ იმდენი ნავი, რამდენიც საკმარისი იყო სულ 1180 კაცის გადასარჩენად — ეკიპაჟისა და მგზავრების ორი მესამედი განწირული აღმოჩნდა დასაღუპავად.

— როგორც ჩანს, არ მოელოდნენ ამ გემის დაღუპვას! — წამოიძახა რეზომ.

— მართალია, „ტიტანიკის“ დაღუპვა აბსოლუტურად შეუძლებელი ეგონათ. ეს თავისთავად შეცდომა იყო. აბსოლუტურად შეუძლებელი არც პლანეტის დაღუპვაა. თვითონ თანამედროვე ტექნიკის სრულყოფის მიუხედავად, დღესაც მსოფლიოში ხომალდების კატასტროფის შედეგად ყოველწლიურად უთვალავი ადამიანი იღუპება. თავისი დროისათვის „ტიტანიკი“ უდავოდ ითვლებოდა სამაგალითო ექსპრესად. ის აგებული იყო ფოლადისაგან, ჰქონდა ორმაგი ფსკერი და თხუთმეტი წყალგაუვალი ტიხარი. მაგრამ მიზეზი აქ უფრო ღრმა და სამწუხაროა. მშენებელი მილიონერები უფრო რეკლამაზე და მდიდრული დარბაზების გამშვენიერებაზე ფიქრობდნენ, ვიდრე ადამიანთა სიცოცხლეზე. რისთვის უნდა გაეღოთ ზედმეტი ხარჯები, როცა ეს მათ არაფერს ჰმატებდა? მაშინ არ იყო ბევრი გიგანტური გემი. კანონი კრძალავდა ათიათასტონიან და მეტი წყალწყვის გემებზე ჰქონოდათ თექვსმეტზე მეტი მაშველი ნავი. „ტიტანიკი“ ხუთჯერ და მეტად აღემატებოდა ამ წონას, მაგრმ ნავების რიცხვი იგივე რჩებოდა: კანონი კანონია! და საჭირო გახდა, მსოფლიოში უდიდესი გემის დაღუპვა, რომ ამ ბრმა კანონში ცვლილება შეეტანათ!

როცა 1912 წლის 11 აპრილს „ტიტანიკი“ ინგლისის ნავსადგურ კუინსტოუნიდან გავიდა, მასზე სულ იმყოფებოდა 2201 კაცი, მათ შორის 885 მოსამსახურე და 109 ბავშვი. 14 აპრილამდე ყველაფერი მშვიდობიანად მიდიოდა. ამ საბედისწერო დღეს საღამოს გემმა მიაღწია იმ მიდამოს, სადაც რუკაზე აღნიშნული იყო: „ყინულის მთები აქ შეინიშნება აპრილიდან ივნისამდე“. ეს მცურავი ყინულის მთები ჩრდილოეთის ყინვარებიდან წყდებიან და ზღვაში ტივტივებენ. წყლიდან მოჩანს მათი მერვედი ნაწილი. მახლობელი გემებიდან „ტიტანიკზე“ მიიღეს ტელეგრამები, რომ შემჩნეულია მცურავი აისბერგები. ერთი მათგანი შენიშნეს სწორედ „ტიტანიკის“ სიახლოვეს. ეს ცნობა რომ კაპიტანს მაშინვე მიეღო, გემი გადარჩებოდა. მაგრამ რადისტმა ვერ გაიაზრა მისი სერიოზულობა, ტელეგრამა განზე გადასდო და მეზობელ გემს ასეთი პასუხი გასცა: „გაჩუმდით, არა მცალია, ვლაპარაკობ რესის კონცხთან“. ამ მოუცლელობის გამო „ტიტანიკი“ ას ორმოცდაათ მეტრზე იუახლოვდა ყინულის მთას.

... წყნარი, უმთვარო, საბედისწერო ღამე ჩამოწვა ატლანტიკაზე. „ტიტანიკი“ სრული სვლით მიდიოდა. ანძაზე მყოფმა მეთვალყურემ შენიშნა რაღაც თეთრი ზოლი, რაც ნისლი ეგონა. ნამდვილად ეს იყო წყლიდან ჩვიდმეტი მეტრის სიმაღლეზე აზიდული ყინულის მთის ქიმი, საიდანაც დაჯახების დროს გემბანზე თოვლი ჩამოცვივდა. ღამის 11 საათსა და 40 წუთზე კაპიტნის მოადგილეს მურდოკს ანძიდან ტელეფონით შეატყობინეს, რომ აისბერგი ტიტანიკის ცხვირწინაა. გაისმა მურდოკის ბრძანება: „სდექ! სრული სვლა უკან!“ მაგრამ ხომალდს უკვე სტიქია მართავდა. ორმოცდათორმეტიათასტონიანი გიგანტი ცხვირით დაეჯახა მთას და ზედ შეცურდა. კაპიტანი სმიტი ბოგირზე გაჩნდა და იკითხა:

„რას დავეჯახეთ?“

„აისბერგს, სერ! — იყო პასუხი. — მინდოდა გვერდის აქცევა, მაგრამ ყინულის მთა ახლოს იყო. მე გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო: დავხურე წყალშეუვალი კარები“. ამ ღონისძიებამ იმსხვერპლა ხომალდი: წყალი რომ

ყველა წყალშეუვალ ოთახში შესულიყო, ხომალდის კორპუსის წინა და უკანა მხარე თანაბრად ჩაიძირებოდა და ერთი საათით მეტ ხანს გაძლებდა წყლის ზედაპირზე, ამასობაში მაშველი ხომალდიც მოუსწრებდა. მაგრამ უკანა კარები ჩაკეტეს, წყალი მხოლოდ წინა დაზიანებულ კარებში შეიჭრა; უკანა მხარე თანდათან აიწია, გემმა სრულიად ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო, უზარმაზარი ქვაბები ადგილიდან გრიალით მოწყდნენ და „ტიტანიკი" ერთბაშად ჩაიძირა: დაახლოებით ღამის 12 საათზე დაჯახება მოხდა და 2 საათზე—სრული ჩაძირვა.

დაზიანება მეტად მძიმე იყო. ასი მეტრის სიგრძეზე ფოლადის საფარველი მთლიანად აგლეჯილი აღმოჩნდა. ეს მოხდა სულ ათ წამში. როცა „ტიტანიკის" მშენებელი...

ანდრესმა აქ პირი მოკუმა, მძიმედ ამოიოხრა, მერე თავს ძალა დაატანა და განაგრძო:

— როცა „ტიტანიკის" მშენებელი დაბლა ჩავიდა და ხომალდი გასინჯა, კაპიტანს განუცხადა: „არავითარი იმედი არ არის, სერ! ერთი საათის შემდეგ „ტიტანიკი" ჩაიძირება."

ეკიპაჟმა ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი. გემზე არ იყო არავითარი საგანგაშო მოწყობილობა. მეზღვაურები თვითონ დარბოდნენ, აღვიძებდნენ ხალხს და მიჰყავდათ მაღლა. პირველად კანჯოებში ჩასვეს ქალები და ბავშვები. გემზე ბიძგი თითქმის არ უგრძნიათ. ამიტომაც მგზავრებს არ სჯეროდათ გემის სრული დაღუპვის შესაძლებლობა და ფიქრობდნენ, რომ ნავებში ყოფნა უფრო საშიშია, ვიდრე „ტიტანიკზე" დარჩენა, ამიტომ უხალისოდ ტოვებდნენ გემბანს. მხოლოდ გადამწყვეტ წუთებში ადამიანები ტანზე იხდიდნენ და ზღვაში ხტებოდნენ. ერთმანეთში აირია ბავშვების ტირილი, დედების გოდება, ნიჩბის ხმაური, ტალღების გუგუნი და უკანასკნელი ღმუილი იმ ადამიანებისა, რომლებიც ამაოდ იშვერდნენ ხელს მძიმედ დატვირთული ნავებისაკენ. ეკიპაჟმა სრულიად დაივიწყა თავისი თავი. გარდა იმ ორიოდე მეზღვაურისა, რომელთაც კანჯოების მართვა დაეკისრათ, „ტიტანიკთან" ერთად დაიღუპა მთელი შემადგენლობა, მათ შორის კაპიტანი და მშენებელი.

აქ ანდრესი ისევ შეჩერდა. ისე ღელავდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო იმ კატასტროფის მომსწრე, რომელსაც ასე მძიმედ განიცდიდა.

— ჩემის აზრით, მთელი ეკიპაჟიდან მხოლოდ მშენებელი იმსახურებდა დაღუპვას, — თქვა გივიმ, რომ მძიმე დუმილი დაერღვია.

— ასე იტყვის მთელი კაცობრიობა, — დაადასტურა ანდრესმა მწარე ღიმილით, — კაცობრიობა კი არასოდეს არ ცდება. მაგრამ მე ვიცი კიდევ ერთი პიროვნება, რომელსაც სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მშენებლის გაფრთხილება, — „ტიტანიკის“ მკერდი სუსტად არისო შეჯავშნული. ეს იყო „თეთრი ვარსკვლავის“ დირექტორი. ნუ იქნებით განუკითხველი ადამიანების მიმართ. ისინი მუდამ როდი არიან იმ დანაშაულის მიზეზი, რისთვისაც ისჯებიან ხოლმე.

— მაპატიეთ, მე მხოლოდ... — ჩაილუღლუღა გივიმ, რომელსაც რეზომ თვალით ანიშნა: ენა ნუ გისწრებსო!

— რატომ, თქვენ მართალი ხართ! — ჩაერია ანდრესი. — მაგრამ იცით, ვინ იყო ეს მშენებელი? ეს იყო მამაჩემის ბიძაშვილი, ინჟინერი ენდრიუსი.

— ენდრიუსი! — შესძახეს გაოცებულმა ბიჭებმა.

— დიახ, კაცი, რომელიც ბიძად მეკუთვნოდა, უფრო სწორად — მეკუთვნის: მე ხომ მისი დაღუპვის შემდეგ დავიბადე! ეს იყო თავისი დროის ერთი გამოჩენილი ინჟინერი. მაგრამ განვაგრძოთ ჩვენი ამბავი.

... 1912 წლის 15 აპრილს გვიან ღამით „ტიტანიკიდან“ 58 მილის დაშორებით იდგა ნიუ-იორკიდან ლივერპულში მიმავალი გემი „კარპატია“. რადისტი ჰოტამი ფხიზლობდა, თუმცა ძილი ერეოდა. უკვე უფლება ჰქონდა დასაძინებლად წასულიყო, მაგრამ ელოდა უკანასკნელ ცნობებს ინგლისელ მაღაროელთა გაფიცვის შესახებ. რადიო სდუმდა. „ფეხსაცმელს გავიხდი და, თუ კიდევ არაფერი გადმოსცეს, დავწვები“, — გაიფიქრა რადისტმა და დაიხარა. მაგრამ ვერ მოასწრო ზონრების გახსნა, რომ გაისმა რადიოს ხმა: „ჩქარა მოგვეშველეთ. ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვეჯახა მცურავი მთა. მე გადმოგცემთ უბედურების სიგნალს". „კარპატიამ" უპასუხა: „მთელი სვლით მოვდივართ დასახმარებლად". რამდენიმე წუთში მოვიდა დეპეშა: „ვიძირებით. არაფერი ისმის ორთქლის საშინელი ხმაურის გამო". უკანასკნელი ტელეგრამა მიიღო შორეულმა გემმა „ვირჯინიანმა" სრულ დაღუპვამდე სამი წუთით ადრე.

„ტიტანიკი" იღუპებოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე განწირული ხალხი ხედავდა რაღაც სინათლეს 8 კილომეტრის მანძილზე: სულ ნახევარი საათის სავალზე გემი იდგა! ზედიზედ აძლევდნენ რადიოსიგნალებს და ისროდნენ შუშხუნებს, მაგრამ განწირულთა გოდება უპასუხოდ რჩებოდა. აღმოჩნდა, რომ „ტიტანიკის" ცხვირწინ იდგა იმავე კომპანიის გემი „კალიფორნიანი". მას შეეძლო მთელი ეკიპაჟი გადაერჩინა, მაგრამ მოხდა გაუგონარი დანაშაული: გემზე „ტიტანიკის" ყველა სიგნალი გაიგონეს, მაგრამ კაპიტანი გალეშილი იყო და ადგილიდან არ დაიძრა, რადისტს კი ეძინა და მხოლოდ მეორე დღეს „კარპატიისაგან" გაიგო, რომ „ტიტანიკი" დაიღუპა. დასრულდა დიდი ექსპრესის პირველი და უკანასკნელი ცურვა.

„კარპატიამ" ყინულებს მოხერხებულად დააღწია თავი, ორი საათის შემდეგ მივიდა კატასტროფის ადგილზე და გადაარჩინა ნავებში მყოფი 712 კაცი. დანარჩენი 1489 კაცი დაიღუპა. ვინ იცის, იქნებ ყველანი გადაერჩინათ, რომ „კალიფორნიანის" უფროსი კაპიტანი კონიაკით არ გალეშილიყო.

— მაგრამ ხომ შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო, — თქვა რეზომ, — რომ რადისტ ჰოტამს სამი წუთით ადრე შეეხსნა ფეხსაცმლის ზონარი?

— მართალი ხარ. ზოგჯერ პატარა შემთხვევას შეუძლია თავზარი დაგვცეს ან დიდი უბედურებისგანაც გვიხსნას. ერთი რამ კი ცხადია: „ტიტანიკს" რომ SOS სიგნალი ჰქონოდა, საქმე სხვანაირად დამთავრდებოდა.

— SOS?— იკითხა რეზომ. — რახანია მესმის ეს სიტყვა და რას ნიშნავს, კი არ ვიცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

S O S

— გეტყვით, — თქვა ფიქრის შემდეგ ანდრესმა. — SOS უბედურების სიგნალია. მასაც თავისი ისტორია აქვს. 1888 წელს მიუნხენელმა პროფესორმა ჰერცმა ელექტრომაგნიტური ტალღები აღმოაჩინა. როცა ინჟინერმა ჰუბერმა უთხრა, ეს ტალღები შეიძლება უმავთულო გადაცემისათვის გამოვიყენოთო, პროფესორმა გაიცინა:

— რას ამბობთ! ეს სიგიჟეა!

ჰერცმა არ იცოდა თავისი აღმოჩენის ფასი. მაგრამ მასზე სამი წლით ადრე რუსმა მეცნიერმა პოპოვმა ეს „სიგიჟე“ უკვე საქმედ აქცია: გამოიგონა მეხის ბგერების ჩამწერი, რომელიც მაღალი ანტენის საშუალებით ზუსტად გადმოსცემდა ქუხილის ხმას. ხოლო 1899 წელს კი მან დაამყარა კავშირი ჯავშნოსან გემთან „ადმირალი აპრაქსინი“, რომელიც ფინეთის ყურეში მეჩეჩზე მოხვდა. იმავე წელს „ერმაკის“ კაპიტანს გადაეცა სიგნალი: „იხსენით 50 მეთევზე, რომლებიც ყინულმა ღია ზღვაში გაიტაცა“. „ერმაკმა“ იხსნა 27 მათგანი. ეს იყო უბედურების პირველი სიგნალი ზღვაზე. მაგრამ მეფის მთავრობამ ამ სიგნალების მნიშვნელობა ვერ გაიგო და პოპოვის გენიალური აღმოჩენა დავიწყებას მიეცა. ამით ისარგებლა ახალგაზრდა იტალიელმა მარკონიმ, რომელიც დაჟინებით სწავლობდა ჰერცის, პოპოვის და სხვათა შრომებს. იმავე 1899 წელს მან ყუთებში ჩაჭედილი „საიდუმლო გამოგონება“ ინგლისში ჩაიტანა და დაამყარა რადიოკავშირი დუვრსა და მცურავ შუქურას შორის, იხსნა მრავალი ადამიანი და მსოფლიო აალაპარაკა. კიდევ უფრო დიდი იყო ყველას გაოცება, როცა 1900 წელს პირველი უმავთულო სიგნალი გადასცა ევროპიდან ამერიკაში. ეს იყო ასო S, რაც უბრალოდ სიადვილისათვის აირჩიეს: მორზეს ანბანში ის სამი წერტილით აღინიშნება. 1906 წელს მას დაუმატეს ორი ასო და მიიღეს SOS, რაც ბევრმა უმართებულოდ ახსნა, როგორც შემოკლებული save our souls — „იხსენით ჩვენი სულები“. მაგრამ როგორც არ უნდა ახსნან, ერთი რამ კი ცხადია: ამ სიგნალს უმადლის თავის უდავო გადარჩენას ათასობით ადამიანი. დასრულდა გაშ-

ლილ ზღვაში გემების უმწეო მდგომარეობის ისტორია, ბოლო მოელო არევ-დარევას უმავთულო გადაცემაში.

— ეს სიგნალი ხომ თვითმფრინავზეც გამოსადეგია? — იკითხა რეზომ.

— თვითმფრინავზეც, აეროსტატზეც, მოდრეიფე ყინულზეც...

— მაგრამ თვითმფრინავი ხომ სიგნალის გადაცემის შემდეგ ადგილს გადაინაცვლებს. როგორღა მიაგნებენ კატასტროფის ადგილს.

— მართალია, — გაიცინა ანდრესმა. — მაგრამ თვითჩამწერი რადიომიმღები არკვევს, საიდან მოდის ხმა. უფრო ხშირად ამ სიგნალს მაინც ზღვაზე იყენებენ. კერძო საკუთრების პირობებში ამ უებარ რადიოტალღასაც თავისი უარყოფითი მხარე აღმოაჩნდა. მისი გამოყენება მესაკუთრეთა გემებზე მეტად ძვირი ჯდება და მხოლოდ კაპიტნის განსაკუთრებული ბრძანების შემდეგ შეიძლება, ასეთ ბრძანებებს კი კაპიტნები გვიან იძლევიან ხოლმე. ამ მიზეზით დაიღუპა 1928 წელს გემი „ვესტრისი". გემის კედელი შენგრეული იყო. მიუხედავად აშკარა საფრთხისა, კაპიტანმა რადისტს აუკრძალა SOS სიგნალის გადაცემა. ამასობაში გადამცემი აპარატი დაზიანდა, „ვესტრისის" ხმა სუსტად ისმოდა და მეზობელი გემებიდან ეკითხებოდნენ— ხომ არაფერი შეემთხვაო „ვესტრისს"? „ყველაფერი რიგზეა",—იყო პასუხი. მხოლოდ დილით მიიღო რადისტმა საჭირო ნებართვა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოისმა რადისტის უკანასკნელი ნიშანი და გადასცა — „მორჩა". ექვსი წლის შემდეგ ასევე დაიღუპა „მოროკესტლი".

1929 წლიდან გემზე შემოიღეს მუდმივი მორიგეობა და SOS სიგნალის ჩამწერი ავტომატური აპარატი. „ტიტანიკის" დროს რომ ეს აპარატი ჰქონოდათ, ის არ დაიღუპებოდა. მაგრამ, როგორც გითხარით, „კალიფორნიანას" გალეშილი კაპიტანი უგრძნობლად ეგდო. რადისტს ეძინა, კაპიტნის მოადგილეს კი აპარატის აწყობაზე თავი ძალიან არ შეუწუხებია და სასამართლოზე უტიფრად განაცხადა: „რა ვიცოდი, რომ ამ დროს „ტიტანიკი" იღუპებოდაო!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს „უნივერსალს“! ჩემო პატარავ, რა ამოძრავებს ავტომობილს? — იკითხა ანდრესმა.

— მოტორი! — მკვირცხლად მიუგო გივიმ.

— აი, ეს კი გცოდნია, ჩემო პოეტო! მოტორის ანუ ძრავის გამოგონება უდიდესი მოვლენა იყო ტექნიკის ისტორიაში. პირველი დიზელის ძრავა გამოიგონა გერმანელმა ინჟინერმა რუდულფ დიზელმა 1896 წელს. ძრავა მრავალგვარია: საავიაციო, საავტომობილო, სითბური, გაზის, მუდმივი ელექტროდენის, ორთქლის, ჰიდრავლიკური, შიდაწვის... ჩემი „უნივერსალის“ პირველი ძრავა იყო ყველა არსებული გამოცდილების საფუძველზე აგებული; საწვავად, როგორც გითხარით, წყალი ჰქონდა.

— როგორღაც ვერ დამიჯერებია. ქიმიაში ვისწავლეთ, რომ წყალი არ იწვის. მასწავლებელმა... — თქვა გივიმ.

— მე ვეთანხმები თქვენს მასწავლებელს! — გაიცინა ანდრესმა. — ქიმიის გარეშეც დიდი ხანია ყველამ იცის, რომ წყალი არ იწვის. მაგრამ ცალკე აღებულ წყალბადსა და ჟანგბადს, რომლებიც შეადგენენ წყალს, სხვაგვარი თვისებები აქვთ. ცნობილია, რომ გარკვეული ოდენობით მათი შეერთებისაგან იღებენ ალს, რომლის ტემპერატურა 2800 გრადუსს აღწევს. ახალი ნივთიერება, რასაც მე პიროფლუესი ვუწოდე, წყალს საწვავ მასალად აქცევს.

— გამოდის, რომ ბენზინი არ დაგვჭირდება? — ეჭვიანად იკითხა გივიმ.

— არც ბენზინი, არც ნავთი. თუ თქვენ გაიხსენებთ, რომ ჩვეულებრივი ერთ-ნახევარტონიანი სატვირთო მანქანა 100 კილომეტრ მანძილზე 20 კილოგრამ ბენზინს წვავს და ჩვენი „უნივერსალის“ კორპუსის წონაც დაახლოებით ამდენივეა. ადვილად მიხვდებით, — გარსაქვეყნო ცურვისათვის საკმარისი ბენზინის წასაღებად ჩვენ დაგვჭირდებოდა ცალკე გემის დაქირავება. ეს კი შეუძლებელს გახდიდა ჩვენს მოგზაურობას.

— პიროფლუესი კი გვაქვს საკმაო რაოდენობით?

— ხუ გეფიქრებათ, ათ კილოგრამამდე მოვიმარაგეთ, თუმცა, ჩემი ვარაუდით, დედამიწის შემოსავლელად საკმარისი იქნებოდა ამისი მეათედიც. წყლის შოვნა კი ყველგან შეიძლება.

— რა საოცრებაა! — თქვა რეზომ.

— მაგრამ ჩვენ იშვიათად გამოვიყენებთ წყლის ძრავას.

— როგორ? ბოლოს და ბოლოს, „უნივერსალი“ ცოცხალი არსება ხომ არ არის? — გაოცებით წამოიძახა რეზომ.

— არა, — გაიღიმა კაპიტანმა. — საქმე იმაშია, რომ მასზე მე მაქვს ორი ძრავა: ერთი წყლისა, მეორე ატომური.

— ატომური? — შეკრთა გივი.

— დიახ, ატომური ძრავა. რაზე შეკრთი? დადგება დრო, ამ სიტყვას ადამიანები შიშით აღარ წარმოთქვამენ! აი, ის უკვე დგება მშვიდობის სამსახურში. ატომური ძრავა სულ უკანასკნელი მიღწევაა. ეს არაა ჩემი მიღწევა. ატომური ძრავა საბჭოთა მეცნიერების მონაპოვარია, რაც ჩემი „უნივერსალისათვის“ გამოვიყენე. ეს ათმაგად ზრდის ჩვენი აპარატის სისწრაფეს. აი, იმ სარქველის ქვეშ დამონტაჟებულია ატომგულის მძლავრი რეაქტორი. ესაა „უნივერსალის“ გული. დადგმულია ახალი გენერატორები და მარტივი მართვის რთული მექანიზმები. მე არ მესაჭიროება ნავთი, ნახშირი და წყალი. მანქანის სიმსუბუქე ხელს უწყობს შედარებით მცირე ენერგიით უსაზღვრო მანძილების გადალახვას. დღე-ღამეში მე დავხარჯავ სულ შვიდ-ათ გრამ ატომგულის ენერგიას. ყოველი შემთხვევისათვის, მე ორივე ძრავა დავტოვე.

— ახლა მესმის, რატომ ჰქვია ამას „უნივერსალი!“ — თქვა რეზომ.

— დიახ, მე ბევრი ღამე ვათენე თეთრად, ვიდრე ჩემს მანქანას ამ სახელის ღირსად ვცნობდი! და, აი, დღეს „უნივერსალი“ თქვენს წინაშე დგას! მის ყველა საიდუმლოს ერთბაშად ვერ გიამბობთ. მთავარი ახლა ისაა, რომ ის მოძრაობს, და მოძრაობს საუცხოოდ. — ამ სიტყვებზე ანდრესმა ღილს ხელი შეახო. „უნივერსალი“ ბუმბულივით მსუბუქად მოწყდა მიწას.

— „უნივერსალის“ უმთავრესი ღირსებაა მისი უბრალოება, სიმსუბუქე და მოცულობის სიმცირე, რაც მას საშუალებას აძლევს მსუბუქად მოწყდეს მიწას, ადვილად შემობრუნდეს

ჰაერში და დაეშვას წყალზეც. „უნივერსალი“ სირთულისა და სიმარტივის შერწყმაა. მას თავისუფლად მართავს ერთი ადამიანი. მეტიც: შეიძლება ცალი ხელით მანქანა მართო და მეორე ხელით წიგნი ფურცლო. ოღონდ არ უნდა შეცდე მანძილებში, რომელთაც ის წარმოუდგენელი სისწრაფით ფარავს.

— ბორბლების აკეცვა როგორ ხდება? — იკითხა გივიმ.— მე თვალი ვერ შევასწარი.

— აი, ამ ღილით. აქ თითქმის ყველაფერი ღილით ხდება. ოთხივე ბორბალი შეიკეცება და გარედან კედელი ჰერმეტულად იხურება, რომ წყალი არ შევიდეს. წყალში დაშვებისას ამ მეორე ღილით შეიკეცება ფრთებიც; მაშინვე ეს ადგილი ავტომატურად იხურება ჩასაწევი ფანჯრით და წყალში რჩება თითისტარის ფორმის ჭურვი, რომელიც ხუთასი კილომეტრის სისწრაფით ჭრის წყალს. აქვეა მაცივარი, რომ უდაბნოებში სიცხემ არ შეგვაწუხოს. არის, რა თქმა უნდა, ღუმელიც. აი, ეს „უშიშროების ელიპსოიდია“: შემხვედრი თვითმფრინავის მოახლოება რადიო-ანტენის საშუალებით გადაეცემა ამ ნათურას, რომელიც შუქით გვანიშნებს დაჯახების საფრთხეს. კორპუსი დამზადებულია ალუმინის შენადნობისაგან, რომელიც ფოლადზე სამჯერ უფრო დრეკადია და მსუბუქი. ბორბლები სამმაგი რეზინისაგანაა ჩამოსხმული — მათთვის საშიში არაა ტყვია, რადგანაც გახვრეტილ კედელს შუათანა წებოვანი შრე თავისთავად წებავს. წინა და უკანა ბორბლები ცალ-ცალკე მოძრაობენ. ასეთი მოწყობილობა ჰქონდა ადმირალ ბურდის „თოვლის კრეისერს“. ეს ნაპრალებსა და ყინულებში იოლი გასვლის საშუალებას იძლევა.

„ფანტაზიის ჭალაკში“ დღე შეუმჩნევლად მიიწურა. ვახშმის შემდეგ გამოიტანეს თხელი საბნები და პირდაპირ მწვანე ველზე გაშალეს ლოგინი.

— „უნივერსალში“ საუკეთესოდ გაათევს ღამეს ხუთი კაცი, მაგრამ ღია ცის ქვეშ ძილი ჯანმრთელობის წყაროა,— მაშ, დავიძინოთ ჩვენი დიდი გარსაქვეყნო მოგზაურობის წინ, ყმაწვილებო! „ჯერ დასვენება, მერე თავგადასავლებიო“,— ასეთი იყო მაგელანის დევიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყმაწვილებო! დიდხანს ძილი არ შეშვენის მას, ვისაც დღეში ათასობით კილომეტრი აქვს გასავლელი! — გაისმა დილის შვიდ საათზე ანდრესის მხიარული ხმა. ბიჭებმა ჩაიცვეს, პირი მოჩუხჩუხე რუზე დაიბანეს და ანდრესთან ერთად საუზმეს მიუსხდნენ.

— ხუთი წუთის შემდეგ „უნივერსალი“ აფრინდება. იწყება მოულოდნელობით სავსე მოგზაურობა. მე თქვენ წაგიყვანთ ქვეყნის ოთხსავე მხარეს, გაჩვენებთ მთათა მწვერვალებს და ოკეანეთა სიღრმეებს, საოცარ მოვლენათა დაუსრულებელ წყებას, რაც მხოლოდ წიგნებში გინახავთ. თქვენ ნახავთ, რა ცოტა გცოდნიათ და რამდენი რამ უნდა ისწავლოთ. წიგნი ძვირფასი მეგობარია, მაგრამ ცხოვრებას მარტო წიგნით ვერ ისწავლით. ბევრი რამ საკუთარი თვალით უნდა ნახოთ და გამოსცადოთ. საამისოდ არც ჩვენი მოგზაურობა იქნება უსარგებლო, თუ მას ისე გონივრულად ჩავატარებთ, როგორის იმედსაც „უნივერსალი“ გვაძლევს.

რეზო და გივი ყურადღებით უსმენდნენ ინჟინერს.

— აი, ჩვენი მარშრუტიც, — თქვა ანდრესმა და გაშალა დიდი მსოფლიო რუკა, რომელზედაც გავლებული იყო მკვეთრი დაკლაკნილი წითელი ხაზი. — ჩვენ მცირე აზიის, სირიის და პალესტინის გავლით გადავსერავთ მთელს აფრიკას, შემოვივლით მსოფლიოს და ჩრდილოეთიდან დავბრუნდებით „ფანტაზიის ჭალაკში“.

— ნუთუ აიტანს ამდენს ჩვენი „უნივერსალი?“ — იკითხა გივიმ.

— აიტანს! — მტკიცედ თქვა ანდრესმა, — მოგზაურმა ყველაფერი უნდა აიტანოს.

რეზოს და გივის თავი უკვე გმირებად ჰქონდათ წარმოდგენილი. გივიმ დახედა რუკას და სინანულით თქვა:

— ჩვენ ხომ შეგვეძლო ბევრი ახალი რამ აღმოგვეჩინა! ვწუხვარ, რომ დედამიწის რუკაზე აღარ არის თეთრი ლაქები.

— სამაგიეროდ, ეს ლაქები შენს თავშია! — წამოიძახა რე-

ზომ. ანდრესს გაეცინა. შემდეგ საათს დახედა და თქვა: ეროვნული ბიბლიოთეკა
დროა. გთხოვთ, დაიჭირეთ მანქანაში თქვენი ადგილები.

ერთი წუთის შემდეგ „უნივერსალი“ მიწას მოწყდა და ვერცხლის მტრედივით გააპო სივრცე სამხრეთისაკენ. ლაჟვარდში გამოჩნდა უზარმაზარი სინათლის ძაბრი, რომელიც ფერთა ციმციმით თვალს იტაცებდა. რეზოსა და გივის ასეთი რაშე არასოდეს ენახათ.

— რა არის ეს? ჩრდილოეთის ელვარება? — იკითხეს ერთხმად.

— ეს არის ფანტაზიის ოქროს ძაბრი! — ორაზროვანი ღიმილით თქვა ანდრესმა. — მის მიღმა ყველაფერი სინამდვილეა, მაგრამ ზღაპარს ემსგავსება. — ამ სიტყვებთან ერთად „უნივერსალი“ მოლივლივე შუქს მიუახლოვდა და მერცხლის სიმარდით ჩაეშვა ძაბრის სიღრმეში...





თ ა ვ ი III

პირამიდების ქვეყანაში

ტბა, რომელშიაც არ იძირებიან

195... წლის 27 ივნისს დილის 8 საათზე თურქეთის ქალაქ დიარბექირის ჟანდარმთა უფროსმა სამხედრო უწყებას გაუგზავნა ასეთი შინაარსის დეპეშა: „დღეს, 27 ივნისს 7 ს. და 57 წუთზე სმირნის დროით, სტრატოსფეროს მაღალ ფენებში შენიშნული იქნა უცნობი ქვეყნის პლანერი, რომელიც არაჩვეულებრივი სისწრაფით გაფრინდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ“. სამხედრო უწყებამ ერთი ალიაქოთი ატეხა და დაუყოვნებლივ დაადევნა თვითმფრინავების მთელი ესკადრილია, მაგრამ, ვიდრე ესკადრილიის უფროსი ბრძანებებს იღებდა, „უნივერსალმა“ უკვე სირია გადაიქროლა და, როცა პირველი მდევარი მიწას ასცილდა, ჩვენი მოგზაურები მსუბუქად დაეშვნენ მკვდარი ზღვის მდორე ტალღებზე.

ანდრესმა „პლანერს“ ზედა კარი ახადა, ბანზე ავიდა და პატარა მეგობრებს ჩასძახა:

— ყმაწვილებო! თუ თქვენი სურვილიც ასეთია, ვიდრე აფრიკის მიწაზე ფეხს შევდგამდეთ, მე მინდა მკვდარ ზღვაში განვიბანოთ „მძიმე ცოდვისაგან“.

— რა ცოდვისაგან, კაპიტანო? — წამოიძახა რეზომ.

— დიარბექირის ფაშას რომ ძილი დავუფრთხეთ.

რეზომ და გივიმ სიცილით ამოჰყვეს თავები, მაგრამ ეს რა არის: მათი კაპიტანი გულიმა იწვა ზღვის ტალღებზე და არც ირხეოდა, თითქოს მწვანე მდელოზე წევსო.

— კაპიტანო!— შესძახეს ერთხმად.—ეს რა ჯადოსნობაა? სიზმარში ხომ არა ვართ?

— არა, სიზმარში არა ვართ. ეს სინამდვილეა, ოღონდ ცოტა თავისებური! — იცინოდა ანდრესი. — აი, გახედეთ, ამ ტბის სიგრძე ოთხმოცი კილომეტრია. მას ზღვას ეძახიან, მაგრამ ტბაა. გაიხადეთ, ნუ გეშინიათ, ეს ქვეყნად ერთადერთი ტბაა, რომელშიაც ადამიანები არ იძირებიან.

— არა, კაპიტანო! — შეჩერდა გივი. — მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიბანავებ, თუ მისი სიღრმე ერთ მეტრს არ აღემატება.

— ერთ მეტრს? მხოლოდ ოთხასი მეტრით აღემატება, მაგრამ მისი მეოთხედი მარილია. ამიტომ ამ ტბაში არ იძირებიან. თუმცა თქვენი ნებაა.

— რატომ ჰქვია მას მკვდარი? — იკითხა რეზომ, რომელიც უხალისოდ იხდიდა ტანზე.

— იმიტომ რომ სიცოცხლე ამ ტბაში თითქმის ჩამკვდარია. სულ სხვაა ჩვენი ბაიკალი, დაუცხრომელი „ღვთაებრივი ზღვა“. მასში ორი ათასამდე სხვადასხვა ცხოველი და მცენარეა, აქედან ათასზე მეტი სახე მხოლოდ ბაიკალშია. ეს კი მკვდარი ტბაა, თბილი და წყნარი.

რეზო სრულიად მოხიბლა ჯადოსნურ ტბაში ბანაობამ. გივი მას შურით შესცქეროდა, მაგრამ მანქანიდან ფეხი არ მოუცვლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრესმა და რეზომ პირსახოცებით დაიზილეს ტანი, მანქანაში ჩასხდნენ. კაპიტანმა სამართავ პულტს მიაშურა, გივიმ რადიო ჩართო. ისინი მცირე ხანს მიფრინავდნენ ხმელეთზე, შემდეგ მანქანის ქვემოთ თვალთწვდენილი ლურჯი სივრცე გამოჩნდა.

— ეს ხმელთაშუა ზღვაა, — თქვა ანდრესმა, — მის ნაპირებზე იზრდება „ზღვის ხახვი," რომლის წვენითაც ვირთაგვებს მუსრს ავლებენ. ხედავთ წყლის ლარივით სწორ ზოლს? ეს სუეცის არხია. მასში გემები დაცურავენ.

— აი, ჩვენს ქვემოთაა პალესტინის სანაპიროები, — განაგრძო ანდრესმა. — აქ მრავალი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ მამაცი მეზღვაურები — ფინიკიელები. შეხედეთ ამ უდაბურ სივრცეს, სამხრეთით რომ გაშლილა. ეს სინას ნახევარკუნძულია.

„უნივერსალი" დაეშვა გაშლილ უდაბურ ველზე, რომლის დასავლეთით არხის ზოლი მოჩანდა, სამხრეთით იშლებოდა წითელი ზღვის მუქი ჰორიზონტი, აღმოსავლეთით კი ყვითელი მთები იყო აღმართული. არასოდეს არ ენახათ რეზოს და გივის ასეთი მთები.

— ეს „ზარის მთაა", — თქვა ანდრესმა. — არაბულად კი ჯებელ-ნაქული. თუ გსურთ გაიგოთ, რატომ მიიღო ასეთი სახელწოდება, ავიდეთ მის ფერდობზე. წინასწარ გაფრთხილებთ, რომ ეს მთები მღერიან.

— მთები მღერიან? — გაოცებით წამოიძახა რეზომ.

— ახლავე დარწმუნდებით.

მთის ფერდობი ქვიშით იყო დაფარული. მოგზაურები გაჭირვებით მიიწევდნენ წინ. კლდოვანი ბორცვის ნახევარიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ რეზომ შეჰყვირა:

— კაპიტანო! მთის გულიდან კვნესა ისმის!

— ფეხქვეშ მიწა ირყევა! — დაუმატა გივიმ.

— ფეხი არ დაგიცდეთ! — გაისმა ანდრესის ხმა. — მომყევით.

წყნარი კვნესა თანდათან გადაიქცა ერთიან გუგუნად, მთა

თითქოს ამოძრავდა და ერთიანად შეირყა, როგორც გიგანტური გემის კორპუსი. გივის თავბრუ დაესხა. ანდრესმა ხელი წაავლო.

— გონს მოდი, პოეტო: შენი ოლიმპი ამაზე მაღალია! — აი, უკვე მწვერვალზე ვართ. გვეჩვენება, რომ მთა ქუხს და იძვრის. ნამდვილად კი ესაა ქვიშა, რასაც ამ მთას აყრის უდაბნოდან მონაბერი ქარი. საკმარისია, ამ ქვიშაზე დაჯდეს პატარა ჩიტი, რომ ქვიშის მთა ზვავად დაიძრას. ჯერ ის ზარივით ყლერს, მერე მისი ხმაური კვნესას მოგვაგონებს, ბოლოს ქუხილს. ესაა მთელი სასწაული!

— წარმოდგენილი მაქვს, როგორ ხსნიდნენ ამას ძველად!— წამოიძახა რეზომ, რომელიც მხოლოდ ახლა დამშვიდდა.

— ო, ჩვენი წინაპრები ასეთ საქმეში პოეტები იყვნენ! — უწინ ფიქრობდნენ, ამ მთის გულში მონასტერია და მისი ზარების გუგუნი ისმისო. ვინც ამ მთაზე ასვლას მოინდომებდა, მათი აზრით, სასტიკად დაისჯებოდა. მაგრამ, აი, ავიდნენ ერენბერგი, სიტცენი და სხვა მეცნიერები. არაფერი მომხდარა! „მონასტრის წინამძღვარმა“ მწვერვალზე ასულ სიტცენს თავბრუ დაასხა და მთელი სასჯელი ამით დასრულდა.

— კაპიტანო, მაინც არ მესმის, რაღა მარტო აქ კვნესის მთა? — იკითხა დაეჭვებულმა გივიმ.

— მსგავსი მოვლენა სხვაგანაც არის შენიშნული. გამოჩენილმა ჰუმბოლდტმა სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს მდინარე ორინოკოს ნაპირზე ნახა გრანიტის კლდე, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი „მომღერალ ქვებს“ ეძახიან. მზე რომ დააცხუნებს, მის ღრმა ნაპრალებში ჰაერი ხურდება და გარეთ გამოდის. გამოსასვლელებში აწყდება ქარსის შრეებს, რომლებიც სიმღერისმაგვარ ხმას გამოსცემენ. კალიფორნიაშიც არის ბორცვების წყება: ისინი ხან თითქოს ხმამაღლა ტირიან, ხანაც კვნესიან, ზოგჯერ კიდევ წყაროს წანწკარს მოგვაგონებენ. კარლ მაიერი მოგვითხრობს — მე ეს სასწაული მეგონა და ძლიერ განცვიფრებული დავრჩიო. მაგრამ დროა, წავიდეთ, თორემ „უნივერსალში“ შეიძლება რომელიმე ლომი ჩაჯდეს და გაფრინდეს.

ბიჭებს გაეცინათ. ისინი ფრთხილად დაეშვნენ ფერდობზე. ზარის მთა მღეროდა თავის მარადიულ, სევდიან სიმღერას...

ოარი კონტინენტის მიჯნაზე

„უნივერსალი“ ფინიკის მშვენიერი პალმის ჩრდილში ისვენებდა. მოგზაურები, რომლებმაც ქართულ მიწაზე ისაუზმეს, ახლა სინას პალმის ჩრდილში სადილობდნენ და სუეცის არხს გადასცქეროდნენ.

— მე წავიკითხე, რომ ეს არხი ფრანგმა ინჟინერმა ლესეპსმა გაიყვანა, — თქვა რეზომ.

— და ათი ათასობით ტანჯულმა ადამიანებმა, — დაუმატა ანდრესმა. — ეს ხმელეთი თითქოს ადამიანთა შავბედად შექმნილა! ასიათასები კვნესით აგებდნენ ეგვიპტის პირამიდებს, ასიათასები ბორკილებს აყლარუნებდნენ ამერიკისაკენ მიმავალი გემების ტრიუმებში, ათასობით ადამიანი გმინვით თხრიდა სუეცის სახელგანთქმულ არხს. თქვენ ამბობთ, ის ლესეპსმა გაიყვანაო? მართალი ხართ. მაგრამ ეცადეთ, ღრმად ჩასწვდეთ ყოველ საგანს, ნახოთ საგნის მეორე მხარეც. ეს არხი ადამიანთა ძვლებზეა ნაგები.

ხმელთაშუა ზღვისა და წითელი ზღვის არხით შეერთებას შეეცადა ჯერ კიდევ ეგვიპტის ფარაონი ნეხაო, VI საუკუნეში ჩვენს ერამდე. მაგრამ პირამიდების ეპოქაში ეს განზრახვა ვერ შეასრულეს. 2500 წლის შემდეგ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ლესეპსმა.

ლესეპსი განთქმული საქმოსანი იყო. დიდხანს ოცნებობდა სუეცის არხის გათხრაზე. როგორც კი საიდი ეგვიპტის ფაშად გახდა, ლესეპსი კაიროში გაეშურა. ამ პატივმოყვარე კაცს ის კარგად იცნობდა. საიდს და მერე მის შვილს იზმაილ-ფაშას ძლიერ უყვარდათ დიდება, მოსწონდათ, როცა მათზე სხვადასხვა ქვეყანაში კარგი ხმა დადიოდა. ლესეპსმა საიდის თანხმობა იოლად მიიღო, მაგრამ ინგლისი და თურქეთის სულთანი ინჟიხერს წინ აღუდგნენ. ლესეპსმა მაინც თავისი გაიტანა: სულთა-

ნი დაითანხმა, ინგლისს არ უსმინა. ასე იყო თუ ისე, მშენებ-
ლობა დაიწყო. ძველ ეგვიპტელთა შთამომავალნი — ფელა-
ხები მიწას ბარით თხრიდნენ და მხრებით გადაჰქონდათ, რო-
გორც ოთხი ათასი წლის წინ მათ წინაპრებს. ძველი ეგვიპტე-
ლები ფარაონმა მორეკა სამუშაოზე, ფელახები — ფაშამ.
ფელახი დღეში ხუთ კაპიკს იღებდა, ლესეპსი ხუთას მანეთს.
ასე გაგრძელდა ათი წელი. ბოლოს, 1869 წლის 16 ნოემბერს
იზმაილ-ფაშამ საქვეყნო ზეიმით აღნიშნა ადამიანის მორიგი
დიდი გამარჯვება ბუნებაზე — სუეცის არხის გახსნა. შეს-
რულდა ნეხაოს და დარიოსის ძველი ოცნება. მსოფლიოს მრა-
ვალი ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოვიდა აქ. ადიდებდნენ ფა-
შას, ლესეპსს, საფრანგეთს... არავინ ახსენებდა 120000 ეგვიპ-
ტელ ღატაკს, რომლებმაც არხის ფსკერზე ნახეს სამარე.

გახედეთ ამ მოლივლივე ტალღებს. მათ მიღმა გველოდება
აფრიკა, ზღაპრულ საოცრებათა ძველი ქვეყანა.

„უნივერსალმა“ კურსი კაიროსაკენ აიღო.

„აფრიკა! აფრიკა!“

ხმელეთს რომ მიუახლოვდნენ, კაპიტანი ნორჩ თანამგზავ-
რებს მიუბრუნდა:

—ჩვენს წინაშეა აფრიკა, მრავალწამებული ქვეყანა. ეს უზარ-
მაზარი ხმელეთი სამჯერ ფართოა ევროპაზე, მაგრამ სამჯერ
ნაკლები მოსახლეობა ჰყავს, ვიდრე ევროპას. განუზომელი
სიმდიდრე წაიღეს ევროპელებმა აფრიკიდან. აფრიკის ხალხე-
ბი სრულიადაც არ იმსახურებენ იმ უდიერებას, დაცინვას,
ტანჯვასა და შეურაცხყოფას, რაც მათ თეთრკანიანებისაგან
იგემეს. მაგრამ აფრიკა აღსდგა, აფრიკა იღვიძებს.

ანდრესი ჩაფიქრდა, მერე ხელი დასავლეთისაკენ გაიშვირა
და განაგრძო:

— დასავლეთს ამჯერად ვერ ვნახავთ. იქ, დასავლეთში,
სიმშვიდე არ არის. ზღვას ეკვრის და ზღვასავით ბორგავს სამი
დიდი ქვეყანა: ტუნისი, ალჟირი და მაროკო. მაროკომ და ტუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნისმა უკვე მიიღეს თავისუფლება, მათ შორის გადაშლილი ალჟირი კი ჯერაც სისხლით წერს თავის ისტორიას. არაბები იტყვიან: მაროკო და ტუნისი დიდი არწივის ფრთებია, ალჟირი კი — ტანი. ახლა ამ არწივმა ფრთები გაითავისუფლა და სადაცაა ტანსაც აიტანსო. კარგი თქმაა!

„უნივერსალი“ ნაპირს დაუახლოვდა.

— აფრიკა! აფრიკა! — სიხარულით იძახდნენ რეზო და გივი.

„მამა ნილოსი“

— აი, ჩვენ უკვე აფრიკის მიწაზე ვართ! —წამოიძახა ანდრესმა. — აქედან იწყება ჩვენი მოგზაურობა შავი ხმელეთის წიაღში. ოფლს რატომ იწმენდ, პოეტო! — მიუბრუნდა ის გივის, — დაიწყო სიცხეების ზონა? ნუ გაგიკვირდება, ჩვენ მთელი სამი ათასი კილომეტრით დავუახლოვდით მზის სამეფოს — ეკვატორს. აქ წვიმა იშვიათად იცის და მზე თითქმის მუდამ შუა ცაზე დგას, რის გამოც ზამთარ-ზაფხულ დღე და ღამე თანასწორია. აქ სირაქლემა კვერცხებზე მხოლოდ ღამით ჯდება — დღისით მის მაგივრობას მზე ასრულებს. გახედეთ ამ მშვენიერ მდინარეს, რომელსაც არ უჩანს კიდე და ნაპირი. სადაც ნილოსი და არხები თავდება, იქ უდაბნო იწყება.

— ნილოსი! — შესძახა გივიმ.

— დიახ, ჩვენს თვალწინ მიედინება დიდი ნილოსი, მდინარეთა დედა, მსოფლიოში სიდიდით მეორე მდინარე. ლამაზია ნილოსი, ოღონდ მასში ბანაობას არ გირჩევთ: აფრიკულ ხვლიკებს ადამიანები მწერებად ეჩვენებათ და უწყალოდ იკბინებიან. მათ ნიანგები ჰქვიათ.

3688 კილომეტრი სიგრძისაა ევროპის უდიდესი მდინარე ვოლგა, ნილოსის სიგრძე კი ექვსი ათას ექვსას სამოცდაათ კილომეტრს აღწევს. ძველი ეგვიპტელები მას ღმერთად თვლიდნენ და მსხვერპლად სწირავდნენ ქალწულებს, რომელთაც მის ცისფერ ტალღებში ახრჩობდნენ ფელახთა

ბედშავი წინაპრები. საუკუნეების განმავლობაში კვებავდა ცხოველებს, აჭმევდა და ასმევდა ადამიანებს, შლამით უნოყიერებდა გვალვისაგან გადამწვარ ველებს და სამარესაც თვითონვე აძლევდა: ეგვიპტელები მიცვალებულს პატარა ნავზე ათავსებდნენ და ნილოსის ტალღებს მიანდობდნენ. ტყუილად როდი ეძახდა ჰეროდოტე ძველ ეგვიპტეს „ნილოსის წყალობას!“

ნილოსის წყალი საოცრად „გემრიელია“. ეგვიპტელები და სუდანელები ამ მდინარეს „მამა ნილოსს“ ეძახიან და უცხოელებს ეუბნებიან: „ვინც ნილოსის წყალს ერთხელ იგემებს, აქ უთუოდ მეორედაც ჩამოვა, რომ ისევ დალიოსო“. ნამდვილად კი ათასობით ადამიანს ღუპავს ეს ნაქები ნილოსის წყალი. უამრავი სიბინძურის გარდა, რასაც პირდაპირ მდინარეში ყრიან, ამ წყალში უხვადაა ბაქტერიები, რომლებიც ბანაობის დროს კანიდან სისხლში იჭრებიან და საშინელ ავადმყოფობას იწვევენ. მაგრამ ეგვიპტელებს ეს არ სჯერათ და არხეინად განაგრძნობენ „მამა ნილოსის“ წყლით სარგებლობას. ევროპელები ნილოსის წყალს არ სვამენ.

„უნივერსალი“ კაიროს გარეუბანში დაეშვა.

მსოფლიოს შვიდი საოცრება

მოგზაურები კაიროს ცენტრალურ მოედანზე გავიდნენ. უზარმაზარი თოთხმეტსართულიანი სასახლის წინ მოედანი გაჭედილი იყო მანქანებით, ხალხით, დროშებით.

— ხალხი რესპუბლიკის გამოცხადებას ზეიმობს, — თქვა ანდრესმა.

— რამდენი ხალხია! — წამოიძახა რეზომ.

— რაც მეტი ადამიანი იზეიმებს, მით უკეთესი, ჩემო მეგობრებო! — თქვა წყნარად ანდრესმა. — ადამიანებმა სავსებით დაიმსახურეს სიხარულის უფლება თავიანთ საკუთარ მიწაზე. ამ ხალხებს თავიანთი ქვეყნები თავისთვის უნდათ. გაჰყავთ არხები, აგებენ კაშხალებს და გულთბილად ღებულობენ სტუმრებს...

ვინც ნახავს ამ ქალაქის მღელვარე გულს, მის ყვითელ ცა-

სა და მწვანე ბაღს, ის ერთხელ მაინც შეავლებს თვალს ფარაონების სამარხებსა და სფინქსებს.

— სფინქსები! პირამიდები! — ერთმანეთს არ აცლიდნენ რეზო და გივი.

„უნივერსალმა“ სწრაფად გადასერა შვიდკილომეტრიანი მწვანე ხეივანი. მოგზაურების თვალწინ აღიმართა გიზეჰის პირამიდა, რომელიც ლიბიის უდაბნოს ერთ მაღლობ კლდეზეა აღმართული. ამ გზაზე ტრამვაისა და ავტობუსებს ყოველდღე გადაჰყავთ უამრავი უცხოელი. თითო მათგანს მრავალი გამცილებელი ეხვევა. გამყოლმა საიდ ზაკი ნურმა მოგზაურებს თავაზიანად აუხსნა ისტორიული ადგილები, უჩვენა ხეოპსის პირამიდის შუაგულში ნაპოვნი უზარმაზარი მზის ნავი, რომლითაც ეგვიპტელთა აზრით, მოგზაურობდა ფარაონი საიქიოში, „მეორე ნილოსის“ ზვირთებში. ეს იყო ხუთი ათასი წლის წინ აგებული ნავი.

— არაფრით არ ჩანს, რომ იმქვეყნიურ ნილოსში ფარაონს თუნდაც ერთხელ ემოგზაუროს ამ ნავით, — შენიშნა რეზომ.

ანდრესი ლომისტანიანი სფინქსის უზარმაზარი ქანდაკების გვერდით დადგა და თქვა:

— აი, თქვენს წინაშეა ეგვიპტის პირამიდები, მსოფლიოს მეშვიდე საოცრება, როგორც ძველი ხალხები ეძახდნენ!

— მსოფლიოს შვიდი საოცრება ხშირად მსმენია, მაგრამ დაწვრილებით არც ერთი მათგანის ამბავი არ ვიცი, — თქვა გივიმ.

— ჩემო პოეტო! ეს მუდამ ასეა: ცოტა რამ ყველაფერზე ვიცით, ყველაფერი არაფერზე არ ვიცით. მაგრამ ვეცადოთ გავზარდოთ ჩვენი ცოდნა. მსოფლიოს შვიდ საოცრებას ძველი დროის ხალხები ეძახდნენ შვიდ ყველაზე უფრო მშვენიერ შენობასა და ქანდაკებას. ადამიანის ხელოვნების ამ შედევრებად მიაჩნდათ ეგვიპტის პირამიდები, ბაბილონის დაკიდული ბაღები, არტემიდას ტაძარი ეთესში, ფიდიასის ზევსის ქანდაკება, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, ღმერთ ჰელიოსის კოლოსალური ქანდაკი როდოსზე და ალექსანდრიის შუქურა. მათგან ორი — პირამიდები და შუქურა — ეგვიპტელებმა ააშენეს.

პირამიდები და სფინქსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგვიპტის მეფეები სიცოცხლეშივე იმზადებდნენ სამარხებს. ეს იყო პირამიდები. გარდაცვლილ მეფეს ამოუღებდნენ შიგნეულს, აავსებდნენ სურნელოვანი წამლებით, ფისითა და ბალახებით, შემოახვევდნენ ამავე წამლებით გაჟღენთილ გრძელ არტახებს, ჩადებდნენ კუბოში, სადაც ჰაერის შესასვლელი ხვრელიც არა რჩებოდა, და დადგამდნენ პირამიდის შუაგულში. ასე დაცული სხეული არ იხრწნებოდა. მას მუმიას ეძახიან, რაც არაბულად ფისს ნიშნავს. პირამიდებს დიდხანს აგებდნენ. რაც უფრო მდიდარი და ძლიერი იყო ფარაონი, მით უფრო დიდია მისი პირამიდა. განსაკუთრებით ბევრი ასეთი სამარხი აშენდა მემფისში, ზემო ეგვიპტის ძველ სატახტო ქალაქში, სადაც დღემდე დარჩა 70 მათგანი. ჩვენ ვხედავთ ეგვიპტის სამ უდიდეს პირამიდას: ხეოპსის, ანუ ხუფუს, ხეფრენისა და მიქერინისას. ხეოპსის პირამიდა აშენებულია ამ ხუთი ათასი წლის წინ. ყველა სხვა პირამიდის მსგავსად, ის აგებულია კვადრატულ საძირკველზე და ოთხ სამკუთხოვან კედლად ადის მაღალ წვეროამდე. პირამიდების ოთხი კედელი მიმართულია ქვეყნის ოთხი მხარისაკენ. კედლები აგებულია კოხტად დაწყობილი და ყვითელი ქვიშით შელესილი გრანიტის უზარმაზარი ლოდებისაგან. კაცობრიობა დიდხანს თავს იტეხდა იმაზე, თუ რა ძალამ, რა მოხერხებამ აზიდა მანქანების გარეშე ეს ათტონიანი ლოდები ასმეტრიან კედელზე, რა ხელსაწყოებით დაიცვეს მშენებლებმა ის სასტიკი სიზუსტე, რაც ამ საოცარ ნაგებობას ახასიათებს. ხეოპსის პირამიდა მხოლოდ სიდიდით განირჩევა სხვებისაგან. ფუძესთან მისი გვერდების სიგრძეა ორას ოცდაათი მეტრი, პირამიდის სიმაღლე ას ოცდაჩვიდმეტ მეტრს აღწევს. ხეოპსის პირამიდა ათასი წლების მანძილზე ითვლებოდა მსოფლიოს უმაღლეს ნაგებობად. მხოლოდ 1887—1889 წლებში პარიზში აშენებულმა ეიფელის კოშკმა თავისი სამას მეტრიანი სიმაღლით ორჯერ და მეტად გადააჭარბა ფარაონის სახელგანთქმულ სამარხს. პირამიდის შუაგულში, ზემოთ, ესვენა გაქვავებული ფარაონი ხეოპსი, რომელიც ხუთი ათასი

წლის მანძილზე ერთხელაც არ შერხეულა თავის სარკოფაგში. მემატიანეთა გადმოცემით, ეს ყოფილა სასტიკი მეფე, რომელმაც სავსებით დაიმსახურა იმ ასი ათასი მონის წყევლა, ოცი წლის განმავლობაში რომ უშენებდნენ საფლავს თავიანთ ულმობელ მბრძანებელს. ხეოპსმა დაკეტა ტაძრები და ყველა აიძულა ემუშავათ მისი სამარის მშენებლობაზე. ვინც არ იმუშავებდა, ჯოხებით სცემდნენ, ნილოსში ახრჩობდნენ, ყურებსა და ცხვირს აჭრიდნენ. ამბობენ, რომ მან თავისი ასულიც უსირცხვილოდ გაყიდა თავისი საფლავის ქვებში. ასე ძვირად დაჯდა ხეოპსის სახელის უკვდავყოფა.

— კაპიტანო, რა არის ამ პირამიდების შიგნით? — იკითხა გივიმ, — ნუთუ აქ შესასვლელი არაა?

— შესასვლელები საიდუმლო იყო, მაგრამ დიდი ხანია აღმოაჩინეს. როცა მთავარ პირამიდებში შევიდნენ, იქ მხოლოდ ცარიელი დარბაზები და სვეტებზე წარწერილი ფარაონთა სახელები იყო. სამარხები გაძარცული აღმოჩნდა. მიქერინის სარკოფაგი, რაც სამ ტონას იწონიდა, ევროპაში მიჰქონდათ, მაგრამ გემი დაიღუპა და ფარაონი ზღვის ფსკერს ესტუმრა.

მოგზაურები დიდხანს ათვალიერებდნენ უზარმაზარი სფინქსის ქანდაკებას, რაც ხეფრენის პირამიდის წინ დგას; ნახევრად ქვიშით დაფარული გოლიათი გულგრილად შესცქეროდა ერთ დროს აყვავებულ ქვეყანას.

ჯადოსნურია სფინქსის ქვეყანა! მეტადრე მთვარიან ღამეში, როცა თქვენს თვალწინ ზღაპრული ჩრდილები ატორტმანდებიან და მდუმარე პირამიდები დინჯი ცურვით მომავალ ხომალდებს მოგაგონებენ. თითქოს ხუთი ათასი წლით დაიძარით უკან და სადაც არის ფარაონსაც იხილავთ, ქურუმებით გარემოცულს. აი, ფარაონიც! დგას და სფინქსის თვალებით ეკითხება მოგზაურებს:

— ვინა ხართ, აქ რისთვის მოსულხართ, უცხოელებო? ხეთების მეფის მუვატალუს შიკრიკები ხომ არა ხართ?

შესცქერის ანდრესი სფინქსის თათებს და აგონდება ეგვიპტისა და ხეთების მეფეთა — რამზეს მეორესა და ხატუშილს შორის შეკრული მარადიული ზავის სიტყვები: „და,

აი, მე, ხეთების ქვეყნის დიდი მბრძანებელი, რამზეს მეორეს-თან, ეგვიპტის დიდ მბრძანებელთან, ვკრავ საბედნიერო ზავს და საბედკეთილო ძმობას... და არასოდეს არ შეიჭრება ხეთების მეფე ეგვიპტის მიწაზე, რათა მიიტაცოს მისი ქონება, და არასოდეს არ შეიჭრება რამზეს მეორე ხეთების ქვეყანაში, რომ მიიტაცოს მათი ქონება...“

ყველაფერი ეს ახსოვს სფინქსს.

— მისი სიგრძე ორმოცდაჩვიდმეტი მეტრია, სიმაღლე ოცი მეტრი, ცალი ყურის სიგრძე ას ოცდაჩვიდმეტი სანტიმეტრი, — განმარტავდა ანდრესი. — ეს ბუმბერაზი ფარაონთა დიდების სიმბოლო იყო.

— რად არის ასე მახინჯი? ვინ მოსტეხა ცხვირი?

— მახინჯი და საშინელი ის თავიდანვე იყო, ცხვირი კი მოსტეხეს მამელუკებმა: სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს, ყუმბარები დაუშინეს.

— ბედშავი სფინქსი! — წამოიძახა გივიმ.

ამ სიტყვებზე სფინქსი თითქოს შეირყა და უფრო მძიმედ დააჭირა აღმოსავლეთისაკენ გაშვერილი ლომის თათი გრანიტის კვარცხლბეკს, რომელზედაც ხუთი ათასი წელი გაატარა.

— მრავალჯერ დაირღვა ამ პირამიდების ათასწლოვანი დუმილი, — განაგრძო ანდრესმა. — ეგვიპტე სხვადასხვა დროს ქედს უხრიდა თავის ფარაონებს, სპარსეთის მეფეებს, ალექსანდრე მაკედონელს, რომის იმპერატორებს, არაბთა სარდალ ამრუს, თურქეთის სულთანებსა და ინგლისის მეფეს. 1798 წელს პირამიდები შეაზანზარა ახალგაზრდა გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტემ. პირამიდებთან მისმა არმიამ დაამარცხა მამელუკების მამაცი ლაშქარი და კაიროში სამხედრო მარშით შევიდა. ნაპოლეონს თან ახლდნენ მეცნიერები, რომელთაც უფრო დაწვრილებით შეისწავლეს ძველი ეგვიპტის კულტურა. ჟან ფრანსუა შამპოლიონმა ამოიკითხა იეროგლიფები და ამით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მეცნიერებას. ტყუილად კი არ წამოიძახა ნაპოლეონმა საფრთხის მოახლოებისას: „ვირები და მეცნიერები შუაში!“

ჩამავალი მზე ოქროსფერი სხივებით ამუქებდა პირამიდების სამხრეთის კედლებს. მათი მწვერვალები სხივთა მთოველ ლაჟვარდში ადიოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რატომ არიან ზანგები შავი

— თქვენი აზრით, რატომ დაერქვა აფრიკას „შავი ხმელეთი“, — იკითხა ანდრესმა, — როცა აქ ყვითელი და მწვანე ფერი ჭარბობს?

— იმიტომ, რომ შავკანიანი ხალხითაა დასახლებული, — თქვა რეზომ.

— იმიტომაც, რომ მათი ბედი მუდამ შავი იყო, — დაუმატა გივიმ.

— ორივე თავისებურად მართალი ხართ, — გაიცინა კაპიტანმა. — ძველ ბერძნებს სხვაგვარად ეგონათ. მათი მშვენიერი მითები პოეტურად ხსნიან თვით ზანგებისა და ნილოსის საიდუმლოებას. ერთი ბერძნული მითის მიხედვით, მზის ღმერთი ჰელიოსი სამყაროს უდიდესი მესაიდუმლე იყო. არაფერი არ დარჩებოდა მის მზიურ თვალებს შეუმჩნეველი...

ჰელიოსს ჰყავდა სწრაფმავალი მზის ეტლი, რომელშიაც შებმული იყვნენ ცეცხლისმფრქვეველი რაშები. ერთხელ ზევსის შვილმა ეპაფმა ჰელიოსის ვაჟის — ფაეტონის ღვთაებრივ ჩამომავლობაში ეჭვი შეიტანა. შეურაცხყოფილი ფაეტონი ცრემლის ფრქვევით წარსდგა მამის წინაშე და პირობა ჩამოართვა, თხოვნაზე უარი არ მითხრაო. მამამ ფიცი მისცა — შეგისრულებ, რაგინდ უგუნური და განუსჯელი სურვილიც არ უნდა იყოსო, მაგრამ თავზარი დაეცა, როცა შვილმა მზიური ეტლი სთხოვა. ფიცის გატეხვა აღარ შეიძლებოდა. ჰელიოსმა შვილს ერთი დღით ჩააბარა თავისი ეტლი. გახარებულმა ფაეტონმა სადავეს ხელი ჩაავლო. ღრიანკელის თანავარსკვლავედს რომ გაუსწორდა, ფაეტონი შიშმა აიტანა. რაშებმა ადრევე იგრძნეს სუსტი და გამოუცდელი ხელი, ელვის სისწრაფით გადაიქროლეს ციური სივრცე, გადარუჯეს ველები და დედამიწა ლამის ერთიანად გადასწვეს. აფრიკის ველებიც უდაბნოებად იქცნენ, ადამიანებს კანი ნახშირივით გაუშავდათ და სამუდამოდ შავებად დარჩნენ. ნილოსმა უჩვეულო მხურვალება ვერ აიტანა, ადუღდა, ძველი კალაპოტიდან გადაინაცვლა და თავისი სათავე ადამიანის თვალისათვის სამუდამოდ მიუწვდომელი ჯუნგლების წიაღში გადაკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ნამდვილი პოეზია! — შესძახა გივიმ.

— დიახ, რასაც ვერ მისწვდა ადამიანის გონება, ის მან მშვენიერი ზღაპრის ბურუსით შემოსა, — თქვა ანდრესმა, — შემდეგ ბეკერმა, სპიკმა, გრანტმა, ლივინგსტონმა და სხვა მამაცმა ადამიანებმა გაფანტეს ეს ბურუსი და იპოვეს ნილოსის „დაკარგული“ სათავე.

— რა მოუვიდა ფაეტონს? — ვერ მოითმინა რეზომ.

— სამწუხაროდ დასრულდა ფაეტონის საშინელი ქროლა. უეცველი დაღუპვისაგან რომ სამყარო გადაერჩინა, დედამიწის ქალღმერთის თხოვნით ზევსმა თავისი მეხი სტყორცნა ჰელიოსის ვაჟიშვილს და სასიკვდილოდ განგმირა ამაყი ჭაბუკი. დამწუხრებული ჰელიოსი ცის თაღზე მთელი დღე აღარ გამოჩენილა, მიწას მზის ნაცვლად ხანძრის ალი ანათებდა, ხოლო მისმა ასულებმა — ჰელიადებმა იმდენი იტირეს, რომ ღმერთებმა ისინი ჭადრის ხეებად აქციეს, მათი ცრემლები კი—ქარვად.—აი, რატომ არიან, ძველი ხალხების აზრით, ზანგები შავი!—დაასრულა ანდრესმა თავისი მოთხრობა.—დღეს უკვე ვიცით ამ სიშავის მეცნიერული მიზეზები — ეს დამოკიდებულია შავ პიგმენტზე, რასაც მელანინს ეძახიან — და ეს მითი მხოლოდ ღიმილს იწვევს. ერთ დროს კი აქ მოთხრობილი ამბავი ადამიანებს ეჭვის გარეშე სწამდათ. სამაგიეროდ, ადამიანმა ისწავლა ფრენა, რაც ოდესღაც ზღაპრად ითვლებოდა. ასე იქცევა სინამდვილე ზღაპრად და ზღაპარი სინამდვილედ.

— ყველა აფრიკელი ზანგია? — იკითხა გივიმ.

— სრულიადაც არა. ეს მხოლოდ ერთი უმთავრესი ჯგუფია აფრიკის ხალხებისა, რომლებიც შუა აფრიკაში ცხოვრობენ, ძლიერ შავი ან მუქი ფერის კანი აქვთ, ხუჭუჭი თმა და მსხვილი ტუჩები, სახესა და ტანზე კი თითქმის არ ეზრდებათ თმები. რომ არაფერი ვთქვათ არაბებზე, მავრებზე, ბერბერებსა და სხვა გვიან ჩასახლებულ ხალხებზე, თვით უხსოვარი დროიდან აფრიკის მკვიდრნი შვიდასამდე ენაზე ლაპარაკობენ და იყოფიან უამრავ ხალხებად, რომელთაც თავიანთი სახე და ისტორია აქვთ. ჩამოთვლაც კი ძნელია იმ აფრიკელებისა, რომლებიც არ არიან ზანგები: ჰოტენტოტები, ზულუსე-

ბი, მაკოლოლები, მაზაები, ფელახები, ტუარეგები, ტიბუსე-ბი, ბეჯასები, აბისინიელები, სომალიელები...

„უნივერსალი“ სულ ერთი წუთით არწივივით დაჯდა ხეოპსის პირამიდის თავზე, რომელიც ქამთასვლისაგან ათიოდე მეტრით დაწეულა და პატარა მოედანს ქმნის. აღტაცებულმა რეზომ უბის წიგნაკი აიღო და გულმოდგინედ შეუდგა ეგვიპტის სანახების ხატვას. გივი დაიხარა და ჰკითხა:

— პირამიდები და ქვიშა კარგი გამოგივიდა, მაგრამ ეს რა სულიერია, ბორცვზე რომ დგას? სპილოა თუ პინგვინი?

— რა სპილო, რა პინგვინი! ეს ხომ ნაპოლეონია! ვერა ხედავ, დურბინდით გასცქერის პირამიდებს!

— ამ შემთხვევაში ბოდიშს ვიხდი მისი უდიდებულესობის წინაშე!—გაიცინა გივიმ,—შენ კი მეგობრულად გირჩევ, ამნაირ ნაპოლეონებს ქვეშ განმარტებაც უნდა მიაწერო ხოლმე.

— ეს რჩევა არ აწყენდა ბევრ ცნობილ მხატვარსაც! — ჩაურთო ანდრესმა.

პირამიდებზე ჩამოწვა ჯადოსნური, მშვიდი, საოცარი ეგვიპტური ღამე, და ამ დუმილში სასიამოვნოდ გაისმა მშვენიერი ქართული სიმღერა: „შავლეგ, შენი შავი ჩოხა შავად შეგიხამებია...“ მუშაობდა „უნივერსალის“ რადიომიმღები. პირამიდებთან, სადაც ერთ დროს მამაც ქართველ მამელუკთა სისხლი იღვრებოდა, ახლა თავისუფალი მამულის ხმა ისმოდა.

კონცერტი გრძელდებოდა. მოგზაურთა სმენას ატკბობდა ნაცნობი ჰანგი: „პატარავ, ჩემო პატარავ...“

— ეს ჩემი საყვარელი სიმღერაა, — ღიმილით თქვა ანდრესმა.

— პატარავ, ჩემო პატარავ... მსოფლიოს შემოგატარებ...— განაგრძობდა მომღერალი.

სავსე მთვარე დასცქეროდა ეგვიპტეს. მოკატამის მთებში მიწყდა არწივებისა და სვავების ყიპყიპი. გარემო დუმილმა მოიცვა. სადღაც ნანგრევებში ჭოტი კიოდა. ფარაონის ჩაჩქანივით ლაპლაპებდა სულთან ჰასანის დიდებული მეჩეთი.

ანდრესი კი რადიომოყვარულთა საყურადღებოდ აცხადებდა რეზოს და გივის დაკარგვის საიდუმლოებას. იქნებ თვით ერმილე გვიშიანი უსმენს ინჟინერს? ვინ იცის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნილოსის ვარანი

ადრიანი დილაა. „უნივერსალი“ ღამის სიგრილეს დაუნამავს. ასეთია დიდი ხმელეთის ჰავა: დღისით ქვეყანა იწვის, ღამით გრილა.

მოგზაურებმა დილის ვარჯიში დაასრულეს და პირამიდებს მიუახლოვდნენ, რომ მათთვის უკანასკნელად შეევლოთ თვალი. როგორღაც რეზო თანამგზავრებს ჩამოსცილდა და პირამიდას მოეფარა. უეცრად გაისმა ყვირილი. ანდრესი ნორჩი მეგობრისაკენ გაიქცა. მას ფეხდაფეხ მიჰყვა გივი. ინჟინრის ხელში მახვილი ელავდა. ლოდებს შორის თვალწინ წარმოუდგათ ზარდამცემი სურათი: რეზო თავგამოდებით გარბოდა და არც თუ უმიზეზოდ: მას კვალდაკვალ მსუბუქი ნახტომებით მისდევდა უზარმაზარი შავი ხვლიკი, რომლის გრძელი კუდი ჰაერში შოლტივით იკლაკნებოდა.

— ვარანი! — შესძახა ანდრესმა და ურჩხულისაკენ გაქანდა. ყვითელ ხრიოკთა ბინადარი სწრაფად უახლოვდებოდა მსხვერპლს. არ გაუვლია სამ სეკუნდს, რომ რეზო შიშითა თუ სხვა რამ მიზეზით ქვიშაში გაიშხლართა. ქვეწარმავალმა ნახტომი ვერ მოზომა და წაქცეულს თავზე გადაევლო. თვალის დახამხამებაში მასთან გაჩნდა ანდრესი და, ვიდრე ვარანი მას მოუბრუნდებოდა, თავში დაჰკრა მახვილი. ვარანი დაიგრიხა, პირი დააღო, მეორე მოქნევით ინჟინერმა კისრის ძარღვები გადაუჭრა, ბრძოლა დასრულდა. ქვიშა სისხლით შეიღება.

— არ უნდა ჩამოგვშორდე, — ეუბნებოდა კაპიტანი რეზოს, რომელიც ჯერ კიდევ ცახცახებდა. — ნუ დაგავიწყდება, ჩვენ აფრიკაში ვიმყოფებით. ეს ბორჯომის ხეობა როდია. აქ ყოველი მდინარე, ბორცვი და ქვიშაში დამალული ხვრელი სიკვდილით ემუქრება გაუფრთხილებელ მოგზაურს. მაინც, რას გერჩოდა ვარანი?

— ვარამი? — დაბეჟილი ხმით იკითხა რეზომ. მან ჯერაც არ იცოდა, რომელ ურჩხულთან ჰქონდა საქმე.

— ვარანი, — გაიმეორა ანდრესმა. — ასე ეძახიან ამ უზარმაზარ აფრიკულ ხვლიკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხვლიკს? განა ეს დრაკონი ხვლიკია? სრულიად უსა-მართლოდ დამესხა თავს, კაპიტანო!

— არა მგონია, უმიზეზოდ ვარანი თავს დაესხას ისეთ საშიშ საკბილოს, როგორიც ადამიანია! აბა წამოდით, გავყვეთ მის კვალს. მაგრამ ჯერ გავზომოთ.

ვარანის სიგრძე ორ მეტრზე ცოტა ნაკლები აღმოჩნდა.

როცა მივიდნენ იმ ადგილზე, სადაც დევნა დაიწყო, ნახეს ფართო ხვრელი. შესასვლელთან ეგდო დაგლეჯილი მიწის კურდღელი.

— ახლა ხომ მიხვდი, რატომაც დაგედევნა ვარანი? — გაიცინა ანდრესმა. —მის სახლთან რომ გაიარე, იფიქრა, ნადავლის წართმევას მიპირებსო. თავის ნადავლს ყოველი ცხოველი თავგანწირვით იცავს.

გიგანტურმა ხვლიკებმა და ციდა კოღოებმა რეზოს და გივის ეგვიპტე შეაძულეს. მალე „უნივერსალი“ თავს გადაევლო პირამიდებს და სამხრეთისაკენ გაემართა.

— ჩვენ უნდა ვნახოთ ფარაონების უძველესი სატახტო ქალაქი თებე, — თქვა ანდრესმა. — გამოგიტყდებით, ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. ჩვენ გავყვებით ნილოსის აყვავებულ ველს. აღმოსავლეთით უდაბნოა, დასავლეთით — ლიბიის თვალუწვდენელი ხრიოკი ველები, იქით კი — საჰარის უდაბნო, რომელიც თითქმის ევროპის სიდიდისაა.

აქ, ნილოსის ხეობაში, სასიამოვნო სიგრილეა. გასცდები რამდენიმე ათეული კილომეტრით და აუტანელი სიცხის ბუღი სულს შეგიხუთავს. უდაბნოში კლდე ხურდება და ქვიშაში კვერცხი შეიწვება. აი, დაჰქროლა ქამსინმა. ესაა საშინელი ქარი, რომელიც გავარვარებული ქვიშით ავსებს შორეულ ხეივნებს, ფარავს ბუჩქებს, რკინიგზის ლიანდაგს. ეს აბეზარი ქარი განუწყვეტლივ ქრის მთელი 50 დღე და ამიტომაც ჰქვია „ქამსინი“. „ქამსინი“ არაბულად „ორმოცდაათს“ ნიშნავს. თვით უდაბნოებში ტყეები არაა. აქა-იქ ვხვდებით ფინიკის ხეებს, ნილოსის აკაციას, ლიმონს, პაპირუსსა და თეთრ ლოტოსს. აი, ჩვენს წინ დგას ფინიკის პალმა, უდაბნოს მშვენება.

გივი და რეზო თვალს ვერ აშორებდნენ მაღალ, ტანაყრილ პალმას, რომლის თავზეც მარაოსავით გაშლილი მწვანე ფოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები სასიამოვნოდ შრიალებდნენ. მათ შორის მტევნებად მოჩანდა მოყვითალო და მოგრძო ნაყოფი.

— ფინიკი ანუ ინდისხურმა ჩვენი დედამიწის ერთი უძველესი და უძვირფასესი მცენარეა, — თქვა ანდრესმა. — მას შეუძლია იხაროს ხრიოკ უდაბნოში, სადაც ყველა სხვა მცენარე იღუპება. გავრცელებულია ინდოეთში, ირანში, ტუნისში, ესპანეთში, მცირე აზიაში, ავღანისტანში. ყველაზე უფრო ტკბილია ეგვიპტური ანუ ალექსანდრიული ფინიკის ნაყოფი. საბჭოთა შუააზიაში დიდი ხანია, წარმატებით ვითარდება ფინიკის კულტურა. ეს დალოცვილი მცენარე რაინდულად უძლებს უდაბნოს სიმხურვალეს, სამუმსა და ქამსინს. მისი ნაყოფი მეტად სასიამოვნო და სასარგებლოა. აბა, ვინ აცოცდება ფინიკზე, ვინ არის მარდი?

გივიმ გაუბედავად ახედა ოცი მეტრი სიმაღლის დახორკლილ ღეროს, რეზო კი გაბედულად აცოცდა თავამდე და მთელი ორი კალათი ნაყოფი გადმოყარა დაბლა გაშლილ ზეწარზე. გივი დუმილით გამოხატავდა თავის სპორტულ მარცხს.

— კაპიტანო, გარეულ ცხოველებს როდისღა ვნახავთ?— იკითხა მან.

რეზომაც დაივიწყა ფინიკი. ეს საკითხი ორივეს ძლიერ აღელვებდა.

— სულ მალე, — მიუგო ანდრესმა. — ოღონდ იქონიეთ მოთმინება და გამბედაობა: აქ მხეცები გალიებში როდი სხედან, ჩემო მეგობრებო! მათთან ხუმრობა სახიფათოა.

ცოტა რამ „ველურთა“ კულტურაზე

სასიამოვნოა დასვენება ფინიკის ჩრდილში. ფინიკი სიცოცხლის გუშაგია. სადაც მცენარეა, იქ მწერები და ხვლიკებიც დასახლდებიან. სადაც მწერები და ხვლიკებია, იქ ჩიტები და ქვეწარმავლებიც გამოჩნდებიან. ესენი თავის მხრივ მტაცებელ ფრინველებსა და მხეცებს იზიდავენ. ასე იზრდება სიცოცხლის ჯაჭვი ფინიკის გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაურები ფინიკის ჩრდილში საუზმობდნენ.

— კაპიტანო, განა მუდამ ასეთი უდაბნოები იყო საჰარასა და ლიბიაში? — იკითხა გივიმ.

— არა,—თქვა ანდრესმა.—როცა ევროპას ყინული ფარავდა, საჰარა ერთიანად ამწვანებული და წყალუხვი მხარე იყო. ის აკავშირებდა ჩრდილოეთისა და შუა აფრიკის ხალხთა კულტურას.

— განა აფრიკელ ველურებს ჰქონდათ რაიმე კულტურა? — იკითხა გივიმ.

— ჰქონდათ, გივი, აფრიკის ხალხებსაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, განა ეგვიპტელები აფრიკელები არ არიან? მაგრამ ვილაპარაკოთ თვითონ აფრიკულ ტომებზე. სანიმუშოდ დაგისახელებთ ბენინის კულტურას. ბენინი პატარა სამეფო იყო ბენგალის უბესთან, ახლანდელი ნიგერიის მიწაზე. 1897 წელს ეს ქვეყანა სასტიკი ბრძოლით დაიმორჩილა ინგლისის დამსჯელმა ექსპედიციამ. ბენინის ხალხმა იგრძნო ევროპელებთან ურთიერთობის დამღუპველი შედეგები და მათ თავიანთი ქვეყნის გზები ჩაუკეტა. გვიან ამ ქვეყანაში აღმოაჩინეს ბრინჯაოს მრავალი მშვენიერი ნაკეთობა, საუცხოო ხელოვნებით ჩამოსხმული ზანგი გოგონას თავი, ბრინჯაოს სამეფო სკამი, რომლის შუა ნაწილს დაგრეხილი გველი შეადგენს. თქვენ არ დაიჯერებთ, რა გულმოდგინებით შეუქმნია ამ შავკანიან ბენვენუტო ჩელინის ეს ნივთები, თუმცა ცალ ხელში საჭრეთელი ეჭირა, ცალში — მშვილდი.

სპილოს ძვლისა და ხისაგან გამოკვეთილი მშვენიერი ნაკეთობის გარდა ამ ქალაქ-სახელმწიფოში აღმოჩნდა სპილენძის, ტყვიის და თითბრის შენადნობთა საუცხოო იარაღები. როცა რაინზე ჯერ კიდევ ქვის ნაჯახი ჰქონდათ, ბენინელები რკინის შუბებსა და ბრინჯაოს კერპებს ამზადებდნენ, ხოლო ნიგერიის მეორე პატარა ხალხს — ტაპებს მინის დამზადებაც შეეძლოთ. ამ გაუგონარმა აღმოჩენებმა თავის დროზე ევროპელთა ნამდვილი გაოცება გამოიწვია. მეცნიერება დარწმუნდა, რომ „ველურების“ ხელოვნება ყურადღების ღირსი ყოფილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა ხატავდნენ დედამიწის რუკას

აქლემის ჩონჩხზე ორბი იჯდა და დარჩენილ ლეშს ძიძგნიდა. ხრიოკი ველი უალოდ იწვოდა. მზის დამაბრმავებელი სხივების ოკეანეში ატორტმანებულ ბორცვებს შორის მოსეირნე უნივერსალელები მთვარეზე მოხვედრილ მოგზაურებს მოგაგონებდნენ. უძველესი ტაძრის ათასწლოვანი სვეტები დუმდნენ და ქვიშა ცეცხლის კარადებში ინახავდა მკვდარი ქალაქის დიდ საიდუმლოებას.

— კაპიტანო! — შესძახა რეზომ. — ხედავთ იმ ბორცვებთან ჩასაფრებულ ავაზაკს? ხელში შუბი უჭირავს და სახე შავი რიდითა აქვს დაფარული.

გივიმ უკვე „უნივერსალს“ გახედა, მაკრამ ანდრესმა შეაჩერა:

— ავაზაკისა რა სცხია უდაბნოს ამ საცოდავ ბინადარს! მზისაგან იცავს თავს, ხელში უბრალო სანადირო შუბი უჭირავს, მუხლებზე ჩამჯდარა და უსიტყვოდ ესალმება მეორე მეუდაბნოეს.

მართლაც, დასავლეთის უდაბნოების ღატაკი შვილები მალე წამოდგნენ, ხელები აღმართეს და უსიტყვოდ ჩაუარეს ერთმანეთს. ასევე მიესალმა ტიბუსი უცხო მოგზაურებს. მისი საშინლად გამხდარი სპილენძისფერი სხეული ლანდს დამსგავსებოდა.

— ვინ იცის, რა გასაჭირი მიერეკება საბრალო ტუარგებსა და ტიბუსებს ოაზისიდან ოაზისამდე! — ჩაილაპარაკა ანდრესმა. — გეგონება, თავის დღეში არაფერი უჭამიათო. მართალს ამბობდა აფრიკის მკვლევარი ნახტიგალი: „უდაბნოს მკვიდრნიც უდაბნოს ნიადაგივით გამხდარნი არიანო“.

გზაზე გამოჩნდა აქლემების ქარავანი. ნელა, მაგრამ დაბეჯითებით მიალაჯებდა ქარგას ოაზისიდან სოჰაგისაკენ ქარავნის წინამძღოლი, დიდი აქლემი. ქალები და ბავშვები აქლემებზე ისხდნენ. მამაკაცები ფეხით მოდიოდნენ და ხელში ეჭირათ ბაწრები, რომელთა ბოლო ცხვირის ნესტოებში ჰქონდათ გაყრილი მორჩილ პირუტყვებს.

— უდაბნოს ქარავანი! — წამოიძახა რეზომ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეს ჯერ კიდევ არაა ნამდვილი უდაბნოს ქარავანი, — თქვა ანდრესმა. — უნდა გვენახა ამ ასოოდე წლის წინ საჰარის ან ნუბიის თვალუწვდენელ უდაბნოში ტორტმანით მიმავალი აქლემების დაუსრულებელი ქარავანი. გზა გრძელია და მოსაწყენი. აი, ქანცგაწყვეტილი მოგზაურები ძლივს მილასლასდნენ ოაზისთან. მთელი კვირა წყალი არ უნახავთ. ახლა უკანასკნელ იმედს მიაღწიეს და ისიც ნისლივით გაიფანტა: ოაზისი ქვიშითაა დაფარული. ჭა ამოვსებულია. მოგზაურები გზას განაგრძობენ. ადამიანი არ ნებდება წყურვილს, არ ნებდება სიკვდილს, აქლემებსაც უჭირთ. მათ შეუძლიათ ათი დღე უჭმელ-უსმელად გაძლება, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. აქლემებს მოუსვენრობა დაეტყოთ. სუნთქვა გაჭირდა, ჰაერი შეიხუთა, მზე მძიმე ნისლით დაიბურა. ეს სამუმის ნიშანია. აი, მოვარდა სამუმი, უდაბნოს გრიგალი. სამუმი არაბულად „მოწამლულს“ ნიშნავს. მართლაც, ის წამლავს და ღუპავს ადამიანებს. სუნთქვა შეუძლებელია, აქლემები ღრიალებენ, კისერს უმწეოდ აქნევენ, თვალებს ხუჭავენ და ქვიშაში წვებიან. სამუმი დაიწყო. ადამიანები მოსასხამებს გადაიფარებენ და ცოცხლად იმარხებიან გავარვარებული ქვიშის ბორცვებს ქვეშ. დატანჯულ ადამიანებს წყურიათ, პირი უშრებათ, იხუთებიან, ენა ტყვიასავით მძიმდება. აი, ერთმა ვერ მოითმინა, წამოხტა, ერთი შეჰყვირა, დაიხროტინა და მკვდარი დაეცა. მეორე მზის დაკვრისაგან დაიღუპა.

ყვითელ ქვიშაში თეთრად ციმციმებენ ოდესღაც დაღუპული ადამიანების ძვლები. მრავალ მოგზაურს უნახავს ქვიშიდან ამოშვერილი ხელი, ფეხი ან თავის ქალა, აქლემიდან ჩამოსული და ქვიშა მიუყრია. უცნობი მოგზაურის გვარი ტროპიკულ მზეს გადაუშლია, მისი ძვლები აფთარს ამოუთხრია. სამუმი მძვინვარებს. გზები ქვიშამ დაფარა. მზეს ფერი დაუკარგავს...

გადის დრო. ქარიშხალი ჩადგა, უდაბნო მიყუჩდა. ქვიშის საფლავიდან აღიმართებიან ქანცგაწყვეტილი აქლემები და წამებული ადამიანები. ერთ მათგანს ტანჯვისაგან თმა გასთეთრებია. ტიკებში წყალი დიდი ხანია აღარ არის. ადამიანებს ყელი გაშრობიათ, სახისა და ხელების კანი დასკდომიათ, ჭრი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობებიდან სისხლი მოჟონავს... ცოცხლები გზას განაგრძობენ. ქვიშაზე რჩება გვამები. მალე მათ ყორნები და აფთრები დაერევიან და იმართება უდაბნოს ნადიმი. მოგზაურები უნუგეშოდ გასცქერიან ერთფეროვან, უსიცოცხლო, მზით გადარუჯულ სივრცეს. უეცრად თვალწინ გადაეშლებათ უზარმაზარი მოლივლივე ტბა, მწვანე პალმები და მობიბინე ტყე.

— ჩქარა! წინ წყალია! — უბრძანებს მოგზაური გამყოლს.

— ო, სერ! შენ ცდები! — გულგრილად იტყვის ტუარეგი ან არაბი გამყოლი და რიდით ოფლს მოიწმენდს. — წყალი არ არის. მდინარე შორსაა! რასაც შენ ხედავ, ესაა „ეშმაკის ზღვა“.

ანდრესი გივის მიუბრუნდა.

— ხომ ვერ იტყვი, პოეტო, რა ნახეს მოგზაურებმა?

— მირაჟი. — გაუბედავად თქვა გივიმ.

— ჰო, გივის სინამდვილეს ნუ ჰკითხავთ, კაპიტანო, თორემ, რაც ფანტაზიას ეხება, ყველაფერი იცის, — გაიცინა რეზომ.

— ყველაფრის ცოდნა საჭიროა,—თქვა ანდრესმა და განაგრძო, — დიახ, ესაა მირაჟი: სარკესავით მოწმენდილ სივრცეში აირეკლება მდინარის, ტბის, სოფლების გამოსახულება. ერთი შეხედვით ეს მოჩვენება ახლოსაა, მაგრამ, რაც უფრო მიუახლოვდები, მით უფრო შორს გადაინაცვლებს. გაწამებულ მოგზაურთა კიდევ ერთი იმედი საპნის ბუშტივით ქრება.

ასეთია უდაბნოში მოგზაურთა ბედი. არანაკლებ სახიფათოა აფრიკის სიღრმეში, ტყეებსა და ჭაობებში მოგზაურობა. ზოგს ციება კლავდა, ზოგს ნადირები ფლეთდნენ, ზოგიც კაციჭამია ტომების მსხვერპლი ხდებოდა. ამიტომ, როცა 1768 წელს გრაფმა დ'ანვილმა აფრიკის ცნობილი ადგილების რუკა შეადგინა, თითქმის მთელი აფრიკა ცარიელი აღმოჩნდა. ათობით გაბედული ადამიანი ზედიზედ აწყობდა ექსპედიციას. ერთი იღუპებოდა, მეორე მის საქმეს განაგრძობდა. ასობით ადამიანი სისხლითა და ოფლით რწყავდა შავი ხმელეთის ტყეებსა და უდაბნოებს, ზღვებსა და კუნძულებს. ასე იხატებოდა დედამიწის რუკა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოველთა დიდი გადასახლება

— კაპიტანო! — შეაწყვეტინა ინჟინერს რეზომ. — შეხედეთ, ველზე ირმის ჯოგია!

მართლაც, დასავლეთიდან ელვის სისწრაფით მოჰქროდა მშვენიერ ცხოველთა ჯოგი.

— გაზელებია, რეზო! — შეუსწორა ინჟინერმა. — ეტყობა, რაღაც ნადირს შეუშინებია ან ნილოსისაკენ მიიჩქარიან წყლის დასალევად. სწრაფად „უნივერსალისაკენ", თორემ გადაგვთელავენ გადარეულები!

ძლივს მოასწრო „უნივერსალმა" აფრენა, რომ გაზელების ჯოგმა მის ქვეშ ქარივით გადაიქროლა. ავარდნილმა მტვერმა ღრუბელივით დაფარა ეს მოძრავი ფარდა. მალე ნილოსიდან მონაბერმა ნიავმა მტვერი გაფანტა და მოგზაურებს თვალწინ წარმოუდგათ უდაბნოების დამახასიათებელი სანახაობა. სხვადასხვა მოყვანილობისა და სიდიდის ანტილოპების უთვალავ ჯოგს არ უჩანდა თავი და ბოლო. ფეხმაოდ ნადირთა სვლა ისეთი იყო, რომ საჭირო გახდა „უნივერსალის" გადაყვანა საშუალო სისწრაფეზე. ახლა „უნივერსალი" დაბლა დაეშვა და მიწიდან ისეთ სიმაღლეზე მიჰქროდა, — ანტილოპების მაღალი რქები ლამის ეხებოდნენ მის მკერდს. ზოგს ხრახნისებური მაღალი რქები ჰქონდა, ზოგს პატარა ქნარის ფორმისა, ზოგიც სულ ურქო იყო.

— აფთარი! გაზელების ჯოგში აფთარია! — შესძახა რეზომ, რომელსაც ყველაზე ფხიზელი და შორსმხედველი თვალები ჰქონდა.

— მართლაც, უჩვეულო სანახაობა იყო: ჯოგის შუაგულში გარბოდა ყურდაცქვეტილი და ენაგამოგდებული აფთარი.

— ეს გაზელების თანამგზავრია. — შესძახა ანდრესმა.— გაზელების ჯოგში არა ერთხელ უნახავთ ლომი, აფთარი და მიწის მგელი. ამას თვითმფრინავიდან გადაღებული ფოტოსურათებითაც ადასტურებენ. როცა ჯოგი გარბის, მასში მოყოლილი ყოველი ცოცხალი არსებაც უნდა აჰყვეს, თუ არ სურს, რომ გადათელონ. ჯოგი რომ შეჩერდება, მტაცებელი გლეჯს უმწეო პირუტყვს და ჭამს, რამდენიც უნდა. ამიტომაც ახალი

მიწებისაკენ მიმავალ გაზელების ჯოგს ხშირად აედევნებიან მიწის მგლები, ტურები და სხვა ნადირები.

— მაინც რატომ გარბის გაზელების ჯოგი? — იკითხა გივიმ.

— საამისოდ ნადირებს სხვადასხვაგვარი მიზეზები აქვთ. ჯოგებად გარბიან არა მარტო გაზელები, არამედ სხვა ნადირებიც. ხშირად სიცივის, გვალვის ან საკვების ნაკლებობის გამო ახალ ადგილებზე გადასახლდებიან მგლები, კამეჩები, ბატები, გველები, ვირთაგვები და სხვა ცხოველები. მათი რიცხვი ზოგჯერ ასიათასებს ან მილიონებსაც კი აღწევს. ასეთია გაზელების ეს ჯოგიც. ჯეირანის მონათესავე გაზელი, უდაბნოს ეს მშვენიერი ცხოველი, ანტილოპის ერთი სახეა. სპარსეთის, არაბეთის და ძველი ეგვიპტის პოეტები სიტყვას ვერ პოულობდნენ მისი მშვენიერების შესამკობად. სატრფოს თვალებს მის თვალებს ადარებდნენ, მის ყელს— მზეთუნახავისას. გაზელს არ გააჩნია არც აქლემივით კუზი, არც ცხვარივით დუმა, რომ ქონის წყალობით დიდხანს გაუძლოს შიმშილსა და წყურვილს. სამაგიეროდ, როგორც ხედავთ, გაზელებს აქვთ ელვისებური ფეხები, შეუძლიათ ათობით კილომეტრი გადაირბინონ, დალიონ წყალი და საბალახოდ უკანვე დაბრუნდნენ.

— კარგი იქნებოდა, რომ სწრაფ ფეხებთან და კარგ გარეგნობასთან ერთად მათთვის ბუნებას ცოტაოდენი ჭკუაც მიეცა, — იქნებ ეს აფთარიც გაესრისათ, — სიცილით თქვა გივიმ.

— ამაში მართალი ხარ! — გაიცინა ანდრესმა. — ხედავთ? აფთარი მიუბრუნდა ერთ გაზელს და ყელი გამოლადრა...

— რა საშინელი თანამგზავრია! — შესძახა რეზომ. —კაპიტანო! დავედევნოთ ამ ვერაგს და გავსრისოთ.

— ვეცდები შენი სურვილი შევასრულო, — თქვა ანდრესმა და „უნივერსალი“ მხეცისაკენ მიაბრუნა.

არაჩვეულებრივი დევნა დიდხანს გაგრძელდა. გაზელებს არ ეშინოდათ არც აფთრისა და არც საჰაერო მდევრის; ლტოლვილ ნადირთა ჯოგს არაფრის არ ეშინია.

სამაგიეროდ, აფთარი მობრუნდა, დაფაცურდა, კბილები დაკრიჭა და აქეთ-იქით მიაწყდა. „უნივერსალმა“ ნადირი გაი-

მარტოვა და მის ზურგს მსუბუქად შეეხო. ჯოგი დაწინაურდა, აფთარი ჩამორჩა. „უნივერსალმა“ ბორბლები დაუშვა და დევნა ხმელეთზე გადაიტანა. მანქანის სიმძიმის ქვეშ გასრესილი მტაცებელი უდაბნოს მტვერს შეერია. ანტილოპები მდინარის მწვანე ნაპირებს მიუახლოვდნენ, პირდაპირ მღელვარე ტალღებში გადაეშვნენ და მდორე ნილოსის ზედაპირი ერთიანად დაფარეს.

— საცოდავები, ნამდვილად გაგიჟდნენ! — შესძახა ხელახლა აფრენილ „უნივერსალში“ მყოფმა რეზომ. — აი, ზოგი მიცურავს, ზოგი იხრჩობა, ზოგს ნიანგები გლეჯენ და სხვები მაინც წინ მიდიან... აი, მეწინავენი გავიდნენ კიდეც ნაპირზე და სირბილს განაგრძობენ.

— ასეთია ცხოველთა გადასახლება! — თქვა ანდრესმა.— გზა დავულოცოთ გაზელებს და ჩვენი გზით წავიდეთ, დაუმატა მაშინვე და „უნივერსალი“ სამხრეთისაკენ მიაბრუნა.

ეს იყო ჩვენი მოგზაურების პირველი შეხვედრა აფრიკის ოთხფეხ ბინადრებთან.

მიცვალებულ მეფეთა ჯალა

ჯერ კიდევ დილა იყო, როცა თებეში ჩავიდნენ. ეს სახელი ბერძნებმა უწოდეს. ეგვიპტურად ამ ქალაქს ვესეტი ერქვა. „უნივერსალი“ გაჩერდა ნილოსის დასავლეთით გადაშლილ უდაბურ ველზე. მდინარის მარჯვენა მხარეს მოჩანდა მწვანეში ჩაფლული პატარა ქალაქი. ეს იყო ლუქსორი.

— ჩვენს წინაშეა ზემოეგვიპტის სახელგანთქმული სატახტო ქალაქი თებე.—თქვა ანდრესმა.—ახლა ის დანგრეულია, და მის ადგილზე ჩვენ ვხედავთ ოთხ პატარა სოფელს. ერთ დროს აქ ცხოვრება დუღდა. თქვენ ხედავთ სამეფო ველზე ჩაწოლილ ზღუდეს. ეს იყო „ასჭიშკრიანი თებე“. ასე უწოდა ჰომეროსმა, მაგრამ პოეტი ალბათ გულისხმობდა ტაძრების ჭიშკრებს. 1922 წელს მთელი მსოფლიო თვალყურს ადევნებდა ლორდ კარნარვონის ხარჯითა და ინიციატივით აქ დაწყებულ გათხრებს. ეს ლორდი ჯერ სპორტით იყო გატაცებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ერთი ავარიის შემდეგ მანქანას თავი მიანება და მეგობარ ეგვიპტოლოგს ბაჯს ჰკითხა: რა გზას დავადგეო?

— ეგვიპტეში წადი და გათხრები მოაწყვე! — ხუმრობით უთხრა ბაჯმა.

არასოდეს არ გამოუღია უბრალო ხუმრობას ისეთი დიდი შედეგი, როგორც ამ შემთხვევაში გამოიღო.

ლორდი ეგვიპტეში ჩავიდა. გათხრები დაიწყო. მეცნიერულ მხარეს ხელმძღვანელობდა ჰოვარდ კარტერი. ორი წლის ამაო შრომით განაწყენებულმა ლორდმა 1922 წლის 4 ნოემბერს ბრძანება გასცა, შეეწყვიტათ გათხრები. კარტერს ელდა ეცა, მაგრამ გათხრები არ შეუწყვეტია! საღამოს მუშებმა საგანძურის კარი შეაღეს. კარტერი თვალს არ უჯერებდა. მის თვალწინ იყო „სამეფო დარბაზი" — მეთვრამეტე დინასტიის უკანასკნელ ფარაონ ტუტ-ანხ-ამონის აკლდამა, ერთ-ერთი უმდიდრესი სამარხი ყველა დროისა და ხალხის დღემდე ცნობილ აკლდამებს შორის. საბედნიეროდ, საფლავი ჯერ კიდევ არ იყო ავაზაკების მიერ გაძარცული. ოქროს კუბოში ფიცარზე ნახეს სხვა კუბო, მასში კიდევ მესამე, ისიც ოქროსი. ამ კუბოს ფიცარზე ამოკვეთილი იყო სრულიად ახალგაზრდა, თვრამეტი წლის ფარაონის გამხდარი სახე (ფიქრობენ, რომ ის ჭლექით მოკვდა). ფარაონის გამოფიტულ სხეულამდე მიღწევა ადვილი არ იყო. გვამი საუცხოოდ შენახული აღმოჩნდა. ფარაონი ახლად გარდაცვლილს ჰგავდა. მუმიას გარს ეხვია მრავალკეცი, წამლით გაჟღენთილი არტახი. კუბო სავსე იყო ოქროთი და მრავალგვარი სამკაულით, რასაც პეშვით ხვეტავდნენ. როცა გვამი რენტგენზე გადაიღეს, სურათი დალაქული, უვარგისი აღმოჩნდა — იმდენი ოქრო დარჩენილიყო ამონის სხეულზე. მთელი განძი შეფასდა ხამ მილიონ სტერლინგად. განძმა, რომელიც სამი ათას სამასი წელი ესვენა მიწაში, ახლა პირველად იხილა მზის ნათელი. მეცნიერებმა აღმოაჩინეს დედოფალ ჰაჩესპუსტის სამარხიც. თებეში მას ჰქონდა დიდებული ტაძარი, საიდანაც მისი სურათები გააძევა მისმა მეტოქემ, ძმამ და მეუღლემ თუთმოს მესამემ.

აღარავინ მოელოდა ტუტ-ანხ-ამონის ასეთი ძვირფასი სამარხის პოვნას, რადგან ამ ადგილას უკვე აღმოჩენილი ჰქონ-

დათ რამზეს პირველის, რამზეს მეორის, თუთმოს მეოთხისა და სხვათა განთქმული სამარხები. მათ შორის განირჩეოდა რამზეს II სამარხი. ამ ფარაონმა ხომ 67 წელი იმეფა! თავისი ავადმყოფური დიდების ძეგლად მან დატოვა კოლოსი, — ქანდაკება, რაც 2000 ტონას იწონის. მას თავი ღმერთი ეგონა, მაგრამ დღეს ამ ღმერთის დამსკდარი თავი მტვერში გდია. მეფეთა აკლდამებს ხშირად ქურდები ძარცვავდნენ; ამიტომ ყველა გააოცა ამ ახალი ნიმუშის მიგნებამ. ვინ იცის, იქნებ ლორდის მანქანის ავარიამ ორიოდე ათასი წლით დააჩქარა ამ საგანძურის აღმოჩენა. თვითონ ლორდს სამარხის აღმოჩენიდან მესამე თვეზე გველმა უკბინა და გარდაიცვალა. თითქოს ასრულდა ქურუმთა წინასწარმეტყველება: ვინც ფარაონთა საფლავის მყუდროებას დაარღვევს, სიკვდილი ელისო.

რეზო და გივი ისე გატაცებით ათვალიერებდნენ უძველეს ტაძრებსა და სფინქსებს, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ მიუახლოვდნენ მემნონის მოლაპარაკე ქანდაკებას; ოცდაერთმეტრიანი მეფის ფერხთით პაწაწინა ადამიანები ფუსფუსებდნენ.

როგორ კვნესოდა მემნონის ქანდაკება

— დიახ, მეგობრებო, ეს ქანდაკება ერთ დროს კვნესოდა! — წამოიძახა ანდრესმა და მიუახლოვდა გრანიტის ქვის უზარმაზარ ქანდაკებას, რომელიც მრავალ ადგილას გაბზარული იყო.

— ქანდაკება კვნესოდა? — გაოცებისაგან პირი დააღო გივიმ. — კაპიტანო, თქვენ ამბობდით, რომ სასწაული არ ხდება.

— მე ეს არ გადამითქვამს, — გაიღიმა ინჟინერმა. — ამასთან მე ვიცი, რომ ეს ქანდაკება კვნესოდა, თუმცა არ ვიცი, შეუძლია თუ არა დღესაც ისევე იკვნესოს, როგორც ამ ორიოდე ათასი წლის წინ, რადგანაც ის შეაკეთეს.

— მაგრამ... როგორ შევათანხმოთ ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი? — ამბობდა გაოცებული გივი.

— ძალიან უბრალოდ. აუხსნელ მოვლენებს ადამიანები ჩვეულებრივ სასწაულებს ეძახიან, ეს არის და ეს... ყური დაუგდეთ მემნონს... მართლაც, ქანდაკების სიღრმეში სრულიად გარკვევით გაისმა კვნესა, რასაც მოჰყვა ჩანგის სიმების გაწყვეტის მსგავსი ხმაური. ეს ჯადოსნური ყღერა განმეორდა სამჯერ, რის შემდეგაც გმინვა გაისმა.

თუმცა დილა იყო, რეზო და გივი შიშმა შეიპყრო. ისეთი წუთი დადგა, რომ თვით ანდრეაის ცოდნაშიც ეჭვი შეიტანეს: ან რა იყო აქ ასახსნელი: ქანდაკება კვნესოდა!

— მეგობრებო, — თქვა მან. — თქვენ გახსოვთ სინაის მთების კვნესა. მე მაშინ გიამბეთ ჰუმბოლდტის მთის ამბავი. აქაც არსებითად იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე. უნდა შეგეძლოთ მსგავსი ამბების დაკავშირება. აი, თქვენ ხედავთ ნაპრალებსა და ბზარებს მემნონის სხეულში. ამ ნაპრალებს ღამით ცვარი ეკიდება. დილით, მზის ამოსვლის შემდეგ, ჰაერი სწრაფად ხურდება, ნაპრალებში დაგროვებული გრილი ჰაერი სწაფად აწყდება ხვრელებს და ქანდაკება იწყებს კვნესას...

— ოჰ, უკვე მესმის, კაპიტანო! — წამოიძახა დარცხვენილმა გივიმ. — მაგრამ რამ გაბზარა ქანდაკება?

— დრომ, ჩემო პოეტო! — ჩვენს ერამდე 27 წელს საშინელი მიწისძვრისაგან ქანდაკებას მოტყდა სხეულის ზედა ნახევარი და ძირს გადავარდა. იმ ხანებში, 15 წელს, ეს ქანდაკება ნახა გამოჩენილმა ბერძენმა მოგზაურმა სტრაბონმა და გაიგონა მემნონის კვნესა. მაგრამ მას არ შეეძლო ამის ახსნა და თავი შეიკავა, როგორც მეცნიერს შეეფერება. შემდეგ ქანდაკება აღადგინეს, მაგრამ ის დღემდე განაგრძობს კვნესას და გმინვას, თითქოს თავის დანგრეულ დიდებას დასტიროდეს. ძველად ეგონათ, რომ მეფე მემნონი, რომელიც ტროადელებს მიეშველა და აქილევსს შეებრძოლა, ყოველ დილით ესალმებოდა თავის დედას, განთიადის ქალღმერთს ეოსს...

— კაპიტანო! ქანდაკებაზე რაღაც წარწერებია! — შენიშნა რეზომ.

— ეს მნახველთა ჩანაწერებია. შემიძლია ერთი მათგანი წავიკითხო, რადგან ეს ლათინური წარწერაა: „მე, ტიტუს იუ-

ლიუს ლუპუსმა, ეგვიპტის ნაცვალმა, მოგისმინე შენ, დიდებულო მემნონ“.

მემნონმა კვლავ დაიკვნესა...

ყველანი „უნივერსალისაკენ“ წავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი ღრუბლების იერიში

უეცრად მზე დაბნელდა. გაოცებული მოგზაურები შეჩერდნენ, ცას გახედეს. სივრცე ერთიანად დაეფარა შავ საავდრო ღრუბელს, რომელიც სწრაფად წინ მიიწევდა. მაგრამ მისი ბოლო უსასრულო სივრცეში იკარგებოდა. ერთი წუთის წინ სამხრეთის მხურვალე მზით განათებული ველი ისე დაბნელდა, რომ ოც ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ნილოსის ველზე მძიმე ბურუსი ჩამოწვა.

— კალია! — წამოიძახა ანდრესმა.

— ნუთუ ეს შესაძლებელია?—იკითხა გაოცებულმა რეზომ.

— როგორც ჩანს, შესაძლებელია. — თქვა ანდრესმა, რომელიც ისევ ცას გაჰყურებდა. — ჩვენ ვხედავთ კალიის საშინელ შემოსევას, რაც მხოლოდ ეგვიპტეში და მის მეზობელ ქვეყნებში შეიძლება ნახოს ადამიანმა. აი, ის აღმოსავლეთისაკენ მიდის, საითაც გაზელების ჯოგი წავიდა. ეტყობა, ეგვიპტესა და ალჟირში ერთიანად გადაძოვეს, რისი გადაძოვაც კი შეიძლებოდა, და ახალი ნაყოფიერი მიწებისაკენ მიეშურებიან. ახლა ვიცი, რატომ გაიხიზნა ანტილოპების ურიცხვი ჯოგი: კალიამ მოსპო მათი საძოვრები და ისინი შიმშილის ლანდს გაურბიან.

— კაპიტანო! ნუთუ ამ ცოცხალ ღრუბელს რიცხვი და დასასრული არა აქვს? — იკითხა შემკრთალმა გივიმ.

— დამშვიდდი, პოეტო, რიცხვიც აქვს და დასასრულიც, ოღონდ რიცხვის განსაზღვრა გაგვიჭირდება, დასასრულს კი „უნივერსალი“ იპოვნის. ჩასხედით!

ერთი წუთის შემდეგ „უნივერსალი“ ელვის სისწრაფით გაჩნდა კალიის ღრუბლის ბოლოში, სწორი კუთხით გადაჭრა

ის, გადაუარა ნილოსს, გასწვრივ გაჰყვა ღრუბელს და თავში მოექცა.

— „უნივერსალის“ სისწრაფის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კალიის ღრუბელს აქვს ოცი კილომეტრი სიგანე და ორმოცი კილომეტრი სიგრძე. მისი სისქე კი ორმოცდაათ მეტრამდეა, — თქვა ანდრესმა.

რეზოს და გივის ხმა არ ამოუღიათ. ყმაწვილები სრულიად გარინდა საზღაპრო სანახაობამ. „უნივერსალი“ ღრუბლის შუაგულში მიფრინავდა. გარშემო ირეოდა მილიონობით, მილიარდობით საშინელი მწერი, ეხეთქებოდა საიმედოდ დახურულ მანქანას, ხვავდებოდა ზედ და აძნელებდა გზის გაგნებას. საშინელი ზუზუნი და აუწერელი შრიალი გონებას არ-ყევდა.

— ნამდვილი ქაჯების ქარიშხალია!—ჩაილაპარაკა გივიმ.

— თქვენი შედარება სწორედ პოეტურია! — გაიცინა ანდრესმა და სწრაფად დაუმატა: — შეხედეთ, გაზელები!

მართლაც, უზარმაზარი ველი ერთიანად დაეფარა ანტილოპების მორბენალ ჯოგს.

უეცრად კალიის ღრუბელს მოწყდა უზარმაზარი ფრთა, ამწვანებულ ოაზისზე დაეშვა და ერთიანად დაფარა მწვანე კუნძული. „უნივერსალიც“ სწრაფად დაუახლოვდა მიწას. მოგზაურებს თვალწინ გადაეშალათ ათიოდე კილომეტრის მანძილზე გადაჭიმული კალიის ყვითელი ზღვა, რომელიც გამდნარი ფოლადის ტბასავით ღელავდა. მშიერი კალიების ქვედა ფენა ბალახს ძოვდა, ზედა ფენები კი თვითონ კალიებს ჭამდნენ. „უნივერსალში“ ისმოდა მხოლოდ ყრუ ხრაშუნი. მაგრამ ერთი წუთიც და გაისმა ფეხის ისეთი თქარათქური, თითქოს მიწა იძვრისო; ანტილოპების უსასრულო ჯოგმა რისხვასავით გადაუარა კალიას. გაზელები მუხლებამდე ეფლობოდნენ კალიის ზღვაში, სრესდნენ, გარბოდნენ და ეცემოდნენ, ზედ გადადიოდნენ სხვა ანტილოპები და დაფეთებული გარბოდნენ. უდაბნო ჯოჯოხეთურ ბრძოლის ველს დაემსგავსა. ჯოგი შეფერხდა. წინა რიგებს უკანა რიგები მოაწვნენ. ანტილოპები ისრისებოდნენ თანამოძმეთა ფეხქვეშ, სრესდნენ

მილიონობით მწერს, მაგრამ გადარჩენილები დამშვიდებით ძოვდნენ ბალახს, ხრავდნენ გაზელების თმას: ალბათ ესეც ბალახი ეგონათ. როცა „უნივერსალმა“ ზღვას მიაღწია, მოგზაურებმა ნახეს მისი ერთიანად გადაყვითლებული ზედაპირი. არ ჩანდა წყალი, ჩანდა მხოლოდ მირიადი მწერით დაფარული მოტივტივე ველი.

— რა მოხდა? — იკითხეს ერთხმად რეზომ და გივიმ.

— მოხდა ჩვეულებრივი ამბავი: ქარმა კალია ზღვაში ჩაახრჩო, — მიუგო მათ ანდრესმა და „უნივერსალი“ ზღვის მოტივტივე ტალღებში შეაცურა. ზღვის გრილმა ნიავმა გამოაცოცხლა უდაბნოების სიცხით შეწუხებული მოგზაურები.

ნიანგის კვერცხებზე მოლაპარაკეები

შეღამების წინ მოგზაურებმა მახლობელ ხეივანში გაისეირნეს. ლერწმები სასიამოვნოდ შრიალებდნენ. ბინდდებოდა.

— კაპიტანო! — დაიძახა რეზომ. — ქვიშაზე ხუთმეტრიანი შავი მახრჩობელა მიხოხავს.

— აბა სად? — შეკრთა ანდრესი და იარაღი მოიმარჯვა.

— აჰა, ხედავ... თუმცა არა მგონია ეს, მახრჩობელა იყოს... აბა, კარგად დააკვირდით... ეს იქნევმონების ოჯახია და არა მახრჩობელა! — გაიცინა ინჟინერმა.

— იქნევმონი რა არის, კაპიტანო? — იკითხა გივიმ.

— იგივეა, რაც „მაძებარი“. სხვანაირად მას ეძახიან ფარაონის თაგვს. ეს თაგვი, როგორც ხედავთ, კატაზე დიდია, მაგრამ ძლიერ დაბალი ფეხები აქვს და ასე გვეჩვენება, თითქოს მიხოხავსო. წინ მამა იქნევმონი მიდის, უკან მეუღლე მისდევს და ბოლოს მათი შვილები. სიმაღლის მიხედვით დამწკრივდებიან და ხოხვით მიიპარებიან. ამიტომ ყველანი ერთად უზარმაზარ გველს მოგვაგონებენ. ისინი მუსრს ავლებენ შინაურ და გარეულ ფრინველთა კვერცხებს, იტაცებენ ქათმებს და ამით ეგვიპტელთა სამარადისო სიძულვილი დაიმსახურეს. მაგრამ ამასთან იქნევმონები მუსრავენ გველებს, ხვლიკებს და ნიანგის კვერცხებს, რომლებიც ქვიშაშია ჩამარხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. თითო ნიანგი 40—80 კვერცხს დებს. აბა წარმოიდგინეთ, რამდენად ბევრი ნიანგი იქნებოდა ქვეყნად, რომ მის კვალზე ეს მხეცუნა არ მიხოხავდეს! ძველი თქმულება ამბობს: იქნევმონი ღამით გამოდის სანადიროდ და ადამიანებს ახრჩობსო. ღამით რომ გამოდის სანადიროდ, ეს მართალია, მაგრამ ადამიანებს ის არ ახრჩობს. პირიქით, დიდი სარგებლობა მოაქვს მათთვის, ვინც მის მიმართ ასე უსამართლოა.

იქნევმონებმა დრუნჩები ასწიეს, ჰაერი დაყნოსეს, ვითარება საეჭვოდ მიიჩნიეს და თავი უახლოეს სოროს შეაფარეს.

— ინადირეთ, ფარაონის მხეცუნებო, ჩვენ ზიანს არ მოგაყენებთ! — მიაძახა მონადირეებს რეზომ. — მაგრამ თუ ნიანგებს გადააწყდებით, ვერაფერს გიშველით.

ღამე ზღვაზე

დაღამდა. წითელი ზღვა ღელავდა. კაცის სიმაღლის ტალღები ხმაურით ეხეთქებოდნენ ხრიოკ ნაპირებს.

რეზოს და გივის მოეწონათ მღელვარე ზღვა და კაპიტანს სთხოვეს, ღამე ზღვაზე გავატაროთო. ანდრესმა თხოვნა შეუსრულა, მით უმეტეს, რომ ღელვაც მიწყდა. ლურჯ ტალღებში წყნარად ირწეოდა „უნივერსალი“. უჩვეულო ნათურა პროექტორივით კვეთდა წყალთა სიღრმეს და ათასობით უცნაურ არსებას იზიდავდა ანდრესის მანქანისაკენ. მერე შუქი ჩაქრა. ეკიპაჟს ეძინა.

გაუმაძღარი ზვიგენი შურით შესცქეროდა ტალღებში მძინარე ფოლადით შეჯავშნულ მეტოქეს.

შუაღამისას ნავი შეირყა. კაპიტანი რაღაც ყრუ შხაპუნმა გამოაღვიძა და მაშინვე საჭეს მივარდა. მინის მრგვალ სარკმელში გაიხედა. რაღაც ლანდები ირეოდნენ, კორპუსს ეჭიდებოდნენ და მსხვერპლის ჯიუტობისაგან ბრაზმორეულნი გოგრისოდენა თვალებს აბრიალებდნენ. გველისებური საცეცები სლიპი წურბელებივით იკლაკნებოდნენ შეჯავშნულ ნავზე, კორპუსის ორსავე მხარეს გაყოლილ ფოლადის სახელურებს ეხვეოდნენ, მაგრამ „უნივერსალი“ მიუვალი იყო.

— რვაფეხებია! — წყნარად თქვა ანდრესმა და ყმაწვილებს გადახედა. — საჭიროა ურჩხულების განდევნა, თორემ ბავშვებს შეაშინებენ. — გაუელვა თავში, რაღაც მექანიზმის სარქველი გამოაღო და ღილს თითი დააჭირა. უხილავმა დენმა ზღვის ურჩხულებს რბილ სხეულში ცეცხლის ისარივით დაუარა, მოადუნა და ზღვაში გადაყარა.

კაპიტანმა სარქველი ისევ დაკეტა და ძილი განაგრძო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თ ა ვ ი IV

ძველი და ახალი სუდანი

ცეცხლის წვიმა

— მეგობრებო, ჩვენ უკვე პორტ-სუდანში ვართ! რუკას დახედეს.

— დიდი გზა გაგვივლია, კაპიტანო! — თქვა გივიმ.

— სულ რაღაც ექვსასი კილომეტრი! — გაიცინა ანდრესმა. — მთელ გზაზე ტკბილად გეძინათ, არ გამიღვიძებიხართ, რადგანაც განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ნურც აგრე გიკვირთ, ეს სულ რაღაც წუთების ამბავია: ჩვენ მოვფრინავდით.

— „უნივერსალის“ უდიდესი ღირსება ისაა, რომ არ ხმაურობს, — თქვა გივიმ.

— ახლა დროა ნაპირზე გავიაროთ. აქ ქარი არ იცის. პორტ-სუდანი მშვენიერი ქალაქი და საუცხოო ნავსადგურია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგზაურები პალმების ხეივანს მიჰყვებოდნენ.

— როგორ საოცრად ჩქარა იცვლება ჰავა! — თქვა გივიმ.

— გეოგრაფია რომ უკეთ იცოდე, ეს ამბავი არც აგრე გაგაოცებდა, — შენიშნა რეზომ.

— ცოტა რამ ვიცი და ამიტომაც მიკვირს. ვინც არაფერი იცის, მას არაფერი უკვირს! სკოლაში მეც ისევე მესმოდა აფრიკის სახელი, როგორც შენ, ოღონდ მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ასჯერ მოსმენას ერთხელ ნახვა ჯობია.

— გეყოფათ დავა, მეგობრებო! — გაიცინა ანდრესმა. — ჩვენი პოეტის მოსაზრება ძლიერ მომწონს. როცა ექვსასი კილომეტრობით ვიწევთ სამხრეთისაკენ, ჰავა მართლაც სწრაფად იცვლება. აგერ, გუშინ შუა ეგვიპტეში ვიყავით, დღეს უკვე სუდანის მიწაზე ვართ! ადამიანმა დაიმორჩილა მანძილები. მე მწამს, ოდესმე ის ჰავასაც დაიმორჩილებს, — მიმართულებას მისცემს ქარებს, შებოჭავს ყინულს, საქმეს მიუჩენს მზის სხივებს.

წყურვილი ახრჩობს ლიბიას. თვეობით, წლობით არ მოდის წვიმა და, თუ მოდის, ჰაერშივე ორთქლდება, მიწას ვერ აღწევს ოაზისებს, ზღვას და მდინარეს ეტმასნება მოწყურებული ხალხი, როგორც ძუძუთა ბავშვი — დედის მკერდს. აი, დგას კენტად ფინიკი, სიცოცხლის წყარო. ზის არაბი ფინიკის ქვეშ და ფეხი წყალში აქვს, თავი კი — ცეცხლში. მძიმეა უდაბნოს შვილთა ხვედრი. საუკუნო ტკივილია ჩაქსოვილი არაბულ ანდაზაში: „ჯოჯოხეთის ტანჯვათა შორის პირველი ტანჯვა — წყურვილია“.

— რა უნდა გავაკეთოთ ამ უდაბნოში? — იკითხა სიცხით გამწარებულმა გივიმ, როცა „უნივერსალი“ ნუბიის ხრიოკ ველზე დაეშვა.

— კაპიტანო, ნუ გაუწყრებით, — ღიმილით მიუბრუნდა რეზო ანდრესს, — გივი ზოგჯერ იმ გამოქვაბულის ბინადართა ენაზე ლაპარაკობს, რომლიდანაც ასე გაჭირვებით გამოვიდა.

— შენი ხუმრობა მკაცრია და გონებამახვილური, ჩემო რეზო, — მიუგო ანდრესმა. — უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უდაბნოში ვერც ჩვენა ვგრძნობთ თავს სრულიად არხეინად, გივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ჩვენზე გულახდილი აღმოჩნდა. მართლაც, რა გვიდა აქ? მაგრამ აკი ადრევე გითხარით: ჩვენ ვეძებთ ფერად ანდამატს, რომელიც შეიძლება ყოველ უდაბნოში ან ტყეში აღმოჩნდეს. განა დაგავიწყდათ? მას „ცოდნა“ ჰქვია!

— ცოდნა!

ყმაწვილებმა ერთიმეორეს გადახედეს. მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რომ ანდამატში ინჟინერი ცოდნას გულისხმობდა. მაგრამ ყმაწვილებს შეუმჩნეველი დარჩათ კაპიტნის მწარე ღიმილი!

ამაოდ ეჭიდებოდნენ „უნივერსალს“ უჩინარი ბუმბერაზები: სიცხე და დუმილი. მოგზაურები თავს მაინც მხიარულად გრძნობდნენ.

— კაპიტანო, შეხედეთ — უთავო სირაქლემა! — წამოიძახა გაოცებულმა რეზომ და ქვიშის ბორცვებთან გაშეშებულ გოლიათ ფრინველზე მიუთითა.

მართლაც, სირაქლემა იდგა სულის შემხუთავ სიცხეში და თავი ქვიშაში ჩაერგო.

— აჰა, უთავო სირაქლემა? — გაიცინა ანდრესმა. — ერთი მიუახლოვდით, დაუსტვინეთ და ნახავთ, როგორ ჩქარა გახდება თავიანი! საცოდავს სიცხე აწუხებს და თავს ქვიშაში რგავს, იქნება გავგრილდეო, ის კი არ იცის, რომ ქვიშაში უფრო ცხელა.

რეზომ ჯოხი აიღო, ჭილის ქუდი დაიხურა და გარეთ გავიდა. მალე სირაქლემამ თავი წამოჰყო და მიახლოებულ ორფეხ არსებას შეუტია. რეზო არ მოელოდა თავდასხმას და დაიბნა. მისი შიში არ იყო უსაფუძვლო: სირაქლემას ერთი ფეხის დაკვრით შეუძლია დააშავოს ძაღლი და ცხენიც კი.

— ქუდი ჯოხით ასწიე! — დაუძახა ანდრესმა. — სირაქლემა თავს ესხმის მხოლოდ მასზე დაბალ არსებებს.

რეზომ ჰაერში სწრაფად აღმართა ჭილის ფართო ქუდი და სირაქლემაც შეჩერდა, თავი გაასავსავა, პირი იბრუნა და დოღის ცხენზე სწრაფად გაიქცა.

— მოვკლათ, კაპიტანო! — დაიძახა გივიმ.

— რა დაგვიშავა! — დაე, ირბინოს საბრალო მეუდაბნოემ, განსაცდელად თავისი ქვეყნის სიცხეც ეყოფა.

რეზო მორბოდა და ქვიშაში ფეხი ეწვოდა. ასე ეგონა, მალე ცეცხლი გამიჩნდებაო. „უნივერსალის“ ვენტილატორი საუცხოოდ მუშაობდა, მოგზაურები მაინც სულს ძლივს ითქვამდნენ. რაღაც უსიამოვნო განცდას იწვევდა ცივი ხელოვნური ქარი, როცა გარეთ ყველაფერი იწვოდა.

უეცრად სივრცე გავარვარებულ ალს დაემსგავსა.

ძლივს მოასწრო რეზომ „უნივერსალის“ ბორტზე ფეხის შედგმა, რომ მის გვერდით ცეცხლის ღველფი დაეცა, მას მოჰყვა მეორე, მეათე. ნუბიის უდაბნოში ცეცხლის წვიმა მოდიოდა. სივრცეს აგიზგიზებული ჩირაღდნები სერავდნენ და შხუილით ეცემოდნენ გახურებულ ქვიშაში.

— მზე გადნა და ტყვიის ნაღვენთებად იღვრება დედამიწაზე! — შესძახა რეზომ. — კაპიტანო, როგორ ახსნით ამას?

— ცეცხლის წვიმის საიდუმლოება ჩემზე ადრე სხვებმა ახსნეს, მეგობრებო. ამიტომ მე ისღა დამრჩენია, მათი ნათქვამი გავიმეორო, ესაა იშვიათი ციური მოვლენა, რომელსაც ყოველდღე ვერ ნახავთ. ცეცხლის ღველფები, ეს გავარვარებული ციური სხეულების ნაწილაკებია, რომელთა უდიდესი ნაწილი ჰაერშივე ქრება და მიწას ვერ აღწევს. ასეთი წვიმა ნახეს და აღწერეს სამხრეთ ამერიკაში ჰუმბოლდტმა და ბომპლანმა. მაგრამ ჰუმბოლდტის ჰაეროვანი ცეცხლები მშვენიერ შუშხუნებს ჰგავდნენ და მიწას ვერ აღწევდნენ.

— კაპიტანო, მწყურია! — ამბობს გივი. — რა ბედშავი ქვეყანაა!

— გეთანხმებით, — პასუხობს ანდრესი, — ბედშავი და წამებული ქვეყანაა შავი აფრიკა. ათი ათასი წელია ასე სწყურია, ზეცა კი წყლის ნაცვლად ცეცხლის წვიმას უგზავნის. აქ წყალი ძვირია, მაგრამ სამაგიეროდ, იაფია სისხლი და მას სვამენ ხარბად, სვამენ დაჟინებით — სვამენ ლომები და აფთრები, სვამდნენ ინკოზები და მაკარიკები, სვამენ თეთრი ბატონები, და ყველას ასუქებს ეს საოცარი, საღი, თბილი, შავი აფრიკული სისხლი...

რეზომ ფანჯრიდან თხელი ქაღალდი გაიწოდა. ქაღალდს ცეცხლი წაეკიდა.

— კაპიტანო! — შესძახა გივიმ. — მეჩვენება, თითქოს

„უნივერსალი“ იწვის. ჩქარა წავიდეთ აქედან, თორემ ჩვენ ფაეტონივით დავიწვებით.

— ფიქრი ნუ გაქვს, — გაიღიმა ანდრესმა. — „უნივერსალი“ და მისი მშენებელი ერთად დაიწვებიან, ოღონდ ეს დღე ჯერ არ დამდგარა. მე მინდა გასწავლოთ საფრთხის სიყვარული. როცა შენს გაფითრებულ სახეს ვუყურებ, გივი, მაგონდება ერთი ძველი ლეგენდა. მთის მწვერვალზე თვალს იტაცებდა მზის ტაძარი. მისი მშვენიერი სვეტები, ოქროსფერი შადრევნები და მოხატული კედლები მნახველს ყველა დარდს ავიწყებდა, მაგრამ ტაძრის ნახვა შეეძლოთ მხოლოდ მამაცთა შორის მამაცებს, რადგან მეხთა ქუხილი აზანზარებდა მწვერვალს და შეშინებული ადამიანები ფეხაკრეფით სტოვებდნენ მომხიბლავ სანახებს.

— მაგრამ იქ სანახაობა მაინც ყოფილა, აქ კი მხოლოდ უდაბნო და ცეცხლია!

— უდაბნოში, ცეცხლში, ცის სივრცეში და ზღვათა სიღრმეში, — ყველგან არის რაღაც მიმზიდველი და ამაღლებული. ქვეყნად ბევრია ამ მოვლენაზე სახიფათო რამ. ცეცხლის წვიმა არც ისე საშიშია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. აი, ჩვენ წავალთ, მაგრამ არა მგონია, მეორედ ვნახოთ ოდესმე ასეთი წვიმა.

„უნივერსალი“ აფრინდა. ცეცხლის ნაპერწკლები ვარდნილი ვარსკვლავებივით ეცემოდნენ მანქანის მოციმციმე კორპუსზე და ტკაცანით იქვე ქრებოდნენ. მალე „წვიმა“ სრულიად შეწყდა. ერთი საათის შემდეგ სიცხისაგან შეწუხებული და დაქანცული მოგზაურები ნილოსის მშვენიერ ველზე დაეშვნენ.

— ნუბიაში ჩვეულებრივი წვიმა თითქმის არასოდეს არ იცის, — თქვა ანდრესმა. — სამაგიეროდ, როგორც ხედავთ, იცის ცეცხლის წვიმა. მაგრამ მე ამაზე საოცარი წვიმაც მინახავს: მე ვნახე თევზის წვიმა.

ყმაწვილებს პირველად ესმოდათ ასეთი საოცრება.

— თვითონ ნახეთ? — იკითხა გივიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ცვიოდნენ ციდან გაყაყები და თევზები

— ეს მოხდა ჩემს ბავშვობაში, პორტუგალიაში, ლისაბონის სანაპირო ქუჩაზე. შუადღე იყო და უეცრად მზე დაბნელდა. ყველა შეშფოთებით მიაჩერდა დაბურულ ცას. დასავლეთიდან, ოკეანის მხრიდან, გამოჩნდა უზარმაზარი მუქი-წითელი ღრუბელი. ისე ჩამობნელდა, ქუჩებში შუქი აანთეს. მზემ რომ დააჭირა, ღრუბელი გაწითლდა და ცა ერთიანად გავარვარებულ რკინას დაემსგავსა. ყველა შიშმა აიტანა, მეტადრე მორწმუნეები და ავაზაკები, რომელთაც ბევრი სისხლი ჰქონდათ დაღვრილი: ცოდვამ გვიწიაო, ფიქრობდნენ. ამ უკანასკნელთა შიში გაძლიერდა, როცა უეცრად დაიწყო სისხლის წვიმა. ქუჩები სისხლით შეიღება. კასრები და გუბეები სისხლით აივსო. ხალხი ცახცახებდა და მეორედ მოსვლაზე ლაპარაკობდა. მაგრამ წვიმა შეწყდა, დაგუბებული სისხლი არ შედედებულა და ხალხი თანდათან დამშვიდდა. მეორედ მოსვლამ ჩაიარა.

— მართლა სისხლი იყო? — იკითხა გივიმ.

— წყალი იყო, — თქვა ანდრესმა. — მეცნიერებმა მაშინ ჭიქებში წვიმის წყალი შეაგროვეს და მიკროსკოპში გასინჯეს. სისხლის ბურთულების ნაცვლად ნახეს უთვალავი წითელი ინფუზორია. ეს პაწია ცხოველები სწრაფად დასრიალებდნენ, ერთიმეორეს ჩქმეტდნენ და ყლაპავდნენ—ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული, ოღონდ ერთ წვეთ წყალში, რაც მათთვის მთელი სამყაროა.

— თევზების წვიმა რაღა იყო? — იკითხა რეზომ.

— ახლავე გეტყვით. წითელი წვიმის წყალთან ერთად ციდან ცვიოდნენ თევზები და კიბოები. ეს შემთხვევა მრავალჯერაა შენიშნული. ბიბლიაშიაც კია ჩაწერილი, ციდან გველები და გომბეშოები ცვიოდნენო. ეს ბიბლიის ზღაპრებს შორის გარეული ერთი მართალი ამბავი ბევრს ზღაპარი ეგონა. 1822 წელს პეტერბურგში ციდან დაცვივდა მრავალი თევზი. ბევრი მათგანი პირდაპირ გრაფ პოტოცკის ეზოში მოხვდა. შოტლანდიაში არა ერთხელ ყოფილა თევზის წვიმა; ამიენში კი, საფრანგეთში, 1814 წელს საშინელმა ქარიშხალმა ქალაქი

შეაზანზარა, ამას მოჰყვა ბაყაყების წვიმა. ქარი ფანჯრებს ლეწავდა და პირდაპირ ოთახებში, სასადილო მაგიდებზე ყრიდა გველებს, ბაყაყებსა და გომბეშოებს.

— რა იწვევს ამ წვიმებს? იცის თუ არა მეცნიერებამ ამ წვიმების საიდუმლოება? — ვერ ითმენდნენ რეზო და გივი.

— ეს საიდუმლოება ცნობილია, — თქვა ანდრესმა. —ამას იწვევს არა ღმერთი ან ქაჯი, არამედ... ჩქარა „უნივერსალისაკენ!“ — შესძახა ინჟინერმა, მაგრამ უკვე გვიან იყო: ძლივს ჩასხდნენ და მანქანის კარი ბოიკეტეს, რომ „უნივერსალის“ გარშემო აღიმართა გიგანტური მბრუნავი სვეტების ტყე.

— ჩაეჭიდეთ სახელურებს! — გაისმა ანდრესის ხმა.

იმავე წამს „უნივერსალი“ მიწას მოწყდა, მაგრამ არა ადამიანების, არამედ სტიქიის ნებით.

როგორ მიფრინავდნენ ნიანგები

ამბობენ, ნიანგებსა და სირაქლემებს ფრენა არ შეუძლიათო. სირაქლემებზე კიდევ შეიძლება იდავოს კაცმა, ხოლო, რაც შეეხება ნიანგებს, ისინი იმდენად მოკლებული არიან ფრენის უნარს, რომ სწავლულებს ამაზე ლაპარაკიც ზედმეტად მიაჩნიათ. მე კი გარწმუნებთ, რომ გარკვეულ გარემოებაში ნიანგებს ფრენა შეუძლიათ. აი, ნახავთ.

მოგზაურებმა გაელვებასავით შენიშნეს რაღაც მუქი მბრუნავი სვეტები, რომლებიც იგრიხებოდნენ, იკეცებოდნენ და თითქოს მიწიდან ადიოდნენ ცაში. ნამდვილად ეს იყო ნისლოვანი ძაბრები. ისინი ღრუბლებიდან დასწვდნენ მიწას და ყველა საგანი, რასაც შეეხნენ, აიტაცეს, ბზრიალასავით დაატრიალეს. ღრუბლებიდან დაშვებულ ქარიშხლის ძაბრს მიწიდან ეგებებოდა მეორე ასეთივე სვეტი, რასაც დაპირქვავებული ძაბრის ფორმა ჰქონდა, ორივე ეს ძაბრი ერთმანეთს უერთდებოდა და შეადგენდა რაღაც ჯადოსნურ ბზრიალას. იგი თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავდა, ძირფესვიანად გლეჯდა ხეებს და აჰქონდა ასობით მეტრის სიმაღლეზე. ორმა სვეტმა ნილოსის ტალღებს გადაუარა, საოცარი ძალით აიტაცეს ამ

სვეტებმა წყლის უზარმაზარი მასა და ღრუბლებამდე ცისფერ ბოძებად აღმართეს. დანარჩენი ძაბრები ქვიშაზე მოხვდნენ და უეცრად აზიდეს ქვიშის სვეტები, რომელთა ძირი ას მეტრზე მსხვილი იყო და მიწაზე იდგა, ხოლო კენწეროები ვულკანის ყელივით ბოლავდნენ სადღაც შორს, ცის სივრცეში. სვეტებს შორის თითქოს ნიავიც არ ქროდა. ჰორიზონტზე ჩამოწვა ბოლის მსგავსი მუქი საავდრო ღრუბელი. საოცარი ის იყო, რომ ეს მბრუნავი სვეტები ელვის სისწრაფით მოძრაობდნენ და უზარმაზარ მორბენალ ხეებს ემსგავსებოდნენ. ერთმა ამგვარმა ხემ შხუილით გადაუარა „უნივერსალს", დაიხვია, დაატრიალა და სივრცეში აიტაცა. ეს მოხდა ისეთი სისწრაფით, რასაც ჩვეულებრივ ადამიანის გონება ვერ სწვდება. წყალი, მტვერი, მცენარეთა ტოტები, შლამი და ნიანგები, — ყველაფერი ერთმანეთში აირია, ყველას ერთად მიაქროლებდა უხილავი ძალა.

უნებური გასეირნება სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. მბრუნავი სვეტის უჩინარმა ხელმა „უნივერსალი" მღილივით შეატრიალა და შორს, აღმოსავლეთის უდაბნოებისაკენ გაიტაცა. ანდრესმა მხოლოდ აქ ჩართო ძრავა. „უნივერსალი" უჩვეულო ძალით შეტოკდა, გაუსხლტა მბრუნავ სვეტს და თავისუფალ სივრცეში შეცურდა. მას უკვე ადამიანის ხელი მართავდა. მალე გრიგალმაც გადაიარა და „უნივერსალის" ეკიპაჟმა ნახა ხრიოკ ქვიშაზე ტოტებს შორის დავარდნილი ორი ნიანგი. ხუთმეტრიანი ხვითქები სასაცილოდ იგრიხებოდნენ და ცდილობდნენ ქვიშაში ჩაფლობას.

— საცოდავებს ჰგონიათ, რომ უდაბნოს ქვიშაში წყალს იპოვნიან! მაგრამ ეს ლიმპოპოს ჭაობი როდია!—თქვა ანდრესმა. — ქარიშხალმა გაგცათ პასუხი თქვენს კითხვებზე. ეს იყო ტრომბი ანუ ტორნადო, თბილი ქვეყნების თავისებური გრიგალი, ქართულად „ბორბალ-ქარი". მისი ბრუნვის სიჩქარე წამში ას მეტრამდე აღწევს. ამიტომ აქვს ნგრევის უდიდესი ძალა, რამაც ბუმბულივით აიტაცა „უნივერსალი". მხოლოდ ატომის ენერგიამ დაგვიხსნა განსაცდელისაგან.

— რომ არ გავსხლტომოდით, რა მოგვივიდოდა? — იკითხა გივიმ.

— ეს ტრომბის ხასიათზე იქნებოდა დამოკიდებული, — გაიღიმა ანდრესმა.. — მას შეეძლო უვნებლად დავესვით სადმე უდაბნოში, შეეძლო დავენარცხებინეთ სადმე კლდეზე. ასე მოხდა ერთხელ ამერიკაში: ბორბალ-ქარმა აიტაცა საცხოვრებელი სახლი და ასი მეტრის დაშორებით დადგა. მეორედ ასწია ათასექვსასკილოგრამიანი სიმძიმით დატვირთული ალალი, გადაიტანა ღობეზე და ოცი მეტრის დაშორებით უვნებლად დატოვა. ყოფილა შემთხვევები, რომ ასეთ გრიგალს ადამიანები გაუტაცნია და უვნებლად დაუსვამს.

— ახლა მესმის, საიდან ჩნდება ბაყაყების წვიმა! — წამოიძახა რეზომ.

— ასეთი „ბორბალ-ქარი“ ხშირია ზღვაზეც და ხმელეთზეც, — განაგრძო ანდრესმა. — როცა ის ოკეანეზე ჩნდება, წყლის სვეტები ღრუბლებს სწვდებიან. ხმელეთზე ბორბალ-ქარი ზოგჯერ გადაუვლის ტბას ან გუბეს, რომელიც ბაყაყებითაა სავსე, მთლიანად შეიწოვს წყალს თავისი მობინადრეებიანად, გაატარებს მათ მთებსა და ველებს და რომელიმე სხვა მხარეში ჩამოუშვებს. ასე ჩნდება „ღვთის რისხვა“, ბაყაყებისა და გველების წვიმა.

— კაპიტანო, მე მესმოდა რაღაც ტკაცუნი „უნივერსალის“ კედლებზე, — თქვა გივიმ.

— ალბათ შიშით ყურები გიბჟუოდა, — მიმართა რეზომ.

— ცდები, რეზო! — თქვა ანდრესმა. — ტკაცუნი ნამდვილად ისმოდა. ეს იყო ელექტრონის მუხტები, რაც უმეტესად ხმელეთის „ბორბალ-ქარში“ შეინიშნება.

ამ საუბრის დროს მოგზაურები თვალს არ აშორებდნენ „მფრინავ ნიანგებს“, როგორც მათ გივიმ უწოდა.

— სულ რომ ყალბ ცრემლებს ღვრიან, ერთხელ მაინც იტირონ გულწრფელად! — შენიშნა რეზომ.

— ჰო, საკუთარ თავს ნიანგიც გულწრფელად იტირებს,— დაეთანხმა კაპიტანი, საჭესთან დაჯდა და ნიანგებს მიუბრუნდა:

— გისურვებთ კარგად მოწყობას ახალ სამოსახლოში, ჯავშნოსანო რაინდებო! ვწუხვარ, რომ ვერაფრით დაგეხმარებით, რადგანაც „უნივერსალის“ ყველა ბილეთი გაყიდულია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო და გივი გულიანად იცინოდნენ. „უნივერსალი“ ძიწას მოწყდა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაფრინდა.

ნიანგები კი დარჩნენ ნუბიის უდაბნოში.

დანაღმული ჯუნგლები

დინჯად მიედინებოდა მარადმწვანე ხეივანში ნადავლიანი ლურჯი მდინარე. მდორე ტალღებში წყნარად ირხეოდა ბაობაბის — ტყეთა გოლიათის ჯადოსნური ჩრდილი. საზღაპრო ფრინველთა ჟრიამული აცოცხლებდა ათასწლოვან ტყეს. ფერადი თუთიყუშები და თითისტოლა ნექტროსნები მფრინავ ყვავილებს ჰგავდნენ. დროდადრო მოისმოდა აფთრების ხარხარი, ლომის ღრიალი ან განწირული მსხვერპლის უკანასკნელი ხროტინი. ხშირ შამბნარში გატრუნული ქერა-ყვითელი ლეოპარდი აბეზარ მაიმუნებს უთვალთვალებდა, გიგანტური ხის ტოტებიდან ლიანებთან ერთად მახრჩობელა გველის ცხრამეტრიანი ცივი სხეული ეკიდა. ათასნაირი ყვავილებით დამშვენებულ ზღაპრულ ხეებს ნელი ტროპიკული სიო არხევდა. ეს იყო ბუნების დიადი ბაღი, რომლის ყოველ ბუჩქთან ჯოჯოხეთური საფრთხე იმალებოდა. „ტყე დანაღმულია!“ — ხუმრობდა ანდრესი.

აი, მდორე ტალღებში ხავსმოდებული მორი ირხევა. ასეთი დამპალი მორები მრავლადაა ყოველ უსიერ ტყეში და ჯუნგლების მდინარეშიაც მისი რხევა არავის უკვირს. საოცარი მხოლოდ ის არის, მათგან განსხვავებით ეს მორი მდინარებას კი არ მიჰყვება, არამედ ნელა მოიწევს განზე, ნაპირისაკენ.

მდინარის პირას ბექობია და მისი მწვერვალიდან თავის ჭაობიან სამეფოს ამაყად ზვერავს წყლის თხად წოდებული დიდებული პირუტყვი. ერთი შეხედვით ირემს მოგაგონებთ და სიდიდითაც ირმის ტოლია, მაგრამ კუდი ვირისა აქვს და რქები არჩვისა. — ოღონდ მაღალი, მთელს სიგრძეზე მსხვილი რგოლებით მოჭედილი და წინისაკენ დახრილი, რის გამოც შორიდან ხრახნებს ემსგავსებიან. გარშემო რამდენიმე ასეთივე „თხა“ დასეირნობს. ეს არის ერთ-ერთი იშვიათი, უფიცხესი და უძლიერესი ანტილოპა.

ანტილოპა ჩლიქოსანია. ეს აფრიკის ფაუნის ერთი ულამაზესი და თანაც ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენელია. რა სახისას და სიდიდისას არ შეხვდებით! ზოგი ბატკანს არ აღემატება, ზოგიც ხარისოდენაა. ზოგი თხას ჰგავს, ზოგი ცხენს; ზოგი პატარაა და უზარმაზარი რქები აქვს, ზოგიც გოლიათია და შედარებით პატარა რქებით კმაყოფილდება; ზოგი გაშლილ ველებზე ცხოვრობს, ზოგი ულრან ტყეში, ზოგიც ჭაობებში ბინადრობს და მტრის გამოჩენაზე აქაფებულ ტალღებში გადაეშვება, რადგან საუცხოოდ ცურავს.

ჩვენშიც არის ანტილოპის ორი სახეობა — არჩვი და ქურციკი.

ჯუნგლებში ჯადოსნური დუმილი სუფევდა. თვით ნადირთა მეფე, თითქოს ხმაურს ერიდებაო, თითის წვერებზე დადიოდა თავის მრისხანე სამფლობელოში. სიკვდილის ჯაჭვით შეკრულ უსიერ ტყეში ერთადერთი არსება გრძნობდა თავს სრულიად უშიშრად. ეს იყო „უნივერსალი". ინჟინერი ანდრესი შეჰხაროდა თავის უზადო მანქანას.

უნივერსალელები შორიდან ზვერავდნენ ბექობზე მდგარ ლამაზ პირუტყვებს. მათი არც ტყავი არგებდათ, არც ხორცი, უბრალოდ ტკბებოდნენ ბუნების წიაღში მონავარდე ნებიერი ცხოველების ცქერით. ამ ანტილოპის ხორცი ისეთი ძარღვიანი და ავსუნიანია, რომ მშიერი კაფრებიც არ ეკარებიან. სამაგიეროდ, არიან ქვეყნად არსებები, რომლებიც ჭაობის თხის ხორცს არ იწუნებენ. ეს ალბათ არ იცოდა ბექობის თავზე მდგომმა გუნდის მეთაურმა, მსუბუქად ჩამოირბინა ფერდობი და წყალში შეტოპა. წყურვილი რომ უკეთ მოეკლა, წინა ფეხებით შედგა დახავსებულ მორზე, რომელიც ახლა უკვე ნაპირთან ირწეოდა.

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ნაღმი! უეცრად ეს მორი გაცოცხლდა, ამოძრავდა, წყალი ააქოთა. ვიდრე ანტილოპა გონს მოვიდოდა, მისი ლამაზი პირი უკვე ფოლადის მუხრუჭებში იყო მომწყვდეული. საბრალო პირუტყვს ნილოსის ნიანგი მიათრევდა ფსკერისაკენ, რათა იქ მისთვის სამუდამოდ მოეკლა წყურვილი! ეს ნიანგი არ ეკუთვნოდა გიგანტების რიცხვს და მისთვის ადვილი არ იყო ასეთი ღონიერი პირუტყვის დამორ-

ჩილება. ანტილოპა წინა ფეხებზე სვეტივით დაესო და მთელი ძალით გაიწია უკან, ხმელეთისაკენ. რამდენიმე წამი უხმაურო ჭიდილში გავიდა. ქვეწარმავალი წყლის სიღრმეში მიეზიდებოდა გაუფრთხილებელ პირუტყვს, ის კი ხმელეთზე ხედავდა ერთადერთ ხსნას. იყო მომენტი, როცა ანტილოპამ კიდევაც გამოათრია ნაპირზე ამ ჯავშნიანი ურჩხულის წინა მხარე, მაგრამ ნიანგმა მძლავრად დაჭკრა კუდი ნილოსის ტალღებს და ამ დარტყმით ისეთი საყრდენი ძალა მიიღო, რომ ერთბაშად სანახევროდ შეათრია მდინარეში თავისი მსხვერპლი, თან ბეეცადა, წყალში გაჩერებით სუნთქვის საშუალება მოესპო მისთვის. სწორედ ეს სამძიმო მდგომარეობა სცლიდა ძალ-ღონისაგან ანტილოპას იმ დროს, როცა ნიანგი თავის სახლში თავს არხეინად გრძნობდა. ამაოდ ცდილობდა ჭაობის თხა ბასრი რქების გამოყენებას. ბრძოლა სამწუხარო დასასრულს უახლოვდებოდა.

— კაპიტანო, დავიხსნათ! — შესძახა სუნთქვაშეკრულმა რეზომ.

— ვერაფერს გააწყობ! — სინანულით თქვა ანდრესმა.— ნიანგს რაც უჭირავს, კარგად უჭირავს. მაინც ვნახოთ, — ამ სიტყვებზე „უნივერსალით“ ბრძოლის ადგილს მიუახლოვდა და რევოლვერი მოიმარჯვა.

მაგრამ აქ რაღაც მოხდა. სანახაობით დაპყრობილმა ადამიანებმა ვერც კი შენიშნეს, როგორ გაჩნდა გასაჭირში მყოფ ვაცთან მისი ერთგული მეუღლე. იშვიათი ამბავი დატრიალდა. იმ დროს, როცა სხვებმა ყურები ცქვიტეს და ბრძოლას მუნჯი შეშფოთებით აშტერდებოდნენ, ამ ერთმა თავი გამოიდო, გაშმაგებით შეიჭრა სისხლით შეღებილ ზვირთებში და ვერაგ მტაცებელს ქვემოდან ელვის სისწრაფით ამოჰკრა წვეტიანი რქები. კიდევ ორჯერ თუ სამჯერ გაიმეორა ანტილოპამ იგივე და ბრძოლაც დამთავრებული იყო. ნიანგმა უმწეოდ დააღო პირი და გულიდმა გადატრიალდა. მთელი გულმკერდის არე დაფლეთილი ჰქონდა. ეტყობოდა, რქა შიგ გულში მოხვედროდა. დაჭრილი ანტილოპა ტალღებში წაბარბაცდა, დაეცა, წამოდგა, ძლივს მიაღწია ნაპირს და მიწაზე დაემხო. მისი ყოველი ძარღვი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა.

მხსნელმა მეგობარი ფრთხილად დაყნოსა და გაეცალა. სამინელ სიკვდილს გადაარჩინა მეუღლე „ჭაობის თხამ“.

— ერთი ნაღმი აღებულია! — თავისუფლად ამოისუნთქა რეზომ.

— მაგრამ ვინ იცის, რამდენი ასეთი ნაღმი დარჩა შეუმჩნეველი! — გაიღიმა ანდრესმა და რევოლვერი შეინახა.

შავი ჯუნგლების ლაქებიანი კატა

„უნივერსალი“ მდინარის აღმა მიცურავდა. ასუანიდან ხართუმამდე ნილოსზე ექვსი დიდი ჭორომია. მანქანამ ოსტატურად დააღწია თავი ოთხ საფრთხეს და სამხრეთის მხარეს მიარღვევდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მდინარის ზვირთებს. ახდილი სახურავიდან მოგზაურები უსიტყვოდ ათვალიერებდნენ ბუნების მომხიბლავ სურათებს. ყვითელი კლდეების მტკიცე კედლებს შორის წყნარად მიედინებოდა დიდი ნილოსი.

— აი, ნამდვილი აფრიკა! — თქვა გივიმ, რომელიც მღელვარებას ვერ ფარავდა. — სწორედ ასეთი იყო ჯუნგლები ჩემს წარმოდგენაში.

— უნდა ვეცადოთ საგანთან ახლოს მისვლას, — წარმოთქვა ანდრესმა.

კიდევ უნდოდა რაღაც დაემატებინა, მაგრამ რეზომ შეაწყვეტინა:

— არც მეტისმეტად ახლო მისვლა ვარგა, კაპიტანო! გახედეთ იმ ხეს.

ტოტზე იწვა მშვენიერი და უზარმაზარი წინწკლებიანი კატა, კუდს მოუსვენრად ათამაშებდა, თან ბრაზმორევით ღრინავდა: „ჰურრა-ახ!“.

ეს იყო ლეოპარდი; მრისხანე ნადირი მწვანე თვალებით ხვრეტდა ადამიანებს და ნახტომს ზომავდა, მაგრამ ტყვიამ დაასწრო. ანდრესმა სამჯერ ისროლა. „ჩხრაუ!“ — დაიღმუილა მხეცმა, ტოტზე დაეკიდა და ნილოსის ტალღებში გადავარდა. რომელიღაც ფრინველს ეუცხოვა იარაღის ხმა, დაიწივლა და ტყის სიღრმეს მიაშურა.

ეს იყო ჩვენი მოგზაურების პირველი გასროლა ეფრიკის მიწაზე.

— მტაცებელია, ვერაფერს გააწყობ! — თქვა ანდრესმა და რევოლვერი უბეში შეინახა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეოთხე ტყვია დაიმსახურა ნიანგმა, რომელიც სხვისი ნადავლისაკენ — მოკლული ლეოპარდისაკენ პირდაღებული მიიწევდა: ჯუნგლებში ნადავლი მისია, ვინც მას ძალით დაისაკუთრებს. ნადირი ნაპირზე გამოათრიეს და გაატყავეს. ოქროსავით ბზინავდა ყვითელი ბეწვი, რომელიც დიდრონი შავი ლაქებითა და რგოლებით იყო მოფენილი.

— ეს აფრიკული ლეოპარდის იშვიათი ნიმუშია, — თქვა ანდრესმა, როცა ტყავი „უნივერსალში" გადაიტანეს. — ის თვითონ ვეფხსა და ლომზეც ლამაზია მის ინდოელ მოძმეს პანთერას ეძახიან, კავკასიურს — ავაზას, ამერიკულს — იაგუარს. ყველა მათგანი ერთიმეორის მსგავსი კატისებრთა ოჯახის მტაცებელია. იაგუარი საუცხოოდ ცურავს წყალში, გადის ხეზე და ეხამება გარემოს. ინდოეთში პანთერა ვეფხზე უფრო საშიშ ნადირად ითვლება: მოურიდებლად იტაცებს ბავშვებს, თავს ესხმის შეიარაღებულ ადამიანებს, გლეჯს პირუტყვს. ყოველწლიურად ინდოეთში სამასამდე ადამიანი იღუპება ამ საშინელი კატის კლანჭებში. წარმოიდგინეთ, ერთმა საშინელმა ლეოპარდმა ინდოეთში, რუდრაპრაიაგის მხარეში, ასობით ადამიანი შეჭამა. თხას და ძროხას კლავდა და არ ეკარებოდა, ადამიანს კი ჭამდა. შეიპარებოდა სახლებში, შეამტვრევდა კარ-ფანჯარას და მიათრევდა ქალს ან კაცს, ტანისამოსს შემოაგლეჯდა და ჭამდა. რვა წელი მძვინვარებდა ეს ზღაპრული კაციჭამია, ვიდრე მამაცმა მონადირემ ჯიმ კორბეტმა არ მოკლა ერთადერთი ზუსტი სროლით. დიდი ინდოეთი დღესაც პატივსა სცემს კორბეტს, რომელმაც საზარელ სიკვდილს გადაარჩინა ასობით უმწეო ადამიანი.

— კაპიტანო, კორბეტი ცოცხალია? — დაინტერესდა ბივი.

— ცოცხალია, — მიუგო ფიქრის შემდეგ ანდრესმა. — კაცობრიობის კეთილისმყოფელებს სიკვდილი არ უწერიათ.

— ლეოპარდის მოთვინიერება ხერხდება? —იკითხა ახლა რეზომ.

— ყოველი ცხოველის მოთვინიერება ხერხდება, მათ შორის ნიანგისაც კი. რაც შეეხება ლეოპარდს, გულმოდგინე ცდის შედეგად ისეთი თვინიერი ხდება, ადამიანი სრულიად უხიფათოდ შედის მასთან, ეფერება და ძაღლივით ატარებს ბაწრით, ის კი მხოლოდ კრუტუნებს კატასავით და ყურადღებასაც არ აქცევს ადამიანებს, მხოლოდ ძაღლების დანახვაზე კრუტუნს წყვეტს, შეუპოვრად მიაჩერდება და მზად არის ეცეს გაოცებულ მოწინააღმდეგეს. ცნობილია უფრო ჯიუტი ლეოპარდებიც. ლეოპარდი, რომელიც სახელოვან ბრემს აფრიკაში მიაბარეს, სრულიად მოუთვინიერებელი გამოდგა. არაფერმა არ გაჭრა. გალიაში რომ ღმუილს დაიწყებდა, ნადირები ცახცახებდნენ. თვითონ ლომი მრისხანედ შესცქეროდა თავის გაგიჟებულ ქვეშევრდომს. ლეოპარდი ბრაზობდა, თვალებს ველურად ატრიალებდა, გიჟდებოდა, იარაღის დანახვაზე ბრჭყალებს აჩენდა, მიახლოებაზე შესახტომად ემზადებოდა. სიკვდილითა და დაფლეთით ემუქრებოდა ყველას... ასეთია ჯუნგლების პირველი ბინადარი, რომელთან შეტაკებაც ჩვენ მოგვიხდა. რეზოს მახვილმა მზერამ ხიფათს გადაგვარჩინა ყველანი. ფხიზლად ვიყოთ, მეგობრებო, ნილოსის ხეობა ვარაზის ხევი როდია!

პირველი ღამე ჯუნგლებში

„უნივერსალის“ ეკიპაჟი მეოთხე ღამეს ათევდა აფრიკაში. კოლოები პირდაპირ ყურებში ძვრებოდნენ. ულრან ტყეში სიცოცხლე დუღდა. ჯუნგლების დღე მაშინ იწყება, როცა ჩამავალი მზე ოქროსფერი სხივებით უკანასკნელად მოავარაყებს მაღალ ხეთა კენწეროებს. ამ დროს გამოდის ლომი სანადირო ბილიკებზე. მოწყურებული სპილოები და მოუხეშავი მარტორქები გზას მიიკვლევენ ტბისაკენ, ბეჰემოთი ხუნდისოდენა დრუნჩით ჭაობის წყალში ბუყბუყებს, მეჭეჭებიანი ტახი ყრუდ ღრუტუნებს.

ერთხანს ტყეში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არაფრად მიიჩნევთ საშინელ ხრინწიან კონცერტს, რაც გამოუცდელ ადამიანს თმას ყალყზე დაუყენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აფთრებია თუ კატები? — იკითხავდა მობუზული გივი.

— აფთრებიცაა და კატებიც, — იცინოდა ანდრესი. — მაგრამ მათ მხოლოდ ჩვენს სმენას შეუძლიათ მიაყენონ ზიანი თავიანთი უგემური მუსიკით. სხვა მხრივ აფთრები არც ჯადოქრებია და არც ქვესკნელის ავი სულები, როგორც ეგონა ყველა ხალხს, ვისაც მათთან საქმე ჰქონია. იძინე!

ჩხავილი და ხარხარი უეცრად შეწყდა. „უთუოდ ლეში იპოვნეს ჯუნგლების მუსიკოსებმა“, —ჩაილაპარაკა ანდრესმა.

— ასეთი მუსიკისათვის ლეშიც უხვი გასამრჯელოა! — წაიბუზღუნა რეზომ და თავი ძილს მისცა.

დაღლილ მოგზაურებს მალე ჩაეძინათ. ღამის თორმეტ საათზე გაისმა ლომის საზარელი ღრიალი. ეს იყო მძლავრი მკერდის სიღრმიდან ამოხეთქილი ქუხილი, რაც გრგვინვას ჰგავდა. ამას მოჰყვა ხველების მსგავსი ბგერები: „ჰუფფ!“ „ხრრაუ!“ ასე გამეორდა სამჯერ. ტყე შეირყა. სიცოცხლე წამით გაიყინა. მიწყდა ლეოპარდის ღრენა, ბეჰემოთის ფეხის ხმა. სამარისებურ დუმილში, რაც ამ ღრიალს მოჰყვა, უეცრად გაისმა გაქცეული ანტილოპების ფრუტუნი, ტურების წკმუტუნი, მაიმუნების ჭყივილი და რომელიღაც მძიმე ნადირის ფეხქვეშ დამსხვრეული ტოტების ლაწანი.

რეზოს და გივის პირველსავე ღრიალზე გამოეღვიძათ და შიშით გული შეეკუმშათ. ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდნენ, თუ რომელიმე ცოცხალ არსებას ასეთი ხმის გამოცემა შეეძლებოდა. ტყე თითქოს შეზანზარდა, ხოლო „უნივერსალის“ ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყეს.

— ჯუნგლების მეფე სანადიროდ მიბრძანდება, — თქვა ღიმილით ანდრესმა. — ინჟინრის სახეზე ძარღვიც არ შეტოკებულა.

მთვარე შუა ცაზე იდგა გაბადრული სახით და მოგზაურებს ჰქონდათ ბედნიერი შემთხვევა დამშვიდებით ენახათ, თუ რა ხდებოდა ღამით სუდანის ტყეში.

— არაბულად ლომს ეძახიან „რაად“, რაც ნიშნავს: „მეხი ქუხს“ — თქვა ანდრესმა. — მართლაც, ბეჰემოთის გარდა, ლომივით ზარდამცემ ხმაზე ღრიალი არც ერთ ნადირს არ შეუძლია. ამბობენ, სირაქლემაც ასე ღმუისო, მაგრამ სირაქ-

ღემა ი'ვიათად ღმუის და ბევრიც რომ იღრიალოს, მისი არა-
ვის ეშინია. სულ სხვაა ლომი. ბრაზმორეული შედგება, თავს
მიწამდე დახრის და საბრძოლო ღრიალით აუწყებს თავის
ქვეშევრდომებს — მიფრთხილდით, მოვდივარო! — ასე ხსნი-
ან არაბები ლომის ღრიალს, მაგრამ ეს ფრიად გულუბრყვილო
და შემცდარი აზრია. მთელი თავისი ძლიერებისა და სილამა-
ზის მიუხედავად ლომი მაინც სისხლისმსმელი ნადირია და
მისგან შებრალებას აბა ვინ უნდა მოელოდეს. მქუხარე ხმით
იგი თავზარსა სცემს თავის მსხვერპლს და გაქცევის ხალისს
უკარგავს მას. მართლაც, ამ ხმის გაგონებაზე ნადირთა სამეფო
ადგილზე ქვავდება, ყველა თრთის და ვერავინ არკვევს, საი-
დან ისმის ლომის მუქარა... ხედავთ? აგერ, კამეჩი გარბის!..
მარტორქა ფრუტუნებს... აგერ ტურა, ლომის მზვერავი: წინ
უძღვის მეფეს და საკბილო ნადირს უჩვენებს.

თავბრუდამხვევი ნახტომით ლომი ფრინველივით გადაევ-
ლო თავს სამი მეტრის სიმაღლეზე გახორგილ ტყის ნალეწებს
და მხრებში ჩააფრინდა კარგა მოზრდილ გარეულ კამეჩს. გაი-
მართა სასტიკი, მაგრამ ხანმოკლე ბრძოლა. მალე გაისმა ლო-
მის ყრუ ამოძახილი, მერე მსხვერპლის საშინელი გმინვა და
ხრიალი, რასაც მოჰყვა გამარჯვებული მონადირის მრისხანე
ღრენა. მხარში მძლავრი თათის პირველივე დაკვრით დასცა
კამეჩი, დრუნჩში თათი ჩაავლო, თავი მოულრიცა, კისრის მა-
ლები გადაუმტვრია და ახლა კბილებით გლეჯდა, ფლეთდა.
წამით მიყუჩდა, ზედ დააწვა მსხვერპლს, მერე მოსცილდა,
თითქოს მშვიდად სიკვდილი დააცალა. კამეჩმა მოძრაობა შეს-
წყვიტა, ახლა ლომმა ისევ ჩაავლო კბილები, მსუბუქად გა-
დაიტანა სხვა ადგილზე და შეუდგა ვახშმობას.

— კაპიტანო! ნუთუ დაუსჯელად დატოვებთ? — ვერ მოი-
თმინა ლომის ზეიმი გივიმ. — ესროლეთ!

— რა საჭიროა ზედმეტი სროლა! — გაიღიმა ინჟინერმა.—
ლომი ნადირთა მბრძანებელია, მასაც ხომ ჭამა უნდა! ადამიან-
მა ის ისედაც შეავიწროვა და თითქმის უკვე განდევნა აფრი-
კის ჩრდილო სანაპიროებიდან. ძველ რომში სცენაზე ერთ-
დროულად გამოჰყავდათ ასობით ლომი. პომპეოსმა ექვსასი
ლომი გამოიყვანა, კეისარმა — ოთხასი. ახლა მათი რიცხვი

ძლიერ შემცირდა. არის შემთხვევები, რომ აფრიკელებიც ლომებს ყიდულობენ გერმანიაში. მე არ დავარღვევ ტყის მყუდროებას. მაგრამ, თუ გნებავთ, ნადირთა მეფეს შევხედოთ „უნივერსალის“ თვალით.

ამ სიტყვებზე ინჟინერმა შუქი ჩართო და პირდაპირ ლომს მიანათა. ნადირმა სწრაფად ასწია თავი და თვალები მიაპყრო „თავხედ არსებას“. უჩვეულო სინათლით დამფრთხალმა პირი იბრუნა და ტყეს მისცა თავი.

— აი, როგორ გაიფანტა „უნივერსალის“ შუქზე ზღაპარი ლომის უძლეველობისა და უშიშრობის შესახებ! — თქვა ანდრესმა.

ლომი აღარ გამოჩენილა.

ვერც ერთმა ნადირმა ვერ გაბედა ლომის ნანადირევთან მიახლოება.

ნახევარი საათის შემდეგ ტყეში ჩვეულებრივი ცხოვრება განახლდა. ზოგი თავს ესხმოდა, ზოგი თავს იცავდა. იღვრებოდა სისხლი და პასუხს არავინ აგებდა! ასეთია ტყის კანონი.

— მკვდარი უნდა იყო, რომ ასეთ ღამეში მშვიდად გეძინოს! — თქვა რეზომ, რომელსაც ძილი სრულიად გაუკრთა.

— რაკი ასეა, — გაიცინა ანდრესმა. — დროს უქმად ნუ დავკარგავთ და ცოტა კიდევ გავიხსენოთ ლომების ცხოვრებიდან.

ყმაწვილები სმენად იქცნენ.

— ძველმა ხალხებმა ლომს თავიდანვე უწოდეს ნადირთა მეფე. მართლაც, თავისი ღონით, სილამაზით, სისწრაფით თუ მოხერხებით ის სავსებით იმსახურებს ამ წოდებას. ლომს აქვს დიდებული, რაღაც მეფური გარეგნობა. ეს სიდიადე უფრო გამოჩნდებოდა, რომ მუდამ თავაწეული დადიოდეს, მაგრამ თავი უმეტესად დახრილი აქვს და მხოლოდ ძლიერ ნადირთან ან ადამიანთან შეხვედრისას იღებს იმ საომარ იერს, რაც სურათებზე აქვს. ამ იერს აძლიერებენ ცეცხლივით მოელვარე თვალები და მშვენიერი ფაფარი, რითაც დაფარულია ხვადი ლომის თავი, კისერი და მკერდი. ძუ-ლომს ფაფარი არა აქვს. ლომის სიმაღლე მხრებთან მეტრზე მეტია, სიგრძე კუდის ჩათვლით—სამ მეტრამდე, წონა კი ორას კილოგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამამდე ხშირად ლომი კენტად დადის, ხანაც ორ-ოთხი იყრის თავს, თუმცა ათი-თორმეტიც უნახავთ ერთად. ჩვეულებრივ ღამით ნადირობს, დღისით იმალება და მისი გვარისათვის შეუფერებელ სიმხდალეს იჩენს. სამაგიეროდ, შეღამების შემდეგ დინჯად უახლოვდება დასახლებულ ადგილებს, ღრიალით აძრწუნებს ადამიანებს, თავზარსა სცემს ძაღლებსა და საქონელს. შემოღობილში პირუტყვი ერთად შექუჩდება და ცახცახით ელის მოძალადეს, ლომი დამშვიდებით გადახტება სამი მეტრი სიმაღლის ღობეზე, სრულიად იოლად ყელს გამოღადრავს ძროხას ან ორწლიან მოზვერს და თავის ბუნაგში მიაქროლებს. ერთხელ ამგვარად დატვირთულ ლომს ორი ცხენოსანი დაედევნა და ვერ დაეწია. მისი შეჩერება მხოლოდ ტყვიას შეუძლია.

ლომის გამოკვება ადვილი არ არის. ერთ ოლქში სამოცი ლომი ცხოვრობდა. ერთ წელიწადში მათ დაგლიჯეს ათი ათასი თავი მსხვილფეხა საქონელი. არაბები უძლურნი იყვნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ცრუმორწმუნე მწყემსები მოლებისაგან ყიდულობდნენ ქაღალდის ნაგლეჯებს, რომლებშიაც არაბთა საღვთო წიგნიდან ამოღებული სიტყვები ეწერა და ამ ქაღალდებს ღობეზე აკრავდნენ, მათ სჯეროდათ, ამ წმინდა ქაღალდის დანახვაზე ლომი უკან გაბრუნდებაო. თუმცა არავის უნახავს უკან მშვიდობიანად გაბრუნებული ლომი.

— კაპიტანო, ესხმის თუ არა თავს ლომი ადამიანს? — იკითხა გივიმ.

— ადამიანს ყოველი ნადირი გაურბის. მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მას თავს ესხმის მრავალი ნადირი, მათ შორის ლომიც. თავისი სანადირო ბილიკებით რომ მიდის, ლომი ჩვეულებრივ გლეჯს ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც ამ გზაზე ხვდებიან. ეს დამოკიდებულია დროსა და განწყობილებაზეც. ბუშმენებს და სხვა ველურ ტომებს არა ერთხელ იოლად გაუგდიათ მშიერი ლომი და მის ნანადირევს თვითონ დაუფლებიან. მაგრამ არიან ლომები, რომლებიც უშიშრად ესხმიან თავს ადამიანებს. ბრემის თქმით, სამხრეთ-აფრიკის ყველა მტაცებელ ნადირთა შორის ადამიანს ყველაზე უფრო ხშირად ლომი ესხმის თავს. თუ ლომმა კუდი სამჯერ მოიქნია, ეს იმისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტყუარი ნიშანია, რომ მეოთხედ ნახტომს გააკეთებს. უფრო საშიშია ბებერი ლომი, რომელიც სხვა ნადირებს ველარ ერევა. მაშინ ის იწყებს ადამიანების ჭამას. აფრიკელები ლომის მიერ დაგლეჯილი ნადირის ნარჩენებზე ატყობენ, თუ ლომი ბებერია და იტყვიან: კაციჭამია იქნებაო!

ბევრი გამოცდილი მონადირე ამტკიცებს: არასოდეს ლომი პირველი არ დაგესხმის თავსო, გამოცდილ მონადირეებს პატივსა ვცემ, მაგრამ ასეთი ვარაუდი არ მართლდება.

თეოთონ ლივინგსტონი წერს: „უფრო ადვილად შეიძლება ლონდონის ქუჩებში გაისრისოთ, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში ლომმა შეგჭამოთო“. მაგრამ მან თვითონ გამოსცადა ლომის თავაზიანობა. ყოველ შემთხვევაში, ის დაჭრილ ლომს არ გულისხმობდა.

დაჭრილი ლომი ყველა სხვა ნადირზე საშიშია. ასობით მონადირე დაუფლეთია სასიკვდილოდ დაჭრილ ლომს. ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ დაედევნება ადამიანს. იყო ასეთი შემთხვევა. მწყემსმა გაშლილ ველზე ლომი შენიშნა და ხარების ჯოგის შუაგულში შეერია: უმჯობესია ხარი დაგლიჯოს, ვიდრე ადამიანიო. მაგრამ ლომმა ხარებს ჩაუარა და ადამიანს დაედევნა. მწყემსის საქმე უიმედო იყო, მაგრამ თავის ბედზე ხე შენიშნა, ზედ აცოცდა და ქოლგასავით გადაშლილ ჩიტის ბუდეებს შორის დაიმალა. ლომი ხეს შეახტა, მაგრამ მსხვერპლს ვერ მისწვდა და მიწაზე დაგორდა. გაბოროტებულმა ნადირმა ხეს გარშემო დაუარა და მერე მის ძირას დაწვა. მთელი დღე და ღამე უდარაჯა, ბოლოს მოსწყურდა, წყლის დასალევად წავიდა. მწყემსი ხიდან ჩამოვიდა და სახლისაკენ მოჰკურცხლა მთელი სისწრაფით, რამდენადაც შეუძლია მშიერ-მწყურვალ, უძილო და შეშინებულ ადამიანს. ლომმა შენიშნა, ისევ დაედევნა, მაგრამ ქოხთან მისვლა ველარ გაბედა და უკან გაბრუნდა. მეორედ ლომი პირდაპირ ქოხში მივიდა, ზღურბლზე დაწვა და შიშისაგან გონებადაკარგულ დედა-შვილს დაუწყო ცქერა. იქვე იყო ბავშვის მამა. საბედნიეროდ, დატენილი თოფიც იქვე ეკიდა. ტყვიამ ბავშვის ყურთან გაიწივლა და სახიფათო სტუმარს შუბლი შეუნგრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერაფერი მასპინძლობაა! — გაიცინა რეზომ. — ბიჭნებ ლომი ადამიანს თავის სამსახურს სთავაზობდა?

— არ ვიცი, ლომს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: არა თუ ლომი, პატარა ზღარბიც არ მოისურვებს, რომ ვინმეს ნებაყოფლობით დაემონოს, — თქვა ანდრესმა და წყნარად დაუმატა: — თავისუფლებისაკენ მისწრაფება წარმართავს ყოველი ცოცხალი არსების მოქმედებას. მონობა სასაცილო ტიკინასავით ათამაშებს თვითონ მძლავრ სპილოს, თავისუფლება რაინდად აქცევს მხდალ კურდღელს.

— კაპიტანო, რომელი ერევა: სპილო თუ ლომი?

ანდრესმა გაიცინა:

— მე არ მიყურებია მათი ორთაბრძოლისათვის. მაგრამ ვიცი, რომ უნახავთ ლომის მიერ ყელგამოღადრული სპილო, კამეჩი და ცხენი. თუ სპილოს დასცალდა თავისი ხორთუმისა და ფეხების გამოყენება, ლომს გასრესს. სპილო მოუხეშავია, ლომი—სწრაფი და მოხერხებული, ეს კი მას უდიდეს უპირატესობას აძლევს ყველა ნადირის წინაშე.

— როგორ იჭერენ ლომს? — იკითხა გივიმ.

— სხვადასხვა ხერხით. რომის ცირკისათვის ლომებს ორმოებში იჭერდნენ. ეს ხერხი დღემდე იხმარება: გათხრიან ორმოს, რომლის სიგრძე ათი მეტრია, განი—ხუთი მეტრი, ტოტებს გადააფარებენ, შენიღბავენ და ზედ ლეშს დადებენ. ლომი გაივლის და ჩავარდება. ასე იჭერენ ვეფხვსაც, ასეთივე ხერხით კლავდნენ ჩვენი წინაპრები მამონტს. ძნელია ორმოში ჩავარდნილ ლომთან ბრძოლა, მაგრამ დაუცხრომელი ადამიანი ყველა სიძნელეს სძლევს. მამაცი აფრიკელი მონადირეები ლომს ხელითაც იჭერდნენ. ეს მაშინ, როცა მეფე დაავალებდა, ცოცხალი ლომი მომგვარეთო. სულერთია, თუ დავალებას ვერ შეასრულებენ, ავი სიკვდილი ელოდათ. ამაყი მეომრები სამარცხვინო სიკვდილს ისევ ლომთან ბრძოლაში დაღუპვას არჩევდნენ.

— კაპიტანო, ლომიც ხომ თვინიერდება? — იკითხა გივიმ.

— შესანიშნავად! — დაუდასტურა ანდრესმა. — ჯერ კიდევ უძველეს დროს წარმატებით წყვეტდნენ ასეთ ამოცანას.

იმპერატორი მარკ ანტონიუსი რომის ქუჩებში დასეირნობდა ეტლით, რომელშიაც ლომები იყო შებმული. მაგრამ ლომების მოთვინიერება ძველთაგანვე ისე საძნელო საქმედ მიაჩნდათ, რომ, როცა კართაგენელმა განონმა რამდენიმე ლომი მოათვინიერა, მას ეჭვით შეხედეს: ვინც ლომებს იმორჩილებს, მალე თავისი ხალხის დამორჩილებასაც მოინდომებსო, და სამშობლოდან გააძევეს.

— მეტად საგულისხმო, თუმცა ახირებული აზრია! — გაუკვირდა გივის.

— მასში არის ცოტაოდენი სიმართლე, — თქვა ანდრესმა. — მაგრამ უკვე პირველი საათია, მეგობრებო! ვინც მთელი ღამე ფხიზლობს, მთელ დღეს გააცდენს.

„გველეგის ბალი"

სადილის შემდეგ რეზომ თავი გაიმარტოვა, მწვანეზე ჩამოჯდა და ნილოსის ნაპირის ხატვას შეუდგა. უცაბედად ფანქარი დაუვარდა. ასაღებად რომ დაიხარა, მოულოდნელად შეჰყვირა:

— გველმა მიკბინა!

ელდასავით დაუარა ამ სიტყვებმა ანდრესს და გივის. ბალახში შავი ასპიტი მისრიალებდა. დაყოვნების დრო არ იყო. კაპიტანმა „უნივერსალის" კარი სწრაფად გამოაღო, მინანქრიანი ყუთი გახსნა, ერთი პატარა შუშა ამოარჩია, საშხეფური აიღო, რეზოს მკლავს მისწვდა და რაღაც სითხე შეუშხაპუნა. ნაკბენ ადგილზე ჩანდა ორი პაწია წერტილი — შხამიანი კბილებით მიყენებული ჭრილობა. კანი გაშავდა. თითი სწრაფად სივდებოდა. რეზოს ფერი წასვლოდა. ეტყობოდა, შხამი ელვასავით მოქმედებდა, შიშსაც თავისი გაჰქონდა.

მტანჯველ ლოდინში გადიოდა ხანი.

გველის შხამი შრატმა გააზომიერა და სასიკვდილო ხიფათმა თანდათან გაიარა. ანდრესმა გაიღიმა.

— ქვეყნად მრავალი სახის, გვარისა და სიდიდის გველია. მათგან ყველაზე უფრო ცნობილი არიან მახრჩობელები და

შხამიანი გველები. მახრჩობელები — პითონი, ბოა, ანაკონდა — ჯერ ახრჩობენ მსხვერპლს და მერე ყლაპავენ. შხამიანი გველები კი ცხოველს ჯერ უკბენენ და მერე დაელოდებიან შხამის მოქმედების შედეგს. მსხვერპლი რომ კიდეც გაიქცეს, ენის ცეცებით იპოვიან. ყველაზე უფრო საშიშია სათვალიანი გველის ანუ კობრას, გიურზის, ჩხრიალა გველის, ასპიტის, კლეოპატრას გველის, აფრიკული პიკაკოლუს და ზოგიერთი სხვა გველის შხამი. მეტადრე ცხელ ქვეყნებში — აფრიკაში, ინდოეთში, სიამში ნამდვილ რისხვად ითვლებიან შხამიანი გველები. კობრას და ასპიტის გესლით ყოველწლიურად ათასობით და ათიათასობით ადამიანი იღუპებოდა. ამჟამად შრატის წყალობით ეს მსხვერპლი ათმაგად ნაკლებია.

სხვადასხვა სახეობის გველის შხამს სხვადასხვანაირი შემადგენლობა და თვისება აქვს. კბენის შედეგიც სხვადასხვანაირია. კობრას შხამი იწვევს ნერვული სისტემის დამბლას, ასპიტის — სისხლის ჩაკეტვას, ჩხრიალა გველისა — კუჭის საშინელ ტკივილს, გულისრევას, აუტანელ წყურვილსა და პირის გაშრობას. დაკბენილს ცახცახი აიტანს, ფეხზე ვერ ჩერდება, ყურები უბჟუის, ცხვირ-პირიდან სისხლი სდის. თვალის გახელა მტანჯველ ტკივილს იწვევს. შედეგი ყველა შემთხვევაში ერთია — სიკვდილი.

პირველი მსოფლიო ომის წინ მეცნიერებმა დაიწყეს გველის ნაკბენის საწინააღმდეგო აცრა პასტერის მეთოდით. ისე უცრიდნენ, როგორც ცოფიანით დაკბენილს უცრიან: გველის შხამისაგან მიღებულ შრატს შეუშხაპუნებდნენ დაკბენილს სისხლში. 1923 წელს სიამის ქალაქ ბანგკოკში დაარსდა პასტერის ინსტიტუტი, რასაც ეწოდა „გველების ბაღი“. ბაღის შუა ადგილას პატარა სახლებია და მათში გველები ცხოვრობენ. აი, იწყება შხამის მორიგი შეგროვება. სპეციალისტი, უმთავრესად ადგილობრივი მცხოვრები, სახლს სახურავს ახდის. ასპიტი სხეულის წინა ნაწილს ასწევს, ორკაპ ენას გამოჰყოფს და სისინებს. გაბოროტების წუთებში კობრას კისრის ძარღვები ფერს იცვლიან, ბურთივით იბერებიან და ორი სათვალისებური ლაქა გამოჩნდება. ამიტომ ეძახიან კობრას „სათვალიან გველს“. მათი სიგრძე ორ მეტრამდეა. ბაღში გველის „სახლი“

ისეა მოწყობილი, რომ მისი ბინადარი ხვრელში თავს ვერ ამოყოფს. სპეციალისტი დასწვდება და გველს მკვირცხლად ხელს ავლებს კისერში. ასპიტი სწრაფია, ხშირად ის ადამიანს დაასწრებს და კბენს, მაგრამ სპეციალისტებს წინასწარ უცრიან. გველის ღია პირს ჩაყოფენ ფაიფურის ან მინის ჭურჭელში, შხამის ჯირკვლებზე თითებს დააჭერენ და სრესენ. კბილის ხვრელიდან შხამი წვეთ-წვეთად ჩადის ჯამში. გველი იგრიხება და ცდილობს უკბინოს თავის მწვალებელს, რომლის საქმე მართლაც საბიფათოა. ერთი გველისაგან თითო ჯერზე ერთი ჩაის კოვზი შხამი გროვდება, რაც საკმარისია 12 ადამიანის მოსაკლავად. მაგრამ ეს შხამი სასიკვდილოდ კი არ სჭირდებათ, არამედ სიცოცხლის გადასარჩენად: ახმობენ, ცხენის სისხლს შეურევენ და ამზადებენ შრატს. თუ ამ შრატით აცრა დროზე ჩატარდა, საქმე თითქმის ყოველთვის მორჩენით თავდება.

— თითქმის? — იკითხა შეშფოთებულმა გივიმ და რეზოს შეუმჩნევლად გადახედა.

— დიახ, თითქმის, რადგან ადამიანის ორგანიზმიც და გველის შხამიც სხვადასხვაგვარია. — თქვა ანდრესმა და დასძინა: — ასეა ყველაფერში: ზოგს სურდოც კლავს, ზოგი კი შავ ჭირსაც გადარჩება. ყოფილა შემთხვევა, — ოთახის ბუზის ნაკბენს ან პატარა გაკაწრულს ადამიანი მოუკლავს, სხვა კი გულის ჭრილობასაც გადარჩენია. ერთმა საბჭოთა ქირურგმა დაჭრილ მეომარს ნალმის ნაფლეთები ამოუღო ფილტვებიდან და ეს მეომარი დღეს ჩვენსავით სუნთქავს. შენ დამშვიდებული იყავი, ჩემო პოეტო: ჩვენი მეგობარი რომ ნაკბენის მსხვერპლი გამხდარიყო, ეს ხუთი წუთის განმავლობაში მოხდებოდა.

— განა ხუთ წუთში კლავს გველის შხამი? — იკითხა რეზომ, რომელიც იწვა და თავს სუსტად გრძნობდა.

— ზოგიერთი გველის ნაკბენისაგან თვითონ აქლემი ორსამ წუთში კვდება, — თქვა ანდრესმა. — ზოგჯერ ტანჯვა საათობით გრძელდება. ყველა ცხოველზე ერთნაირად როდი მოქმედებს ქვეწარმავალთა შხამი. კატასა და ზღარბებს გველის შხამი ძლიერ იშვიათად კლავს. ღორი და მელა არხეინად შეექცევიან გველს, ქათამი და იხვიც ყლაპავენ მას.

— კაპიტანო, მე მინახავს, როგორ მოკლა ქათამმა გველის წიწილი და მერე ჩაყლაპა! — შესძახა გივიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სავსებით შესაძლებელია! — გაიცინა ანდრესმა. — თუ შხამი სისხლში არ გადავიდა, ის საშიში არაა. მსუქან ღორს რომ გველმა უკბინოს, არაფერი დაუშავდება, რადგანაც ქონში სიბხლის მიმოქცევა სუსტად ხდება და სხეული შხამს არ შეიწოვს.

— თვითონ გველს არ კლავს სხვა გველის შხამი? — იკითხა გივიმ.

—ეს დამოკიდებულია თვითონ გველებზე, — გაიღიმა ანდრესმა. — თუ კობრამ კობრას უკბინა, არაფერი უჭირს, მაგრამ, თუ სათვალიანმა გველმა ჩხრიალა გველს უკბინა ან პირიქით, დაკბენილი კვდება. თუ შხამის დოზა დიდია, შეიძლება გველი მოკლას თავისივე სახის გველის ნაკბენმაც.

— კაპიტანო, მე გამიგონია, რომ გველი თავის მსხვერპლს აჯადოებს, — თქვა რეზომ.

— გველს არავითარი ჯადოსნობა არ შეუძლია, მაგრამ თავისი ცივი თვალებითა და მბზინავი გარეგნობით ცხოველებზე მართლაც ჯადოქრულ ზეგავლენას ახდენს. იყო ასეთი შემთხვევა. ხის ძირას ჩხრიალა გველი იწვა. ხეზე ციყვი ხტოდა; გველის ცივი მზერა რომ იგრძნო, ციყვმა საცოდავად დაიკრიკინა და მოჰყვა აღმა-დაღმა სირბილს. ყოველ ჩამორბენაზე უფროდაუფრო უახლოვდებოდა გველს, ბოლოს ზედ შეახტა. გველმა დაგესლა, მოგუდა და გადაყლაპა. ერთხანს ეგონათ, რომ აქ ჯადოსნობას ჰქონდა ადგილი. ნამდვილად გველი თავისი ცივი სხეულითა და გაყინული მზერით ისე აშინებს ცხოველებს, რომ თავგზას უბნევს და ისინიც მის ხახაში მიძვრებიან, ისევე როგორც ხშირად დაფეთებული საქონელი ხტება ცეცხლმოდებულ სახლში.

როგორ იბადება მდინარე ატბარა

„უნივერსალმა“ გვერდიდ ჩაუარა ბერბერს და მიუახლოვდა ორი მდინარის შესაყარს. შორს, სამხრეთში, გამოჩნდა მწვანეში ჩაფლული და მეჩეთებით დამშვენებული აფრიკული ქალაქი ატბარა.

— ჩვენ გავყვებით ატბარას კალაპოტს და ქალაქ კასალაში ჩავალთ,—თქვა ანდრესმა და მანქანა ნილოსიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხრიოკ ველზე გაიყვანა.

— აი, მდინარე ატბარაც!

— სად არის მდინარე, კაპიტანო? — იკითხა რეზომ და შიშმა შეიპყრო: ვაითუ გველის შხამმა მხედველობა წამართვაო! — არავითარ მდინარეს არ ვხედავ.

ანდრესს გაეცინა:

— ატბარა ახირებული მდინარეა. ხან ჩანს, ხან არა, ყოველწლიურად შრება და ხელახლა იბადება. აი, „უნივერსალი“ ატბარას კალაპოტში მიგვაქროლებს.

ხრიოკი კალაპოტი თეთრი ქვიშით და შავი შლამით იყო დაფარული. მხოლოდ აქა-იქ ჩანდა ჭაობები და გუბეები.

— ატბარა წლის უმეტეს დროს გამქრალია. — უთხრა გაოცებულ თანამგზავრებს ანდრესმა. — მის ნაცვლად რჩება ჭაობი და გუბეები, სავსე ნიანგებითა და შლამში ჩაფლული ათასგვარი არსებით. ამ ჭაობებში ძლივს მიიკვლევდა გზას ბეკერი. ერთხელ მის გვერდით ლელით დაფარული შლამიდან თავი გამოჰყო და პირი დააღო ნახევრად ტალახში ჩაფლულმა ნიანგმა. ბეკერი განზე გადახტა და ნიანგი თოფით მოკლა. ხუთ მეტრამდე სიგრძის აღმოჩნდა... მაგრამ რაღა ბეკერის ნიანგზე ვლაპარაკობ, აგერ ცოცხალი ნიანგი!

ძნელი იყო შლამში ჩაწოლილი უზარმაზარი ნიანგის გარჩევა შლამისაგან. მეწყერით ჩასილულ მორს ჰგავდა. ფორეჯებზე მწვანე ხავსი მოსდებოდა. უძრავი თვალებით მოგზაურებს ათვალიერებდა. ერთი სიტყვით, სასაცილო ნიანგი იყო.

— საცოდავი! — გაიცინა გივიმ.

— საშიში ქვეწარმავალია ნიანგი. — თქვა ანდრესმა და „უნივერსალი“ ერთ-ერთ გუბესთან შეაჩერა. — მას შეუძლია მდინარეში ჩაითრიოს ადამიანი, ძროხა, კამეჩი და აქლემიც კი. არა ერთხელ უცდია ნიანგს ლომისათვის ნადავლის წართმევა, მაგრამ ლომს მძლავრი თათის დაკვრით მისთვის ხერხემალი გადუმტვრევია. ათასობით შემთხვევაა ცნობილი, როცა ნიანგს მენავე ან გაუფრთხილებელი მობანავე ჩაუთრევია ტალღებში, ბავშვისთვის ხელში პირი ჩაუვლია

და დაუფლეთია, წყლის დასალევად მდინარესთან მისული კამეჩისათვის „ცურვა უსწავლებია“. ოღონდ კამეჩზე თავდასხმას მხოლოდ დიდი ნიანგი ბედავს. იყო ასეთი შემთხვევა: მენავემ ფეხები წყალში ჩაჰყო გასაგრილებლად. უეცრად შეჰყვირა და სადღაც გაქრა: ნიანგმა ფეხში სტაცა პირი და მდინარეში ჩაითრია.

თუ გემრიელი ლუკმა ვერ ნახა, ნიანგი არც ლეშს დაიწუნებს. უსადილოდ არ დარჩება. გამოძღება, ნაპირზე დაწვება და მიდამოს ათვალიერებს: აბა, რა ხდება უჩემოდ ქვეყანაზეო. დროდადრო პირს დააღებს, ნიანგის შავი ჩიტუნა პირში შეფრინდება და კენკავს წურბელებს, რომლებიც მის ჯავშნოსან მეგობარს აწუხებენ.

მოგზაურებმა გზა განაგრძეს.

სიცხისაგან დამსკდარ კალაპოტში ხშირად ხვდებოდნენ ასეთსავე გუბეებს.

— ჩვენ რომ ერთი მათგანი ამოვთხაროთ, შლამში ჩამარხულ უამრავ ცხოველს ვნახავთ, — თქვა ანდრესმა. — როცა მდინარე შრება, ეს ცხოველები მიწაში ეფლობიან და ხანგრძლივ ძილს ეძლევიან. ზოგი მათგანი სრულიად ხმება. არა ეთრხელ უნახავთ მოგზაურებს ორი მეტრის სიღრმეზე დაწოლილი ნიანგი: ჭას თხრიან, წყალს ეძებენ და წყლის მაგიერ ნიანგს ამოათრევენ. მაშ რა უნდა ქნას, მშრალზე ცხოვრება ნიანგს არ შეუძლია.

„უნივერსალი“ სწრაფად მისრიალებდა გვალვით გადამხმარ ველზე. უეცრად რაღაც შრიალი და შხუილი მოისმა. „უნივერსალი“ დროზე აფრინდა. იმავე წამს მოსკდა ამღვრეული წყლის უზარმაზარი ნაკადი, რომლის ზედაპირიც ყვითელი ქაფით იყო დაფარული. ერთი წუთის შემდეგ მშრალ კალაპოტში ჩადგა მდინარე, რომლის სიგანე ხუთას მეტრზე მეტი იყო, სიღრმე კი რვა მეტრამდე.

— რამდენი მოულოდნელობა ხდება ამ პატარა პლანეტაზე. — წამოიძახა გივიმ. — ასეთი საოცრება არასოდეს არ მინახავს. მე მგონია, რომელიღაც ჯებირი დაინგრა და ზღვა წყალი აქეთ გამოიჭრა.

— არავითარი ჯებირი არ არის, — გაიცინა ანდრესმა. —

ერთი საათის წინ მთელი ეს წყალი ცაში იყო. მაგრამ აბისინიის მთებში — სართულებივით ერთმანეთზე დადგმულ მთებში, სადაც ამ მდინარეს აქვს სათავე, — იცის უეცარი და პირშეუღებელი წვიმა, რაც ზოგჯერ თვეობით გრძელდება. წვიმები მაისში იწყება, მაგრამ მშრალი მიწა იმდენ წყალს ისრუტავს, რომ მდინარეების ადიდება მხოლოდ ივნისში ხდება. ახლა მთებში წვიმს. ეს ჟუჟუნა წვიმა როდია. ადამიანები სახლიდან სახლში ვერ გადადიან, ხშირად მთელი სოფლები ღვარს მიაქვს, პირუტყვი იხრჩობა, ყველაფერი წყლით იფარება. როცა ჩვენთან ზამთარია, აბისინიას გვალვა ხრუკავს, ხოლო როცა აქ ზაფხულია, სამხრეთში ზამთარია — ესე იგი ტროპიკული წვიმა, ღვართქაფი, რაც ზოგჯერ მაისიდან სექტემბრამდე გრძელდება, მიწა ვერ იტევს აფრიკის ცის ცრემლებს, ღვარი ერთბაშად მოსკდება, შლამის მთები მოაქვს და კალაპოტში დგება, კალაპოტიდან გადმოდის... ასე იბადება მდინარე ატბარა, ასე კვებავს ნილოსი ეგვიპტეს. დარი დაუდგათ ნიანგებს, რომლებიც ჩვენს პოეტს ასე ეცოდებოდა!

„უნივერსალი“ უკვე ატბარას მჩქეფარე ზვირთებს მიარღვევდა. მთების სიგრილე მოჰქონდა ბარად ახალშობილ ატბარას.

რუსი მოგზაური შიდა აფრიკაში

მეორე დღეს ტაკას პროვინციაში ჩასულები ქალაქ კასალას ცენტრალურ პარკში ისვენებდნენ.

— სამოცდაათი წლის წინ სუაკინიდან კასალაში ჩამოვიდა რუსი მოგზაური ვასილ იუნკერი, — თქვა ანდრესმა. მოდით, ვინახულოთ სახლი, რომელშიაც იუნკერი ცხოვრობდა, და პატივი ვცეთ დიდი მოგზაურის ხსოვნას.

— კაპიტანო, გვითხარით, ვინ იყო იუნკერი და რა გააკეთა აფრიკაში?

— იუნკერი მოსკოვში დაიბადა. სწავლობდა გეტინგენსა და პეტერბურგში, 1869 წელს იმოგზაურა ჯერ ისლანდიაში, მერე ალჟირსა და ტუნისში, საიდანაც ქვემო ეგვიპტის გზით

1876 წელს კასალაში ჩამოვიდა. აქ მან ღამე გაათია გერმანელ შმუცერთან, რომელიც ნადირებით ვაჭრობდა. მასპინძლის სახლი ნამდვილი სამხეცე იყო. საგანგებო გალიებში იმყოფებოდნენ ანტილოპები, პავიანები, ლეოპარდები, ლომები. ღამით ლეოპარდმა აიშვა, გვერდით ჩაუარა იუნკერს, რომელიც მარხილზე იწვა და მეზობელ ოთახში შევიდა. იუნკერმა კარი მიუხურა, მხეცი ღმუოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა. ბოლოს ფანჯრიდან მოკლეს. (მერე იუნკერმა მისი ტყავი რუსეთში ჩაიტანა). აქედან იუნკერი ხართუმში ჩავიდა. მაშინ ეს მიდამოები ჯერ კიდევ ველური, გამოუკვლეველი და დიდად სახიფათო იყო. იუნკერმა მრავალი დაბრკოლება გადალახა, მერე ევროპაში დაბრუნდა. 1885 წელს ისევ ჩამოვიდა აფრიკაში. მაშინ მოიარა კონგო და მრავალი სხვა უბედური მხარე, შეაგროვა მდიდარი კოლექცია. ის იყო სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, რომ ჩრდილოეთში მაჰდისტები აჯანყდნენ, მთელი ეგვიპტე ხელთ იგდეს და იუნკერს გზა გადაუჭრეს. სამხრეთით უგანდას ველური ტომები ბატონობდნენ. ყველა გზა ჩაკეტილი აღმოჩნდა. იუნკერი გაჭირვებით გაიჭრა ზანზიბარისაკენ, მთელი კოლექცია დაეღუპა და მხოლოდ ორი წლის შემდეგ ზღვით მიაღწია სუეცს, სადაც თავისიანები და პროფესორი შვაინფურტი ელოდნენ. ეს იყო მისი ძმის, პეტერბურგელი ბანკირის მიერ გაგზავნილი მაშველი ექსპედიცია. აღმოჩნდა, რომ ეგვიპტე ვერც ამ ექსპედიციას გადაელახა.

იუნკერი პეტერბურგში დაბრუნდა და იქვე გარდაიცვალა 1892 წელს. მისი სამტომიანი „მოგზაურობა აფრიკაში“, რომლის გამოცემაც სიცოცხლეში ვერ მოასწრო, ერთი იმ საუკეთესო ნაშრომთაგანია, რომელიც მეცნიერებას შავი ხმელეთის შესახებ მოეპოვება. მინდა პატივი ვცე მეცნიერების რაინდს. წამოდით, ყმაწვილებო, ქალაქის თავთან მივიდეთ.

ქალაქის თავმა რაშ-ელ-რობმა სტუმრები დიდი პატივით მიიღო და აღუთქვა, რომ თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრავდა იუნკერის სამახსოვრო დაფას.

მეორე საღამოს კასალას ერთი ძველი სახლის კართან გაჩნდა მარმარილოს დაფა, რომელზედაც ასეთი წარწერა იყო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1885 წელს აქ იმყოფებოდა ვასილ ვასილის ძე ᲘᲣᲜᲙᲔᲠᲘ შიდა აფრიკის დიდი რუსი მკვლევარი (1840—1892)

მოგზაურებმა კიდევ ათიოდე წუთი დაჰყვეს კასალაში. წინა დღეს დაიწყო დიდი რამაზანი, არაბთა მარხვა. მთელი დღე არაბები არაფერს არ ჭამდნენ და არ სვამდნენ.

— ორმოცდაათ გრადუსიან სიცხეში მთელი დღე წყალს არ მიეკარო — ეს ხომ თვითმკვლელობაა! — ამბობდა გაოცებული რეზო. — საოცარია, რას აძლევს ამ მორწმუნეებს მაჰმადი წყალზე უკეთესს?

— იმედს! — გაიცინა ანდრესმა და მანქანა გააჩერა იქ, სადაც თეთრი ნილოსი უერთდება ცისფერ ნილოსს.

ნახევარი საათის შემდეგ „უნივერსალი“ ისევ ნილოსის მდორე ზვირთებში შეცურდა, მეექვსე ჭორომის ქვემოთ.

— ხმელეთი მეტად მძიმეა, ჰაერი მეტად მსუბუქი, წყალი შუალედური გზაა, — იტყოდა ხოლმე ანდრესი. „უნივერსალის“ წინ ახალი წარმტაცი სანახაობა გადაიშალა: ორი მდინარის შესაყარი.

— ეს რა მდინარეა, კაპიტანო? — იკითხა გივიმ.

—ბახრ-ელ-აზრეკია, ცისფერი ნილოსი! — თქვა ანდრესმა, რომელიც რუკას და კომპასს დასცქეროდა.—თქვენ ხედავთ, რომ მას მახვილი კუთხით უერთდება მეორე გიგანტი— თეთრი ნილოსი. ყველაფერი ისეა, როგორც იუნკერის წიგნშია: ჯერ ეს ორი მუმბერაზი ერთიმეორის გვერდით მიედინება რამდენიმე ასეულ მეტრზე, მერე კი ერთიან წყალთა მასად აირევიან. ნახეთ, იქით გაყვანილია დიდი არხი ბამბის პლანტაციების მოსარწყავად. ხართუმი ჯერ შორს არის. რაც უფრო სწრაფად ვივლით, მით უფრო მალე ჩავალთ სუდანის დედაქალაქში.

„უნივერსალი“ ორ მდინარეს შორის მიცურავდა. მარჯვნივ თეთრი წყალი იყო, მარცხნივ — ლურჯი. მათ შორის ნათელთევზასავით მისრიალებდა პატარა ვერცხლისფერი მანქანა „უნივერსალი“. საით წავა ეს ფოლადის თევზი — თეთრი ნილოსისა თუ ცისფერი ნილოსის სათავეში? ტანას ტბაში თუ ვიქტორიაში? ნილოსელი მეთევზეებისათვის ეს სულ ერთი იყო. ვერცხლის თევზებზე ისინი არ ნადირობდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი ნილოსის ალმა ნახევრად ტიტველ ადგილობრივ მეთევზეთა ნავი მიცურავდა. მწყობრად უსვამდნენ მენავეები ნიჩაბს და რაღაც ერთფეროვან ჰანგს მღეროდნენ — უთუოდ მენავეთა ძველებურ სიმღერას. მღეროდნენ და თანაც თევზაობდნენ. ანკესის მაგივრობას მათ უწევდა მოკლე წვეტიანი შუბი, რომელიც ბაწარზე იყო გამობმული. ისროდნენ ტალღებში და უკანვე ამოჰქონდათ.

— თამაშობენ? — გაიცინა რეზომ.

— არა,—მიუგო ანდრესმა.—როგორც ხედავთ, საამისოდ მეტად ხნიერნი და უბედურნი არიან. უბრალოდ თევზაობენ. ასე თევზაობდნენ მათი წინაპრებიც: შუბს ალალბედზე ისვრიან წყალში. ისვრიან ათჯერ, ისვრიან ასჯერ. ბოლოს მოხვდება რომელიმე თევზს...

— ან ნიანგს! — გაეღიმა გივის.

— ან უზარმაზარ ლოქოს, რომელიც ნავსაც და მენავესაც გაიტაცებს შორს, ვიდრე სისხლისაგან არ დაიცლება ან არ დალუპავს ბედშავ მეთევზეს.

უეცრად ერთმა მენავემ სასოწარკვეთილი ხმით შეჰკივლა და იმავე წამს ნილოსის მღელვარე ზვირთებში გადაეშვა. მას მიჰყვა მეორე, მერე მესამე. ყველამ ყვირილით ნაპირს ჰიაშურა. უპატრონოდ მიტოვებული ნავი მდინარემ უკან დააბრუნა და „უნივერსალთან“ ჩამოატარა.

— რამ გააგიჟა ეს ადამიანები? — იკითხა გაოცებულმა გივიმ.

— უთუოდ რაიმე საფრთხე ნახეს ნავში, — თქვა არანაკლებ გაკვირვებულმა ანდრესმა.

— მაგრამ ნიანგზე დიდი საფრთხე რაღა იქნება? ნილოსში ხომ ნიანგები თევზებივით ირევიან?

— ესეც მართალია. ცვარის შეშინებული ზღვაში გადაეშვაო, ნათქვამია.

—მაგრამ არა მგონია, სუდანელი მეთევზეები ისე უგუნურნი იყვნენ, რომ ორი საფრთხიდან უფრო დიდი საფრთხე აირჩიონ. ახლავე გავიგებთ.

„უნივერსალი“ სწრაფად მიუახლოვდა ნავს; ანდრესმა ბან ქანა გააჩერა და ნავში გადაიხედა. რეზომ მის სახეზე გაოცება და შეშფოთება აშოიკითხა.

— რა არის ნავში, კაპიტანო? — იკითხა მოუთმენლად.

— ფოცხვერი რომ იყოს, უყოყმანოდ გადავიდოდი, მაგრამ ნავში ფოცხვერზე სახიფათო არსებაა, — თქვა წყნარად კაპიტანმა.

— რა უნდა იყოს ასეთი? — შეშფოთდა რეზო. ანდრესს პასუხის გაცემა არ დასცალდა: ნაპირთან ტალღებში რაღაც ძლიერი არსება დაიგრიხა და აქაფებული წყალი მორევად დააყენა. იმავე დროს გაისმა განწირული ნუბიელის ყვირილი და მის ფეხებთან გამოჩნდა ნიანგის ღია ყბები. საბრალო მეთევზეს, რომელმაც ნაპირზე გასვლა ვერ მოასწრო, საშინელი სიკვდილი ელოდა. ანდრესმა თითქმის დაუმიზნებლად ისროლა. ნიანგი შეტოკდა, თეთრი ნილოსი წითლად შეიღება. ნაპირზე მყოფმა მეთევზეებმა სიხარულის ყიჟინა მორთეს.

ანდრესმა ნავი ბუქსირით მიიყვანა ნაპირთან და ხმელეთზე გაათრია. ყველანი შემოეხვივნენ ანდრესს და მადლობას უხდიდნენ. მკვდარი ნიანგი ნილოსმა ნაპირზე გამორიყა. მეთევზეებმა მისი გვამი ძლივს ამოათრიეს და მუცელი გაუკვეთეს. კუჭში აღმოჩნდა ადამიანის ხელი და რამდენიმე ძვალი. ანდრესი შეძრწუნებული იყო. გივის გული აერია და კაციჭამია ნიანგს ყველამ ზურგი აქცია.

მეთევზეები დიდხანს ვერ ბედავდნენ ნავთან მიახლოებას, მერე ერთმა ვერ მოითმინა, მივიდა და ნავში ჩაიხედა. ძვირად დაუჯდა საბრალო მეთევზეს ასეთი ცნობისმოყვარეობა. რაღაც ლოქოსმაგვარი თევზი მას ფოცხვერივით მივარდა და მხარში ჩააფრინდა. ზანგმა საცოდავი ხმით შეჰყვირა და უკან გადავარდა, მაგრამ ქვას ფეხი წამოჰკრა და გულაღმა წაიქცა. უზარმაზარი მტაცებელი თევზი გამარჯვებულ მოჭიდავესავით ზედ დააჯდა და დაუწყო უწყალოდ ფლეთა. მეთევზე ერთიანად სისხლით შეისვარა. ყველა დაიბნა. ანდრესმა ნიჩაბი დაიტაცა, გაგიჟებულ თევზს ღია პირში ჩაჰკრა, განზე გადააგდო და სწრაფად ააგო ორპირ დაშნაზე, რომელსაც მუდამ თან ატარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზი კიდევ ერთ ხანს იგრიხებოდა, ბოროტად აღებდა პირს და კრეჭდა ნახევრად დამტვრეულ კბილებს, რომლებიც ვეფხვის კბილებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე თევზისას.

დაჭრილი მეთევზე კვნესოდა, სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. ანდრესმა რაღაც ფხვნილი დააყარა, მხარი და მკერდი შეუხვია, მადლიერ მეთევზეებს გამოემშვიდობა და „უნივერსალში“ დაბრუნდა.

— ჩვენ ვნახეთ აფრიკის მდინარეების რისხვა, რასაც ამერიკელმა მეცნიერმა მილერმა სამართლიანად დაუსაკუთრა სახელი „თევზი-ვეფხვი“, — თქვა ანდრესმა, რომლის სიტყვასაც ახალგაზრდები მოუთმენლად ელოდნენ. — პირველად მან ეს თევზი კონგოზე ნახა. მტაცებლობით იგი ნიანგს არ ჩამოუვარდება, მოურიდებლად ეკვეთება ადამიანს, ზოგჯერ პირდაპირ ნავში ხტება და ნახევარ წუთში ნაფლეთებად აქცევს ყველას, ვინც მის ყბებში მოხვდება.

მცენარეთა სამყაროს გიგანტი

ხართუმის გზა არ იყო ვარდებით მოფენილი. ასობით კილომეტრზე გადაშლილიყო მწვანე ტბებითა და ჭაობებით დაფარული სივრცეები, წყალმცენარეებით მოფენილი მდინარეები და გუბეები. ამ ერთიანი ზურმუხტის საფარველის ქვეშ მდნარი ლითონივით კრთებოდა უცნაური ფერის მდინარე, რომელსაც თითქოს ეძინა მწვანე საბანში. „უნივერსალს“ არაერთხელ გადაუღობეს გზა „სედებმა“. არაბულად „სედი“ ნიშნავს დაბრკოლებას. ასე ეძახიან ლელით, ლიანებით, პაპირუსებითა და ათასგვარი სხვა მცენარით გადახლართულ ცოცხალ ზღუდეს, რაც ნაოსნობას შეუძლებელს ხდის. თვით „უნივერსალს“ უჭირდა მათ შორის გზის გაკვლევა, თუმცა თევზივით სხლტებოდა ყოველ ხვრელში და ყვინთავდა რამდენიმე მეტრის სიღრმეზე, სადაც ცხოვრება ზღაპარსა ჰგავდა.

— ამ ადგილებში გვირაბს თხრიან ხოლმე, მაგრამ მალე მცენარეების გაუვალი კედელი ისევ აღიმართება, — უხსნიდა ანდრესი ცნობისმოყვარე მეგობრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოს „უნივერსალმა“ თავი დააღწია სედებს. უეცრად რეზომ შესძახა:

— კაპიტანო! ეს ხეა თუ ტიტანი? — და განცვიფრებისაგან ფართოდ დაღებული პირით მიაჩერდა ნილოსის პირას აღმართულ გოლიათს.

— ხეც არის და ტიტანიც, —გაიცინა ანდრესმა. — ნუთუ არ გაგიგონიათ ქვეყნად ყველაზე დიდი ხის სახელი?

— ბაობაბი! — შესძახა გივიმ.

— ასევე იტყოდა ბოტანიკის ყოველი პროფესორი, — დაუდასტურა ინჟინერმა. — თუმცა მცენარეებით გატაცებული პროფესორი მის ლათინურ სახელწოდებასაც ზედ დაურთავდა: ადანსონია დიგიტატა! როგორც ხედავთ, ეს შუაფრიკის გიგანტი გარეგნულად საკმაოდ მახინჯია: არავითარი ფორმა და მოხდენილობა არა აქვს. ესაა უზარმაზარი, ფოლადივით მკვრივი და უფერული ბოძი, რაც თავზე უწესრიგოდ გაფარჩხული ან ცოცხივით დადგმული ტოტებით თავდება. ტანზე ტოტები ჩვეულებრივ არა აქვს, ერთი შეხედვით მოგვაგონებს... რას მოგვაგონებს ბაობაბი?

— თმააბურძგვნილ დევს! — წამოიძახა გივიმ.

— სავსებთი სწორია! — გაიცინა ანდრესმა. — ოღონდ ამ დევს ხელები არა აქვს. სიმაღლით არც ისე დიდია, გარშემო კი გავზომოთ და ვნახოთ, რამდენად მსხვილია ჩვენს მუხაზე...

— ორმოცდაექვსი მეტრი! — შესძახა გივიმ.

— სწორედ ამდენი იყო მოსალოდნელი, — თქვა ანდრესმა — წლების ხანგრძლივობას ჩვენ ვერ გავზომავთ, მაგრამ თუ მეცნიერებს დავუჯერებთ, ბაობაბი ოთხი თუ ექვსი ათასი წელი ცოცხლობს.

— კაპიტანო! — გაუკვირდა გივის. — აჰ, კაპიტანო! გამოდის, რომ მას აბსოვს ეგვიპტის პირამიდების აშენება, რამზეს მეორე და ხატუშილი...

— ხეოპსის პირამიდის აშენება რომ დაიწყეს, ეს გიგანტი ათასიოდე წლის იქნებოდა. დიახ, ეს არის მცენარეთა სამყაროს ძამონტი. ძის თავზე ერთდროულად თეთრი სურნელოვა-

ნი ყვავილებიცაა და გემრიელი მწიფე ნაყოფიც. ხომ არ მიგი-
თმევთ ბაობაბის ნაყოფს?

— განა იჭმევა? — იკითხა რეზომ.

— ახლავე ნახავთ.

„უნივერსალის“ დახმარებით მოგზაურებმა მთელი კალა-
თი აავსეს მათთვის უცნობი ხილით. ქოქოსის კაკლის მსგავს
ნაჭუჭში იპოვნეს ფქვილისებური, მომჟავო და გამაგრილებე-
ლი ნაყოფი და სიამოვნებით შეექცნენ.

მოგზაურები დიდხანს თვალს არ აშორებდნენ მცენარეთა
სამეფოს იშვიათ ნიმუშს, იქვე ისადილეს, მერე ჩასხდნენ
„უნივერსალში“ და გზა განაგრძეს.

„სუდანის დროშა ისევ ფრიალებს!“

ორი მდინარის შესაყარზე გადაიშალა ბუმბერაზი ქალაქის
უთვალავი გუმბათი. თავწვეტიან მეჩეთებს მზის სხივებზე
ლაპლაპი გაჰქონდათ და საზღაპრო გოლიათების მუზარადებს
ჰგავდნენ.

— აი, ხართუმიც! — თქვა ანდრესმა. — ასე დაარქვეს
არაბებმა იმის გამო, რომ ცისფერ ნილოსსა და თეთრ ნილოსს
შორის გაწოლილი ხმელეთი სწორედ სპილოს ხორთუმსა
ჰგავს. ესაა სუდანის სატახტო ქალაქი.

— ტრამვაიც ყოფილა! — წამოიძახა რეზომ. — რა შენო-
ბებია! რამოდენა ხიდია ნილოსზე!

— მისი სიგრძე ექვსასი მეტრია, ამ ხიდით ხართუმი უერ-
თდება ქალაქ ომდურმანს. ყველაფერი ეს ასი წლის მანძილზე
აშენდა. ხართუმს საფუძველი ჩაეყარა 1822 წელს. მაშინ
ხართუმი იყო მონებზე ნადირობის ცენტრი. ათასობით შავ-
კანიანს ბორკილებს უყრიდნენ და ამერიკაში გზავნიდნენ.
სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ, ადამიანებს ძაღლებს უსევდ-
ნენ; ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს ღია ცის ქვეშ სტოვებ-
დნენ ნადირთა შესაჭმელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ საბოლოოდ არც ერთი ხალხის დამორჩილება არ შეიძლება,—თქვა მტკიცედ ინჟინერმა.—არა ერთხელ აღდგნენ სუდანელები. არა ერთხელ ააფრიალეს სუდანის თავზე თავისუფლების დროშა. აი, ის ისევ ფრიალებს, ფერფლიდან ამდგარი ხალხის დროშა!

აფრიკული გაზარი

დიდხანს ათვალიერებდნენ ხართუმს უნივერსალელები. გაისეირნეს ტრამვაით, გავიდნენ ხიდზე, — და თუმცა მთელი აფრიკაც ერთიან პარკად ეჩვენებოდათ, მაინც ნახეს ხართუმის ზოოპარკი. შესასვლელთან იდგნენ ლამაზი ზანგი გოგონები; როცა ანდრესმა მათ სურათის გადაღება დაუპირა, გადაიკისკისეს და სახეზე რიდე მიიფარეს.

— სავსებით სწორად იქცევიან, — თქვა დარცხვენით ანდრესმა. — აკი ჩვენ მათთვის სურათის გადაღების ნებართვა არ გვითხოვია!

აქედან ცენტრალურ ბაზარში წავიდნენ. თვალი აუჭრელდათ: ფინიკი, ბანანი, პატარა ზომის ლიმონები, მანგოს ნაყოფი, ათასგვარი ნესვი, საზამთრო, ჰალვა, ჩამიჩი და სხვა ბოსტნეული თუ ტკბილეული პირდაპირ მიწაზე ეყარა. ადამიანებს ეცვათ გრძელი ზოლებიანი სამოსი და ეხურათ წითელი, თეთრი ან შავი ქსოვილის ქუდები, არაბებს თავი დოლბანდით ჰქონდათ შეხვეული. რაღაც ორი პიასტრისათვის მთელი დღე იდგნენ აუტანელ სიცხეში და ყაყანებდნენ ყველა ენაზე, რაც კი ქვეყნად არსებობს.

დედამიწის ზურგზე არსად არ არის ისე ჭრელი ბაზარი, როგორც აფრიკის ქალაქებში. აქ ნახავთ ყველა ფერის კანის ადამიანებსა და ყველა სახის საქონელს. უთვალავი ბუზი ეხვეოდა სპილოს, ნიანგის, ბეჰემოთისა და ტახის ტყავებს. ჰქონდათ მარტორქის ტყავიც, რომლის სისქე სამ სანტიმეტრამდე იყო. შიგ ბაზარში ჰყავდათ დაბმული გასაყიდად ჩამოყვანილი კუზიანი ხარი ზებუ, ნახევრად ველური კამეჩი, სირაქლემას წიწილები და ლეოპარდის ლეკვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაკლავად განწირული მამლები რომის გლადიატორებივით ესალმებოდნენ ძველ პატრონებს: „სალამი, ჩვენო კეისარო! სასიკვდილოდ მიმავალნი მოგესალმებიან...“

— აი, ბაზარი! — ამბობდა განცვიფრებული გივი. — შეიძლება ითქვას: „ვნახე ბაზარი — მეცა თავზარიო“. მაგრამ წავიდეთ, კაპიტანო, ვიდრე გვიან არ არის: მე ძლიერ წვრილი მეჩვენება თოკი, რომლითაც ის ლომია დაბმული.

სპილოეგის ოართაგრძოლა

ანდრესი ბექობზე იდგა და ნორჩ მეგობრებს ესაუბრებოდა:

—ჩვენს წინაშეა აბისინია ანუ ეთიოპია, ძველი კულტურის ქვეყანა, რომელმაც დასაბამი მისცა ფარაონების ერთ დინასტიას. ამ ქვეყნის მამაცი ხალხი არა ერთხელ ამდგარა უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ, მაგრამ განსაკუთრებით დაუვიწყარია იტალია-აბისინიის ომში მის მიერ გამოჩენილი გმირობა. ადამიანები უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იცავდნენ ამ მთების, ტყეებისა და ველების ყოველ გოჯს; მე ასე მაქვს წარმოდგენილი, რომ ამ მიწის დასაცავად თვით ჭიანჭველები და სხვა მწერებიც იბრძოდნენ: ღამით ღია ცის ქვეშ ან კარვებში დაწოლილი მრავალი მეომარი მათი ნაკბენისაგან იღუპებოდა... მაგრამ მოიცათ, ეს რა ღრიალი ისმის?

ტანას ტბის ნაპირებთან, სადაც იწყება მდინარე ნილოსი, ტყე შეაზანზარა საოცარმა ღრიალმა; ეს არ იყო ლომის ღრიალი, არც ბეჰემოთის ყრუ ხმიანობა. მსგავსი ხმა ჰქონდა ალბათ ძველ სპარსელთა საბრძოლო ნაღარას.

მალე ასეთივე ხმა გაისმა უკან, ტყის სიღრმეში.

„თუ დევი მართლა არსებობს, ახლა დავინახავთ“, — გაიფიქრა რეზომ.

მალე მართლაც გამოჩნდა, ოღონდ არა დევი, არამედ დიდი სპილო, რომელსაც ხორთუმი აწეული ჰქონდა და პირი — დაღებული. მისი სირბილი მთის დაგორებასა ჰგავდა. „უნივერსალს“ ჩაუარა და ტბის მხარეს გაიქცა. კაპიტანი ღილს შეეხო

ჭანქანა აფრინდა და იქ დაეშვა, საიდანაც კარგად მოჩანდა ბრძოლის ველი. ორმოცამდე სპილოს მჭიდრო წრე შეეკრა. წინ უზარმაზარი ახალგაზრდა სპილო იდგა და მოქიშპეს ელოდა. აი, ბებერი სპილოც მოვიდა. მოწინააღმდეგეებმა თვალით დაზვერეს ერთიმეორე და ორი მოძრავი მთა ერთმანეთს დაეტაკა.

— ყმაწვილებო! — წამოიძახა ანდრესმა. — სპილოების ჯოგი წინამძღოლს ირჩევს. ძველი ბელადი, ბებერი სპილო თავის უფლებას იცავს. ჩვენ იშვიათი შემთხვევის მოწმე ვართ!

რეზოს და გივის თითქოს არც გაუგონიათ კაპიტნის სიტყვები, ისე შეიპყრო ორივე ახალმა უცხო სანახაობამ.

სპილოები ზედიზედ ეკვეთებოდნენ ერთიმეორეს. ხორთუმებგადაგრეხილნი ეშვებს მკერდში ატაკებდნენ მოპირდაპირეს, ღმუოდნენ და ხვნეშოდნენ. სისხლი დიოდა დაჭრილთა მკერდიდან, მაგრამ პირველობის დათმობას არც ერთი არ ფიქრობდა. ბრძოლა, მართლაც, რაინდული იყო, გოლიათთა ღირსების შესაშვენი. არავინ არ ერეოდა საბედისწერო ორთაბრძოლაში. ბებერი სპილო ტანად უფრო დიდი იყო და უფრო მოხერხებულიც. მაგრამ მისი ახალგაზრდა მეტოქე უფრო ჯანსაღი და ღონიერი ჩანდა, ეს კი მთავარია ჯუნგლებში. თავისი საშიში მოწინააღმდეგე თანდათან მოქანცა და ბოლოს უკანა ფეხებზე ჩაკეცა. მერე ერთხელ კიდევ დაატაკა მკერდში ბასრი ეშვები და წყნარად განზე გადგა.

ბრძოლა მოგებული იყო. დიდი სპილო ხვნეშით წამოდგა, თავის ჯოგს ცივად გადაავლო პატარა, ავი, დანისლული თვალები, ზურგი აქცია ყველას და ბარბაცით გასწია ჰოჯამის მთებისაკენ.

— დამარცხდა! — თქვა გივიმ სიბრალულით.

— მე ის მომაგონებს მწყობრიდან გამოსულ ძველ ხომალდს „გრეტ ისტერნს“, რომლის გვერდებშიც წყალი ჟონავს, — დაუმატა ანდრესმა.

— იმ განსხვავებით, რომ აქ სისხლი მკერდიდან მოჟონავს, „გრეტ ისტერნის“ მკერდში კი წყალი გარედან ჟონავდა, — შენიშნა გივიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაპიტანო, სად მიდის დაჭრილი სპილო? — იკითხა რეზომ.

— სპილოების სასაფლაოზე, ისევე როგორც „ისტერნი“ მიდიოდა ხომალდების სამარხში. ასეთი შემთხვევა ჩვენამდეც ბევრმა ნახა. სავალალოა განკიცხული გოლიათების ხვედრი.

სისხლიანი ბილიკები

ეს გზა სისხლით იყო მორწყული. დიდი სპილო სიკვდილის გზით მიტორტმანობდა. ღრე შეხვდა — გაარღვია, ჭაობი შეხვდა — გადასერა, მდინარე შეხვდა — გადასცურა. სხვა რა ვზა ჰქონდა? განდევნეს და მიდიოდა.

„უნივერსალი“ ხან ფრენით მიჰყვებოდა გადაყენებულ მეფეს, ხანაც ცურვით, და მის ეკიპაჟს აოცებდა დაღვრილი სისხლის სიუხვე. ამ სისხლის სუნმა თუ მოიზიდა ამდენი ნადირი — ლომი, ტურა თუ აფთარი. ნორჩ მოგზაურებს ყველაზე ავი და წუწკი აფთარი ეჩვენათ.

— ეს მხდალი არსება მთელს აფრიკაშია გავრცელებული, — თქვა ანდრესმა. — ფრიად თავისებური მხეცია, ხარბი და გაუმაძღარი. სამ-ოთხ აფთარს შეუძლია ერთ ღამეში ლომი შეჭამოს, თუ, რასაკვირველია, მკვდარს იპოვნიან.

— მკვდარი ლომის შეჭმა დიდ სიმამაცედ ვერ ჩაითვლება, — თქვა გივიმ.

— სიმამაცეზე ლაპარაკი აფთართან არ მოგვიხდება. ამ ავმა და მუდამ პირდაღრენილმა ნადირმა თუმცა დასაბამი მისცა სიტყვა „გააფთრებულს“, მაგრამ მისი „გააფთრება“ უფრო სიხარბეზე მიუთითებს, ვიდრე გამბედაობაზე, მხოლოდ სუსტებთან და დაცემულებთან არის ის „მამაცი“. მისი ყმუილის და მეტადრე მხეცური ხარხარის გაგონებაზე ადამიანს ტანში ჟრუანტელი უვლის... აი, ხედავთ? სპილოს სისხლს ლოკავს.

ლეშიჭამია სვავისებური ყვავები გუნდად მიჰყვებოდნენ დამარცხებულ სპილოს და კომბალივით მსხვილი ნისკარტით კორტნიდნენ მძიმე ჭრილობებს. ერთი მათგანი ისე გაკადნიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ სპილოს ეშვზე ჩამოჯდა. სიკვდილის გზებით მიმავალ გოლიათს თავი ისე ეჭირა, თითქოს ყოველივე ეს მას არ ეხებაო. ბილიკი მთებს მიჰყვებოდა. ტყის ბინადარნიც თითქოს გრძნობდნენ, რომ ესაა გიგანტის უკანასკნელი გზა. მოუსვენრად დარბოდნენ, ყმუოდნენ და ყველა თავის წილს მოითხოვდა.

მომაკვდავი სპილო მუდამ თავის მამაპაპურ სამარხში მიდის და იქ ასრულებს სიცოცხლეს. ეს დიდი ხანია ცნობილია. დაჭრილმა ბუმბერაზმა არ იცოდა, სად იყო ეს სამარხი, მაგრამ ალღოს ის ჰოჯამის მწვერვალებისაკენ მიჰყავდა. თავისი ფეხით მიდიოდა სამარეში. მისი გზა ხრიოკ ფერდობს აჰყვა.

მთებში გრილოდა. არწივი არწივს გადაჰყიოდა. დაბოლოს, გამოჩნდა მაღალი მთების დანისლული კალთები. ნაპრალებს შორის მოუხვია სპილომ და გამოქვაბულში შევიდა, თვალს მიეფარა. კაპიტანმა მანქანა მოხერხებულად დასვა კლდის თავზე, გადმოვიდა და ნაპრალში ფრთხილად შეჰყვა დაჭრილ ბუმბერაზს. რეზო და გივი მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ კაპიტანი აგვიანებდა. ყმაწვილებს გული გადაელიათ ამაო ლოდინში. მათი შეშფოთება არ იყო უსაფუძვლო. როცა სროლის ხმა ზედიზედ სამჯერ გაისმა, მკვდრის ფერი დაედოთ, „უნივერსალი“ უყოყმანოდ მიატოვეს და გამოქვაბულს მიაშურეს.

გამოქვაბულში ბნელოდა. უზარმაზარ დარბაზში თოვლის ზვავის მსგავსად იყო დახორგილი რაღაც თეთრი მასა — ასობით სპილოს ჩონჩხი და ეშვი — სიმდიდრე, რომლითაც თავისუფლად აიგებოდა სამი „ტიტანიკი“. მაგრამ თეთრი ოქროს ეს საზღაპრო საგანძური ახლა ყმაწვილებს ნაკლებად ხიბლავდა. შეშფოთებული ახალგაზრდები გაფაციცებით დაეძებდნენ თავიანთ სწორუპოვარ კაპიტანს. კლდის ნაპრალთან ბორცვივით დაყუდებული სპილო ქშენდა და უკანასკნელი ცხელი ამონასუნთქით სალ კლდეს ოთრქლავდა. ჯოგის წინამძღოლი აღარ მოძრაობდა, მაგრამ მისი მძლავრი ხორთუმი ჯერ კიდევ გველივით იგრიხებოდა ნაპრალში და უკანასკნელ მოქიშპეს დაეძებდა. როცა ძებნამ ამაოდ ჩაუარა, დაჭრილმა გოლიათმა

ხორთუმი ნაპრალს მოაცილა, უზარმაზარი ძეხვის მსგავსად ჩაყო იქვე დაგუბებულ ყინულოვან წყალში და ონკანივით მიუშვა ნაპრალზე. ჰოდა, ანდრესმა აქ ცივი შხეფი მიიღო. მაგრამ სიკვდილს ისევ ცივი შხეფი სჯობდა და ის მოთმინებით განაგრძნობდა წოლას თავის არც თუ მეტად საიმედო თავშესაფარში. წყლის უწყვეტი ნაკადი ახალი ძალით ეღვრებოდა ინჟინერს. ის კი ითმენდა და ფიქრობდა; თუ ასე გაგრძელდება, ამ ნაპრალში ჩავიყინები, როგორც თევზი კასრშიო. ნაპრალიდან წყალი უკანვე ბრუნდებოდა და გუბეში დგებოდა, ასე, რომ წყლის მარაგი სპილოს ეყოფოდა საამისოდ, ისევე როგორც მოთმინება და ძალა.

ყმაწვილები ნაპრალს მიუახლოვდნენ და წამით ადგილზე გაქვავდნენ.

— ესროლე, გვიან იქნება! — მოისმა ანდრესის დინჯი ხმა.—დაუმიზნე თვალში! — რეზო სანაქებო მსროლელი იყო. ამაოდ არ ჩაუვლია გაკვეთილებს, რომელთაც მას უტარებდა გივის მამა, გატაცებული მონადირე, არჩვებისა და სხვა მომხიბლავ ნადირთა რისხვა. შგენაშისა და ბურღდერის მთებში მიღებული გამოცდილება ახლა აბისინიის და კენიის მთებში გამოადგა, ისიც არა არჩვებზე, არამედ სპილოზე.

თვალში მოხვედრილმა ტყვიამ თავისი საქმე გააკეთა. იმავე წამს რეზომ კლდესთან მიირბინა და ნაჯახით გადაკვეთა ხორთუმი, რომელიც გაფაციცებით დაეძებდა ყინულოვან წყალში აფრიკულად მონათლულ ანდრესს.

უკანასკნელ იარაღს მოკლებული გიგანტი ქვის დარბაზში მორღვეულ მთასავით დაემხო, ერთადერთი პატარა საღი თვალი გაკვირვებით მიაპყრო რეზოს, ამ ბუზანკალას, რომელიც სისხლიანი ნაჯახით მის წინ იდგა, ერთიც შეთრთოლდა, დაიხვნეშა და მიყუჩდა.

— ჩემო პატარა მეგობარო! შენ გადამარჩინე უეჭველ სიკვდილს! — ამ სიტყვებზე ანდრესმა რეზო საყვარელი შვილივით გულში ჩაიკრა. — მომაკვდავ სპილოს ამონასუნთქი სახეში მცემდა. ერთი წუთიც და ის ხორთუმით მიმასრესდა ნაპრალის კედელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოცხალი ანძები

სამი დღე ეხეტებოდნენ ჩვენი მოგზაურები ეთიოპიის ტყეებსა და ველებში.

— თუ არ ვცდები, ეთიოპიის ტყეები უფრო მდიდარია მხეცებითა და ფრინველებით, ვიდრე აფრიკის ჩრდილოეთი მხარე, — შენიშნა რეზომ.

— ეს ბუნებრივია, — თქვა ანდრესმა. — რაც უფრო ვუახლოვდებით შუაგულ აფრიკას, მით უფრო მდიდარია ქვეყნის ფაუნა. ბევრი ნადირი, რაც ჩრდილოეთში გაწყდა ან იშვიათობად იქცა, კონგოსა და ზამბეზზე ჯერ კიდევ მრავლადაა.

მოგზაურებმა აქ, მიმოზების მეჩხერ ჭალაში, პირველად ნახეს ჟირაფი. ერთ დროს, თავისი საზღაპრო უცნაურობის გამო იგი აქლემისა და ლეოპარდის ნარევი ეგონათ. ახლა მათი ანძასავით ამართული რამდენიმე კისერი შორიდან ხეებად მიიღეს, მაგრამ ეს „ანძები“ უეცრად შეტოკდნენ, მობრუნდნენ და ეს უცნაური არსებები „უნივერსალს“ მიაჩერდნენ თავიანთი მშვენიერი დიდრონი თვალებით. პატარა თავები თავისებური რქებით დაუმშვენებიათ და ტყის გვირგვინოსანი დედოფლებივით იმზირებიან მწვანე ფოთლების რიდიდან.

— ჟირაფებია, — თქვა ანდრესმა. — არაბულად „სერაფფა“ საყვარელს, კეთილს ნიშნავს. მართლაც, ხომ კეთილი არსებებია?

როცა „უნივერსალი“ ახლო მივიდა, ჟირაფებმა კუდები მაღლა აიშვირეს და მოჰკურცხლეს. სასაცილო სანახაობა იყო ამ ოთხფეხა „სირაქლემების“ სირბილი. არავითარი წესი და ზომა არ იცოდნენ, ცდილობდნენ მხოლოდ როგორმე სხვაგან გადაენაცვლათ იმ ადგილიდან, სადაც საეჭვო არსება გამოჩნდა. ჯერ წინა და უკანა ფეხებს წყვილ-წყვილად გადაისროდნენ, მერე ოთხივე ფეხი ერთმანეთში აურიეს, უკანა ფეხებს წინაზე შორს დგამდნენ, თანაც ქარიშხალში მოხვედრილი გემის ანძებივით წინ და უკან აქნევდნენ არაჩვეულებრივ სიმაღლის კისერს. სამმეტრიან ფეხებზე შემდგარი ნახევარტონიანი ლაქებიანი სხეული შორიდან მფრინავი ხალიჩა გეგონებოდათ. რეზოს და გივის არასოდეს არ ენახათ ასეთი სასაცილო არსებები.

— ეს რანაირი სირბილია? — სიცილით ამბობდა რეზო. — როგორც ვატყობ, ფიზკულტურის გაკვეთილებზე ეს ჟირაფებიც გივისავით იშვიათად დადიოდნენ.

გივიმ მახვილი პასუხი ვერ მოიგონა და დუმილი არჩია. რეზო ისევ იცინოდა.

— ვის გაურბიან? ასე ხომ მეც დავეწევი!

— ცდები, რეზო! — თქვა ანდრესმა. — ერთი შეხედვით თითქოს მოუხეშავად და ნელა გარბიან, მაგრამ განა ვერა ხედავ, ოთხ მეტრიან ნახტომებს რომ აკეთებენ? მათ დასაწევად კარგი დოღის ცხენი დაგჭირდებოდა.

— საინტერესოა, როგორ იტანს ეს საცოდავი არსება ტყვეობას? — იკითხა გივიმ.

— ძალიან ცუდად, — მიუგო კაპიტანმა. — თუმცა საუცხოოდ თვინიერდება. საუკეთესო მოვლის დროსაც მას ხშირად ემართება „ჟირაფის ავადმყოფობა“ და იღუპება. ეტყობა, საკმაო მოძრაობის გარეშე მისი ძვლები გადაგვარებას განიცდიან.

— ჟირაფის ხორცს ჭამენ? — იკითხა რეზომ.

— სიამოვნებით, ზანგებს უგემრიელეს საჭმელად სპილოს გული და ჟირაფის ტვინი მიაჩნიათ. იყენებენ მის ტყავს, კუდსა და ჩლიქებსაც კი. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ცხენებით და აქლემებით დასდევენ, ვიდრე არ დაეწევიან.

— კუდი რაღად უნდათ? — ჰკითხა ინჟინერს გივიმ.

— ეს აფრიკელთა მარაოა: დაიჭერენ და აქნევენ: ჰაერსაც იგრილებენ და მწერებსაც იგერიებენ. ამ ქვეყანაში მწერები ნადირებზე მეტად აწუხებენ ადამიანებს!

„ეთიოპიის ხარის“ თავდასხმა

უნივერსალელები ისეთ დღეებს ატარებდნენ, რომ ადამიანი უკეთესს ვერ ინატრებდა. ნამდვილ ტყის მონადირეებს დაემსგავსნენ. სეირნობდნენ, ისვენებდნენ და ხედავდნენ ისეთ რამეებს, რომელთა ნახვაც მხოლოდ სიზმარშია შესაძლებელი. გარშემო გადაშლილი იყო მშვენიერი, დიდებული ტროპიკუ-

ლი ტყეები, მწვანე ხეობები, მაღალი მთები და უნაპირო ველები — ბუნების დიადი წიგნი, რომლის ყოველი ფურცელიც სავსეა ათასგვარი მოულოდნელობით.

მშვენიერი, წყნარი, ჯადოსნური დღე იყო. სირბილით დაღლილი ანდრესი წიგნს კითხულობდა.

გივი აკაციაზე აცოცდა, ბაობაბის ტოტზე გადავიდა და ნაყოფის კრეფა დაიწყო.

რეზო მახლობელი ტბიდან წყლის ამოსაღებად წავიდა.

მაგრამ ტბას შავი მარტორქა იცავდა. შლამში ამოგანგლული ნადირი უძრავად იდგა და დრუნჩი „უნივერსალისაკენ" ჰქონდა მიშვერილი. ეტყობოდა, ხმაური გაიგონა: ყურმახვილ მარტორქას შორეული შრიალიც ესმის. სამაგიეროდ, გულმავიწყია და ძალიან ცუდად ხედავს; დიდხანს აკვირდებოდა რეზოს: უძრავად იდგა, როგორც სფინქსი და ფიქრობდა, ვინ არის ეს აბეზარიო! ადამიანებს კიდევ დაამსგავსებდა რომელსამე მისთვის ცნობილ არსებას, მაგრამ „უნივერსალისა" ვერაფერი გაეგო: ბეჰემოთი არ არის, არც ნიანგია, არც ლეოპარდი. რა უნდა იყოს? თავის მხრივ რეზოსაც ძალიან სულელ და საოცარ არსებად მოეჩვენა მარტორქა, ხელი გაუშვირა და სიცილით დაუძახა: „ჰამო! ჰამო!" — ვითომ ხარი იყო. მარტორქამ ყურები დაცქვიტა, დაიფრუტუნა და გაიქცა. რეზო გათამამდა, ცნობისმოყვარეობით ატანილი მიჰყვა და შორსაც წახეტიალდა.

უეცრად გაისმა ბრაზმორეული მხეცის ფრუტუნი, რასაც მოჰყვა მოუხეშავი გოლიათის ფეხის ხმაური. მარტორქა ბრაზობდა. ეს ნადირი საერთოდ გულგრილია ადამიანის მიმართ, მაგრამ საკმარისია სულ უმნიშვნელო მიზეზი, რომ გაცოფდეს და ერთბაშად ეკვეთოს პირველსავე ცოცხალ არსებას. არაერთხელ დარევია გაგიჟებული მარტორქა დიდ ქარავანს და ყველაფერი აუწიოკებია. ამ დროს არ აშინებს არც მტრის რიცხვი, არც მისი ღონე.

აფრიკის მარტორქას წყვილი რქა აქვს და ინდოეთისაზე მომცროა, მაგრამ მასზე ავია, მეტადრე შავი მარტორქა, რომელსაც კაფრები კობაობას ეძახიან. თვით ლომი გაურბის მასთან შეხვედრას. მრავალი მოგზაური აღწერს მარტორქისა და

სპილოს ორთაბრძოლას, საიდანაც გამარჯვებული ხშირად მარტორქა გამოდიოდა: თუ დაასწრო, ბასრი რქით მუცელს უფატრავს.

ტყეში მძიმე ლაწანი გაისმა. გივი შეკრთა, უცაბედად ტოტს მოწყდა, „უნივერსალზე“ დაეცა და შუბლი იტკინა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა. ანდრესი თავისი ესპადრონითტყის სიღრმეში გაიჭრა. ამ ადგილას ტყე მეჩხერი იყო და კაპიტანმა შორიდანვე დაინახა იერიშზე გადმოსული სქელტყავიანი მაჯლაჯუნა.

რეზომ მგლის მუხლი გამოიბა. გრძნობდა, გაშმაგებული მხეცი ფეხდაფეხ მოსდევდა. ფეხის ხმაზე შეატყო, „უნივერსალამდე“ ვერ მიასწრებდა. იმის ნაცვლად. რომ განზე გასხლტომოდა, ერთ პატარა ხეზე აცოცდა. მარტორქა ჯიქურ მივარდა ხეს, ძირფესვიანად ამოთხარა და ბასრი რქა პირდაპირ რეზოს დაუმიზნა. იმავე წამს ზედიზედ ხუთი ტყვია გავარდა, მაგრამ ისე სწრაფად, რომ ხმა ერთ ჯერად გაისმა. რეზომ წამოხტომაც ვერ მოასწრო, რომ ხუთიოდე ნაბიჯზე გაცოფებულმა პირუტყვმა დაიქშინა. აი, სადაცაა ათასკილოგრამიანი ნადირი ფოლადივით მჭრელ რქაზე ააგებს თამამ ყმაწვილს ან გათელავს... აი, თითქოს გათელა კიდეც!

ანდრესმა საზარელი ხმით შეჰყვირა. მიუხედავად თავისი დაურღვეველი სიდინჯისა, ერთ წამში ინჟინერი კინაღამ შეიშალა, შეხტა და მახვილით ხელში ანგარიშმიუცემლად მივარდა მხეცს. უეცრად ფეხქვეშ ნიადაგი ჩაექცა, კაპიტანი მარტორქასთან ერთად ორმოში ჩავარდა და რაღაც რბილ საგანზე დაეცა. პირველი აზრი, რამაც წყვდიად სიბნელეში ანდრესის გონება მოიცვა, იყო რეზოს გადარჩენა.

მაგრამ რეზო უკვე გადარჩენილი იყო. მის ბედზე ორმოში მკვდარი სპილო ეგდო. სასიკვდილოდ დაჭრილი მარტორქა იმის გვამზე დაეცა, რეზო კი გოლიათის ფეხებს შორის ჩავარდა

ზარდამცემ ამბავს მოჰყვა სასაცილო ამბავი: მარტორქის სისხლით დასვრილი, მტვერში ამოგანგლული ოინბაზი იდგა ანდრესის წინ და თავი რაინდულად ეჭირა:

— მაპატიეთ, კაპიტანო! მინდოდა ეთიოპიის ხარი შემეპყრო, და კევრში შემება, მაგრამ დამასწრო. ვიდრე რქებში

ხელს ჩავავლებდი, ისე გაჯიქდა, მიწა ჩაიქცა. ვიფიქრე, ეს ორ-
ჩა, ჩემი კალო უხაროდაც გალეწილია-მეთქი! ჰოდა, ამ დროს
უეცრად ორმოს ფსკერზე გავჩნდი. ისე ბნელოდა, როგორც
დახურულ ქვევრში. ძლივს ამოვძვერი.

— შენ შუბლიდან სისხლი გდის! „შენმა კაპიტანმაც“ ლა-
მის ფეხი მოიტეხა... ასე როდი ათვინიერებენ ეთიოპიის ხა-
რებს, მეგობარო!

— ოჰ, კაპიტანო, ეს მე გაყენებთ ამდენ უსიამოვნებას, —
სინანულით თქვა რეზომ და თავი დახარა. — მაგრამ ვფიცავ
იმ მკვდარ სპილოს, რომელმაც გასრესას გადამარჩინა, მე არ
ვიცი, ვინ დაამზადა ეს ორმო.

— ჩვეულებრივი სპილოს საჭერი ორმოა. თუ შენიშნე.
მკვდარ სპილოს ეშვები არა აქვს: ცხადია, მონადირეებმა ისი-
ნი ამოჭვეთეს, გვამი დატოვეს და ორმოს ზემოდან ისევ გა-
დააფარეს ხის ტოტები. მათ შორის დარჩენილ ხვრელში შენ
ჩავარდი. მაშინვე მარტორქამ თავისი სიმძიმით ჩატეხა შენი
თავშესაფრის ჭერი. აი, მთელი ამბავი!

მარტორქა მკვდარი იყო. ხუთივე ტყვია შუბლში და ყურ-
ში ჰქონდა მოხვედრილი.

— მე კი ისე შემეშინდა, რომ ბაობაბის ტოტიდან ნაზარა-
სავით გადმოვვარდი და შუბლი „უნივერსალს“ დავკარი, —
დაუფარავად გადმოალაგა გივიმ თავისი მარცხი.

— კიდევ კარგი, რომ ასეთი მაგარი შუბლი გქონია, — გა-
იცინა ანდრესმა.

— და კიდევ უკეთესი, რომ „უნივერსალი“ ასე მაგარი
ყოფილა, — მიუგო გივიმ.

— ბაობაბზე რაღას აკეთებდი? — ჰკითხა სიცილით რეზომ.

— ნაყოფს გიკრეფდი, შენ კი... — თქვა საყვედურის კი-
ლოთი ნორჩმა პოეტმა, შუბლზე დამჯდარი კოპი მოსინჯა და
ბუზღუნით დაუმატა: — საკუთარი გზებით დადის!

— ჩვენ უმძიმეს ხიფათს გადავრჩით, — თქვა ანდრესმა,
როცა ყველა დამშვიდდა. — გაბრაზებულ მარტორქაზე საში-
ში მხეცი ქვეყნად არ არის. საკმარისია, წითელი ცხვირსახოცი
დაანახოთ, რომ დაიფრუტუნოს და თავს დაგესხათ, თუნდაც
თვითონ გოლიათი იყოთ. გამოცდილი მონადირე ახლოს მო-

უშვებს და განზე გადახტება. მარტორქა უცბად ვერ მობრუნ-
დება და იბნევა. ფეხმალ რეზოს რომ ეს ხერხი სცოდნოდა,
იოლად გაექცეოდა ნადირს. ახლა კი ის უბრალოდ ბედნიერმა
შემთხვევამ იხსნა.

— აბა რას აღიზიანებდა მარტორქას? — წყენით შესძახა
გივიმ.

— მომეწონა რქოსანი გიგანტი,—თავს იმართლებდა რეზო.

— — მოეწონა! ერთი მისთვის გეკითხა, თუ მოეწონე?

რეზო ინჟინერს მიუბრუნდა: — რას ვიფიქრებდი, კაპიტა-
ნო, თუ რაღაც მარტორქა ხეს წააქცევდა... თუმცა ზღაპარში
კი გამიგონია.

— ჩემო პატარავ, ზოგ ზღაპარს მეტი დაეჯერება, ვიდრე
ზოგ სინამდვილეს, — გაიცინა ანდრესმა. — ჯერ კიდევ ძველი
რომაელი პოეტი მარციალი წერდა, მარტორქა ძალუმ დათ-
ვებს ისე მსუბუქად აიტაცებს და აისვრის ვარსკვლავებისაკენ,
როგორც ხარი ძაღლებსო. დღესაც ინდოეთში ვეფხს ისე ფატ-
რავს, როგორც ხარი — ძაღლს.

— ნუთუ ასე მაგარი რქები აქვს?

— მოსინჯე.

რქა მართლაც ფოლადივით მაგარი იყო. რეზომ სურვილი
განაცხადა — მოვაჭრათ და წავიღოთო. ანდრესმა მიუგო,
სრული უფლება გაქვს შენს ნანადირევს ისე მოექცე, რო-
გორც მოისურვებო.

— აფრიკელთა რწმენით, ამ რქას ჯადოსნური თვისებაც
აქვს, — განმარტა ანდრესმა. — თუ მასში ჩასხმულ სითხეში
შხამი იქნება გარეული, ის დუღილს დაიწყებსო. ამიტომ რო-
ცა თურქეთის სულთანებს მოწამლვის ეშინოდათ, ყავას თურ-
მე მარტორქის ყანწიდან სვამდნენ.

„ნილოსის ღორი“

ლელითა და წყალმცენარეებით სანახევროდ დაფარულ
ტბიდან უცნაური დრუნჩი ამოპყო ბეჰემოთმა, ტბა სწრაფად
გამოცურა და შლამით ამოგანგლული გოროზი ღორივით
შეერია მწვანე ბალახს. ასედაც უწოდეს ძველმა ეგვიპტელებ-
მა: „წყლის ღორი“.

— ბეჰემოთი საბალახოდ მიდის, — თქვა ანდრესმა, — აქ ბევრია პაპირუსი. ძველი ეგვიპტელები მის ფურცლებს ერთმანეთს აწებებდნენ და ზედ ნილოსის საგალობელს წერდნენ. ახლა მათ მხოლოდ ბეჰემოთი იყენებს, ოღონდ საწერად კი არა. ნახეთ, როგორ თელავს პაპირუსებს. ტბაში იმიტომ იბანავა, რომ შლამით დაფარულ ტანზე ბუზებმა ველარ უკბინონ. მისი კანი მთლად ტიტველია და თუმცა ძლიერ გლუვიცაა, მაინც ვერ იფარავს პატრონს მწერებისა და წურბელებისაგან.

ბეჰემოთი არ ეკუთვნის ძლიერ მშვიდობიან ცხოველთა რიცხვს, თუმცა თვინიერდება, როგორც მარტორქა. ეს. ფრიალ თავისებური ღორი ეგვიპტეში უკვე ამოწყვეტილია, საკმაო რაოდენობით დარჩა მხოლოდ აბისინიაში, ტანას ტბაში და სამხრეთით. მაგრამ დღესაც ისევე ავია, როგორც ხუთი ათასი წლის წინათ იყო. თუ გაბრაზდა, შებრალებას არ უნდა მოველოდეთ. საშინელი დრუნჩის ერთი მოვლებით შეუძლია დაამსხვრიოს პატარა ნავი და ძვალ-რბილი დაუფქვას ადამიანს. გახსოვთ ბეკერი? ერთხელ ღამით ბეკერი მდინარეში გემით მიცურავდა. უეცრად მის გემს თავს დაესხა ბეჰემოთი. ეტყობოდა, ძილი დაუფრთხეს და გააბრაზეს. გააფთრებულმა ეშვებით გემის ბორბალს რამდენიმე ფრთა შეამსხვრია, შემდეგ გემზე გამობმულ ნავს მივარდა და ოთხი საშინელი ეშვით ორ ადგილას გაუხვრიტა რკინით მოჭედილი ძირი. ბიძგმა ბეკერის მხლებლები გააღვიძა, კაპიტანმა გემი ნაპირს მიაყენა; ეკიპაჟი დაღუპვას ბეწვზე გადარჩა.

— ასეთ ურჩხულთან შებმა, ალბათ, ლომსაც გაუჭირდება, — წამოიძახა რეზომ. მისთვის ძალის საზომი ლომი იყო.

— არა მგონია ოდესმე ლომს ან რომელიმე სხვა ნადირს გადაეწყვეტოს ბეჰემოთზე თავდასხმა, თუ არ ჩავთვლით მწერებს, რომლებიც ყველა მხეცზე მეტად აწუხებენ. — როცა ღამით წყლის ზედაპირზე ორი მოქიშპე ბეჰემოთის ხმა დაიქუხებს, ყველა ნადირი სულგანაბული ელის ჯუნგლების საზარელი სიჩუმის შეფეთებას.

— კაპიტანი, ეს ალბათ ზღაპარია: რატომ ახლა არ ღრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს? — დაეჭვდა რეზო. — ჩვენ მისი ტენორი ერთხელაც არ მოგვისმენია...

— ბეჰემოთის ნამდვილი ღრიალი იშვიათად თუ ვინმეს სმენია. სამაგიეროდ ბევრს უნახავს მისი მშვიდობიანი ღრუტუნი, სწრაფი ცურვა, თავდასხმა ადამიანებზე და ნავებზე, რომლებიც ძირით შეხებიან თავისი საქმეებით გართულ „ნილოსის ცხენს“. ტყუილად როდი უწოდეს მას ბეჰემოთი, რაც ებრაულად ღორს ნიშნავს. მართლაც, ნამდვილი ღორია. ამ სამტონიან ურჯუკ ნადირს დიდი ზიანი მოაქვს თავისი თარეშით ბაღებსა და ნათესებში, რომელთაც ერთიანად სპობს. ორი-სამი ბეჰემოთი უზარმაზარ ყანას ერთ ღამეში კალოსავით გალეწავს. ჭამით ხომ უზომოდ ჭამს, უფრო მეტს თელავს და ამტვრევს. მაგრამ უმჯობესია გავეცალოთ ამ სქელტყავიან ღორებს: ერთიც ვნახოთ, მათ ჩვენი „უნივერსალი“ არ მოეწონათ და განიზრახეს მისი გარდაქმნა — ვთქვათ, ჰაერის შესასვლელად კორპუსში ოთხიოდე ხვრელის გაკეთება...

— კაპიტანო, ბეჰემოთის ხორცი იჭმევა? — იკითხა გივიმ, როცა უკვე „უნივერსალში“ ჩასხდნენ.

— ამბობენ ძალიან გემრიელიაო, მე პირადად არ მიჭამია, — გაიცინა ანდრესმა და ღილს თითი დააჭირა.

ნილოსის ცხენებმა ზღაპრული დრუნჩები მაღლა აიშვირეს, სასაცილო ყურები დაცქვიტეს და პაწია თვალებით გაოცებით მიაჩერდნენ მათ თავზე მბრუნავ „უნივერსალს“. ეტყობოდა, პირველად ხედავდნენ ასეთ უცხო „ფრინველს“.

მაიმუნების დოქტორი

აბისინიაში უნივერსალელებმა მრავალი უცნაური არსება ნახეს. ნორჩ მოგზაურთა ყველაზე მეტი გაოცება გამოიწვია პავიანების ოჯახის წევრმა, რომელსაც უხსოვარ დროს რატომღაც ბერძენთა ფერიის ჰამადრილის სახელი უწოდეს, თუმცა ფერიასთან მაიმუნს რა საერთო უნდა ჰქონოდა! უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო სწორად მოიქცა ერთი ძველი მწერალი, რომელმაც ამ ბანჯგვლიან საფრთხობელას სფინქსი უწოდა.

ჰამადრილი უძრავად იჯდა კლდის ქიმზე, ოთხივე კიდური ლოდზე ერთგან დაელაგებინა და ისე ღრმად ჩაფიქრებული გასცქეროდა სივრცეს, თითქოს მთელი აბისინიის ბედი ჰქონოდა გადასაწყვეტი. მხრებსა და მკერდზე ტალღებად დაყრილი უზარმაზარი ბალანი მას სიასამურის სამეფო მოსასხამით დამშვენებული მაიმუნთა მეფის გარეგნობას აძლევდა. ტიტველ სახეს კი გარშემო რკალად ერტყა ასეთივე გრძელი ჭალარა თმა.

— ერთი სიტყვით, ნამდვილი ჰამადრილია! — თქვა ანდრესმა.

— კაპიტანო, მაიმუნთა ბრძენი ეს არის, არა? — იკითხა რეზომ.

ანდრესს გაეცინა.

— სწორედ ასეა, ჩემო მეგობარო: მაიმუნების დოქტორია! — თუმცა, გვერდიდან რომ შეხედოთ, ამ დოქტორს ძაღლის დრუნჩი აქვს.

ძველი აბისინიელები მას თაყვანს სცემდნენ, როგორც ეგვიპტელები — ნიანგს, ინდიელები — კუსა და გველს; ჭკვიან არსებად თვლიდნენ და თმასაც ისე იხვევდნენ, როგორც ჰამადრილს აქვს დახვეული.

— მაიმუნს ბაძავდნენ? — გაიცინა გივიმ. — პირველად მესმის.

— დიახ, მიბაძვა საერთოდ არაა სასურველი და მით უმეტეს, მაიმუნებისა.

ბრემს აოცებდა ამ მაიმუნების სიცოცხლისუნარიანობა და სიმკვირცხლე. ისინი უფსკრულის თავზე, სრულიად შვეულ კლდეებზე დარბოდნენ და არ ვარდებოდნენ. ძაღლებს ახლოსაც არ იკარებდნენ; შეიარაღებულ ადამიანებსაც უხალისოდ გაურბოდნენ.

—თავს რომ დაესხას, მოერევა ადამიანს? — იკითხა რეზომ.

— უდავოდ მოერევა. ნატურალისტი რიუპელი ამტკიცებს, ჰამადრილი ადამიანის ყველაზე უფრო საშიში მტერიაო. ეს აზრი შეიძლება გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა ჰამადრილს მოუკლავს ადამიანი, დაუხრჩვია გოგონები, რომლებიც ფიჩხის მოსაგროვებლად ყოფილან ტყეში.

უეცრად ჰამადრილმა ფიქრი შესწყვიტა, დაიღრიალა და მწვერვალისაკენ გაიქცა. მას ღმუილითა და ჭყივილით მიჰყვა ლოდებს შორის მიმალული მაიმუნების მთელი ხროვა.

მოგზაურებს ვერ გაეგოთ, ვინ შეუშფოთა ჰამადრილს ფიქრები. მაგრამ, როცა ამ ცოცხალი სფინქსების ჭრელ მწკრივში ლაქებიანი ლეოპარდის ყვითელმა ფიგურამ გაიელვა, ყველაფერი ნათელი გახდა.

ჰამადრილებს ისე ადამიანის არ ეშინიათ, როგორც ძაღლების და ლეოპარდების. ამიტომაც ახლა მათი განგაშისაგან ყურთასმენა არ იყო. „უნივერსალი“ ორ წამში თავს გადაევლო იმ მწვერვალს, სადაც ლეოპარდი კლდის მაიმუნთა ხროვას თავს დაესხა, დაეშვა ერთ საკმაოდ ფართო ვაკეზე, რომლის ზემოთაც კიბის საფეხურივით იწყებოდა ახალი მწვერვალი. — ასეთია აბისინიის მთები. უეცრად უნივერსალელებს თვალწინ წარმოუდგათ ისეთი სანახაობა, რომლის მსგავსიც, ალბათ, არც ერთ მოგზაურს არ უნახავს: ასამდე გაბოროტებული ჰამადრილი გაალმასებული კბილებით ულრენდა ლეოპარდს, რომელიც, ეტყობოდა, ასეთ დახვედრას არ მოელოდა, და აღარ იცოდა ნახევრად დაფლეთილი მსხვერპლისათვის მიექცია ყურადღება თუ გაქცეულიყო.

სწრაფია ნადირთა ბრძოლა. შედეგებიც მოულოდნელია და საზარელი. ერთ წამში ყველაფერი ერთმანეთში აირია, ჩანდა მხოლოდ უზარმაზარი ჭრელი ცოცხალი ბურთი, ნამდვილი „ქაჯთა გორგალი“, რომლის გარშემოც ასობით კუდი იგრიხებოდა. ისმოდა ღმუილი, ღრენა, კივილი, გმინვა და ხრიალი.

შემდეგ ცოცხალი ბურთი გაიშალა. სულთმობრძავ მაი-

მუნებს შორის საკუთარ სისხლში იგრიხებოდა უწყალოდ დაჭრილი ლეოპარდი.

ათიოდე წუთის შემდეგ სრულიად დაწყნარებული ჰამადრილები ისევ სფინქსის ქანდაკებებივით დაეყუდნენ კლდის ქიმებზე, მათი ჭაღარა „დოქტორიც“ დამშვიდებით განაგრძობდა შეწყვეტილ ფიქრებს სამყაროს ბედ-იღბალზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი V

აფრიკის გულში

კილიმანჯაროს ჯავროზს

„უნივერსალი“ კილიმანჯაროს მთების ძირას დაეშვა. მთვარიანი ღამე იყო.

ათასი შთაბეჭდილებით დაღლილი მოგზაურები ბორცვზე გადაშლილ ნოხზე იწვნენ და ცას გასცქეროდნენ.

— რატომ არ ვარდება ციდან მთვარე, როცა ის ასე მძიმეა? — მოულოდნელად იკითხა გივიმ, რომელიც გულალმა იწვა.

ანდრესმა გაიცინა:

— ასეთივე კითხვა დასვა ამ ოთხას ორმოცი წლის წინ დიდმა იტალიელმა მეცნიერმა ლეონარდო და ვინჩიმ; ორასი წლის შემდეგ მას პირდაპირი პასუხი გასცა ნიუტონმა: „მთვარეს იზიდავს დედამიწა. ამ მიზიდულობის ძალით მთვარე

სწორი გზიდან გადაიხრება და თავის ორბიტში რჩება“ მიზიდულობის კანონი...

უეცრად მიწა შეზანზარდა და იმავე დროს გაისმა ცივი, გამაყრუებელი ჭექა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს სადმე მახლობლად მეხი დაცემულიყო.

— მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა ხშირად მსმენია ბერძნულ მითებში, — თქვა გივიმ. — სინამდვილეში კი პირველად ახლა გავიგე, თუმცა სხვა რა არა ჰგავს ზღაპარს ჩვენს მოგზაურობაში?

— ცამ კი არა, მთამ იქუხა, — შეუსწორა ანდრესმა. — გაიხედე, კილიმანჯარო ცეცხლის ალშია გახვეული.

ახლა სამთავემ ნათლად ნახა აბობოქრებული კილიმინჯარო, მეამბოხე მთა, აფრიკის უმაღლესი მწვერვალი, რომელიც ექვსი ათას ათი მეტრის სიმაღლიდან დაჰყურებს დედამიწას. გიგანტის ღია ხახიდან, როგორც ორთქლმავლის მილიდან, ცეცხლის კვამლი ბოლქვებად ამოდიოდა. მთას აზანზარებდა მიწის გულის ფრიალი, მისი მაჯის ცემა, მისი სითბო. ამ ქვეყანაში თითქოს ყველაფერი გოლიათური ძალით ისწრაფვის მაღლა, სიდიადისაკენ: პირამიდებიც, ვულკანის ღველფიც, ვიქტორიას ჩანჩქერის ბოლქვებიც და ბაობაბიც! — შთაგონებით შესძახა ანდრესმა.

— პლუტონს ცეცხლი შეყრია, გულიდმა გდია და პირს აღებინებს! — იხუმრა რეზომ.

— ვინაა პლუტონი? — იკითხა შეშფოთებულმა გივიმ.

— ქვესკნელის მბრძანებელი. პოეტმა ეს როგორ არ იცი?

— ვიცი, ვინც არის პლუტონი, მაგრამ ეს ზღაპარია, ჩვენ კი სინამდვილის წინაშე ვართ! ცეცხლის ქვეშ რომ გულიდმა დაწოლილხარ, ნუთუ იმედი გაქვს, რომ გამოჩნდება მფარველი ათინა, ნისლით დაგბურავს და საფრთხეს აგარიდებს?

— კეთილგონიერება სიმხდალე არ არის, რეზო, —თქვა ანდრესმა. — გივი მართალს ამბობს. უნდა ვიჩქაროთ. მხოლოდ სულელები და მკვდრები არ განიცდიან შიშს.

„უნივერსალმა“ ნელა გადაუქროლა კილიმინჯაროს თოვლიან მწვერვალებს და დასავლეთით აიღო კურსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერცხლი, რომელიც ხელში დნება

კენია-მომბასის საუცხოო გზატკეცილზე ასობით ავტომანქანა მისრიალებდა. არავითარი წესი და ზომა არ იყო ამ გიჟურ სვლაში. მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან — ყველა თავის გზით მიიჩქაროდა და ყველა ცდილობდა მეორისათვის გაესწრო. ამ მანქანების ქარიშხალში იქვე გზის პირას დამშვიდებით ძოვდნენ ბალახს რქაგრეხილი ანტილოპები, ზოლებიანი ზებრები და „ოთხფეხი სირაქლემები" — ჟირაფები. როცა გაოცებულმა ანდრესმა ადგილობრივ მტვირთავს ჰკითხა, ვინ მოაშინაურა ეს ნადირებიო, მაშვრალმა ოფლი სახელოთი შეიწმინდა და დამტვრეული ინგლისურით აუხსნა:

— კენიადან ტანგანაიკამდე ნადირობა აკრძალულია, სერ. ჩვენს მხარეში ნადირები უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ადამიანები: მათ კანონი იცავს.

დიდხანს ტკბებოდნენ თვინიერ ნადირთა ცქერით უნივერსალელები. სამხრეთ-დასავლეთით ჭაღარა გოლიათივით იდგნენ კილიმანჯარო, კიბო და მავენზი. კილიმანჯარო აღარ ჯავრობდა.

— როცა შევცქერი ამ დიდებულ მთას და მისი სპილენძის ძარღვებიდან ამოზიდულ სიმდიდრეს, რომელიც ზღვისაკენ მიაქვთ, მე მაგონდება ძველი ტანგანაიკური ლეგენდა, — თქვა ანდრესმა და განაგრძო: — უხსოვარ დროს ამ ადგილებს განაგებდა ბანტუს ტომის მრისხანე ბელადი, რომელსაც არ ენახა თოვლი და ყინული. როცა მან გახედა კილიმინჯაროს ყინულოვან მწვერვალს, ყინვარი ვერცხლი ეგონა და თავის მეომრებს უბრძანა: წადით, მომიზიდეთ მწვერვალთა განძი, მომიტანეთ რაც შეიძლება მეტი ვერცხლიო.

დიდხანს ებრძოდნენ მეომრები მოჯადოებულ მწვერვალებს, ბევრმა მათგანმა ნახა სამარე ნაპრალებს შორის. გადარჩენილებმა კი მეფეს მიართვეს ლეოპარდის ტყავში გახვეული ერთი ნატეხი ვერცხლი და უთხრეს: „მეტის გადარჩენა ვერ მოვახერხეთ, ო, დიდო ინკოზო! ჯადოქრებმა წაგვართვეს განძი. მხოლოდ ღამის სიბნელეში, როცა ჯადოქრებს ეძინათ, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვტაცეთ ერთი ზოდი“. ბელადმა ყინული გამოართვა და ხელში შეადნა.

ანდრესმა გაიღიმა და განაგრძო:

— ეს ძველი ზღაპარი სინამდვილედ იქცა, როცა ამ მიდამოებს თეთრები დაეპატრონენ. ოქრო, სპილენძი, ტყვია, კობალტი, სპილოები, ლომები, მდინარეთა ენერგია, — აი სიმდიდრე, რაც მოტყუებულ. აფრიკელებს ისევე ადნებოდათ ხელში, როგორც ოდესღაც მათს ბელადს შეადნა ყინული.

— გამოდის, რომ ჯადოქრებმა ხორცი შეისხეს, კაპიტანო! — თქვა გივიმ.

— და მათგან ყველაზე უფრო გაქნილი იყო ინგლისელი საქმოსანი სესილ როდსი. მან დაიმონა, დასტანჯა მატაბელე და მაშონა. მაგრამ ეს ხალხები დღესაც ცოცხლობენ, როდსი აღარ არის, თუმცა მატაბელეს ქვეყანა ამ ჯალათის სახელს ატარებს: როდეზია...

— როგორ ითმენენ ამას როდეზიელები? — გაუკვირდა რეზოს.

— ამას როდეზიაში ვიკითხავთ, ჯერ ტანგანაიკის საზღვართან ვართ და ამას მიდასტურებს ყირაფის თავი, რომელიც პალმების ტოტებს შორის მაცქერდება: სწორედ ყირაფის თავია ტანგანაიკის ღერბი!

ვარხვების ნადირობა

„უნივერსალი“ ჰაერში გაჩერდა, როგორც ქართან მოთამაშე არწივი. ფრინველთა ასეთი უნარი ჯერ კიდევ მიუწვდომელია ჩველებრივი მანქანებისათვის, რომლებმაც ფრენაში ფრინველებს გაუსწრეს.

დაბლა გადაშლილი იყო უსაზღვრო მთაგრეხილების ჯაჭვი, თოვლიან მწვერვალთა დიდებული გვირგვინები და მათ შორის ჩაწოლილი თვალუწვდენელი წყალთა მასა.

— ჩვენ თავზე დავცქერით „აფრიკის სახურავს“, — თქვა ანდრესმა. — ამ მთებიდან ყოველ მხარეს მიედინება წყალთა უწყვეტი ნაკადები, როგორც სახურავიდან წვიმის წყალი და კვებავენ ზღვებსა და ოკეანეებს: ჩრდილოეთით ხმელთაშუა

ზღვას, დასავლეთით ატლანტის ოკეანეს და აღმოსავლეთით — ინდოეთის ოკეანეს. ამ მიდამოებში იწყება კონგო და ნილოსი. მათი სათავეების ძიებამ აკი ასე დასტანჯა და იმსხვერპლა მრავალი გაბედული ადამიანი. ასი წლის წინ, 1860 წელს, ამ ადგილებში უგანდელებმა მოკლეს ახალგაზრდა ნიჭიერი გერმანელი მოგზაური ალბრეხტ როშერი. ოთხი წლის შემდეგ ვიქტორიის ტბაც და მისგან გამომდინარე თეთრი ნილოსიც აღმოაჩინეს სპიკმა და გრანტმა, რითაც გადაწყდა დიდი თავსატეხი.

— მანამდე ეს ადგილები არავის ენახა? — იკითხა გივიმ.

— დიდი ტბების ქვეყანა ნახა ამ ორი ათასი წლის წინ ბერძენმა ვაჭარმა დიოგენმა, რომლის ხომალდიც ამ ნაპირებთან გამოაგდო ქარიშხალმა. მთებს, რომლებიც დაბლა გაშლილან, მაშინ უწოდა დიოგენმა „მთვარის მთები“. მერე ამ მთებში ისევ ჩამოწვა ათასწლოვანი ბურუსი.

„უნივერსალი“ აუჩქარებლად დაეშვა კლდოვანი კუნძულებით მოფენილ განუზომელ წყალთა ველზე.

— ესეც ვიქტორია, „აფრიკის ზღვა“, — შესძახა ანდრესმა. — ამ სივრცეზე ოცდახუთი მილიონი წლის წინ დედამიწის ქერქი გრუხუნით გაიპო, უზარმაზარი ნაპრალები გაჩნდა, შიგ წყალი ჩადგა და როგორც ხედავთ, დღემდე დგას. ვიქტორიას ფართობი ოთხმოცდაექვსი ათასი კვადრატული კილომეტრია, საშუალო სიღრმე კი ას მეტრსაც ვერ აღწევს. ხედავთ დალეწილ სანაპიროებს? აქ თითქმის ყოველდღე ქარიშხალია...

— კაპიტანო, მაშ ერთი წუთით „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“, — მოიგონა გივიმ პოეტის სიტყვები.

— კაპიტანო, ხედავთ, რამოდენა ბუზი დამაჯდა? — შესძახა უეცრად რეზომ. — ჩვენებურ ბუზს კალთაში ჩაისვამს...

ანდრესმა მწერს გაშმაგებით დაჰკრა ხელი და გასრისა.

— ასეთ ბუზს ნუ ეხუმრები, ძვირფასო! — შესძახა შეშფოთებით — ეს არის ცეცე. ხომ არ გიკბინა?

— არ ვიცი... — დაბნეულად თქვა რეზომ.

— ცეცე, — შეკრთა გივი. — თუ გიკბინა, რას მალავ? კაპიტანო, ცეცეა?

— დიახ, ცეცე, აფრიკის რისხვა, რომელიც აქ მეტ ცხოველს ხოცავს, ვიდრე ყველა ლომი და ლეოპარდი ერთად...

— შხამიანია? — იკითხა რეზომ, რომელსაც ეშინოდა ეცვალა.

— ცეცე შხამიანი არაა, მაგრამ საშინელი ტრიპანოზომები დააქვს, ცხოველებს სისხლსა სწოვს და თან ამ საწამლავს ჩაწვეთებს. მისგან ცხენი მძიმე ავად ხდება, რამდენიმე ხნის შემდეგ სისხლის დენა უჩნდება, მუცელი ეშლება, სივდება, ბრმავდება და კვდება. ამ ბუზის ნაკბენისაგან კვდება აქლემიც, ხოლო ადამიანს ავადმყოფური ძილი ერევა, თუმცა ჩვეულებრივ ცოცხალი რჩება. იმედი ვიქონიოთ, რომ ცეცემ კბენა ვერ მოასწრო.

მანქანა ტბის ზვირთებს მსუბუქად მიარღვევდა. კაპიტანმა შესძახა:

— მეგობრებო, ჩვენ ისევ ეკვატორზე ვართ!

— ნუთუ ეს ეკვატორია? — გაუკვირდა გივის. — კაპიტანო, ისე მივეჩვიე რუკებზე გავლებულ ეკვატორის ხაზს, რომ მეგონა, მართლაც ერთგვარი ხაზია გავლებული ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებს შორის-მეთქი.

— ჩვენ ის ორჯერ გადავკვეთეთ. — გაიცინა ანდრესმა.— ახლა, თუ დააკვირდებით, ეკვატორის ხაზსაც ნახავთ. განა ვერ ამჩნევთ იმ კუნძულებს შორის გავლებულ თეთრ კედელს?

მართლაც, ვიქტორიის ტბის ჭაობიან სანაპიროებს მიჰყვებოდა რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული თეთრი კედელი. ხეებიც თეთრად იყო დაფარული, თითქოს ყოველი ტოტი უზარმაზარი თეთრი ყვავილებითაა შემოსილიო.

— ვარხვების გუნდია, — გაისმა ანდრესის ხმა.

„უნივერსალი“ ფრინველებს მიუახლოვდა. ასი ათასობით უზარმაზარი თეთრი ფრინველი ნახევრად წყალში იდგა და წინამძღოლის ნიშანს ელოდა.

უეცრად წინამძღოლი ახმიანდა. მაშინვე მთელმა გუნდმა დაიწყო ძახილი და ასტეხა ფრთების ფართქუნი.

— ასე მიერეკებიან ვარხვები თევზს ნაპირისაკენ. — განმარტა ანდრესმა.

არაჩვეულებრივი ნადირობა დაიწყო. ვარხვები თევზით ივსებდნენ ნისკარტის ქვეშ მოთავსებულ ტომარას. მათ გარ-

შემო თავი მოიყარა ათასობით სხვა ფრინველმა: იქნება ჩვენც გვერგოს წილი. მაგრამ ბევრი არაფერი შეხვდათ.

თევზაობა გვიან დასრულდა. მებადური ვარხვები ნაპირზე გამოვიდნენ, თვიანთი ტომრები დაცალეს და მთელი ნანადირევი ერთად დაყარეს მიწაზე, შემდეგ ყველამ სათითაოდ მირთვა იმდენი თევზი, რამდენიც უხდოდა.

— მეგობრობაც ასეთი უნდა! — გაიცინა გივიმ.

როგორ დაამარცხეს კოლოებმა შაჰი და ლეოპარდმა—პითონი

კოლოებმა ჩაამწარეს მოგზაურებს ვიქტორიას ტბის მშვენიერება. თავის შეფარება მხოლოდ „უნივერსალში“ შეიძლებოდა. მაგრამ კარის გაღება და სიმაგრეში ათასობით მოსკიტის შეჭრა ერთი იყო.

— ეს ლაშქარი რომ რომელიმე არმიას დასხმოდა თავს, ხეირს არ დააყრიდა! — გაიცინა გივიმ.

— ისტორიაში ასეთი შემთხვევაც იყო, — თქვა ანდრესმა. — ერთხელ სპარსეთის გამოჩენილი მეფე საპორი, იგივე შაჰპური (შაჰის შვილი) რომელიღაც ქალაქს უტევდა. თავის დროზე საპორმა რომის იმპერია შეაზანზარა. მისი უკუქცევა ადვილი არ იყო. მაგრამ ბრძოლაში ჩაება კოლოების ლაშქარი. მილიონობით კოლო ღრუბელივით დაატყდა თავს სპარსეთის არმიას, უწყალოდ კბენდნენ ადამიანებს, ცხენებს და ვირებს. კბენდნენ შაჰსა და ვეზირებს, სარდლებსა და ჯარისკაცებს. მთელი არმია აირია, შედრკა და გაიქცა.

— ასე დაამარცხეს კოლოებმა შაჰი,—დაასრულა ანდრესმა.

ყმაწვილები დიდხანს იცინოდნენ შაჰპურის მარცხზე.

სასაცილო ამბავი საზარელმა სურათმა შეცვალა. ლიანებით დახლართულ ათასწლოვან ტყეში ლეოპარდის ლაქებიანმა მოყვითალო ქურქმა გაიელვა. ფეხაკრეფით ეპარებოდა რომელიღაც ნადირს, რომელსაც ხეები ფარავდნენ. აი, ეტყობა, მსხვერპლს მიუახლოვდა, მიწაზე გაწვა და შესახტომად გაემზადა. მაგრამ ეს რა ლიანა ირხევა მტაცებლის თავზე? ვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე რეზო რაიმეს მოისაზრებდეს, ხის ტოტს ერთბაშად წყდება უზარმაზარი ხავერდის ფერი პითონი და მთელი თავისი მრავალფუთიანი სიმძიმით ზურგზე ემზღვლევა კატის ოჯახის მშვენიერ გოლიათს. ლეოპარდი ისედაც შესახტომადაა გამზადებული და ორმაგი ძალით გაიწევს, მაგრამ რკინის სალტეები — ერთი, ორი, აი უკვე სამი სალტე—ზომიერად უჭერენ წელზე და თანდათან მიეზიდებიან ხისაკენ, რომელზედაც პითონის კუდია დახვეული. იქ სიკვდილია. ლეოპარდმა ეს იცის. მაგრამ სულ ფუჭია მისი სულისკვეთება, მისი ღრიალი, ხვნეშა, ბასრი კლანჭების ქნევა. თავგამოდებით ცდილობს ბასრ კბილებში მოიმწყვდიოს საზარელი ცივი სხეული, მაგრამ მახრჩობელას შორს უჭირავს თავი და სადღაც ჰაერში აქნევს ფოლადის ზამბარასავით. უმწეო ბრაზი აცოფებს განებივრებულ ნადირს და დროზე ადრე იქანცება უთანასწორო ორთაბრძოლაში. უკანასკნელი გამძვინვარება, უკანასკნელი ამაო ცდა, და ის მოეშვა, მოდუნდა, დანებდა კიდეც ჯუნგლების კანონს. მხოლოდ თავი და კუდი ღა მოუჩანს ჭრელი პითონის ნელა, მაგრამ დაჟინებით მოძრავი ოთხმაგი სალტიდან. მხოლოდ ახლა დაეშვა დაბლა მახრჩობელას ენერგიული თავი, ნერწყვით სველი ბაგეებით მიუახლოვდა მსხვერპლის პირს და ორკაპი ენით დაუწყო ლოკვა...

ელვის სისწრაფით დააღო აქ ლეოპარდმა პირი და ვიდრე გველი თავის აწევას მოასწრებდა, მისი კისერი უკვე ორ საშინელ ყბას შორის იყო მოქცეული. მოტყუვდა მახრჩობელა! თანდათან მოდუნდა მისი კუნთები, მოპირდაპირეს საბედისწერო ალყა მოხსნა და უმწეოდ გაწვა მიწაზე. ლეოპარდი კი როდი უშვებდა პირს, ისევ გამეტებით ღრღნიდა პითონის კუნთებს და თუმცა მთელი სხეული უცახცახებდა, თანაც ძლიერ ეზიზღებოდა ასეთი საკბილო, მაგრამ მანამ არ მოისვენა, ვიდრე თავი მთლიანად არ წააწყვიტა. მაშინ კი ფრთხილად გაუშვა, განზე გადგა, გაერიდა საზარელ ქვეწარმავალს, ბარბაცით ძვიდა ხის ქვეშ და მიწაზე დაემხო.

— გაშარჯვებულ რაინდს მოსვენება მინდა მივცე, — დაარღვია დუმილი აქამდე გაშეშებულმა ანდრესმა. — იცოცხ-

ლოს, ის ღირსია სიცოცხლისა! — დაუმატა და „უნივერსალ-
თან“ მივიდა.

— თქვენ გიყვართ ყოველივე რაინდული! — გაიღიმა კმა-
ყოფილმა რეზომ.

— დიახ, სწორედ ის რაინდი ვარ, ვისაც თქვენი პოეტის
თქმით დასაბამიდან ცეცხლის ხსენება ჟრუანტელს ჰგვრიდა!—
გაიცინა კაპიტანმა და ღილს ხელი დააჭირა.

ბრძოლის ცეცხლოვანი ბილიკით მიდიოდა „უნივერსალი“
სამხრეთისაკენ.

სად დგას ბიძია თომას ძოხი

ტროპიკულ ტყეში რომ ათასწლოვანი ბაობაბების ჩრდილი
ჩამოწვა და ჯუნგლების ღამე დაიწყო, დაღლილმა უნივერსა-
ლელებმა თავი ძილს მისცეს.

— რამდენი რამ შეგვემთხვა ამ ორ კვირაში! — ამბობდა
დილით გივი, — აი, სულ ამ რამდენიმე დღის წინ ჩაფრინდა
ჩვენი არწივი ფანტაზიის ოქროს ძაბრში, და ასე მგონია, თი-
თქოს მთელი წელიწადი ვებრძოდით ათასნაირ მხეცსა და ხი-
ფათს. კაპიტანო, გამოგიტყდებით, პირველ დღეებში ვფიქრო-
ბდი, რომ მარტო ტურისტული სიამოვნება არა ღირს ამდენ
განსაცდელად-მეთქი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ეს შეცდომა
იყო.

— ჩვენ ჭექა-ქუხილის ბილიკით წავალთ, — თქვა ანდრეს-
მა და გახედა ლერწმის უზარმაზარ პლანტაციებს, რომლებ-
შიაც ურიცხვი ადამიანი ირეოდა.

ტროპიკული მზე ბედშავ ზანგებს პირდაპირ გარუჯულ
სხეულზე აღვრიდა თავისი სხივების ნიაღვარს. ცეცხლის
ღველფები ელავდნენ ლერწმით დაღარულ ველებზე, მაგრამ
ხანძარი რატომღაც არა ჩნდებოდა. ადამიანებს ღვარად ჩამოს-
დიოდათ ოფლი, ზანგი ბიჭუნები დანით ჭრიდნენ ლერწამს,
უღებდნენ გულს და ჭამდნენ. სკამის მაგივრობას უწევდათ
კაფრული კამეჩის თავი, რომელიც ალბათ თაობებს ემსახუ-
რებოდა. ძვლებს ჟანგის ფერი გადაჰკრავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაპიტანო, რას ეძახით „ჭექა-ქუხილის ბილიკს?“ იკითხა რეზომ.

— ასე უწოდა ერთმა ცნობილმა მწერალმა პიტერ აბრაჰამსმა იმ გზას, რასაც ეს გაწამებული, უუფლებო ადამიანები გაივლიან დაბადებიდან სიკვდილამდე. „დაე, დაიწვას ასეთი დღე! დაიფერფლოს ეს დუხჭირი ცხოვრება!“ ასეთია მათი წამოძახილი. აბრაჰამსის წიგნში მოთხრობილია ლენისა და სარის სიყვარულის სამწუხარო ამბავი. ლენი ხუჭუჭთმიანი ჭაბუკია. მის ძარღვებში ბანტუს ტომის სისხლი ჩქეფს. სარი კი თეთრკანიანი ქალიშვილია. მათ ერთმანეთი უყვართ ნაზი ადამიანური სიყვარულით და იბრძვიან თავიანთი კანონიერი უფლებისათვის, სიყვარულის უფლებისათვის. მაგრამ როგორც დღისა და ღამის შეუღლება არ მოხდება, ისევე წარმოუდგენელია ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინება. საბრალო შეყვარებულები, ეს ახალი რომეო და ჯულიეტა, ჭექა-ქუხილის გზაზე იღუპებიან.

ანდრესი დუმდა. სამივე უსიტყვოდ უახლოვდებოდა მაშვრალი ზანგის ქოხს. მასპინძელს მათთვის არ ეცალა. ინჟინერმა მწარედ გაიღიმა:

— იყო დრო, როცა აფრიკაში თეთრკანიანი კაცის დანახვაზე თურმე დაფეთებული გარბოდნენ თვით ის ნადირები, რომლებიც საერთოდ ადამიანს არ უფრთხიან. ახლა აქ ყველამ აღიარა თეთრების ძალა და ყველა უნდობლად უცქერის მათ. აი, თქვენს წინაშეა ნამდვილი აფრიკა, ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა! მაგრამ ვისია ეს სიმდიდრე? თეთრ ბატონებს ჰგონიათ, რომ ზანგს არაფერი არ უნდა, მისი კანივით შავი პურისა და ლერწმის ქოხის გარდა. შეხედეთ ამ წელში მოტეხილ ზანგს, ქოხის კარებთან რომ ზის და გარშემო მშიერი ბავშვები ტირილით ეხვევიან. ის მამაა. მას პურს სთხოვენ. ახლა ამ მოტეხილი მხრებით უნდა აზიდოს ის ტვირთი, რაც ჯანსაღი მხრებით ვერ ზიდა. მის ტანჯულს, მაგრამ ჭკვიან სახეზე უსიტყვოდ აღბეჭდილა:

— ეჰ, მძიმეა ჩემი ხვედრი, სერ!

ამ დროს ზანგს ზედამხედველმა დაუძახა. ეს იყო ჯოხივით გამხდარი და ჟირაფივით მაღალი კაცი, ხელში ბეჰემოთის

ტყავის შოლტი ეჭირა ძალაუფლების სიმბოლოსავით. ეს აფრიკული სამეფო კვერთხიაო, თქვა ანდრესმა. ქოხთან მჯდომი წამოდგა, დანა აიღო და ლასლასით პლანტაციისაკენ წავიდა. მესერით შემოღობილ უბადრუკ ქოხმახში ეგო თივა, იდგა დოქი და ეყარა რაღაც აყიროს ჭურჭლის ნამტვრევები.

— აქ ხომ გველები შეძვრებიან? — შეშფოთებით იკითხა გივიმ, მიწაზე დაგებული თივა რომ ნახა.

— ისეთი ღატაკია, რომ გველიც არ ერჩის, — მწარე ღიმილით ჩაილაპარაკა ანდრესმა და სწრაფად დაუმატა: — ხომ ხედავთ, ლოგინის ნაცვლად მიწაზე ხმელი ჩალა უგია! სამაგიეროდ, როცა მოკვდება, ხის კუბოში ჩაასვენებენ.

— გამოდის, რომ ზანგი ჯერ უნდა მოკვდეს, რათა ადამიანურ ლოგინში დაწვეს! — შესძახა გივიმ.

—ასეა. რინგზე ზანგი გოლიათები სჯობნიან თეთრებს, მაგრამ პლანტაციებში... ხომ წაიკითხეთ „ბიძია თომას ქოხი?“

— როგორ არა! რაც ამ ქოხთან მოვედით, სულ ამაზე ვფიქრობ.

— კარგია, რომ წაგიკითხავთ, — განაგრძო ანდრესმა. — დიდია ამ წიგნის ძალა. დიდია იმიტომ, რომ ეს სიმართლეა, გულწრფელად მოთხრობილი უბრალო ადამიანის მიერ, რომლის მკერდშიაც ნაზი გული ფეთქავს. ხელახლა გადაიკითხეთ ბიჩერ-სტოუს წიგნი. წაიკითხეთ და დააკვირდით, რასაც გეტყვით: ბიძია თომა არ მომკვდარა, თავის მამაპაპურ სამშობლოში დაბრუნებულა და ისევ ისე იტანჯება... მისი შვილებიც იტანჯებიან. შვიდი წლის ბავშვები მოხუცებს ჰგვანან. ნაადრევი სიბერე აღბეჭდილა მათ სახეზე. შეხედეთ, დაიმახსოვრეთ, აი, აქ დგას ბიძია თომას ქოხი! ასეთი ქოხები მრავალია. გადით სენეგალზე, გაჰყევით ზამბეზს — ყველგან ნახავთ ბიძია თომას დანგრეულ ქოხს, აი ასეთ ქოხს, — და კაპიტანმა ხელი გაიშვირა საცოდავად წამოხრილი ქოხმახისაკენ. ხოლო იქ კი, — და ანდრესმა თანამგზავრებს უჩვენა ველზე აღმართული ორსართულიანი სახლი, — იმ საუცხოო სახლში, ეტყობა, ამ პლანტაციის მეპატრონე ცხოვრობს და ამაყობს, რომ ეს სახლი მისია. მაგრამ თუ დამეთანხმებით, სახლის აშენება ბევრად უფრო საამაყოა, ვიდრე აშენებულ სახლში ცხოვრება...

ქოხის კარზე დასვრილი, ტიტველი, ჩონჩხად ქცეული და-ძმა იჯდა. ერთიმეორეზე პატარა და უბადრუკნი იყვნენ და ერთდროულად ორ საქმეს ასრულებდნენ: ტიროდნენ და შაქრის ლერწამს წუწნიდნენ. დას ხელი ჰქონდა დაწყლულებული — ეტყობოდა, რაღაცას ეკბინა, ძმა წყლულზე ალერსიანად უსვამდა ხელს, თანაც უბერავდა და ამშვიდებდა.

— მათ თვალებში სევდის ნისლი ჩამდგარა, რადგან დედის ნახვის იმედი აღარა აქვთ, — თქვა ანდრესმა, გოგონას ხელი შეუხვია და ორივეს თითო შოკოლადი მისცა. მაშვრალი მასპინძელი თავის ქოხში შემობრუნდა. მადლიერი ბავშვები ერთმანეთს არ აცლიდნენ, მამას ღიმილი მოჰგვარეს. მოკრძალებით მიუახლოვდა უცნობ სტუმარს ბედშავი ზანგი, თავი დაუკრა:

— ჩემი ობლები გაგიხარებია, უცხო სტუმარო, — უთხრა ღიმილით, — ყოველთვის მწამდა, რომ ქვეყნად არიან კეთილი ადამიანებიც. მე კი ბედშავს, ამ შაქრის ზღვაში იმდენი შაქარიც არა მაქვს, რომ ტკბილი ჩაით გაგიმასპინძლდეთ:

— ნუ შეწუხდებით. ბავშვს ეს მალამო წაუსვით ხოლმე.

ანდრესმა პატარებს თვალი აარიდა, „უნივერსალს“ მიაშურა. რეზოს ფხიზელ თვალს არ გამოპარვია ცრემლი, რომელიც მის თვალში აციმციმდა.

— გარდა იმისა, რომ ამ კაცს საოცრად სათუთი გული აქვს, მას რაღაც საიდუმლო გრძნობა აკავშირებს ბავშვებთან, — გაიფიქრა ჭკვიანმა ყმაწვილმა.

„ჭექა-ქუხილის ბილიკი“ შაქრის ჭარხლის პლანტაციებში გადიოდა.

ყველანი ზანგის ობლებზე ფიქრობდნენ.

დუმილი ისევ ანდრესმა დაარღვია:

— რაზე მოიწყინეთ, ყმაწვილებო? იმედი მაქვს, თქვენმა საყვარელმა არდევანმა და ერმილე გვიშიანმა უკვე იციან, რომ ჩვენ ჭექა-ქუხილის ბილიკით მივდივართ. მერე თქვენ ეტყვით, რომ ჭექა-ქუხილის ბილიკი თავისუფლების გზად იქცევა... მაგრამ წავიდეთ ჯუნგლებში, იქნება უფრო მხიარული და თავშესაქცევი ამბები ვნახოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მფრინავი მარტორქა“

ჯუნგლებში კი მართლაც ბევრი რამ იყო თავშესაქცევი. უნივერსალელებს პირველად მიეცათ შემთხვევა ახლო მანძილზე ენახათ მფრინავი მარტორქა.

მარტორქა არ ფრინავს, ეს ყველამ იცის: საამისოდ მეტად მძიმეა და არც ფრთები აქვს. მაგრამ არიან მფრინავი მარტორქებიც. აი, ამასაც ნახავთ.

უეცრად ტყეში გაისმა საშინელი ფართქუნი, თითქოს ფასკუნჯი ბუდიდან აფრინდაო.

— კაპიტანო, რა უნდა იყოს ეს?

— მფრინავი მარტორქაა! — იხუმრა ანდრესმა. ნორჩმა თანამგზავრებმა ინჟინერს ეჭვის თვალით შეხედეს. მაგრამ გამოჩნდა დიდი ახირებული გარეგნობის ბაიყუში და საშინელი ხმაურით ტოტზე ჩამოჯდა. ტანის მოყვანილობით დიდად არ განირჩეოდა რომელიმე ჩვეულებრივი ფრინველისაგან, ნისკარტი კი არაჩვეულებრივი ჰქონდა: საოცრად მსხვილი, ზედ კი რქებივით დანამატები, რომელთა წყალობითაც მიიღო ასეთი სახელიც: ფრინველი — მარტორქა.

— ხა-ხა-ხა! — გულიანად გაიცინა რეზომ. — კაპიტანო, იცით, რაზე მეცინება? სხვა ფრინველებს ნისკარტი აბიათ, ეს ფრინველი კი ნისკარტს აბია!

— კაპიტანო, რატომ არ გადასწონის ნისკარტი? — უკვირდა გივის.

— არც ისე მძიმეა, როგორც გგონიათ. — თქვა ანდრესმა.— რქის წანაზარდები მხოლოდ სამკაულად აქვს. შიგნით ისინი ცარიელია და მეტად მსუბუქი. ამ ფრინველის ძვლებიც ღრუ და ცარიელია, თუ არ ჩავთვლით ჰაერს.

— თავიც ალბათ ისევე ცარიელი აქვს, როგორც ნისკარტი და ძვლები! — იცინოდა რეზო. — ზის გაუნძრევლად და ვერც კი წარმოუდგენია, რარიგად სულელური გარეგნობა აქვს.

— ნურც ასე მწარედ დასცინი, რეზო. — თქვა წყნარად ანდრესმა. — გახსოვდეს, რომ ჩვენს წინაშეა დედამიწის ერთი ყველაზე უფრო საოცარი ფრინველი. იგი ერთთავად ზრუნვაშია, მხიარული ძახილი ემარჯვება და ადამიანს კარგად ეჩვევა. ნახეთ, როგორ აწვდის საჭმელს თავის მეუღლეს.

— რა მეუღლეს, კაპიტანო? — გაუკვირდა რეზოს — ტოტზე ერთი მარტორქა ზის.

— სამაგიეროდ, მეორე ფუღუროში ზის. დააკვირდით.

გივიმ და რეზომ მხოლოდ ახლა შენიშნეს კომბალივით მსხვილი ნისკარტი, რაც ფუღუროს ხვრელს მთლიანად ფარავდა და აქამდე ხის კორძი ეგონათ.

— ამ ბუდეს ორივე მეუღლე დიდის გულმოდგინებით ამზადებს. მამალი შორეულ მინდორში მიფრინავს, იქ ყლაპავს სამას გრამამდე თიხას, მოდის უკან, ფუღუროსთან ჯდება და იწყებს თავის ქნევას. ათიოდე წუთის წვალების შემდეგ კუჭის წვენში მოზელილ თიხის ბურთულას ამოანთხევს და ნისკარტით გაუწვდის დედალს, რომელიც კარგი ოსტატივით შელესავს ჯერ ფუღუროს კედლებს, მერე კი შესასვლელის კიდეებს. ასე გრძელდება მანამ, ვიდრე ბუდე კარგად მოგლუვებულ ქოთანს არ დაემსგავსება. მაშინ დედალი მარტორქა — ფრინველი წვალებით შეძვრება ვიწრო ხვრელში, შიგნიდან ხვრელს კიდევ უფრო დაავიწროვებს და გამოყოფს კომბალა ნისკარტს, რომლითაც თავის სიმაგრეს მტრისაგან იცავს. ამ მდგომარეობაშია ჩვენი მარტორქა სრული ოთხი თვე. დედამიწის ზურგზე არც ერთი ფრინველი არ ზის ამდენ ხანს თავის ბუდეში. ამ ხნის მანძილზე მისგან ცარიელი ძვალი და ტყავიღა რჩება. ბუმბული ისედაც თხლად აქვს, და ბუდიდან გამოსული მარტორქა — ფრინველი მართლაც ნისკარტზე გამობმულ ჩონჩხს მოგაგონებთ.

„მარტორქა“ ხმაურით გაფრინდა. მის ნაცვლად ტოტზე გამოჩნდა პიკაკოლუ, საშინელი ასპიტი, ორკაპი ენა გამოჰყო და სისინით ბუდეს მიუახლოვდა. უეცრად მას თავში მოხვდა ოცდაათსანტიმეტრიანი ნისკარტი. გველი დაიკლაკნა, თავი გადააქნია, ხეს მოწყდა და ძირს დავარდა.

სადღაც მაიმუნების ჭყივილი გაისმა.

ერთი საათის შემდეგ „უნივერსალმა“ უკან დატოვა ტანასტბის ჭაობიანი სანაპიროები და ცისფერი ნილოსის საიდუმლოებთ მოცული სათავე, სადაც რეზო ასე გაბედულად შეეცადა „ეთიოპიის ხარის“ „მოთვინიერებას“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეიქარა ჩიტუნები და მწვანე მაიმუნი

აბისინიის ტყეებში ფრინველთა ყივილ-ხივილისაგან ყურთა სმენა არ იყო. ერთი ტბის ნაპირზე მოგზაურებმა ნახეს დოქის მოყვანილობის ბუდე: ტოტიდან გადმოკიდულიყო და ნელი ქარი არწევდა.

— ფეიქარა ჩიტის ბუდეა, — განმარტა ანდრესმა. — ქვეყნად არ მეგულება სხვა ფრინველი, რომელიც ასეთი საოცარი ხელოვნებით აგებდეს თავის ბუდეს. შეიძლება მას მეტოქეობა გაუწიოს მხოლოდ ინდოეთში გავრცელებულმა მკერავმა ჩიტუნამ. ეს ჩიტუნაც დიდი ქების ღირსია, მაგრამ აფრიკაში ამ მხრივ ფეიქარას პირველობას ვერავინ წაართმევს.

— კაპიტანო, რისგან აკეთებს ფეიქარა ასეთ მშვენიერ დოქებს? — იკითხა აღტაცებულმა გივიმ.

— ბალახის ღეროებისა და მცენარის ბოჭკოებისაგან, რომელთაც წინდაწინ ნერწყვით ასველებს და ერთმანეთს აწებებს.

— რატომ ჰკიდებს ასეთ სუსტ ტოტებზე?

— იმისათვის, რომ გველებმა და მაიმუნებმა მისი ბარტყები არ გადასანსლონ.

არის თქმულება, რომ ფეიქარას ბუდეში ჰყავს ციცინათელა, რომელიც ღამით სახლს უნათებსო. იმასაც ამბობენ: ვინც მის ბუდეს ისე დაარღვევს, რომ ერთ ძაფსაც არ გაწყვეტს, შიგ ჯადოსნურ თვალს იპოვნისო... მაგრამ ხედავთ იმ პატარა მაიმუნს?

ხიდან საოცარი სიმარდით ჩამოსრიალდა მეტისმეტად გრძელკუდა თეთრწვერა, საკმაოდ ლამაზი მაიმუნი და მარდად გაცოცდა იმ ტოტზე, რომელზედაც ბუდე ეკიდა.

— ეს მწვანე მაიმუნია, მაკაკების ოჯახის წევრი, — თქვა ანდრესმა. — როგორც ხედავთ, ფერად მწვანეა და ამიტომაც მწვანე მაიმუნი უწოდეს. ვნახოთ, როგორ დამთავრდება მისი ნადირობა.

— მწვანე მაიმუნი! გაეცინა გივის და მოუსვენრად შეიშმუშნა. — ნუთუ ამ მეტიჩარამ უნდად აუნგრიოს ბუდე მშვე-

ნიერ ფეიქარას? აკი დოქის ყელიდან ასეთი კოხტა ჩიტუნები იჭყიტებიან! უეჭველად გადასანსლავს...

— არა მგონია, მწვანე მაიმუნმა ეს იოლად მოახერხოს! — თქვა ანდრესმა.

უეცრად საიდანღაც გამოჩნდა ბელურაზე მოზრდილი ეშვენიერი ჩიტუნა. მის წივილზე შეიკრიბა ასობით ასეთივე ჩიტი. ყველანი განგაშით თავს დაესხნენ დაუპატიჟებელ სტუმარს, უწყალოთ წიწკნიდნენ და თვალებს უკორტნიდნენ. თავლაცვაზე გადასულ მაიმუნს დაავიწყდა, რომ ვიწრო ტოტზეა, წონასწორობა დაკარგა, დაიჭყივლა და ჩავარდა პირდაპირ ტბაში, სადაც უარესი დღე დაადგა: რომელიღაც ცხოველმა ტბის ფსკერზე ჩაითრია, და თავისი არსებობის მოსაგონებლად მწვანე მაკაკამ წყლის ზედაპირზე მხოლოდ ბუშტები ამოუშვა.

— აი, რისთვის ჰკიდებს ფეიქარა თავის ბუდეს ტბის თავზე! — თქვა ანდრესმა. — ასე თავგამოდებით იცავენ თავიანთ ბარტყებს ბუდეთა შენების ეს სწორუპოვარი ოსტატები — მჭრინავი მარტორქა და ფეიქარა ჩიტუნა-

ᲞᲘᲒᲛᲔᲔᲑᲘ!

ვიქტორიის დასავლეთით უგანდას ულრანი ტყე იწყებოდა. უნივერსალელები ალბერტის ტბის სანაპიროებთან ისვენებდნენ.

აუტანელი სიცხე იყო. ჯუნგლები მწვანე ზღვასავით ღელავდნენ. ამ ზღვის ზედაპირი თითქოს დაუსრულებელ სხივთა ოკეანეში ნებიერად ირწეოდა, მის ფსკერზე კი გრილოდა. რეზოს და გივის ხის ქვეშ ტკბილად ეძინათ. ანდრესი ფხიზლად დარაჯობდა მათ ძილს.

— მე უკვე საკმაოდ ვიძინე, ყმაწვილებს ძილი ჩემზე მეტად ესაჭიროებათ, იზრდებიან. დაე, იძინონ! — ფიქრობდა ინჟინერი...

მაგრამ ჯუნგლებში დიდხანს არავის სძინავს.

უეცრად ტყის სიღრმიდან მოისმა ჟრიამული, რომლის მსგავსიც არასოდეს გაუგონია. პირველად ვერ გაარკვია, ადა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიანთა ხმა იყო თუ სხვა რამ. მაგრამ ყიჟინში, რომელიც სწრაფად ახლოვდებოდა, მალე გაარჩია სუსტად დანაწევრებული, ხორხიდან ამომავალი სიტყვები. აშკარა იყო, საქმე ადამიანებთან ჰქონდა. ფრთხილად გააღვიძა ყმაწვილები.

ჯუნგლებშიც არის ბილიკები. ნადირთა მიერ გაბმულ ერთ ასეთ ბილიკზე გამოჩნდა უცნაური ორფეხების ურდო. სხვა სახელს ვერ მისცემდით ნახშირივით შავსა და გუდასავით სქელ ჯუჯებს, რომელთაც პაწია ღიპი ტომარასავით ეკიდათ, ქვედა ტუჩები ნიკაპამდე სცემდათ და ხელში სათამაშო მშვილდ-ისრები ეჭირათ.

— ო, ეს საშიში სათამაშოებია! — თქვა ანდრესმა, — ამ ისრებით ჯუჯები ჯუნგლებში სიკვდილს თესავენ.

— კაპიტანო, ტიტველ მუხლებზე ჟღარუნები ჰკიდიათ!— ჩურჩულით შენიშნა რეზომ.—ხელში კი მშვილდებთან ერთად ტკაცუნები უჭირავთ.

— მე ვფიქრობ, ამათაც თავისი დანიშნულება აქვთ, — მიუგო ანდრესმა: — ამ ჟღარუნებითა და ტკაცუნებით ეს ჭკვიანი კაცუნები თავიანთ გზაზე შხამიან გველებს აფრთხობენ.

პატარა ადამიანები მოახლოვდნენ. მათი სიმაღლე ბევრად არ აღემატებოდა ერთ მეტრს. წინ მოუძღოდათ მუცელგამობერილი ჯუჯა, რომელსაც თავი რქებით, ფრინველთა ფრთებითა და ჯინჯილებით ჰქონდა დამშვენებული. ჩინგის-ყაენივით ამაყად მოაბიჯებდა დიდი ჯუნგლების პატარა მეფე: ცხვირის ნესტოებსა და ყურებზე რკინის რგოლები ეკიდა. ხელში ეჭირა ნიანგის ტყავისაგან დამზადებული დიდი ფარი. ეს იყო ტომის ბელადი. მის გარშემო ხალხი ყიჟინით ირეოდა. ამ ბრტყელცხვირა, ნახშირივით შავი ჯუჯების ღრიანცელში არაფერი ისმოდა.

— ვულურები! და ბოლოს, ჩვენ ვნახეთ ნამდვილი ველურები! — შიშითა და ცნობისმოყვარეობით ამბობდა რეზო.

— დიახ, ეს ჯუჯათა ტომია, პიგმეებს ეძახიან, რაც ბერძნულად მუშტისტოლას ნიშნავს. ტროპიკულ აფრიკაში ჯერ კიდევ დახეტიალობენ ეს საცოდავი არსებები! — თქვა წყნარად ანდრესმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაპიტანო, ხომ შეუძლიათ ისრები დაგვიშინონ? — გაიფრთხილა წინამძღოლი გივიმ.

— ხომ შეუძლიათ არ დაგვიშინონ? — გაიღიმა ანდრესმა. — ქაჯი არც ისე საშიშია, როგორც ხატავენ. ყოველ შემთხვევაში, შედით „უნივერსალში“. — ამ სიტყვებზე კაპიტანმა მეგობრობის ნიშნად ხელი ასწია და წყნარად წავიდა ჯუჯების ლაშქრისაკენ.

სულ ერთი წამით შეწყდა ჟრიამული. ჯუჯებმა გაოცებისაგან პირი დააღეს და ისრები მოიმარჯვეს. მაგრამ ანდრესის ღიმილმა და ქცევამ ლილიპუტების მეომარი რაზმი წამით გარინდა. ინჟინერი დინჯად მიუახლოვდა წინამძღოლს, თავი დაუკრა და წითელი ცხვირსახოცი გადასცა. მეფემ სწრაფად გამოსტაცა საჩუქარი, თითქოს ანიშნა: ვალდებულიც იყავი აფრიკაში მოსულიყავი და საჩუქრები ჩამოგეტანა ჩემთვისო. მერე ცხვირსახოცი გულდასმით დაათვალიერა და ისე მოეწონა, რომ ნესტოზე დაკიდებულ რკინის რგოლში გაუყარა. მაშინვე ინჟინერს საათი მოსთხოვა, მაგრამ საათის ნაცვლად მარილი მიიღო. მთელი შეკვრა მარილი მან თავის კარისკაცებთან ერთად ისე ჩაახრამუნა, თითქოს შაქარი ყოფილიყო. ქალებს თავსა და ზურგზე მძიმე ქოთნები ედგათ, ზოგსაც მხრებზე ბავშვი დაესვა. გახვრეტილ ტუჩებზე რკინის რგოლები ეკიდათ ან ჯოხები ჰქონდათ გაყრილი. რამდენიმე პიგმეი არხეინად შეექცეოდა ბანანის ნაყოფს, ხოჭოებსა და უმი ხორცის ნაჭრებს. ერთმა ჯუჯამ შესვენებით ისარგებლა, მაიმუნის სიმარდით აცოცდა ლიანაზე და ფუღუროში კვერცხების ძებნას შეუდგა. გოლიათი ხე ლიანებს ყვავილებით შეემკოთ.

ეს იყო ბაჩვას ტომი. კანონის ხელი ჯერაც არ შეხებია ამ კაცუნების თავისუფლებას. მათ არ უკრძალავენ თვით იმ ნადირთა მოკვლას, რომელთაც კანონი სასტიკად იცავს, რადგან თეთრი ბატონები თვითონ მათ ნადირებად თვლიან, ნადირებს კი ნადირობას ვინ აუკრძალავს!

წინამძღოლი ქვაზე ჩამოჯდა, ფარზე ამაყად დაეყრდნო და ანდრესს ქვემოდან ახედა. რეზო და გივი სულგანაბულნი ისხდნენ „უნივერსალში“ და თვალს არ აშორებდნენ ინჟი-

ნერს, იარაღს ხელს უჭერდნენ და ჩურჩულით ამბობდნენ: „კაპიტანი საფრთხეშია“.

ტყის სიღრმეში უჩვეულო ჟრიამული ატყდა.

— კაპიტანო, მიიხედეთ მარცხნივ! — შესძახა რეზომ, თოფი მოიმარჯვა და „უნივერსალიდან“ გამოვიდა.

ანდრესმა მხოლოდ ახლა შენიშნა სხვა რაზმი, რომელიც ამ ჯუჯების მოწინავე ლაშქარს უკან მოჰყვებოდა. რაზმის შუაგულში გოლიათივით იდგა ახოვანი. მეფური გარეგნობის ზანგი. ხელები შეკრული ჰქონდა. ტყვისთვის რამდენიმე ბაწარი მოებათ და ისე მოჰყავდათ, როგორც დასაკლავი ხარი. ანდრესმა კარგად იცოდა, რა ხვედრიც ელოდა ამ ზანგს. „სიკვდილის ბილიკით მიჰყავთ! — გაუელვა თავში. — საბრალო შავი გულივერი!“ ეს აზრი ზანგმა დაადასტურა: ანდრესს რომ გაუსწორდა, ინგლისურად უთხრა:

— ფრთხილად, სერ! თქვენს გარშემო კაციჭამია ჯუჯები არიან!

შავი ჰერკულესი

ანდრესმა სწრაფად გაითვალისწინა საფრთხის სერიოზულობა, მაგრამ წონასწორობა წამითაც არ დაუკარგავს. ვითომ აქ არაფერიაო, ისევ ამოიღო ჯიბიდან მარილი და ტკბილეული, წინამძღოლს გაუწოდა და ანიშნა, კიდევ უნდა მოგიტანოო. ამ საბაბით ანდრესი „უნივერსალისკენ“ გაბრუნდა. რამდენიმე ჯუჯამ ისრები მოიმარჯვა და წინ გამოიჭრა, მაგრამ მეფემ ისინი შეაჩერა. ბუნების ამ მიამიტ შვილთათვის „საჩუქრები“ იგივეა, რაც „მშვიდობა“.

ანდრესი მართლაც საჩუქრებით დაბრუნდა, ცოტა რამ მეფეს და მის შავტუხა ვეზირებს დაურიგა, უფრო ძვირფასი ნაწილი კი უკან დაიტოვა: ბრჭყვიალა შუშები, ლურსმნები და ფინჯანი. დაიწყო მოლაპარაკება. ანდრესმა ჯუჯათა ბელადს ჯერ ეს ნივთები უჩვენა, მერე ზანგზე ანიშნა და დიდი მოხერხებით შეეცადა აეხსნა ერთი სიტყვა: „გავცვალოთ“. ბელადმა მთელი თავისი სიბრძნის მიუხედავად დიდხანს ვერაფერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიგო და ის იყო მოთმინება უნდა დაეკარგა, რომ უეცრად მიუხვდა, მაშინვე მივარდა თავის ტყვეს, ხის ნეჭისაგან დაგრეხილი თოკები შეაჭრა, ზანგს ხელი ჰკრა და ანდრესს წინ დაუყენა. მაშინვე მიიღო საჩუქრები, მათ შორის პატარა დანა, რაც ისე მოეწონა, რომ იქვე უცაბედად ხელი გაიჭრა.

დაყოვნება არ შეიძლებოდა. „პატარა ჩინგის-ყაენს“ მაშინვე შეეძლო გადაწყვეტილების შეცვლა. ანდრესი საჩუქრებით მოხიბლულ ველურებს მაშინვე ჩამოსცილდა, ზანგს გადასძახა, მომყევიო, და „უნივერსალს“ მიაშურა. ის იყო ანდრესი ჩაჯდა და დახსნილი ტყვეც კარში შესასვლელად დაიხარა, რომ ჯუჯებმა საშინელი ალიაქოთი ატეხეს. უთვალავი ჯუჯა ჭინკების ლაშქარივით აირია და „უნივერსალისაკენ“ გამოიჭრა.

— აკუფი-ტეკუ! — გაიძახოდნენ ბრაზმორეული ჯუჯები. ეს ნიშნავდა: „მოვკლათ, შევჭამოთ!“

— იჩქარე, მეგობარო! — შესძახა ანდრესმა.

ბნელ ღამეში რომ საავდრო ცას შავი ღრუბელი გადაეფარება, ასე მოიღუშა ზანგის ისედაც მუქი სახე, წიხლებითა და მუშტებით გაფანტა შავი ლილიპუტები და საერთო ღრიანცელში მარდად დაიკავა თავისი ადგილი, მაშინვე მანქანის კარი დაიხურა. კაბინის ნახევარი ახალ მგზავრს ეჭირა.

„უნივერსალი“ მიწას მოწყდა იმ დროს, როცა მისკენ სეტყვასავთ წამოვიდა შხამიანი ისრების ნაკადი.

— კაპიტანო, რა ჰქვია ჩვენს თანამგზავრს? — იკითხა გივიმ.

— ბანგო, — იყო პასუხი.

— მე კი სხვა სახელს დავარქმევდი.

— აბა რა სახელია?

— შავი ჰერკულესი.

— მომწონს! დაე, იყოს შავი ჰერკულესი.

— ახლა გივის აფრიკაში ნათლული ჰყავს, — გაიცინა რეზომ. — კაპიტანო, როგორ მოხვდა ჰერკულესი კაცუნების ტყვეობაში და რატომ ასე მორჩილად მიჰყვებოდა, როცა მართლა ჯო ლუისივით კუნთმაგარი ჩანს?

ბანგომ გაიღიმა, ჩაფიქრდა, ამოიოხრა და დაიწყო:

— ჩემი მამულია კონგო. იქ ტანჯვის მეტი არაფერი მიხა-ხავს, მაგრამ მაინც მიყვარს ჩემო კარგო. დიდია კონგო, მრავალი ტბა და მდინარეა იქ, ბევრი ოქრო, კაუჩუკი და პალმა, მაგრამ ჩვენთვის არაფერი არ არის: არც ტბა, არც მდინარე, არც ყვითელი ოქრო, არც თეთრი ოქრო. არაფერი არ არის. ბამბაა — ბამბით ვერ გაძღები, კაუჩუკია — კაუჩუკს ვერ შეჭამ. მე ბანტუს ტომისა ვარ. ბანტუ ხალხია, მაგრამ თეთრები მას როგორც პირუტყვს, ისე ექცევიან. მეც პირუტყვს მეძახდნენ და პირუტყვივით მექცეოდნენ. კაუჩუკის პლანტაციაში ვმუშაობდი. ბატონმა უსამართლოდ მათრახი დამკრა, მე კი ბატონს თავი გავუტეხე და გავიქეცი. ვიარე ტყეში, ვიარე ველებში; მზე რომ მეშვიდედ ჩავიდა, ამ ჯუჯებს გადავეყარე. პიგმეები შორეული დასავლეთით ცხოვრობენ, რუდოლფის ტბის მხარეში, მაგრამ მათ სახლი არა აქვთ, ადგილიდან ადგილზე დაეხეტებიან. მათი ენაც უცნაურია და საქმეც. ყველაფერს ჭამენ, რაც იჭმევა და რაც არ იჭმევა: ლეში დახვდებათ — ლეშს ჭამენ, გველი დახვდებათ — გველს. ახლა ჩემი ჯერი იყო. ამ დროს თქვენ დამიხსენით. მადლობელი ვარ, სერ, თუ ღირს რაიმედ ზანგის მადლობა!

— სად ისწავლეთ ასე კარგად ინგლისური ენა? — ჰკითხა თანაგრძნობით ანდრესმა.

— ჩემი ბატონი ინგლისელი იყო, თუმცა ბელგიელი ბატონიც მყავდა... ეჰ, ვინ არ იყო ჩემი ბატონი! ახლა აღარა მყავს ბატონი, რადგანაც თავი გავუტეხე — აი, ამ მუშტით.

— კაპიტანო, ჰკითხეთ, ძმა არა ჰყავს? — თქვა რეზომ.

— მყავდა! — ამოიოხრა ბანგომ. — მას ერქვა ბურუნ-ბურანტუ: მბრდღვინავი ლომი. ლომივით უძლეველი იყო და სპილოსავით ბრძენი. მაგრამ წინაპართა აკლდამაში სძინავს და მის მკერდზე აი ამდენი წლის ბუჩქი იზრდება, — ბანგომ კაპიტანს შვიდი თითი უჩვენა. — მომისმინე, დიდო კაპიტანო! ერთხელ თეთრმა ბატონმა კონგოს მზის წართმევა მოუნდომა.

— მზისა? — გაუკვირდა ანდრესს.

— ჰო, მზისა. როცა წაართვა ყველაფერი, რაც მიწაზე ჰქონდა, მან განიზრახა მზის წართმევა. მზე — კონგოს დედაა. კაუჩუკის მუშებმა თეთრ ბატონს ხელფასი მოსთხოვეს, თეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმა ბატონმა ცეცხლისმტყორცნელი ჯოხი ალმართა და დაე-
მუქრა: მზეს ჩამოვაგდებო. ბურუნ-ბურანტუ, ჩემი ძმა, კონ-
გოს მზეს აეფარა, მკერდით დაფარა: ტყვია გულში მოხვდა
და დაეცა, მაგრამ გადარჩა მზე, კონგოს მფარველი დედა. ჩე-
მი ძმა დაეცა, მაგრამ დაეცა ბატონიც. ბრძენმა ხალხმა თქვა,
მზემ დაჰკრაო, მაგრამ შეცდნენ: მე დავკარი, აი ეს მუშტი! მე-
რე თავი ტყეს შევაფარე... იქ ჯუჯებმა შემიპყრეს... მალე
თქვენც მოხვედით... თქვენი მანქანა კარგია. ასეთი მანქანები
კონგოში არაა.

— ასეთი მანქანები არც პარიზშია, ბანგო! — გაიცინა ან-
დრესმა.

წუთით დუმილი ჩამოვარდა.

— საით წაგიყვანოთ, ბანგო? — იკითხა ისევ ანდრესმა.

— კონგოში, სერ! ჩემი სამშობლოა ნიანგარა.

— ნიანგარა რაღაა?

— ნიანგარა არის ნიანგარა, ესაა კონგო! ასე დიდი ქვეყა-
ნა როგორ არ იცით? მაგრამ თქვენ სტენლივილში ჩამიყვანეთ.

— მერე, იქ ხომ დაგსჯიან ბატონის მოკვლისათვის?

— ბატონი ნიანგარაში მოვკალი. თქვენ კი სტენლივილში
ჩამიყვანეთ. ესეც კონგოა. კონგო დიდი ქვეყანაა, ძალიან დი-
დი. სტენლივილი მისი დედაქალაქია.

— სტენლივილი ვიცი, — თქვა ანდრესმა და ჯუნგლებს
შორის ერთ პატარა ველზე დაეშვა. — უგანდაში მეორედ
ვერ დავბრუნდებით, აქ მინდა ერთი დღე გავატაროთ, —
სტენლივილში კი ხვალ ნაშუადღევს ჩაგიყვანთ. თანახმა ხართ,
ბანგო?

—დიახ, სერ.

ოთხივემ ერთად ისადილა, ერთად იბანავეს. ბანგო ბეჩუა-
ნურ ენას ასწავლიდა რეზოს და გივის.

— აქ ჰაერიც უფრო ჯანსაღია, — თქვა ანდრესმა. — და
თვითონ ხალხებისა და ქვეყნების სახელები რაღაც დევგმი-
რულის, ფანტასტიკურის შთაბეჭდილებას სტოვებენ: უგანდა,
კონგო, ბანტუ, კაფრები, რუანდა-ურუნდი...

— რუანდა-ურუნდი! — გაიმეორა გივიმ. — მეხის ქუ-
ხილივით ისმის ეს სიტყვა. სად არის რუანდა-ურუნდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უგანდას სამხრეთით, თქვა ანდრესმა. — მთელ სამხრეთ შუა აფრიკაში ბანტუს ტომის ზანგები ცხოვრობენ. ეს ხალხთა დიდი ჯგუფია. მასში შედის კონგო, უგანდა, კაფრები, ნაწილობრივ ზულუ, ბუნდა და სხვა ხალხები. ყველა მათგანს თავისი ენა აქვს. სულ შუა აფრიკაში 170 ენაა, ასე რომ მოგზაურებს ერთი ქვეყნის თარჯიმანი სხვა მეზობელ მხარეში აღარ გამოადგებათ.

ბანგოს ყმაწვილებმა რამდენიმე ქართული სიტყვა ასწავლეს. შავი ჰერკულესი კარგად გამოთქვამდა ამ სიტყვებს, თუმცა თავისებურად. რეზოს სახელი მაინც ვერ ისწავლა: „რიაუზეს“ ეძახდა.

მკვდარი ლომის საიდუმლოება

შუადღეზე მოგზაურებმა მკვდარი ლომი იპოვეს.

ბუნებაში იშვიათად გვხვდება მკვდარი ნადირი. ანდრესს ძლიერ გაუკვირდა ძალუმი ლომის უმიზეზო სიკვდილი და გულდასმით დაუწყო სინჯვა. არავითარი ჭრილობა არ ჩანდა.

— რას იტყვი, ბანგო, რამ მოკლა ლომი?

ბანგომ ხელით მოსინჯა ბეჭები, გვერდები, ბეწვი გადასწია და პაწია ნაჩხვლეტი იპოვნა, სადაც ხიწვივით ჩასობოდა ისრის ნატეხი.

— პიგმეების ისარია! — თქვა ბანგომ.

— მართალი ხარ, ბანგო! ჩემთვის ახლა ნათელია, — ინჟინერი ყმაწვილებს მიუბრუნდა, — აი, როგორ მოკვდა ლომი: პიგმეები თავიანთ შხამიან ისრებს ხშირად ხის ქერქში ჩაასობენ და ტოვებენ. ადამიანი ან ნადირი რომ გაივლის, დაიჭრება და ერთი წუთის განმავლობაში კვდება. აი, ეს რკინის ბუნიკია; ზედ ფისივით რომ აცხია, — კურარეა. ეს შხამი იწვევს სასუნთქი ძარღვების დამბლას და სულის შეხუთვისაგან სიკვდილს. ასეთი „შემთხვევითი სიკვდილი“ ხშირი იყო შუა აფრიკაში. დიდხანს მიზეზი ვერ გამოარკვიეს, რადგან ასეთი ისრით მიყენებული ჭრილობა თითქმის შეუმჩნეველია. მერე ექიმმა რაიმონდმა მიაგნო „უჩინარი სიკვდილის“ კვალს. აღმოჩნდა, რომ პიგმეები ორი დღე-ღამის განმავლობაში ხარშა-

ვენ' შხამიანი მცენარის, ტოქსიფერას ფესვებს და ბიღებენ სქელ სითხეს, რასაც ახმობენ და ისრებს აცხებენ. ჯერ გველზე ცდიან: თუ შხამი გველს მოკლავს, ყველა სხვა ცოცხალ არსებასაც მოერევა. არის მეორე მცენარეც — სტროფანტუს ჰისპიდუსი. მისი გრძელი ტანი ხეებს ეხვევა და კენწეროამდე ადის, აქვს უფერული მოყვითალო შხამიანი ფოთლები და კიდევ უფრო შხამიანი თესლი. ველურთა აზრით, რაც უფრო მაღლა ავა, მით უფრო ძლიერია მისი შხამი. მესამე მცენარის — კაკონტერა უაბაინეს — შხამი ისე ძლიერია, რომ მასში ჩაყოფილ ერთ ისარს შეუძლია 250 კაცის მოკვლა. ველურები კარგად არჩევენ ყველაზე უფრო შხამიან მცენარეებს და აქვთ თავისებური ლაბორატორიები, რომლებშიაც გველებზე ცდებს აწარმოებენ. ასე სწავლობდნენ ძველთაგან. შემდეგ მიღებული გამოცდილება გადაეცემოდა თაობიდან თაობას და ასე მოაღწია უკანასკნელ დრომდე. ველურებს ძვირად ღირთ ეს შხამი, კარგად აქვთ შესწავლილი მისი თვისებები.

— საშინელი იარაღი ჰქონიათ! — შენიშნა გივიმ.

— ასეთია ცხოვრების კანონი, — თქვა ანდრესმა. — სასტიკმა პირობებმა აიძულეს პიგმეები შეესწავლათ შხამის საიდუმლოება. ამ შხამით მოწამლულ ისრებს ბამბუკის მილებიდან ჰაერის დაწოლით ისროდნენ ან ხეებსა და საცხოვრებელი სახლების კარებზე მიამაგრებდნენ და ასე უმზადებდნენ სხვას სიკვდილს, რომ თავისი სიცოცხლე გადაერჩინათ.

გურთისმაგვარი ელვა

უგანდაში ხშირია წვიმები. ასეთი წვიმა რეზოს და გივის არასოდეს არ ენახათ. მხეცების იშვიათ ღმუილს ერთვის ელვა, ჭექა, და ისევ ელვა... ვერავინ წარმოიდგენს, რომ წინა დღით ასე დაწყნარებულ ტყეში უეცრად ასეთი ჯოჯოხეთი დატრიალდება. ტყე თითქოს ერთიანად ღვარს მიაქვს და ახალგაზრდა უნივერსალელებს ეჩვენებათ, რომ კი არ წვიმს, არამედ წყალი უწყვეტ შადრევნებად იღვრება მაღლიდან. ასეთია ტროპიკული წვიმა. ამ დროს მხეცები არ ღრიალებენ და

არ ნადირობენ. ჩვენ, ჩრდილოელებს, ასეთი წვიმის წარმოდგენაც არ შეგვიძლია. ქუხილს წამიერად მოსდევს წარღვნა.

წვიმას თან დაერთო საოცარი ამბავი. ტროპიკულ ბურუსში ტყის სიღრმეში გამოჩნდა გავარვარებული ნათურა, რომელიც მიწიდან ოთხი მეტრის სიმაღლეზე ნელა მოძრაობდა და გარშემო დამაბრმავებელ მწვანე-ყვითელ შუქს აფრქვევდა. მალე ბურთი ორად გაიყო. ერთი ნახევარი ნელა მიუახლოვდა რომელიღაც ხეს. გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. ხე მინის ჯოხივით გადატყდა შუაზე და ისეთი გოგირდის სუნი დააყენა, რომ სუნთქვა გაჭირდა. მეორე ბურთი კი ნელა ამოძრავდა, და თითქოს უჩინარ ხელს ანთებული ნათურა მოაქვსო, პირდაპირ წამოვიდა „უნივერსალისაკენ“.

ანდრესმა რომელიღაც ღილს ხელი შეახო და თქვა:

— ბურთისმაგვარი ელვაა! ნუ გეშინიათ. გააღეთ პატარა ფანჯარა. ხელში ნურაფერს აიღებთ. ნუ მოძრაობთ.

ბურთი წყნარად შემოვიდა ფანჯარაში, რადიომიმღებს მიუახლოვდა, დაპატარავდა და ჩაქრა.

— გადავრჩით! — შვებით ამოისუნთქა ანდრესმა. — ფანჯარა რომ არ გაგვეღო, ის ტყვიასავით გახვრეტდა მინას და შეიძლებოდა საქმე აფეთქებით დამთავრებულიყო.

— კაპიტანო, რა არის ბურთისმაგვარი ელვა? — იკითხა შიშით სულშეგუბებულმა გივიმ.

— ის არის, რასაც ხედავ, — გაიღიმა ინჟინერმა. — ასეთი ელვა მრავალჯერ შეუნიშნავთ სხვადასხვა ქვეყანაში. 1926 წლის 29 ივლისს ასეთივე ამბავი შეემთხვა ინჟინერ ბუხალოვს. მისი ცეცხლოვანი ბურთი ტელეფონის მილთან გადნა და არაფერი დაუზიანებია. მაგრამ მუდამ ასე ლმობიერი როდია ელვის ბურთი. ერთხელ ადამიანს ხელში შეამსხვრია თოფი, თვითონ კი უვნებლად დატოვა, ხოლო მეორედ, 1918 წელს, დუშეთში ასეთი ამბავი მოხდა. მედუქნე ცამალოვი თავისი დუქნის კარებში იდგა. უეცრად ცამ იჭექა, მედუქნეს წყნარად მიუახლოვდა ცეცხლის ბურთი, ჩაუარა და კარებში შევიდა. ცამალოვი ცუდად გახდა. ბურთმა ტყვიასავით გახვრიტა სასწორის თეფში, ადამიანები კი უვნებლად დარჩნენ.

ყველაფერს ამას კარგად ხედავდა მეზობელი სახლის აივანზე მდგომი მერაბიშვილი... ერთი ვნახოთ, ხომ არაფერი დააზიანა ელვის ბურთმა.

რადიო ჩართეს. როგორც იქნა „დაიჭირეს“ თბილისი. დიქტორი გადმოსცემდა მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა თამაშს ვაკის ახალი სტადიონიდან.

უგანდას მეფე მთეზა

დილით ისევ წვიმდა. ულმობელია ტროპიკული წვიმა.

— თუ ლაპარაკი არ გიმძიმთ, გვიამბეთ რამე ამ ქვეყნის წარსულიდან, — სთხოვეს კაპიტანს რეზომ და გივიმ.

— გეტყვით, — თქვა ანდრესმა და თვალები დახუჭა, თითქოს რაღაცას იგონებსო. — ამ ასი წლის წინათ უგანდის ხალხებს განაგებდა სასტიკი და ძლიერი მეფე მთეზა. ეს იყო ტანმაღალი, გამხდარი, ენერგიული კაცი. სტენლი, რომელიც მას პირადად იცნობდა, გადმოგვცემს, ეს დიდებული, თავდაჭერილი მბრძანებელი ურიგოს არაფერს აკეთებდაო. მაგრამ სტენლიზე ადრე მას იცნობდნენ სპიკი და გრანტი. მაშინ ის ზვიადი და უწყალო ტირანი იყო. ლომის გულს ჭამდა, თავის თავს ყოვლის შემძლე ლომად თვლიდა და მცირეოდენი ურჩობისათვის სიკვდილით სჯიდა თავის უახლოეს მინისტრებს და ცოლებსაც კი...

— ცოლებს? — იკითხა გივიმ.

— ჰო, ცოლებს-მეთქი, — გაიმეორა ანდრესმა: — მთეზას ხუთასი ცოლი ჰყავდა. ჯარისკაცებს ქორწინებას უკრძალავდა, თვითონ კი ვინც მოეწონებოდა, უბრალოდ მიჰყავდა: ქორწილი ველურებმა არ იცოდნენ. ჰოდა, ერთხელ მთეზას შეატყობინეს, უგანდას ნაპირებთან თეთრი მოგზაურები გამოჩნდნენო. ამ ადგილებს მაშინ მართლაც იკვლევდნენ გამოჩენილი მოგზაურები სპიკი და გრანტი. მთეზამ მათ ელჩები გაუგზავნა — მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების მთელი ჯგუფი.

— ო, თეთრო ინკოზო (ბელადო)! ქედმაღალ მთეზას ხელს თქვენი ნახვა, — ეუბნებოდნენ ინგლისელებს. — მთეზას უყვარს, როცა ყველა მას ეახლება და ქედს უხრის, თვითონ კი იმას აკეთებს, რაც მოესურვება. ო, მთეზა დიდი, ნამდვილი მეფეა! მთეზა — ბეჰემოთის შავი ხბო, ხუთასი ქალის ქმარი, დიდი პითონის ძმა, უძლეველი, დიდი მთეზა გელოდებათ თავისი ქოხის ჭერქვეშ!

გრანტი ავად იყო, ხოლო სპიკი მეფეს ეახლა. როცა მთეზას მოახსენეს, სპიკი სტუმრად მოდისო, ისე გაუხარდა, რომ სიკვდილით დასაჯა ოთხას ორმოცდაათი კაცი — ოთხასი მდაბიო და ორმოცდაათი „დიდებული". სპიკმა რომ ეს გაიგო, თავზარი დაეცა. მაგრამ მან უფრო საოცარი ამბებიც ნახა: სადაც კი გამოჩნდებოდა, ხალხი გაგიჟებული გარბოდა. მთელი სოფლები აიყარნენ და გაიხიზნენ. როგორც გამოირკვა, მათ ეშინოდათ სულთამხუთავი მეფის — მთეზასი, რომელიც სიკვდილით სჯიდა ყველას, ვინც კი თუნდაც ერთხელ თვალით დაინახავდა მისი უდიდებულესობის საპატიო სტუმარს. ამ საოდავ ხალხს მაინც ვერ წარმოედგინა, რომ უმეფოდ ცხოვრება შესაძლებელი იქნებოდა. აფრიკის ტომები სისხლსა და ოფლს ისე მიეჩვივნენ, როგორც აუცილებლობას, როგორც წვიმას, როგორც ლომების ღრიალს და აფთრების ხარხარს.

მთეზას დედაქალაქი კიბუგა მრავალ სოფელს აერთიანებდა. მესერზე წამოცმული ხარებისა და ადამიანთა თავის ქალებს კბილები ზარდამცემად დაეკრიჭათ. ერთ ქოხში მთეზას დედა ცხოვრობდა, მეორეში მისი ახალგაზრდა ცოლები.

კრაალში ხუთი ათასამდე მეომარი ცხოვრობდა. საერთოდ კი მთეზას ათი ათასამდე მეომრის გამოყვანა შეეძლო.

მთეზა ტანად გოლიათი იყო. არაბული სამოსი ეცვა, ე. ი. გრძელი თეთრი მოსასხამი ეხურა, წელსა და მუხლებზე კამეჩის კუდები ერტყა. გარს ეხვია შეიარაღებულ მცველთა რაზმი. არავის შეეძლო მთეზას სახელის წარმოთქმა. არავის შეეძლო ნებართვის გარეშე მთეზასთან მიახლოება. როცა გაიგო, გრანტი ავად არისო, მეფემ მაშინვე გაგზავნა თავისი ხალხი და საკაცით მოაყვანინა ავადმყოფი. შემდეგ მთეზამ სპიკთან მოლაპარაკება გამართა. მთელი ამ მოლაპარაკების მიზანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დაემტკიცებინა სტუმრისათვის, რომ ის შავი ბეჰემოთის ხბოა, უკვდავია და არავის არა ჰგავს, რაზედაც მოგზაურები ეთანხმებოდნენ. სპიკმა მეფეს აჩუქა ოქროს ბეჭედი. მთეზამ დაივიწყა თავისი მეფური ღირსება და ბავშვივით ხტუნვას მოჰყვა. მერე რამდენიმე კაცს უბრძანა — სტუმრებს ცოცხალი ლომი მოჰგვარეთო, თუმცა სტუმრებისათვის არც უკითხავს, ესაჭიროებოდათ თუ არა ცოცხალი ლომი. როცა დავალება ვერ შეუსრულეს, განუკითხველად დასაჯა ყველა.

— კანონები ჰქონდა? — იკითხა გივიმ.

— მთეზასათვის უცხო იყო კანონი, წესი და ზომა.

„რამდენი ცოლი გყავს?“ — ჰკითხა ერთხელ სპიკს.

„ერთი“, — მიუგო სპიკმა.

„ღარიბი ყოფილხარ!“ — გაიცინა მთეზამ. — „რატომ არა გყავს ასი? აი, მე მეფე ვარ და ხუთასი ცოლი მყავს. მერე მეყოლება ხუთი ათასი, რადგანაც ასე მსურს“.

„ამას ჩვენ კანონი გვიკრძალავს“.

„რა არის კანონი?“ — უკვირდა მთეზას. — „როგორ უნდა ამიკრძალოს ვინმემ ის, რასაც მე მოვისურვებ? აი, მე მსურს ამ ქალის მოკვლა და მოვკლავ კიდეც, ესაა ჩემი კანონი“, თქვა და აღასრულა კიდეც.

— კაპიტანო, ეს მთეზა, შავი კეისარი, თეთრი კეისრის მოწაფე ხომ არ იყო? მე აზრად მომდის, რომ ის შექსპირსაც კითხულობდა.

— საიდან მოგივიდა ასეთი აზრი? — გაიცინა ანდრესმა.

— მის ქცევაზე მომაგონდა იულიუს კეისრის სიტყვები: „როს კეისარი ისურვებს რასმე, აღსრულებაც თან უნდა მოჰყვესო“.

— აჰ! — შესძახა კაპიტანმა. — ეს კეისართა მარადიული პრინციპია. მთეზაც ხომ კეისარი იყო! ვისაც ხელთ უჭირავს თვითნებობის კვერთხი, ყველა კეისარია, ინკოზს ირქმევს თუ მესიას. მთეზასათვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავდა. ერთხელ მისი ქვეშევრდომები თმით მოათრევდნენ რომელიღაც ქალს. მეფეს არც უკითხავს, რა დააშავა ბედკრულმა, დაცვის მაგიერ თავი ქვით გაუხეთქა. სპიკისა და გრანტის მოგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზაურობაში ყველაფერი ეს დაწვრილებითაა აღწერილი. მე მხოლოდ წაკითხულს გიამბობთ.

— რა ბედი ეწიათ სპიკსა და გრანტს ამ ველურის ხელში? — იკითხა გივიმ.

— სპიკსა და გრანტს პატივსა სცემდა. ეს კია, რომ გასაშვებად არ ემეტებოდა, წელიწადზე მეტხანს ტყვეებივით ჰყავდა. მერე მეგზურები გააყოლა. მეგზურებს მოსწყინდათ ქვეყნიდან ქვეყანაში ხეტიალი, მათთვის სულ ერთია, სად იწყება ნილოსი! გზა მართლაც მძიმე იყო. საზრდოს შოვნა ჭირდა: სადაც კი მოსახლეობა გაიგებდა მთეზას სტუმრები მოდიანო, ყველა თავ-პირის მტვრევით გარბოდა. ბოლოს მეგზურმა განაცხადა:

„იქით წასვლა აღარ შეიძლება. არაფრით არ შეიძლება. ჩემი უფროსია საკიბობო, საკიბობოს უფროსი კი მხოლოდ მთეზაა. საკიბობომ მიბრძანა, მხოლოდ ჩანჩქერი აჩვენეო. ბორცვებზე კი არ გამოგყვები და არც გაგიშვებ: შენ რომ ერთ ბორცვზე ახვალ, მერე მეორეზე ასვლას მოინდომებ, იქიდან მესამეზე და ასე დაუსრულებლივ“.

სპიკს თან ეცინებოდა, თან გული უკვდებოდა.

„მაშ მომეცი ნავი“, — უთხრა მეგზურს.

„არ შეიძლება. ამის შესახებ მთეზას არაფერი უთქვამს“.

„მაშ მომცილდი, მე თვითონ წავალ!“ — გაბრაზდა სპიკი.

„მთეზამ მიბრძანა, რომ შენთან ვიარო“.

სპიკმა მსახური გაგზავნა უკან, მთეზასთან. როცა მთეზამ გაიგო, სპიკი ნაწყენიაო, გაცოფდა. მაშინვე დაიბარა საკიბობო და დაიღრიალა:

—რატომ არის შენი ბრძანება ჩემსაზე ძლიერი? მე ვარ მეფე თუ შენ?

საკიბობომ გადასწყვიტა, ჩემი აღსასრული დადგაო, მაგრამ მთეზა უეცრად მოლბა:

„რა ფასად შეგიძლია იყიდო შენი სიცოცხლე?“

— მე მოგცემ ოთხმოც ძროხას, ოთხმოც თხას, ოთხმოც ნაჭერ ქსოვილს, ოთხმოც ტყავს და კიდევ თამბაქოს.

მთეზა სიხარულით ტუნვას მოჰყვა, საჩუქარი მიიღო და ბრძანა — გაჰყევით სპიკს იქით, საითაც ენებოსო. და აი, 1862 წელს სპიკმა თავის დღიურში ჩაწერა: „ჩემი საოცნებო მიზანი შესრულებულია. მე ვიპოვნე ნილოსის სათავე ვიქტორია — ნიანზა“.

მთეზას მეგზური უკან გაბრუნდა. სპიკმა გზა განაგრძო, უნიოროს ქვეყანაში ჩავიდა და მალე იპოვნა სხვა გზით წასული გრანტი.

უნიოროს მეფე კამრაზი

სპიკის და გრანტის წინაშე ახალი დაბრკოლებები აღიმართა. ჯერ ველურებმა მათ ნავს შხამიანი ისრები დაუშინეს, მერე კი ისედაც მძიმე გზა უნიოროს მეფე კამრაზიმ გადაუღობა. კამრაზის სჯეროდა, რომ თეთრები კაციჭამიებია, რომ ერთი მათგანი ერთბაშად ხარის ბეჭსა ნთქავს, ლუდის მდინარეებს სვამს, და ამდენ ლუდს საიდან მივცემო! დიდხანს ჰყავდა ჩაკეტილი მოგზაურები და ნახვა არ აღირსა. ბოლოს წყალობა გამოიღო: სპიკი და გრანტი მიიღო. მაშინვე ოქროს საათი მოსთხოვა და იქვე დაამტვრია. მერე მოსთხოვა — ჩემი მეამბოხე ძმის დამარცხებაში დამეხმარეთო, რაზედაც სპიკმა უარი უთხრა: სხვის საქმეებში ჩარევას კანონი გვიკრძალავსო. ვერც კამრაზიმ გაიგო, რა არის კანონი. ამ ქვეყანაში იმდენი კანონი იყო, რამდენიც სურვილი. ო, სასტიკი მეფე იყო კამრაზი. უდანაშაულო ადამიანებს გაუყრიდა საშინელ ხუნდებს, რომლებიც თვითონ გამოიგონა და ღია ცის ქვეშ ტოვებდა მწერებისა და ნადირთა საჯიჯგნად. ამ ხუნდებს ხალხმა „კამრაზის ფეხსაცმელები“ უწოდა; ათასობით აფრიკელი დღემდე ატარებს ამ ფეხსაცმელებს!

თეთრი ნილოსის ჩანჩქერთან კამრაზიმ თავი მოჰკვეთა სამას კაცს და წყალში გადაყარა. ომი რომ ატყდებოდა, კამრაზი იმალებოდა, მტერი კი მის სოფლებს იკლებდა.

„ეს სიმხდალეა, — ეუბნებოდა ბეკერი, — რატომ არ იცავ შენს ხალხს?“

—„ხალხი რისთვის უნდა დავიცვა? — უკვირდა მეფეს. — ხალხი იმისთვისაა, რომ მე დამიცვას“.

— მამაცი მაინც ყოფილიყო! — თქვა წყრომით რეზომ.

— სასაცილო იყო მეფე კამრაზი, ბეკერისა და სპიკის მეგობარი. — დაასრულა ანდრესმა. — მხდალსა და ჯაბანს სისასტიკე სასაცილოდ ხდის. კიდევ უფრო ხარბი და ახირებული იყო კაჩიბა, ობოს ქვეყნის მბრძანებელი: ჯადოქრობას იჩემებდა, ხალხს წვიმას ჰპირდებოდა და გასამრჯელოდ საქონელს ითხოვდა. ას სამოცდაათამდე შვილი ჰყავდა. ამ ახირებული შავი ფარაონის ქვეყანაში ჩასული ბეკერი თავგამოდებით ეძებდა სპიკსა და გრანტს, რომლებიც იმ ხანებში დაღუპულად ითვლებოდნენ. არც ბეკერს ურჩევდნენ ობოში ჩასვლას, მაგრამ არ დაიშალა. ბევრი ხიფათი შეხვდა, ვიდრე მეფე-ჯადოქარს შეხვდებოდა. სამაგიეროდ კაჩიბას შემწეობით ბეკერმა თავისი ნავი ალბერტ-ნიანსას ტბაში შეაცურა და დღიურში ჩასწერა: „დღევანდელ დღეს რომ გვეწეროს სიცოცხლის დასასრული, სიხარულით შევხვდებოდით სიკვდილს, რადგანაც სასტიკი ბრძოლის, ყველა უბედურებისა და ავადმყოფობის შემდეგ ჩვენი მოგზაურობა გამარჯვებით დასრულდა“. მართლაც, იმავე საღამოს ბეკერი მოცელილივით დაეცა და დიდი ხნით ჩაწვა. ახლა შეუპოვარი მოგზაურის ლოგინთან მთელი ღამე ფხიზლობდა მისი ერთგული მეუღლე, რომელიც ცოტა ხნის წინ თვითონ ეგდო ტროპიკულ ციებისაგან მოტეხილი.

„კაუჩუკი—სიკვდილია!“

დაღამდა, — წვიმდა. გათენდა — ისევ წვიმდა. ბანგო მშვიდად იჯდა და რაღაც ერთფეროვან აფრიკულ სიმღერას ღიღინებდა.

— რა სიმღერაა ასეთი სევდიანი, ბანგო? — ჰკითხა რეზომ.

— ო, რიაუზე! ეს კვნესაა და არა სიმღერა! — თარგმნა

ბანგოს პასუხი ანდრესმა. — ასე კვნესიან მონები კაუჩუკის პლანტაციებში. კონგოში ამ სიმღერას „შავების გმინვას“ ეძახიან. ბანტუს ენაზე მას ჰქვია „მატოზი ჰილამოკო-აკუფი:“— „კაუჩუკი — სიკვდილია“.

გივიმ კაპიტანს სთხოვა, გვითხრას სიმღერის სიტყვებიო. პოეტს საქმე გაუჩნდა. ბანგოს სიმღერა გალექსა და თანამგზავრებს წაუკითხა:

„შრიალა ტყე სიცოცხლეა თავისუფალ კაცისათვის —
ბედნიერი კაცისათვის არასოდეს მზე არ ჩადის.
დასიცხული მოგზაური ტყის სიგრილეს თავს აფარებს,
მაგრამ მისი კაუჩუკი მაშვრალ ზანგებს ასამარებს.
კაუჩუკი — სიკვდილია!

ჩვენ არა ვართ მონადირე, ჩვენს ნებაზე როდი დავალთ,
თვითონ თეთრი ბატონები ნადირობენ ჩვენზე მარად.
კაუჩუკი—სიკვდილია!

დღენიადაგ სიკვდილს ვებრძვით, ჩაგვიღამდა თვალში შუქი,
ბატონები მუდამ გვთხოვენ: კაუჩუკი, კაუჩუკი!
ლიანების კანსა ვსერავთ, შემოსილნი თალხებითა,
და მოეონავს თეთრი სისხლი გადაჭრილი ძარღვებიდან.
რძე კი არა, ეს სისხლია, მიწა სისხლით იქარგება,
მოდის სისხლი და სიცოცხლე უგზოუკვლოდ იკარგება,
კაუჩუკი — სიკვდილია!“

— რა გულსაკლავი სიმღერა ყოფილა! — შესძახა რეზომ.

— მხოლოდ ბედშავ ადამიანებს შეუძლიათ ასეთი სიმღერის შექმნა! — თქვა ანდრესმა. — სიკვდილის ბილიკით მიდიან გაწამებული ადამიანები და ნაღვლიან სიმღერით ემშვიდობებიან სიცოცხლეს, როგორც მეგობარს. კაუჩუკის მომპოვებელი ზანგი ჩვეულებრივ ოცდაათი წლის ასაკამდე კვდება. აფრიკული ანდაზა ამბობს: შხამიანი გველი გიკბენს და უცბად მოგკლავს, კაუჩუკის ლიანები კი ჩვენს სისხლს წვეთწვეთობით სვამენო.

— მართლაც, ლიანები ხომ ხიდან დაკიდებულ გველებს ჰგვანან! — შენიშნა რეზომ.

ბანგომ ისევ გააბა თავისი ერთფეროვანი სიმღერა.

გადაუღებლად წვიმდა.

დავით ლივინგსტონი — შავი ხმელეთის დიდი მკვლევარი

— არ შეიძლება კაცი აფრიკაში იყოს და დავით ლივინგსტონიც არ მოიგონოს, — თქვა ანდრესმა. — ბედშავ აფრიკელთა ამ „დიდმა ჰაქიმმა“ ოცდაათი წელიწადი შავი ხმელეთის წიაღში გაატარა.

— ოცდაათი წელიწადი! — შესძახა რეზომ, — ამ შემთხვევაში მე უფრო მისი ჯანმრთელობა მაოცებს, ვიდრე ნებისყოფა.

— ერთიც ჰქონდა და მეორეც, — განაგრძო ანდრესმა.— ამ საოცარმა ადამიანმა პირველმა დახატა თითქმის მთელი შიდა აფრიკის რუკა. ოთხ წელიწადში ორჯერ გადასერა კონტინენტი, ზღვამდე გადაჭრა მთელი შავი ხმელეთი და გაიარა სულ ჩვიდმეტი ათასი კილომეტრი, რაც მანამდე ხმელეთზე მოგზაურობის ისტორიას არ ახსოვდა (თუ არ ჩავთვლით მარკო პოლოსა და იბნ-ბატუტას). ამასთან აღმოაჩინა მრავალი ტბა, მდინარე, მთა და სოფელი, გამოიკვლია ზამბეზი და დაამტკიცა, რომ ლიამბეი, რაც უწინ სხვა მდინარე ეგონათ, იგივე ზამბეზია. შესანიშნავი იყო ზამბეზზე ნიაგვრა ჩანჩქერი. მას მკვლევარმა ვიქტორია უწოდა, რითაც „ჩამოძონძილმა მისიონერმა“ უკვდავჰყო იმპერიის დედოფლის სახელი. წყალთა უზარმაზარი მასა ას რვა მეტრის სიმაღლიდან ვარდება და მშვენიერი თეთრი მტვერი ნისლივით ადის ცაში... ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, რა ბედნიერებაა პირველად იხილო ასეთი ბუმბერაზული სანახაობანი იმ ქვეყანაში, სადაც თეთრკანიან ადამიანს ჯერ ფეხი არ შეუდგამს! ლივინგსტონმა არა მარტო ნახა ბევრი რამ პირველად, არამედ შესანიშნავადაც აღწერა ყველაფერი, რაც ნახა, და ცოცხალიც გადარჩა ვე-

ლურ ტომებს, რადგანაც მოგზაურობდა არა ცეცხლითა და მახვილით, არამედ სასარგებლო წამლებითა და კეთილი გულით. ისიც ბეკერივით ოცნებობდა მონებით ვაჭრობა შეეცვალათ ზანგებთან მეგობრული ვაჭრობით, მაგრამ ეს „აფრიკის გარდაქმნის გეგმა“, ცხადია, ოცნებად დარჩა.

— მკვლევარი სხვაც ბევრი იყო, — განაგრძო ანდრესმა ფიქრის შემდეგ, — მაგრამ ლივინგსტონი იმ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც სწავლულის გონება და სათუთი გული აქვთ. სტენლიც დიდი მკვლევარი იყო, მაგრამ თანაც სასტიკი. მისი გზა გვამებითაა მოფენილი, კაცობრიობას კი არ ესაჭიროება სისხლით დაწერილი ჭეშმარიტებანი.

— განა ლივინგსტონს არ დაუფასეს ამაგი? — იკითხა გივიმ.

— როგორ არა! — გაიღიმა ანდრესმა: — ინგლისში დაბრუნებულ ლივინგსტონს ზეიმით შეხვდნენ. ეს გასაგებიც იყო: არსებითად მან დაუსაკუთრა ინგლისს მთელი შუა და აღმოსავლეთი აფრიკა, რომლის კონსულადაც ის მთავრობამ დანიშნა. მალე დაიწყო მეორე — ზამბეზის ექსპედიცია, რაც ექვს წელს გაგრძელდა (1858—1864 წ.). ლივინგსტონს აუგეს საუცხოო სამდინარო გემი, დაუნიშნეს თანაშემწეები და მისცეს დიდი თანხები.

ზამბეზის ექსპედიციას ლივინგსტონმა უძღვნა თავისი მეორე წიგნი, რომელიც ხალხმა პირველზე მეტი აღტაცებით მიიღო.

ლივინგსტონს სამშობლოში ისევ ზეიმით შეხვდნენ, მაგრამ დასვენებაც ვერ მოასწრო, რომ მოეწყო მესამე ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო ნილოსის სათავის გამოკვლევა, უფრო კი აფრიკის სამი გიგანტის — ნილოსის, ზამბეზისა და კონგოს წყალგამყოფის მიგნება. მაგრამ ლივინგსტონს არც ფული მისცეს, არც პენსიის უფლება დაუტოვეს და დიდ მოგზაურს მოუხდა მთელი თავისი პირადი თანხების, მათ შორის წიგნში აღებული ფულის დახარჯვა მეცნიერების საჭიროებისათვის...

შავი ხმელეთის კვლევით გართული ლივინგსტონი არავითარ ცნობებს აღარ გზავნიდა სამშობლოში. გადიოდა დრო. ევროპაში დიდი ხანია დაღუპულად ჩათვალეს სახელოვანი მი-

სიონერი. მისი პოვნის ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ბოლოს გამოჩნდა უშიშარი კორესპონდენტი, რომელმაც იპოვნა აფრიკის ჯუნგლებში გადაკარგული დასნეულებული ლივინგსტონი. ეს იყო მომავალში სახელგანთქმული მკვლევარი ჰენრი სტენლი.

თავისი მოგზაურობანი მან ცოცხლად და მიმზიდველად აღწერა. სამწუხაროდ, მის მელანში ცოტაოდენი სისხლი ერია. ტანგანაიკის ტბის ნაპირზე შეხვდა ერთმანეთს ორი დიდი პიროვნება, სტენლი და ლივინგსტონი, რომელთა გვარებიც აფრიკასთან ერთად იხსენება. მოხალისე ტურისტები ვერ დახატავდნენ აფრიკის რუკას. ამ საქმეს ესაჭიროებოდა რკინის ნება. მხოლოდ ჯიუტობასა და კადნიერებას შეუძლია სტიქიას ომი გაუსწოროს, მიუწვდომელს მისწვდეს. ჯიუტობა ახასიათებთ გენიოსებსაც და გონებაშეზღუდულ ადამიანებსაც. ლივინგსტონისა და მაგელანის შეუპოვრობას შეიძლება გენიოსთა ჯიუტობა ვუწოდოთ. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ამბავს. დიდხანს ეეძებოდა სტენლი ლივინგსტონს, თუნდაც დასასვენებლად ჩამოდი სამშობლოშიო, მაგრამ ამაოდ. მაშინ სტენლიმ მოგზაურს გადასცა ყველაფერი, რაც მისთვის აუცილებელი იყო, და დასტოვა თავის ისტორიულ ქოხში. ერთი წლის შემდეგ, 1873 წლის 1 მაისს, აფრიკის დიდმა მკვლევარმა ამავე ქოხში დალია სული. მას სამარეში ჩაჰყვა ნილოსის სათავის მიუკვლეველი საიდუმლოება. ათი თვე გადაჰქონდათ მისი სხეული ერთგულ მსახურებს ზღვისაკენ და თან ეგვიპტური საშუალებებით იცავდნენ ხრწნისაგან. ინგლისის გემმა მოგზაურის ნეშტი სამშობლოში ჩაასვენა, და ის მიწას მიაბარეს ვესტმინსტერის სასაფლაოზე, ერის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა შორის.

ანდრესი გაჩუმდა. ისევ ისმოდა წვიმის შხაპუნი. დიდი აფრიკული ციცინათელები ჯადოსნურად ანათებდნენ დაბურულ ჯუნგლებს.

რაზე ჯავრობდა დიდი გოჩილა

მეოთხე დღეს წვიმა ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო. უნივერსალელები ფრთხილად სეირნობდნენ ჯუნგლებში. საზღაპროდ მდიდარ ტროპიკულ ტყეში ორი ხეც არ ჩანდა

ერთნაირი. ტანაყრილ ხეებს მკლავის სიმსხო ლიანები ისე ეკიდა, როგორც იალქნიანი ხომალდის ანძებს — ბაგირები. საამო სუნს აფრქვევდნენ უჩინარი ყვავილები. ტროპიკულ ტყეში მეტად ბნელა იმისათვის, რომ ბევრი ყვავილი ხარობდეს დაბლა, მაგრამ ისინი იზრდებიან მხვიარა გვიმრებსა, ლიანებსა და სხვა მცენარეებზე, მაღლა, მწვანე ზღვის ზედაპირზე, სადაც თვალი ვერ სწვდება. აქ პირველად მოხვედრილი ადამიანი თავს რაღაც უმწეოდ გრძნობს, ისე უსაზღვროა ბუნების ამაყი სიდიადე.

გაოცებულ მოგზაურებს უცნაური ჩხავილი და გოდება მოესმათ. პირველად რეზომ შენიშნა დიდი მაიმუნი, რომლის ჩივილი ჯუნგლებს არყევდა.

— გორილა! — თქვა ანდრესმა. — დასავლეთის ბინადარია, უგანდაში მის ნახვას არ მოველოდი.

— იქნებ თემიდან განკიცხეს, — იხუმრა გივიმ. — სწორედ განკიცხულივით ჩივის.

დიდი გორილა ბანჯგვლიან მკერდში გაშმაგებით იცემდა შავ მუშტებს, ღმუოდა და ჯავრობდა, ყალყზე დამდგარ თმებს ტალღებად არხევდა, კბილებს კრეჭდა, ეშვებით იმუქრებოდა და თავის ხუთმტკავლიან მკერდს საბერველივით ბერავდა.

— მპუნგუ ჯავრობს! — წყნარად თქვა ბანგომ.

— მპუნგუ რა არის, კაპიტანო? — იკითხა რეზომ.

— ასე ეძახიან კონგოში გორილას.

— რატომ ჯავრობს გორილა? — უკვე მეორედ კითხულობდა გივი და ფანჯარაში იჭყიტებოდა.

— ალბათ ჩვენი სტუმრობა არ მოსწონს, — თქვა რეზომ.

— არა მგონია, ეს იყოს გორილას წყრომის მიზეზი. ვგონებ, არავითარი შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია.

— კაპიტანო, აი, იმ ტბის ნაპირისაკენ იხედება! — შენიშნა რეზომ.

— ფრთხილად გაარღვიეს ლიანებით დახლართული ტოტები და ტბისკენ გაიხედეს.

— აჰ!—შესძახა რეზომ.—გველეშაპი ურჩხულს ყლაპავს!

ყველა ადგილზე გაშეშდა. სურათი მართლაც ამაზრზენი იყო: რვამეტრიანი ბადისებური პითონი ნიანგს ყლაპავდა!

უზარმაზარ მახრჩობელას უკვე ხახაში ჰქონდა გაჩხირული მცირე ზომის ნიანგის თავ-კისერი: ნელა, მაგრამ დაჟინებით ეზიდებოდა თავის საშინელ მუცელში და თან ნერწყვის ნაკადით ასველებდა: ასე იქცევიან მგუდავები, რომ მსხვერპლი სლიპი გახდეს და უფრო იოლად ჩაყლაპონ.

ანდრესს უნდოდა უკან გაბრუნება, მაგრამ თვალს ვერ აშორებდა საშინელ სანახაობას.

— ჩვენ მახრჩობელების ჭალაში მოვხვდით! — შესძახა ზიზღით. — არაფერს არ მოუტეხია ჩემი გულგრილობა, გველის დანახვაზე კი მაჟრჟოლებს.

— წავიდეთ, კაპიტანო! — თქვა გივიმ.

— არა, ვიყოთ აქ. ასეთ რამეს ყოველდღე ვერ ნახავ. ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ... აი, რაზე ბრაზობდა თურმე გორილა! საშინლად ეჯავრებათ მაიმუნებს გველი. ბორნეოზე ორანგუტანგი მახრჩობელას კბილებით გლეჯს.

პითონმა უკანასკნელად დაძაბა ყელის ძარღვები და ნიანგი უკვე მთლიანად გადაყლაპული იყო. გველის სადილობა დასრულდა. გაბერილ ტანზე კარგად ეტყობოდა, რა ადგილას იწვა ჯავშნოსანი რაინდი. ანდრესი პირველად მოიცვა ცხოველისადმი ზიზღმა და შურისძიების გრძნობამ, დაუფიქრებლად ასწია ხელი და სასხლეტი გამოსწია. ტყის დუმილში იარაღმა იქექა. ტყვიამ გაბერილი პითონის თავი გახვრიტა.

გორილამ გაოცებისაგან ხელები თავზე მაღლა აღმართა, პირი დააღო, საოცარი ხმით გადაიხარხარა და დაბურული ტყის სიღრმეში ელვის სისწრაფით მიიმალა.

მეჯეჯებიანი ტახის აღსასრული

შავი ჰერკულესი სანადირო ბილიკებით მიუძღოდა ჯუნგლებში შეძენილ მეგობრებს. წინ ნელა მიიწევდნენ. აფრიკის ტყეში ასი თვალი უნდა გამოისხა. შეიძლება თავს დაგესხას ტოტზე გაწოლილი ლეოპარდი; ბანანები დაგიშინონ ხშირ ფოთლებში დამალულმა მაიმუნებმა: ყელზე შემოგეტმასნოს ცხრაფუთიანი პითონი; ფეხში გიკბინოს შხამიანმა პიკაკოლუმ, ეშვით გაგფატროს მეჯეჯიანმა ტახმა; რქაზე აგაგოს მარტორ-

ქამ, ან თვითონ შენ აეგო ფოლადივით მჭრელ ეკლებზე, რომ-ლებიც იზრდებიან არა ზღარბის კანზე, არამედ საშინელ ბუჩ-ქზე, რომელსაც ჰქვია ახირებული სახელი „ცოტა მოითმინე". სიკვდილი და სიცოცხლე ხელიხელჩაკიდებული დადიან ჯუნ-გლებში.

ნადირობა დიდხანს გაგრძელდა. აუცილებელი იყო „უნი-ვერსალის" სამზარეულოს გამდიდრება ახალი ხორცით. მაგ-რამ დღეს ჯუნგლები ძუნწობენ. ის იყო მოგზაურები უკან გაბ-რუნებას აპირებდნენ, როცა წინ მიმავალ ანდრესს ღრუტუნი შემოესმა.

— ღორები!—თქვა ჩურჩულით.—ვერ ვიტყვი, რომ მათ-თან შეხვედრა უხიფათო იყოს, მაგრამ გარეული ღორის ხორცი ღირს ერთ ხიფათად.

ბანგოს ხელში ეჭირა ბასრი დანა. მისი კუნთები ბზინავ-დნენ და იმედით ავსებდნენ მოგზაურებს.

უეცრად მეჩხერ ტყეში გამოჩნდა ღორების კოლტი. ჯერ ბეჰემოთები ეგონათ, რადგან ტანით და დრუნჩით ბეჰემო-თებს ჰგავდნენ. ისეთი საბრძოლო სულისკვეთება სუფევდა ტახის ბანაკში, რომ თვითონ გივიმაც კი შენიშნა: ღორების წინამძღოლი რაღაც საშინელ თავდასხმას მოელისო.

მართლაც, ღორების კოლტი ღელავდა. შუაზე გოჭები და სუსტები მოემწყვდიათ, გარშემო კი კედელივით დამდგარიყ-ვნენ ღონიერი ტახები. ჯოგს წინამძღოლობდა დიდი მეჭეჭიანი ღორი, რომლის დიდრონი ბასრი ეშვებიც მეჭეჭებს შორის სპილოს ძვალივით ელავდნენ. აშკარა იყო, ვინც ერთხელ ამ ეშვების ძალას იგემებდა, მეორედ ასეთი ხიფათი აღარ შეემ-თხვეოდა. პატარა გოჭები წრის შუაგულში მკვირცხლად დახ-ტოდნენ და ჭყიოდნენ, როცა მათი დედები უხეშად ფეხს ჰკრა-ვდნენ ან დინგით გადაისროდნენ წრის შუაგულისაკენ. კარგად იცოდნენ, რომ მშობლებისაგან ალერსი და შებრალება არ მოე-ლოდათ და თავის თავზე ზრუნავდნენ.

—ასე სასტიკად ზრდის ველური ღორი თავის შვილებს, რომ გადარჩეს მხოლოდ ძლიერი შთამომავლობა და გვარი არ დაკნინდეს,—განმარტა ანდრესმა.

მტერი არ ჩანდა.

—საოცარია, ვის დასახვედრად ემზადებიან?—იკითხა რეზომ.

— უთუოდ რომელიმე მრისხანე ნადირი დაძრწის ჯოგის გარშემო.—ივარაუდა ანდრესმა.—მაგრამ რა ბედენაც არ უნდა იყოს, ამ რაზმთან ოინი არ გაუვა. აფრიკის ტახს და მეტადრე მის ინდოელ მოძმეს არ ეშინიათ თვითონ ვეფხის და ლეოპარდის, გაბედულ ბრძოლას უმართავენ ამ საშინელ ნადირებს და ხშირად ნაფლეთებად აქცევენ. გამოცდილი ვეფხი ინდოეთის ტახს პირისპირ არც დაესხმის თავს, მხოლოდ თუ მიეპარა და ზურგზე დაახტა, შეიძლება გამარჯვება მას დარჩეს.

—კაპიტანო, არ სჯობია გავერიდოთ ვეფხის მძლეველ ნადირებს?— შეშფოთდა გივი.—ისედაც რამდენ ხიფათს გადავრჩით და კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ღორის ხორცზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ ვაითუ, პირიქით, მათ იგემონ ჩვენი ხორცი!

—მუდამ პანიკას ნუ თესავ,—შეეპასუხა რეზო.—ყოველ შემთხვევაში, პირადად შენ ჯერ არც ერთი ხიფათი არ შეგმთხვევია.

— წყნარად, ნუ დაობთ! — ხელით ანიშნა ანდრესმა. — თუ ტახი დაგედევნებათ, ეცადეთ ხეზე აცოცდეთ.

ხეებს შორის ორმა ლანდმა გაიელვა.

—აფთრები!—შესძახა ანდრესმა.—აი, ვის ელოდება ტახების ოჯახი!

ნადირები ათასნაირი ხრიკით ცდილობდნენ მცველთა რკალის გარღვევას და გოჭების გატაცებას, მაგრამ ღორები ეშვებს ილესავდნენ, გრძელ ფაფარს და ჯაგარს არხევდნენ და ადგილიდან არ იძვროდნენ. ბოლოს წრეს გამოეყო სამი უძლიერესი ტახი: ჯაგარაშლილი მიუახლოვდნენ ერთ აფთარს და ხეებთან მიიმწყვდიეს. ნადირმა სცადა მათ თავზე გადახტომა, მაგრამ სწორედ ამ დროს ერთმა ტახმა უეცრად გაჰკრა ფოლადივით მჭრელი ეშვი და სანახევროდ გადაკვეთილი ნადირი ძირს დაეცა. მეორე გაიქცა. მაგრამ მისი გზა მოკლე იყო. ჯაგარაშლილმა ტახმა უყელა, გაჰკრა ეშვები და მხარიღლივ გადასხიპა. რამდენიმე წამის შემდეგ მოკლული ნადირის ხორცი გროვად ეყარა. ღორებმა ის მთლიანად დაგლიჯეს და შეჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეს. მარტორქა მტერს გათელავს, მაგრამ არ შეჭამს, გარეული ღორი კი დაგლეჯს, გათელავს და შეჭამს.

საინტერესო ბრძოლა დამთავრებული იყო. ანდრესმა ჯოგის მსუქან წინამძღოლს დაუმიზნა, ესროლა და ღორების ნადიმიც ამით დასრულდა. კოლტი გაიფანტა. ბრძოლის ველზე დარჩა საუცხოო ნანადირევი.

—ვახშამი მზად არის! —ბავშვივით შეხტა ბანგო და თავისი განუყრელი დანა აამუშავა.

მაჩვი, რომელმაც ლეოპარდი გააქცია

ტახის მოკვლით გახარებული რეზო წინ გარბოდა. გივი აფრთხილებდა:

—ფრთხილად იარე, სულელო: იქნებ ამ ბუჩქებში პიგმეები სადილად შენ გელოდებიან!

—პიგმეები არა და ერთი სასაცილო მხეცუნა კი გველოდება იმ ბუჩქებთან.—თქვა რეზომ და ნელა მიუახლოვდა პატარა მაჩვის მაგვარ ზოლებიან არსებას, რომელსაც თეთრი ზოლი თავიდან კუდამდე მიჰყვებოდა. იწვა და აინუნშიაც არ მოსდიოდა მოახლოებული საეჭვო პირების ხმაური. სასაცილო დინგი აეწია და ადამიანებს ალმაცერად უყურებდა, პაწია მრგვალი კუდი კი ყოველი შემთხვევისათვის აწეული ჰქონდა. ახალი ალმოჩენით გაკვირვებული უნივერსალელები ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ უახლოვდებოდა მათ ლეოპარდი და საშინელი ნახტომისათვის ემზადებოდა.

—თუ ბიჭი ხარ, დაჰკარი!—გამომწვევი ხმით შესძახა გივიმ.

რეზოს გამოვლილმა ხიფათმა ჭკუა ვერ ასწავლა. თავის გამოსაჩენად მხეცუნასთან მივიდა და ჯოხი დაჰკრა. იმავე წამს მაჩვმა მას ზურგი აქცია, ფოჩის მსგავსი კუდი ასწია და შიგ სახეში რაღაც სითხე შეასხა. რეზომ შეჰყვირა და ორივე ხელი პირზე იტაცა. ახსნა-განმარტება ზედმეტი იყო. ტყეში ისეთი სუნი დადგა, სუნთქვა თითქმის შეუძლებელი გახდა. ყველას ეგონა, სადაცაა სული შეგვეხუთებაო. უახლოესი ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღმა მიმალული ლეოპარდი ის იყო გაინაბა და კუდის ბოლო მიწას დაჰკრა, რაც ნიშნავდა, რომ ხუთმეტრიანი ნახტომით მიზანში ამოღებულ ბანგოს მივარდებოდა და ბასრ კლანჭებს ტიტველ მხრებში ჩაავლებდა; მაგრამ საშინელმა სუნმა, რაც მთელ მიდამოს მოედო, მხეციც გააქცია, ისე რომ უნივერსალელებს ის არც უნახავთ.

მხეცუნა, რასაც სავსებით დამსახურებულად მყრალას ეძახიან, თავისი გზით წავიდა.

რეზო კი გამწარებით იბანდა სახეს და სიმწრის ოფლი სდიოდა, მაგრამ არაფერი არ შველოდა. ანდრესი, გივი და თვითონ ბანგო იძულებული იყვნენ გასცლოდნენ—მის სიახლოვეს გაჩერება არც ერთ ცოცხალ არსებას არ შეეძლო. მხოლოდ ღამით, როცა სხვა გზა არ იყო, ანდრესმა თავი გასწირა, ათასნაირი სპირტით გაბანა, სურნელოვანი სითხეები მოასხურა და „უნივერსალში“ შეიფარა. საბრალო ბავშვი რამდენიმე დღე ავად იყო.

—მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ უწოდეს ამ ქვეყანას შავი ხმელეთი. აქ თითქოს ყველაფერი ადამიანის გამოსაცდელად და ნერვების ასაშლელადაა გამოგონილი!—ამბობდა აუტანელი სუნით გონებადაკარგული ყმაწვილი.

—გამაგრდი, რეზო!—იცინოდა ანდრესი, თუმცა მასაც სიმწრის ცრემლი სდიოდა,—მყრალა აფრიკის საკუთრება როდია—ამერიკაშიაც იცის, და ასეთი ხიფათი სხვასაც ბევრს მოსვლია. მეცნიერები ერთხმად ამტკიცებენ: ვინც მყრალას ჯირკვლების სითხის სუნი პირადად არ იყნოსა, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს მის დამღუპველ ძალას. ახლა მეც ვრწმუნდები, რომ ისინი არ აზვიადებდნენ.

ბანგოს ყნოსვაც კუნთებივით მაგარი ჰქონდა, მაგრამ სიმწრით ისე იღრიჭებოდა, რომ თვითონ რეზო სიცილს ვერ იკავებდა.

ასე გმობდნენ მყარალას უნივერსალელები და არც კი იცოდნენ, რა საშინელი ხიფათისაგან იხსნა ისინი ამ უწყინარმა ზოლებიანმა მაჩვმა, რომელსაც აფრიკაში „ავი სუნის მამას“ ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკი გაგაფრთხილე, პოეტთან ხუმრობას ერიდე-მეთქი! — ეუბნებოდა ანდრესი რეზოს. — მგონი, გივიმ განზრახ წაგაგულიანა, რომ ავსუნიანი მაჩვისათვის ჯოხი დაგეკრა.

გივი მხიარულად იცინოდა:

— კაპიტანო, ახლა აღარც ნადირია ჩვენთვის საშიში და აღარც ველურები. ჩქარა წავიდეთ კაციჭამია პიგმეებისა და მაკარიკების ქვეყანაში. წინ რეზო გაგვიძღვება: ისეთ საამოსუნს აფრქვევს, რომ სათოფეზე ვერავინ მოგვეკარება!

გივის სათქმელი არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ლუკმა პირში გაეყინა: რაღაც საქმით გართულმა ანდრესმა დაიგმინა და ხელი მარჯვენა თვალში იტაცა...

არიან ტკივილები, რომლებიც უმალ გვაგრძნობინებენ, რომ უბედურებით დასრულდებიან. ყოველ შემთხვევაში, ასეთი აზრი შეექმნა ინჟინერს, რომელიც უსაფუძვლოდ არ შეშფოთდებოდა, და იგივე გამოხატა ბანგომ, როცა კაპიტანს გაყვითლებულ თვალში ჩახედა.

— მოკუნია! — შესძახა გაფითრებულმა, ე. ი. ნახშირივით გაშავებულმა, რადგანაც ზანგები ასე გამოხატავენ მღელვარებას, და ბნედიანივით გავარდა ჯუნგლებში.

— ხომ არ შეიშალა? — წამოიძახა შემკრთალმა გივიმ.

— ბანგო არ შეშლილა, უფრო მოსალოდნელია, რომ ჩემი თვალი დაიშალა! — თქვა ტკივილით დატანჯულმა ანდრესმა. — მახსოვს, დღეს საღამოს ბალახში ფეხი დამისხლტა, ხელი ბალახზე შევიწმინდე და ნატკენ თვალში ამოვისვი. მოკუნია ბალახია, რომელიც ადამიანს აბრმავებს.

— რა შველის, კაპიტანო? — შესძახეს ელდანაკრავმა ყმაწვილებმა.

— ნუ ღელავთ. მე ბანგოს იმედი მაქვს. ჯუნგლების შვილებმა იციან ჯუნგლების შხამიცა და წამლებიც... თუ იპოვნა!

ათიოდე წუთმა საშინელ მოლოდინში გაიარა. სამი ადამიანი სულგანაბული ელოდა მის გამოჩენას, ვის ალღოზედაც

ყო დამოკიდებული მათი სინათლე და სიცოცხლე. ბოლოს შავი ჰერკულესი გამოჩნდა. ხელში ქათქათა ბალახი ეჭირა, ნაწილსაც პირში ღეჭავდა, სქელ ტუჩებზე წვენი ქაფად გადმოსდიოდა. მოსვლისთანავე დაღეჭილი მასა გამოიღო და კაპიტანს თვალზე მიადო. დაძაბულ დუმილში გავიდა ათიოდე წუთი. ანდრესმა შვებით ამოისუნთქა. დილით კი ფოლადივით კუნთმაგარ ზანგს ძმასავით გადაეხვია და უთხრა:

— შენ ჩემი თვალი ჩაქრობას გადაარჩინე, ბანგო!

— შენ კი ჩემი ორივე თვალი გადაარჩინე, თეთრო კაპიტანო! — გაიღიმა ბანგომ. — მე მხოლოდ ვალი მოვიხადე. თეთრი კაპიტანი იცოცხლებს! თეთრი კაპიტანი მზის შვილია. მისი თვალი არ უნდა ჩაქრეს.

მიამიტი ბავშვი გეგონებოდათ ეს სიხარულით ატანილი შავი გოლიათი.

შავი და თეთრი მეგობრები უკანასკნელ ღამეს ათევდნენ ერთად. რა ძლიერი მეგობრობის ძაფებმა შეკრა ისინი ამ რამდენსამე დღეში! ეს იყო სიცოცხლის ძაფები, რომელთაც ჟანგი არ ედება, დრო ვერ აობებს.

დილით „უნივერსალი“ უდიდესი სისწრაფით მიუახლოვდა კონგოს მთავარ ქალაქს, რომელიც სტენლის სახელს ატარებს. ბანგოს ისე უმძიმდა დაცილება, რომ მისი მძლავრი მკერდის სიღრმიდან დროდადრო ყრუ გმინვა ისმოდა. მას შესთავაზეს „უნივერსალში“ დარჩენა, მაგრამ შორს დაიჭირა — ცოლსა და შვილს ბედის ამარა ვერ დავტოვებო.

ხმაურიანი სტენლის გარეუბანში გამოემშვიდობნენ „შავ ჰერკულესს.“ მადლიერი ზანგის ცრემლებმა მის ნორჩ მეგობრებს გული აუჩუყა. რეზო ტიროდა. ანდრესმა ხელი გაუწოდა შავ გოლიათს და უთხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, ბანგო! იყავი ასე გულმართალი და გიყვარდეს შენი ხალხი. წაიღე ეს ოქროს საათი. მოიგონე „უნივერსალი“. იქნება კიდევ შევხვდეთ სადმე.

ბანგომ საათი გამოართვა, გულამომჯდარს სწორედ ჰერკულესის ცრემლები გადმოსცვივდა, ჩუმი მზერით გამოხატა უსაზღვრო მადლობა და თავის გზას გაუდგა.

ანდრესმა აცრემლებული თვალი გააყოლა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— თვალთა სინათლე, მზის ნათელი — აი, რა მაჩუქა ამ შავმა კაცმა!

მეთაფლია ჩიტი

— შერრ! შერრ! — გაისმა ტყეში ჩიტის ხმა. სასაცილო ჩიტი იყო და ხმაც უცნაური ჰქონდა. ბელურას ჰგავდა, ფერად რუხი იყო და რაც მთავარია, მოგზაურებს დაჟინებით აცქერდებოდა, თითქოს ასე ეუბნებოდა: ყურადღება მომაქციეთ, მე უბრალო ჩიტი ნუ გგონივართო!

— მეთაფლია-გუგული, — თქვა ანდრესმა და ნორჩ მეგობრებს მიუბრუნდა: — ყმაწვილებო, არ გინდათ, თაფლით პირი ჩაიტკბარუნოთ?

— ასეთ რამეზე უარის თქმა მხოლოდ მაშინ შემიძლია, როცა გაბუტული ვარ, — წამოიძახა გივიმ.— მაგრამ განა აფრიკაში თაფლს ჩიტები ამზადებენ?

ანდრესმა გაიცინა, შუბლი გაეხსნა:

— მეთაფლია ჩიტი თაფლს არ ამზადებს, მაგრამ პოულობს გარეული ფუტკრების ბუდეს და ამის შესახებ აცნობებს ხოლმე ან ადამიანებს, ან კიდევ — თუ თაფლი მიწაშია, — ჯუნგლების თაფლიჭამია მაჩვს. ბუშმენები და ჰოტენტოტები უხსოვარი დროიდან იცნობდნენ თავიანთ ფრთოსან მეგობარს. როგორც კი მეთაფლია ფუტკრების სკას მიაგნებდა,სოფელს მიაშურებდა და დაიწყებდა ძახილს: „შერრ! შერრ!“ მოსახლეობა საჭირო იარაღებს დაავლებდა ხელს და მიჰყვებოდა თაფლის მაცნეს, ისიც ძახილით მიფრინავდა ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე. დროდადრო მას სტვენით ანიშნებდნენ, მოვდივართო! ბოლოს ჩიტი სტვენას შესწყვეტდა და დაიწყებდა ტრიალს ფუღუროს თავზე. ამრიგად, სკა ნაპოვნი იყო! ადამიანები ანგრევდნენ ფუტკრების ბუდეს, იღებდნენ უამრავ თაფლს და მცირე წილს უტოვებდნენ მეთაფლიასაც. თუ არაფერს დაუტოვებდნენ, მეთაფლია გულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც არ იტეხდა, ახალი სკის ძებნას შეუდგებოდა. ხშირად განგებ ცოტას უტოვებდნენ, რომ უფრო გარჯილიყო და მალე ეპოვნა ახალი სკა.

— ეს უსინდისობაა! — წამოიძახა რეზომ.

— ჯაშუშობა კი არ არის უსინდისობა? — შეედავა გივი.

— გუგული რატომღა დაერქვა? — იკითხა რეზომ.

— იმიტომ, რომ გუგულივით სხვის ბუდეში დებს კვერცხებს!

— ჰო, ჯაშუშობით გატაცებული ბუდის ასაგებად სად მოიცლიდა! — არა ცხრებოდა გივი. — სხვის სკაში იქექება, სხვის ბუდეში დებს კვერცხებს და კიდევ თავი მოაქვს, უბრალო ჩიტი როდი ვარო!

— მართალი ხარ, გივი, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ჯაშუშობით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ! — გაიცინა ანდრესმა. — წავიდეთ, თორემ მეთაფლიას მოსწყინდება ჩვენი ლოდინი და სხვა მონადირეებს მონახავს.

ტყე ამ მიდამოებში მეჩხერი იყო. „უნივერსალი“ ოლად მიიკვლევდა გზას გაშლილ ჭალაში. მეთაფლია ძახილით მიიწევდა წინ და თან ზვერავდა: თუ მომყვებიანო. ანდრესიც სტვენით აცნობებდა, მოვდივართო.

ფუღურო ასწლოვანი ხის შუაგულში აღმოჩნდა. ფუტკრები ნაყარივით ირეოდნენ მწვანე ტოტებში. მალე ნაჯახის კაკუნი გაისმა. ყველაზე კარგი მჭრელი რეზო აღმოჩნდა. ორი საათიც არ გასულა, რომ უზარმაზარი ხე ზღართანით წამოიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ფუღუროში ცეცხლი თავიდანვე შეუნთეს, ველურმა ფუტკრებმა ყველანი მწარედ დაკბინეს. ყველაზე მეტი გივის მოხვდა, თუმცა ფუტკრებს ასე ექომაგებოდა. მაგრამ თაფლი ისე ტკბილი იყო, რომ ტკივილი ვის ახსოვდა! ანდრესი კლასიკური მაგალითით ანუგეშებდა მეგობრებს: გამოჩენილი მოგზაური შვაინფურტი აფრიკის ფუტკრებმა ამაზე მწარედ დაკბინესო.

შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. ოქროს ზოდებივით ჩაწყობილი სავსე ფიჭები წაქცევის დროს დამსხვრეულიყვნენ და თაფლი გამდნარ ოქროსავით იღვრებოდა სამხრეთის მზეში.

— მთელი სიმდიდრეა! — ხარობდა გივი. — მხოლოდ მეშინია, მათრობელა არ იყოს. ოჰ, ერთხელ თაფლი ვჭამე და კინაღამ მოვკვდი. ყინულივით ცივი ვიყავი და პირისღებინებისაგან კუჭის წვენი აღარ შემრჩა.

— გონება ხომ შეგრჩა? — გაიცინა რეზომ. — ყველაფერში რომ საფრთხეს ეძებ, ხომ ხედავ, რომ აქ არ არის იელი და შქერი, რომელთა ყვავილებიც ასეთ შხამს შეიცავენ?

— მაგრამ ხომ შეიძლება აქ იელზე უფრო შხამიანი ყვავილები იყოს?

— არის ასეთი ყვავილებიც! — ჩაერია კამათში ანდრესი. — შმაგა და ბალღამის ბალახი აფრიკაშიც უხვადაა. მაგრამ, თუ გონივრულად გამოვიყენებთ, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ყოველ თაფლში ნექტარი მეტია, ვიდრე შხამი. გივი, გამოიტანე ჩვენი ცარიელი კასრი.

კასრი თაფლით აავსეს. მეთაფლიას კი იმდენი თაფლი დაუტოვეს, რომ დღემდე ეყოფოდა — თუ, რა თქმა უნდა, თაფლიჭამია მაჩვებმა არ მიაგნეს.

ავაზაკების ურდო „უნივერსალში“

ავაზაკების ურდო „უნივერსალში?“ განა ეს შესაძლებელია? როგორ არა! აფრიკაში ასეთი რამეც ხდება. აი, ნახავთ.

ღამეა. ეკიპაჟს ტკბილად სძინავს. ღია სარკმელზე ჩამოფარებულ ბადეში კაპლანდიის მაცოცხლებელი ჰაერი იჭრება. მაგრამ აი, ჰაერთან ერთად მასში შემოიჭრა შავი ექვსფეხა ავაზაკი — დიდი აფრიკული მოხეტიალე ჭიანჭველა. ფოლადის ყბებით შეუმჩნევლად დაღრღნა ბადე და გზა გაუხსნა თავის შავ ურდოს. არ ვიცი, უბრალო ცნობისმოყვარეობამ მიიზიდა ეს ლაშქარი თუ თაფლის სუნმა, — ეს კია, რომ ურდო შემოიჭრა. როცა ერთმა რეზოს შუბლზე გადაურბინა, მეორემ კი გივის ხელზე უკბინა, „უნივერსალი“ უკვე დაპყრობილი იყო. გივის ყვირილზე ანდრესსაც გამოეღვიძა. ნათურის შუქმა ავაზაკები წამით შეაშფოთა. ყველა, ვინც ჯერ კიდევ არ ჩამხრჩვალიყო თაფლით სავსე კასრში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბრძოლო კოლონებად დაეწყო. ნუთუ კაპიტანმა უომრად უნდა დათმოს თავისი მოარული სიმაგრე?

არა, მან მხოლოდ უკან დაიხია, ღილს ხელი დააჭირა და ელვის სისწრაფით გაერია შავ ლაშქარს, რომელიც უწყვეტ ნაკადად მოძვრებოდა სარკმელში. მახეში გაბმულმა ავაზაკებმა ეს იუკადრისეს, თაფლი მიატოვეს და, როცა „უნივერსალი“ ერთ შორეულ ველზე დაეშვა, მოგზაურთა ტანისამოსს — რაც ალბათ ჯავშანი ეგონათ — უკვე ასობით ყბა აქუცმაცებდა. ასეთ ავაზაკებთან ხუმრობა ცუდია. თუ საკმაოდ მრავალრიცხოვანნი არიან, მათ შეუძლიათ თვით გარეული კამეჩი დაამარცხონ და ერთ ღამეში შეჭამონ.

მთელი საათი დასჭირდა „უნივერსალის“ გაწმენდას დამპყრობელებისაგან.

— როგორც ვხედავ, აფრიკაში უფრო შეიძლება კაცი ჭიანჭველებმა შეჭამონ, ვიდრე ლომებმა! — ჩიოდა მძიმედ დაჭრილი გივი.

— ეს ერთადერთი ცოცხალი არსებებია, რომელთაც შესძლეს „უნივერსალის“ დაპყრობა, — ღიმილით დაუმოწმა ანდრესმა.

ხამი მხეცის პირისპირ

ჯუნგლებში დუმილის ანგელოზი დადის.

განსაცდელი ახლოვდება. უკეთ — რეზო უახლოვდება განსაცდელს. ცნობისმოყვარე ყმაწვილი სეირნობას არ იშლის, „საკუთარი გზებით დადის“: ძლიერ უნდა რაიმე უჩვეულო ალმოაჩინოს. დაკარგული ავტომატური კალმის ძებნა მოიგონა და ჯუნგლებს შეერია. როგორც ყოველთვის, ახლაც შორს წახეტიალდა. მზე გადახრილია. საზღაპრო ფერებით ელვარებს დიდი ტყეების სამხრეთი კიდე.

კალმის ნაცვლად რეზომ იპოვნა რძიანას და ტუხტის ჯადოსნური ყვავილები. აფრიკაში წლიდან წლამდე ყვავილების დღესასწაულია. რამდენადაც შავია აფრიკელთა ბედი, იმდენადვე ნათელია აფრიკულ ყვავილთა ფერი. რეზო ისევ ხალი-

სით დაძვრებოდა ამ პორფირივით წითელი ყვავილების ზღვაში, როცა ნაცნობი მხეცის ფრუტუნი მოესმა.

ტყუილად გვითქვამს: ვისაც მარტორქა ერთხელ დაეტაკება, მეორედ ასეთი ხიფათი აღარ შეემთხვევაო. აი, რეზოს მეორედ მოესმა ნაცნობი ხმა. ერთი უეცარი ნახტომიც, და ნორჩი მოგზაური გაშლილ ადგილზე აღმოჩნდა. ოციოდე ნაბიჯზე შავი მარტორქა ფრუტუნებდა და ჰაერს ყნოსავდა. გაუგებარია, რეზომ დაუფრთხო ძილი თუ თავისი აბისინიელი მოძმის დაღუპვის გამო იყო გულმოსული, ეს კია, ნორჩ მოჭადრაკეს დაფიქრებაც არ დააცალა, რომ გონივრული სვლა გაეკეთებინა, თავი დახარა და ჯიქურ იერიშზე გადმოვიდა. რეზომ რევოლვერი კი ამოიღო, მაგრამ გასროლის დრო კი აღარ დარჩა, ისევ გაქცევა ამჯობინა. ბუჩქებსა და ეკლებში რომ არ გახლართულიყო, ღია მხარეს წავიდა. მარტორქა ახლოვდებოდა. მიწა ირყეოდა დაფეთებული მხეცის ფეხქვეშ. უეცრად რეზო ქანზე გახტა, როგორც ანდრესმა ასწავლა, და ამან იხსნა რქაზე აგებისაგან. მაგრამ ეს მხეცი საოცრად გაწვრთნილი აღმოჩნდა, მკვირცხლად შემოტრიალდა და ისევ დაედევნა, თან მარცხმა უფრო გააშმაგა.

თითქოს გასაქცევი გზაც აღარსად იყო, როცა რეზომ პირდაპირ ცხვირწინ შენიშნა საიმედო თავშესაფარი, რაც მისთვის ბუნებას საუკუნეების მანძილზე გულმოდგინე შრომით მოემზადებინა: ბაობაბის ძირზე გაჩენილი ნაპრალი, რომელშიაც თავისუფლად შეეტეოდა თხა, მაგრამ შეიძლებოდა შიგ გაჭედილიყო მარტორქა.

რეზოს ბევრი არ უფიქრია, დახავსებული ხის ფუღუროში შერგო თავი და თვალის დახამხამებაში ტანითაც შეიმალებოდა, რომ უკუნეთ სიბნელეში არ შეენიშნა ნაღვერდალივით მოელვარე წყვილი თვალი და არ გაეგონა შემზარავი ღრიალი, რამაც ყმაწვილს თავზარი დასცა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ადამიანს მაინცა რჩება მეექვსე გრძნობა — სიცოცხლის შენარჩუნების უკვდავი ინსტიქტი. მაშინ ის ეუფლება განწირულის მოქმედებას, როგორც ალმოდებულ გემს — გამოცდილი კაპიტანი ან მესაჭე და შეუცდომლად მიჰყავს ყველაზე ხელსაყრელი გზით, რაც მისთვის ჯერ კიდევ არ ჩაკეტილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზომ ანგარიშმიუცემლად ესროლა ფუღუროში მყოფ ნადირს — ცხადია, ეს იყო ლომი — და მოასწრო განზე გადახტომა, რადგან ასეთ მხეცთან შედარებით თვითონ მარტორქა უწყინარ ხარად ეჩვენა.

იმავე წამს ფეხქვეშ მიწა ჩაექცა. ორი გაშმაგებული ნადირი კი — ჩლიქოსანთა და კლანჭოსანთა ორი მძვინვარე მეფე — ერთიმეორეს დაეტაკა...

ანდრესმა ერთდროულად გაიგონა ლომის ღრიალი და სროლის ხმა. მე არ აგიწერთ კაპიტნის შეძრწუნებულ სახეს. მზად იყო ბაობაბი ძირფესვიანად მოეგლიჯა და კომბალივით დაეშინა თავში ნადირისათვის, რომელიც ამ წუთში, ვინ იცის, იქნება რეზოს თელავდა. ცეცხლის ზოლივით გაიელვა ჯუნგლებში მისმა გარიბალდურმა წითელმა ქუდმა, ელვის ისარს ჰგავდა მისი ვიწრო ესპადრონი. შეუმცდარმა ალღომ ორიოდე წამში იქ მიიყვანა, საიდანაც სროლის ხმა მოისმა. ისეთ სანახაობას წაადგა, ადგილზე გაშეშდა. ფაფარაშლილი ლომი რქოსან მოქიშპეს ზვერავდა. თავიდან სისხლი გადმოსდიოდა. მარტორქა კლდის ლოდივით იდგა მეფის წინაშე, უკვირდა — ორფეხა ბუზანკალი ლომად როგორ გადაიქცაო, და ვერ გადაეწყვიტა, შეეტია თუ უკან დაეხია. ერთ ხანს არც ერთი არ ფიქრობდა დაეთმო მეორისათვის რეზოს დაფლეთის პატივი. ბოლოს საქმე გაშმაგებულმა ლომმა გადასწყვიტა: კატასავით მოწყდა მიწას და ზურგზე შეაჯდა მარტორქას. ეტყობოდა, ეს არ იყო მისი პირველი სახიფათო ნახტომი, მაგრამ ყველა მის ამ სახიფათო ნახტომთა შორის მხოლოდ ეს აღმოჩნდა სახიფათო თვითონ ლომისათვის. ტკივილით გამწარებულმა უწყალოდ დაუწყო ღრღნა და თან ისეთი ძალითა სცემდა თათებს, რომ საბრალო მარტორქას ალბათ ეგონა, ჰერკულესმა თავისი მძიმე კომბალი დამიშინაო. მაგრამ ლომი დიდ ზიანს ვერ აყენებდა მოწინააღმდეგის ფიცარივით სქელსა და რკინასავით მკვრივ კანს, მერე ზურგზე ვერ მოიმაგრა თავი და ისევ ძირს გადმოვარდა. მარტორქა მობრუნდა, თავი დახარა და მისკენ დაიძრა. დაჭრილმა ლომმა ალბათ გაიხსენა ინდური ანდაზა: „კბილბასრია თაგვი, მაგრამ კატას ყელს ვერ გამოღადრავსო“, თვალები დაფანტულად

დაატრიალა და სამარცხვინო სიკვდილს ისევ სამარცხვინო გაქცევა ამჯობინა. მაგრამ მის ბედს უკვე მარტორქა განაგებდა. ვიდრე უკუქცევას მოასწრებდა, საშინელი მხეცი ორივე რქით მის ზურგს შეეხო, შეეხო და მთელი სიმძიმით ზედ დააწვა.

ბრძოლა არსებითად უკვე დასრულებული იყო. სულ რამდენსამე წუთში მეამბოხე მარტორქამ თავისი ხელმწიფე ჩვარივით გათელა, ფეხებით შეადგა და მიწას შეურია, შემდეგ კი თავი ასწია და გამარჯვებული რაინდის კმაყოფილი, პაწია თვალებით გარემო დაზვერა.

მარტორქა აღარ ბრაზობდა. გამარჯვებამ ნადირს სულის სიმშვიდე დაუბრუნა. ჰუნების ღიპიან იმპერატორს ჰგავდა.

„ალბათ ასევე გასრისა ბავშვი. მე კი კერპივით გავშეშებულვარ!“ — გაუელვა თავში ანდრესს და შიგ თვალში დაუმიზნა. პატარა ტყვიამ ნადირს ტვინში გაუარა. მარტორქა წისქვილის ბორბალივით დატრიალდა და მუცელზე დაემხო, ისე რომ გვერდზე არ წაქცეულა. ასე კვდებიან მარტორქები.

— სად არის რეზო? — თითქოს ჯუნგლებს ჰკითხა ანდრესმა ზღაპრის გმირივით, მაგრამ პასუხი გივიმ გასცა:

— მიწაში იქნება, კაპიტანო: მარტორქა რომ დაედევნება, ის ყოველთვის მიწაში გარბის.

თითქოს მისი სიტყვების დასტურად რეზომ იქვე მიწიდან ამოჰყო თავი და დამნაშავის ხმით თქვა:

— მაპატიეთ, კაპიტანო!

სიხარულმა დაჩრდილა რისხვა. ანდრესი „თავის ოინბაზს“ გადაეხვია და მერე თვალებში ჩახედა. გისმენო, უთხრა აღელვებულმა.

— აქეთ გამოვიარე, კაპიტანო... — დაიწყო რეზომ.

— ამას მეც ვხედავ! მერე?

— ჰო, აქეთ გამოვიარე, მინდოდა რაიმე საინტერესო აღმომეჩინა...

— ავტომატური კალამი, არა? — ჩაერია გივი.

— თუნდაც კალამი! — გადახედა ტყუილში დაჭერილმა რეზომ მეგობარს და განაგრძო: — მაგრამ, ვიდრე რაიმე საყურადღებოს აღმოვაჩენდი, მე თვითონ აღმომაჩინა მარ-

ტორქამ, რომელიც ალბათ ამავე მიზნით იყო აქ გამოსული. მნახა და მომვარდა... კაპიტანო, თუ გაქვს წაკითხული ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი, მე არაფრის დამატება არ დამჭირდება. ლომი და მარტორქა ერთმანეთს დაეჯახნენ, მე კი...

— შენ კი ორმოში ჩავარდი! ეს არც მიუნჰაუზენს მოსვლია! მაგრამ ეს რაღა ორმოა? ნუთუ ისევ სპილოს საჭერი?

— არა, კაპიტანო, — ამბობდა რეზო და თან ტანისამოსს იწმენდდა. — რა ორმოა, ეგ არ ვიცი, მაგრამ სპილოს საჭერი კი არ უნდა იყოს. საამისოდ ის ძალზე ვიწროა და თანაც ხვრელის სიღრმიდან ძაღლის სუნი მოდის.

— აჰ, ვიცი! — გაიცინა ანდრესმა და ორმოსთან მივიდა. — შენ მიწის მგლის ორმოში ჩავარდნილხარ.

— მგლის ორმოში? — შეშფოთდა რეზო.

— ეს თავისებური მხეცი ფაფრიანია, აფთარსა ჰგავს და მხოლოდ სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობს, მიწისქვეშა ხვრელებში, რომელთაც გასაოცარი სისწრაფით თხრის. ადამიანს ოშვიათად თუ მოუხდება ამ ნადირის ნახვა. მხდალი და ვერაგია. კიდევ კარგი, რომ თავს არ დაგესხა. ეტყობა, ლომის ღრიალმა დაუკარგა ამისი ხალისი.

— სტუმარს მგელიც არ ერჩისო, ნათქვამია. რას მერჩოდა!

— კაპიტანო! — თქვა გივიმ. — ახლა რეზო ნამდვილი გმირია: უსიერ ტყეში მას ერთდროულად შეეჩეხა სამი მხეცი: ლომი, მარტორქა და მგელი.

— თქვენ ისევ გადამარჩინეთ, ჩემო კაპიტანო! — გაუბრწყინდა თვალები რეზოს.

— რაც შემეხება მე, ასე უმოქმედო არასოდეს არ ვყოფილვარ, — ცივად თქვა ანდრესმა და დაუმატა: — რატომ არ ესროლე მაშინვე?

— ამდენი დრო არ მქონდა, კაპიტანო.

— იქით რატომ გარბოდი? მხარი გეცვალა?

— არა, ჯერ თქვენსკენ მოვრბოდი. უეცრად ვხედავ: გზა დაფარულია საძაგელი ეკლებით „ცოტა მოიცადე“. მე კი აბა სად შემეძლო „ცოტა მოცდა“ — ორ ნაბიჯზე მარტორქა

ბრდღვინავდა! მაშინვე ლომის ბუნაგში შევყავი თავი. ალბათ გივის შიშით დაიმალა ფუღუროში!..

— კარგია, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, —თქვა ანდრესმა.—დროა წავიდეთ აფრიკიდან, ვიდრე კეთილ ქალღმერთს ჩვენი მფარველობა მოსწყინდება!

მაგრამ მათ ჯერ კიდევ წინ ჰქონდათ მრავალი ახალი ხიფათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი VI

მუქი სამხრეთი

ძველი და ახალი კაფრები

იმავე საღამოს უნივერსალელებმა პირველად ნახეს კაფრები. სამხრეთ აფრიკის ეს ერთ დროს უძლეველი ტომი ახლა სულს ღაფავს. სანადიროდ ტყეში გამოსული ხუთი კაფრი აღარაფრით ამჟღავნებდა წინაპართა მეომრულ სულისკვეთებას, ერთ დროს რომ თეთრებს შუბებით გზას გადაუჭრიდნენ და ტყვედ მიჰყავდათ ხოლმე. არა, ეს ახალი კაფრები იყო! ზოგს მხოლოდ შარვალი ეცვა, ზოგს მხოლოდ პერანგი — ვისაც რისი შოვნა მოეხერხებინა. მართალია, მოკლე შუბები და ადამიანის სიმაღლის ფარები ამათაც ჰქონდათ, მაგრამ მათ თვალებში აღარ ღვიოდა ძველი ცეცხლი და ლეოპარდების ტყავის ნაცვლად ჩამოძონძილი სელის სამოსელი ეცვათ. ახლა ეს ნახევრად ტიტველი კაფრი მონადირეები საცოდავად შესცქეროდნენ უნივერსალელებს და მათ გამხდარ, დაბეჩავებულ სახეებზე მხოლოდ უნუგეშობა აღ-

ბეჭდილიყო. თეთრმა ადამიანებმა დიდი ხანია გატეხეს მათი ძალა და სიამაყე.

— მე სულ სხვაგვარი წარმოდგენა მქონდა კაფრებზე! — წამოიძახა იმედგაცრუებულმა გივიმ.

— კაპიტანო, რაკი ჩვენ ასე გვიან მოვედით აფრიკაში, იძულებული ვართ, ნაამბობით დავკმაყოფილდეთ, — დაუმატა რეზომ, — გვითხარით ნამდვილი, მეომარი, თავისუფალი კაფრების ამბავი.

— სიამოვნებით შეგისრულებთ ამ სურვილსაც, — თქვა ანდრესმა. — ამ ასი წლის წინათ ჩვენს წინაშე გაშლილ რამდენიმე ათასკილომეტრიან ველებზე გაფანტული იყო კაფრებისა და მათი უძლიერესი ტომების — ზულუსების, ტემბუს ხალხმრავალი სოფლები — კრაალები. სახლები უზარმაზარი წრის ფორმით იყვნენ დალაგებული, შუაში საქონელი ჰყავდათ. დღისით საძოვრებზე ირეოდა ძროხებისა და ხარების ურიცხვი ჯოგები. პირუტყვს რქები უცნაური ფორმით ჰქონდა წამოზრდილი და ტანზე ტყავი თასმებად ეკიდა. ასეთი ოპერაციებით ალამაზებდნენ ზულუსები თავიანთ საქონელს. კაფრები უშიშარი ხალხი იყო: მაღალი, ჩასხმული, ლონიერი. კანი უფრო ღია-მუქი ჰქონდათ, ვიდრე ზანგებს.

კაფრები და მათი უძლიერესი შტო — მატაბელე, იგივე ზულუსები, თავზარსა სცემდნენ მეზობელ ტომებს. სასტიკი წესრიგით მიაღწიეს მათ ასეთ ძლიერებას. მიხრწნილ მოხუცებს, სუსტსა და უდღეურ ბავშვებს კაფრები ხოცავდნენ. ბრძოლაში გამოწრთობილი, დარჩეული კაფრი მეომრები მკერდით იცავდნენ საკუთარ მიწასა და ღირსებას, სრულიად გულგრილად სწირავდნენ და ეწირებოდნენ თავიანთ ველურ თავისუფლებას და ბევრად არჩევდნენ წინაპრებს სწვეოდნენ სულთა სამეფოში, რათა მათთვის სამსახური გაეწიათ, ვიდრე თეთრების მსახურებად დამდგარიყვნენ. ბავშვობიდანვე სრულ თავისუფლებასა და თავგამოდებას მიჩვეულნი არაფრად თვლიდნენ მოწინააღმდეგის რიცხვსა და იარაღს, მაგრამ ძალამ გატეხა ამაყი კაფრები...

— და ასეთ მამაც ადამიანებს თეთრები ტოლად არ თვლიდნენ! — წამოიძახა გივიმ.

— არც კაფრები თვლიდნენ თეთრებს თავიანთ ტოლად — გაიღიმა ანდრესმა. — ამბობენ, კაფრი თეთრკანიანის ტანის სუნს ვერ იტანსო, ხოლო, როცა კაფრს სურს, ევროპელის სილამაზეს ხაზი გაუსვას, ის ამბობს: „თითქმის ისევე ლამაზია, როგორც კოსა“.

— კოსა ვინღაა? — გაეცინა რეზოს.

— ასე ეძახიან კაფრები თავიანთ თავს.

კიდევ დიდხანს მოუთხრობდა კაპიტანი ნორჩ მეგობრებს კაფრების, ბუშმენებისა და ჰოტენტოტების ამბავს. მერე სუფრა გაშალეს.

ლივინგსტონის ძიებაში

როცა შავ ხმელეთზე ტროპიკული ღამე ჩამოწვება, მოხუცი კაფრი ქოხის კარებს ჩაკეტავს და შვილიშვილს ძველ ზულუსურ ზღაპარს მოუთხრობს:

„დედამიწა, მთვარე, ვარსკვლავები და მზე დასაბამიდან არსებობდნენ; სიკვდილი კი მუდამ არ იყო. ძველად, უხსოვარ დროს, ადამიანებთან მივიდა ორი შიკრიკი; ორივე გაგზავნა დიდმა სულმა, რომელსაც ეკუთვნის ცა და მიწა... ერთი სიკვდილს იუწყებოდა, მეორე — სიცოცხლეს...“

ის იყო დაასრულა ბანგვეოლოს ჭაობიანი ტბის ნაპირზე მდგარ ქოხში მოხუცმა კაფრმა თავისი ზღაპარი, რომ კარებზე დააკაკუნეს.

მოხუცი წყნარად წამოდგა და ურდული გადასწია.

ჭრაქის მკრთალ შუქზე გამოჩნდა ადამიანის მომღიმარი სახე. ეს იყო ანდრესი.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! — თქვა ინგლისურად მოხუცმა. — ამ ქოხის ჭერქვეშ ასი წლის წინათ თავისი უკვდავი სული ზეცას მიაბარა დიდმა ინგლისელმა ჰაქიმმა დაუთ ლივინგსტონმა. თქვენც ინგლისელები ხომ არა ხართ?

— არა, მაგრამ მის პატივსაცემად მოვედით ამ ქოხში.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! — გაიმეორა ბერიკაცმა. — ქებული წინაპრის პატივისცემა კაცის ვალია. მდინარეს სათავე აქვს, ადამიანს წინაპარი ჰყავს. მობრძანდით. კაფრის სახლი — თქვენი სახლია, კაფრის ცეცხლი — თქვენი ცეცხლი. ქოხი და გული — აი, რა მაქვს თქვენთვის.

ქოხში გაცხოველებული საუბარი გაიმართა.

ნახევრად ტიტველი მოხუცი ხის ჯირკზე იჯდა წმინდა იერონიმესავით და აბურძგვნილ ფაფარზე ხელს უსვამდა ნახევრად დაბრმავებულ ლომს, რომელიც მორჩილად იწვა მის ფეხებთან. ნადირთა მეფის ამაზე მეტი დაძაბუნება წარმოუდგენელია. მის პატრონს, ამ შავ იერონიმეს, ტანს ძლივს უფარავდა გაცვეთილი მოსასხამი, რომელიც ალბათ თვით ლივინგსტონს ეხურა სიკვდილის სარეცელზე. კედელთან იდგა ხის უხეში მაგიდა.

— ამ მაგიდაზე დაუთი წერდა თავის ნაშრომებს, — განმარტა კაფრმა.

ვახშმის შემდეგ ანდრესი მოკრძალებით მივიდა მაგიდასთან, დაჯდა, ჩაფიქრდა, ხელით დაეყრდნო. უეცრად მაგიდა ხმაურით დაიფშვნა და იატაკზე დაცვივდა.

— აჰ! — შესძახა ანდრესმა.

— სამწუხაროა! — თქვა მოხუცმა. — ამ მაგიდას არავინ შეხებია, სიწმინდესავით ვინახავდით. ჩანს, დიდმა სულმა იწყინა თქვენი მოსვლა ჩემს ქოხში. ავი რამ ზრახვა თუ გაქვთ, უცხოელო?

— არა, მოხუცო! — გაიღიმა ანდრესმა და ოქროს კბილი ააციმციმა: — ავი ზრახვა არა მაქვს. ამას ეს თეთრი ჭიანჭველები დამიმოწმებენ.

— ჰო, მაპატიეთ, ეს ხომ ტერმიტებია! მათ შიგნიდან დახრეს მაგიდა, მხოლოდ ზედაპირი დატოვეს მთელი. მართალი ხარ, თეთრო სტუმარო! როცა ლივინგსტონის დიდება მტვერიდან ამოვიდა, მისი მაგიდა მტვერს შეერია. ყავას ხომ არ ინებებთ?

უნივერსალელები ლივინგსტონის ქოხში ათევდნენ ღამეს.

მასპინძელმა მათ ლეოპარდის ტყავი გაუშალა. გივი ლომის შიშმა არ დააძინა, ლომი კი — სიბერემ.

ნარინჯისფრად ლივლივებდა უსასრულო სამხრეთი, მუქ-კანიანი კაფრების, ბუშმენებისა და ჰოტენტოტების ხუნდებ-გაყრილი ქვეყანა.

მსოფლიოში უდიდესი ხიდი

„უნივერსალი“ ზამბეზზე დაეშვა. — აი, ზამბეზი! — თქვა ანდრესმა. — ჩვენ უკვე მოზამბიკის მიწაზე ვართ. მოზამბი-კიც აფრიკაა!

— კაპიტანო, ჩვენ ხომ ვიქტორიის ჩანჩქერი უნდა გვე-ნახა? — წამოიძახა რეზომ.

— მას ვერ ვნახავთ: ეს ჩანჩქერი როდეზიაშია, ამ ქვეყა-ნაში კი ამინდი გაფუჭდა. სამაგიეროდ, მე გიჩვენებთ მსოფ-ლიოში უდიდეს ხიდს. აი, ეს ხიდიც!

ქვეყნად მრავალი ხიდია, ყველას ვინ მოთვლის! ხიდებიც ხომალდებივით ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს პირველობაში. „მსოფლიოში უდიდესი ხიდის“ პრეტენზია მრავალ ხიდს ჰქონია, მაგრამ სარკინიგზო ხიდებს შორის სიგრძით მსოფლი-ოში უდიდესია ზამბეზის ქვემო წელზე გადებული რკინის მრავალლიანდაგიანი გიგანტი, რომელიც აერთებს ნიასა ტბას ინდოეთის ოკეანესთან პორტ-ბეირას საშუალებით. ეს გზა უწინ გადაღობილი იყო სამხრეთ აფრიკის უდიდესი მდინარის ზამბეზის მძლავრი ტალღებით. ადამიანებმა ხიდი გადაისროლეს და ზამბეზი შებოჭეს. 1935 წელს რომ ეს ხიდი ააშენეს, მსოფლიოში უგრძეს ხიდად აღიარეს. მისი სიგრძე სამი ათას ექვსას ოთხმოც მეტრს უდრის. კალიფორნიის განთ-ქმული ხიდის სიგრძე კუნძულებიდანაა ცამეტი ათას ექვსასი მეტრი, მარტო წყალს ზემოთ მოდის ოთხი ათას ას ოცდაოთ-ხი მეტრი, ზამბეზის ხიდი კი თითქმის ოთხ კილომეტრზეა გადაჭიმული ყოველგვარი კუნძულების გარეშე და რკინა-ბეტონის ბურჯებზეა დაყრდნობილი მთელი თავისი საზღაპრო სიმძიმით. მსოფლიოს არც ერთ მდინარეზე არაა ასე გრძელი სარკინიგზო ხიდი.

— ზამბეზი გიჟი მდინარეა, — უთხრა ანდრესმა გაოცებულ რეზოს და გივის. — ხან ადიდდება და მეწყერივით მოანგრევს ყველაფერს, ხან იკლებს და თავთხელებად იქცევა. მისი განიც მერყეობს ერთნახევრიდან ოთხ კილომეტრამდე. ადვილი არ იყო ზამბეზის დამორჩილება. სამნახევარი წელი მიმდინარეობდა ადამიანთა ბრძოლა ბუნების ნებიერ შვილთან. მარცხენა მხარის ბურჯები, როგორც ხედავთ, კლდეზეა აგებული, მარჯვენა მხარეს კი ბურჯები ქვიშაშია, მაგრამ ისე ღრმად, რომ ვერავითარი ტალღა ვერ ჩარეცხავს.

დიდხანს ათვალიერებდნენ რეზო და გივი ზამბეზის ხიდს და მას მსოფლიოს მერვე საოცრებას ეძახდნენ. ამ საკითხში ისინი როგორღაც იოლად შეთანხმდნენ.

— აქედან დასავლეთით, როდეზიის მდინარე სიბიზე აშენებულია მეორე სარეკორდო საავტომობილო ხიდი, — თქვა ანდრესმა, — თავისი სიმსუბუქით, უბრალოებითა და სილამაზით ის მსოფლიოს ერთი საუკეთესო ხიდია. მისი თაღი საუკეთესო ფოლადისაა და სიდიდის მიუხედავად ათას ხუთას ტონაზე მეტს არ იწონის. ყველა დეტალი ინგლისში დაამზადეს. უდიდესი მათგანის წონა რვა ტონაა, სიგრძე — თხუთმეტი მეტრი. სიბის ხიდი წელიწად-ნახევარში აშენდა და ას ოცდახუთი ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდა... მაგრამ ადამიანის ნიჭისა და ძალის ეს იშვიათი ნაყოფიც შავი ხმელეთის დამონების იარაღად იქცა.

რეზო „უნივერსალის" საჭესთან

— კაპიტანო! ზამბეზში ბავშვი იხრჩობა!

შავი, თმახუჭუჭა ბიჭუნა, რომელიც მსოფლიოში უდიდესი ხიდის ქვეშ ტანს იბანდა, ტალღებმა ჩაიხვიეს. ძველი ბერძნები ამ შემთხვევაში იტყოდნენ: „ჰილასი ისე მშვენიერი იყო, რომ ნიმფებმა გაიტაცეს ლურჯი მდინარის ფსკერზე მოშრიალე მწვანე ჭალებშიო".

ანდრესი არ იყო ასეთი მეოცნებე, მოკლედ მოისაზრა საქმის ვითარება: „ზანგი ბიჭუნა იხრჩობა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოცებული ხალხის თვალწინ უცხოელმა ტანთ გაიხადა და ზამბეზში გადაეშვა. გივი ჩვეულებისამებრ დაიბნა, რეზომ კი მდგომარეობა სწრაფად ასწონა, როგორც ყოველთვის, და „უნივერსალს“ მიაშურა.

ხიდზე ხალხი შეგროვდა. ყველა იძლეოდა ჭკვიანურ რჩევას, მაგრამ არავინ აკეთებდა საქმეს. მხოლოდ ბიჭის დედა ცდილობდა მდინარეში გადახტომას, მაგრამ არ უშვებდნენ.

ანდრესი ცალი ხელით ბავშვს მოათრევდა, მეორე ხელით კი ველურ ზვირთებს ებრძოდა. ეს იყო თავგანწირულის ჯიუტობა. მძლავრობდა ზამბეზი. ზვირთებს აქოთებდა ნიანგი.

„უნივერსალი“ თავს გადაევლო შეჭუჭებულ ბრბოს, აქაფებულ ტალღებში ჩაეშვა სწორედ იმ დროს, როცა კაპიტანს უკვე სტიქია ერეოდა, და თავის მშენებელს გვერდით დაუდგა. ზედა სარქველი თითქოს ავტომატურად აიხადა. ანდრესმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და ბავშვი მანქანაში ჩაითრია. ხახამშრალი დარჩნენ ზამბეზის უტიფარი ნიანგები...

— ჩემო საზრიანო მეგობარო! მე ვიცოდი, რომ ჩემი დაღუპვის შემთხვევაში „უნივერსალს“ საიმედო კაპიტანი ეყოლებოდა! — მეტი არაფერი უთქვამს ანდრესს. რეზომ „უნივერსალის“ მართვის უფლება მოიპოვა.

ხალხი ღელავდა. საამაყოა ხალხის მადლობა. ბავშვის დედა ფეხებში ჩაუვარდა უცნობ მხსნელს. ანდრესმა ის ფრთხილად ააყენა, ბიჭუნას ხუჭუჭ თმაზე ხელი გადაუსვა, სწრაფად ჩაჯდა „უნივერსალში“ და სამხრეთისაკენ გაფრინდა.

საიდუმლოებით მოცულ უცხოელს გაჰყვა ხალხის ყიჟინა და აღტაცების შეძახილები. ანდრესმა მძიმედ ამოიოხრა და მაშინვე გაიღიმა, რომ ყმაწვილებს ცვლილება არ შეენიშნათ...

„რაღაც საიდუმლო გრძნობა აკავშირებს ამ ადამიანს ბავშვთან! — ფიქრობდნენ ისევ რეზო და გივი. — მაგრამ კაპიტანი ამაზე დუმს“.

დიახ, ანდრესი დუმს თავისი გულის ყველაზე უფრო ფაქიზი სიმის შესახებ, თითქოს ეშინია — ვაი თუ შეხებისთანავე გაწყდესო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეზე გადახრილი იყო, როცა „უნივერსალი“ უზარმაზარი მდინარე-ჭაობის ნაპირთან დაეშვა.

— კაპიტანო, — გაიკვირვა გივიმ. — ეს რა მდინარეა, თითქოს სძინავსო!

— და ძილში ობი მოსდებიაო! — დაუმატა რეზომ.

— ხავსიდან კი წყალქვეშა ბრაგებს ამოუყვიათ თავი, — დაასრულა გივიმ.

— ნუ აჩქარდებით, — გაიცინა ანდრესმა. — თუ კარგად დააკვირდებით, ეს ბრაგები პირს აღებენ და იკბინებიან.

— ნიანგები! — შესძახეს ყმაწვილებმა. — ნიანგები ყოფილან!

— დიახ, მეგობრებო. თქვენ ხედავთ ლიმპოპოს, ნიანგების მდინარედ წოდებულ ჭაობს. აქ ნიანგები ისე ირევიან, როგორც ჩვენს ტბებში — თავკომბალები. თუ გნებავთ, ერთი წუთით შევცუროთ ლიმპოპოში, რომლის გადალახვაც ჩვენამდე ალბათ არც ერთ მოკვდავს არ გაუბედნია.

„უნივერსალმა“ ხუმრობით შეაშფოთა მძინარე ნიანგების ხროვა. ჯოჯოხეთის ტბასავით დუღდა ლიმპოპოს ჭაობი.

ნაშუადღევს უნივერსალელების თვალწინ უკვე გადაიშალა სამხრეთ აფრიკის ცხოველთა მეორე დიდი შესაყარი, მსოფლიოში უდიდესი ნაკრძალი — კრუგერს-პარკი.

— აქედან იწყება ტრანსვაალი, დამოუკიდებლობისათვის გმირული ბრძოლით სახელგანთქმული ბურების ყოფილი რესპუბლიკა. სწორედ ბურების რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის პავლე კრუგერის სახელს ატარებს ეს პარკი. ბებერი კრუგერი და მამაცი გენერალი ჟუბერი თავზარსა სცემდნენ ინგლისელებს, — ეუბნებოდა ანდრესი ყმაწვილებს. — პირქუში და უშიშარი ბურების ბრძოლები ინგლისელ მოძალადეთა წინააღმდეგ მიმზიდველად აქვს აღწერილი ამ ბრძოლების მონაწილე ქართველს, მამაც ნიკო ბაგრატიონს, და უმჯობესი იქნება მისი წიგნი წაიკითხოთ. თქვენ იქ გაიგებთ, როგორ შეუპოვრად იცავდა ბურების ანუ „ვლეხების“ ეს უბრალო ქვეყანა თავის ღირსებას; როგორ ეწირე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდნენ საკუთარი ხელით აშენებულ მამულს უბრალო და მამაცი ადამიანები და როგორ შემთხვევით გადარჩა დახვრეტას ნიკო ბაგრატიონი აფრიკაში... ჩვენ კი ამჟამად შევიზღუდებით იმ პარკის დათვალიერებით, რომელიც კრუგერის სახელს ატარებს.

— კაპიტანო, სად გარდაიცვალა ნიკო ბაგრატიონი? — იკითხა გივიმ.

—თბილისში, 1933 წელს... ამაზე ნულარაფერს მკითხავთ. თვითონ ბაგრატიონი უკეთ გიამბობთ თავის თავგადასავალს. ახლა კი შევიდეთ პარკში.

შესასვლელთან მოითხოვეს ბილეთების ფული და მოგზაურები გააფრთხილეს, რომ სროლა დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში — თავდაცვის მიზნით, რაზედაც ანდრესმა ღიმილით უპასუხა, რომ ასევე იქცეოდნენ ისინი ყველგან აფრიკის დიდ პარკში.

მთელი დღე გაატარეს უნივერსალელებმა კრუგერს-პარკში. დღისით აუტანელი სიცხე იყო, სამაგიეროდ, საღამოს უცბად აგრილდა. მთელი პარკი ამ დროს ახმაურდა და ამოძრავდა: ლომთა ბრდღვინვა, არწივთა ყაშყაში, მარტორქების ფრუტუნი, ბეჰემოთების ბუყბუყი, ანტილოპების ხავილი, ზებრების ფეხთა დგრიალი, აფთრების ხარხარი და ტურების ჩხავილი ქმნიდა ერთიან ჟრუანტელის მომგვრელ აფრიკულ სიმფონიას. აქ ყველა საკუთარი სიმაგრით — მანქანებით დასეირნობდა. ვრცელ ხეივნებსა და აუზებს შორის მანქანების ნაკადი არა წყდებოდა. ივლისი იყო. პარკს სწორედ ამ დროს აწყდებიან, რადგანაც სექტემბრიდან ბუზი ცეცე ჩნდება, ამ მწერს კი აფთარზე მეტად ერიდებიან ადამიანები. პარკში ცხოვრება დუღდა. ყოველი ნადირი აქ თავს ისე გრძნობდა, როგორც ბუნების წიაღში, რაც კანონით მას ეკუთვნოდა. ყველა იბრძოდა ამ უფლებისათვის. ნადირები რაღაც განებივრებული ჩანდნენ. უთუოდ გრძნობდნენ, რომ მათ რაღაც კანონი მფარველობს. განსაკუთრებით ლომები მედიდურობდნენ. უხალისოდ უთმობდნენ გზას მანქანებს, რომელთა დატოვებაც მნახველებს ეკრძალებოდათ. აი, ერთ მანქანა სწრაფად დაამუხრუჭეს: გზაზე ლომია გაწოლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედანი ცნობისმოყვარე ტურისტებით აივსო. ლომები თამაშობენ. ზოგიერთი უცხოელი ბედავს მანქანიდან გამოსვლას, რომ ლომების თამაშს უცქიროს. უმეტესობა ფოტოაპარატს აჩხაკუნებს. უეცრად ხვადი ლომი მობრუნდა და დაიღრიალა; ყველა თავქუდმოგლეჯილი მივარდა მანქანებს. ნადირთა მეფემ ერთ ხანს უცქირა აბეზარ მნახველებს და მერე დინჯად ტყეს მიაშურა.

— ლომი აქ უმიზეზოდ თავს არავის ესხმის, მაგრამ, თუ ერთხელვე იგემა ადამიანის ხორცი, ის იწყებს ადამიანებზე ნადირობას. — განმარტავდა კონსულტანტი. — ასეთ ლომს კლავენ.

— რამდენი ლომია მთელს პარკში? — ჰკითხეს გამყოლს.

— ხუთი ათასამდე. თუ ეს რიცხვი ძლიერ გაიზარდა, მათ ნაწილს ხოცავენ, რომ პარკში ჩვეულებრივი წესრიგი არ დაირღვეს, თუმცა ის მაინც ირღვევა. შეუძლებელია სრული თანხმობა იქ, სადაც ერთად ხუთი ათასი ლომი, ექვსი ათასი სხვადასხვა სახის ანტილოპი, მრავალი ტახი, ჟირაფი და შვიდასი ბეჰემოთია! აი, ხედავთ? ძვლების გროვაა. პარკის სისხლიანი გზები მოფენილია ამგვარი ძვლებით. ამ გზებზე ლომებს დასდევს ასობით ტურა, რომ ნადავლი მათაც ერგოთ. აი, რა ამბები ხდება აქ! ეს მსოფლიო მნიშვნელობის პარკია, ბატონებო!

— თუ არ ვცდები, ეს სპილოები უფრო პატარა მეჩვენებიან, ვიდრე ის გოლიათები, რომლებიც უგანდაში ვნახე. — თქვა ანდრესმა.

— თქვენ არ სცდებით, სერ: ეს ინდოეთის სპილოა. აფრიკული სპილო ავია და ვერ იტანს დაბრკოლებას. პარკის კედელს რომ მიადგა, გალუნა, გაარღვია. მერე დირექცია იძულებული გახდა, გაეშვა და ინდოეთის სპილოები მოეყვანა. ესენი ტყეობაში თავს კარგად გრძნობენ, ტანს შლამით იგლესენ და დასეირნობენ. ჯოგად რომ მოდიან, ყველა ცხოველი თავშესაფარს ეძებს, და თვითონ ლომი ცახცახებს მაშინ.

უფსკრულის თავზე დიდი აუზი იყო და შიგ ყავისფერი მორები იწვნენ.

— ეს ნიანგებია, — ამბობდა ამაყად კონსულტანტი. — ნიანგებს ძილი უყვართ. აქვეა მარტორქების ოჯახი. პარკში გვყავს შავი მარტორქებიც და თეთრებიც, მაგრამ ახლა ყველა შავია, რადგანაც შავ შლამში იბანავეს. იმ ხეობაში ლეოპარდებია. აქ მათი უფრო ეშინიათ, ვიდრე ლომების. ქვემოთ კი ჰიპოპული — ჰიპოპოტამების ტბაა. თუ გნებავთ, ხიდზე დადექით და კარგად დაინახავთ. მეტად სასაცილო პირუტყვებია...

დაღამდა. პარკში კოცონები აინთო. ზანგები დილამდე ყრიდნენ ცეცხლში შეშას. მათი მუქი სახეები პითონის კანივით ბზინავდნენ ცეცხლის შუქზე.

ლურჯია აფრიკის ცა. მოსარკული ცის კაბადონს ცეცხლოვანი მეტეორები სერავენ, და შავ ხმელეთს გაოცებული დასცქერის ლაქებიანი ბადრი მთვარე.

— ეს ზანგი მწყემსის ხელის კვალია, — თქვა ღიმილით ანდრესმა. — ბუშმენები ამბობენ, რომ ერთხელ მთვარე ბანგვეოლოს ჭაობში ჩავარდა. ზანგმა მწყემსმა მთვარე ხელით აიტაცა, ისროლა და ცის თაღზე მიაკრა, მაგრამ სახე გაუშავა. იმ დღიდან მთვარეზე შავი ლაქები დარჩა..

კრუგერის ნაკრძალში უძილო ღამე უკვე ბეჰემოთის ხახით ამთქნარებდა.

აფრიკის ოქროს გული

„უნივერსალმა“ სწრაფად გადაიქროლა პიტერსბურგსა და კრუგერსდორფს შორის გადაშლილი ვენახის და ლერწმის პლანტაციები, ტყეები და სავანები. მანქანა მიჰყვებოდა გზატკეცილს, რომელიც სულ მაღლა და მაღლა ადიოდა, ხრიოკ ზეგანზე. ბოლოს, მოგზაურობის დაწყებიდან ოცი დღის თავზე, 3 ივლისს, უნივერსალელები შევიდნენ სამხრეთ აფრიკის უდიდეს ქალაქ იოჰანესბურგში, ტრანსვაალის განთქმულ დედაქალაქში, სადაც ერთ დროს პრეზიდენტი კრუგერი ფინჯან ყავას შეექცეოდა და ქვეყნის თავდაცვის გეგმებს

ადგენდა. ღამე იყო, მაგრამ ქალაქში სიცოცხლე დუღდა. დილამდე ისმოდა რაღაც უცნაური მანქანების გრუხუნი.

— ეს მთის ქანებს ამსხვრევენ სპეციალური მანქანებით, — თქვა ანდრესმა. — წელიწადში ოცდაათ მილიონ ტონა ქანს აქუცმაცებენ.

— მეტი საქმე არა აქვთ? — გაიცინა გივიმ.

— ეს არის აქ მთავარი საქმე. ტრანსვაალი აფრიკის უმდიდრესი მხარეა. მას ოქროს ქვეყანას ეძახიან, ხოლო იოჰანესბურგს — სამხრეთ აფრიკის ოქროს გულს, ოქროს ქალაქს.

— აფრიკაშიც არის ოქრო? — გაუკვირდა გივის.

— უფრო მეტი, ვიდრე ამერიკის იმ ადგილებში, ოდესღაც რომ ელდორადოს — ოქროს ქვეყანას ეძახდნენ. აფრიკა მდიდარია არა მარტო ნიანგებით და სპილოს ძვლით, არამედ ოქროს ქვიშითაც. მართალია, აქ არავინ ეძებდა ოქროს, ის შემთხვევით აღმოაჩინეს. 1886 წელს ფერმერი უოლკერი იოჰანესბურგის გარეუბანში დასეირნობდა. უეცრად მისი ყურადღება მიიპყრო ყვითლად მბზინავმა ქვამ. გარეცხვის შემდეგ ქვის დიდი ნაწილი ოქრო აღმოჩნდა. ასე აღმოაჩინეს ოქროს უდიდესი საბადო მსოფლიოში. უოლკერის სიღარიბეს ამან ვერ უშველა. მისი ფერმის მიდამოები გამოაცხადეს ოქროს ველად, და შევიწროებული ფერმერი სიღატაკეში მოკვდა. ხარბი ხელები დაეპატრონენ ოქროს ველს. რომელზედაც ორი-სამი მეტრი სიგანის ოქროს ძარღვები იყო ჩაწოლილი. ხვალ ჩვენ დავათვალიერებთ ოქროს მაღაროებს. ამბობენ, რომ მათი სიღრმე უკვე სამ კილომეტრს აღემატება, მიწისქვეშა ხვრელების საერთო სიგრძე კი ექვსი ათასი კილომეტრია. მსოფლიოში ვერსად ნახავთ ასე ღრმა მაღაროებს. და იცით, რამდენ ოქროს იღებენ? უკანასკნელი სამოცი წლის მანძილზე აქ მოიპოვეს სამი მილიარდი ფრანკის ღირებულების ოქრო!

— კაპიტანო! მაშ ჩვენ ოქროს ქვეყანაში მოვსულვართ! — შესძახა გივიმ.

— ასე გამოდის, — გაიცინა ანდრესმა, — ოქრომ გააგიჟა ადამიანები, დასძინა ფიქრის შემდეგ. — ოქროს ქვეყანას,

ბიბლიურ ოფირს, რომელსაც პოეტებმა ელდორადო უწოდეს, დაეძებდნენ აფრიკაში, მექსიკის უდაბნოებში, ინდოეთში. ოქროს საგანძურს დაეძებდნენ სოლომონის სამარხში. ფარაონებისა და კაფრთა მეფეების მიუვალ აკლდამებში... მართლაც აურაცხელი ოქრო ეყარა ელდორადოშიც და სოლომონის საგანძურშიც, მაგრამ მათ ერთი ნაკლი ჰქონდათ: ორივე ზღაპარი იყო! ჩვენ კი ნამდვილ ოქროს ქვეყანაში მოვედით... ოღონდ გაფრთხილებთ, მას უკვე განაგებს შეჯავშნული გველეშაპი და ერთ მარცვალ ოქროსაც არავის უთმობს, ამიტომ ხიფათის მაძიებელი ავანტურისტებივით გამდიდრების იმედი არ უნდა გვქონდეს.

— სიტყვას გაძლევთ, რომ ტრანსვაალის ოქროს ქვიშა თვალებს ვერ დაგვიბრმავებს, — გაიცინა გივიმ.

— კაპიტანო, კიდევ სად არის ოქროს დიდი საბადოები? — იკითხა რეზომ.

— მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს ალიასკას, შემდეგ კალიფორნიასა და მექსიკას. ალიასკა უწინ რუსეთს ეკუთვნოდა, მაგრამ მეფემ ჩალის ფასად მიჰყიდა ამერიკას, და არ იცოდა, რა საგანძურს ჰყიდდა, თუმცა უნდა სცოდნოდა, რომ ყოველი მიწა თავისთავად საგანძურია. თავის დროზე მსოფლიოში მესამე ადგილი ეჭირა დასავლეთ ავსტრალიის ოქროს საბადოებს, რომლებიც მსოფლიო მოპოვების 80 პროცენტს იძლეოდნენ, ახლა კი მხოლოდ 4 პროცენტს იძლევიან. ავსტრალიამ უფრო ისახელა თავი ოქროს ზოდებით, რომელთაგანაც ერთი — „სასურველი უცნობი“ — სამოცდაათ კილოგრამამდე იწონიდა, მეორე კი — „რკინის სტუმარი“ — ცოტა ნაკლებს: სამოცდაცხრა კილოგრამს. ჩვენი ქვეყანა, ულეველ განძთა ქვეყანა, ოქროს დაუშრეტელ წყაროსაც იძლევა.

ურალი და ციმბირი ოქროს ზოდებითაც ცნობილი საგანძურებია. ოდესღაც სამხრეთ ურალში იპოვნეს ბაჯალლო ოქრო, რომლის წონა 35 კილოგრამზე მეტი იყო. ერთ ხანს ის პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში ინახებოდა, პირველ მსოფლიო ომში ყაზანში გახიზნეს, იქიდან თეთრებმა ციმ-

ბირში წაიღეს. ამ ზოდის შემდგომი ბედი ბურუსითაა მოცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცამ დაიქუხა და თავსხმა წვიმა წამოვიდა. რეზოს და გივის მთელი ღამე ოქროს მთები და იოჰანესბურგის მაღაროები ესიზმრებოდათ. არც იყო გასაკვირი: ყმაწვილები აფრიკის ოქროს გულში ათევდნენ ღამეს.

ცოცხალ ადამიანთა სამარე. ადამიანი № 576

აი, დაბოლოს, იოჰანესბურგიც, საოცნებო ოქროს ქალაქი! შიგ მის შუაგულში, მის ტვინსა და ძარღვებში შეჭრილი ორმოცი მაღარო იძლევა იმდენსავე ოქროს, რამდენსაც მთელი კაპიტალისტური მსოფლიო. თქვენ აქ ოქროზე დადიხართ, ოქროს სუნთქავთ ჰაერთან ერთად, და ეს არაფერ შვებას არ აძლევს თქვენს ფილტვებს, რომლებიც მიწის გულიდან ამოღებული მტვრით გევსებათ. ცათამბჯენები პირდაპირ „ოქროს უფსკრულებზე“ აზიდულან.

მოგზაურებს დილიდანვე თვალწინ გადაეშალათ კირივით თეთრი მთაგრეხილი, რომელიც ქალაქის გულში საზღაპრო დრაკონივით შეჭრილიყო. მწვანე ფერდობზე ცხვრის ფარა შავი კუნძულივით ჩანდა.

— ვიტვატერსრენდია, — თქვა ანდრესმა. — ბურების ენაზე ეს ნიშნავს: „თეთრი წყლების ბორცვები“. ასე უწოდეს ლიმპოპოსა და ვაალის წყალგამყოფ ქედს. როცა ცოტა დრო აქვთ, ამ გრძელ სიტყვას მოკლედ გამოსთქვამენ, უბრალოდ „რენდს“ ეძახიან.

— კაპიტანო! — თქვა გაოცებულმა გივიმ.—წუხელ რომ აქ მოვედით, ხრიოკი მთების გარდა არაფერი ჩანდა, ახლა კი მიდამო მწვანე ბალახითაა დაფარული.

— ასე ხდება ტრანსვაალში. უეცრად წამოვა წვიმა და გადამწვარ ველებს ბალახით ააბიბინებს. ახლა, თუ დაღლილები არა ხართ და არ გეშინიათ, მაღაროში ჩავიდეთ.

ყმაწვილები სიამოვნებით დაეთანხმენ.

— ო, კაპიტანო, გივის აფრიკაში ვეფხისაც კი არ ეშინია!

— გადაჰკრა რეზომ მეგობარს, — მეტადრე მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ შავ ხმელეთზე ეს ნადირი წყლიდან არ გამოდის.

— შენ კი — მარტორქისა, — მიუგო გივიმ,— მეტადრე მას შემდეგ, რაც დარწმუნდი, რომ მიწისქვეშ ეს ნადირი ცოცხალი თავით არ ჩადის!

მაღაროში უცხოელებს არ უშვებდნენ. ანდრესი ხშირად იტყოდა, მოგზაური ვარ და არა დიპლომატი, მაგრამ დიპლომატზე ნაკლები მოხერხება არ გამოუჩენია, როცა თავისი თავაზიანობით იმას მიაღწია, რომ იოჰანესბურგის სამთო პალატაში მაღაროს დათვალიერების ვიზა აიღო. მოგზაურებს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ მაღაროში საკუთარი სურვილით ჩადიან და მარცხის შემთხვევაში პასუხს ვერავის მოსთხოვენ. შემდეგ სახელოსნოში მათ აჩვენეს ოქროს ზოდის გამოდნობის რთული პროცედურა.

— თუ ცალი ხელით აიღებთ, შეგიძლიათ „უნივერსალში“ სამახსოვროდ წაიღოთ, — ღიმილით გაიმეორა უფროსმა მდნობელმა სიტყვები, რომლებიც მრავალი უცხოელისათვის უთქვამს. — იმედი იქონიეთ, რომ ის თქვენი იქნება. ანდრესი ამაოდ ცდილობდა სრიალა ზოდის აღებას ცალი ხელით, თუმცა იმისი სიგრძე ოცდახუთ სანტიმეტრს არ აღემატებოდა, განი კი — თერთმეტს.

— გნებდებით, — თქვა მან ღიმილით.

— მე რომ ამაში დარწმუნებული არ ვყოფილიყავი, ასეთ წინადადებას ვერც მოგცემდით, — გაიცინა მდნობელმა.

— როგორ ვნანობ, რომ არ წამოგვიყვანია ჩვენი წირმინდელი იასონი! — ღიმილით თქვა რეზომ. — დარწმუნებული ვარ, რომ ოქროს ზოდი ჩვენი იქნებოდა. მაშინ ნახავდა, რა ძვირად ჯდება სანაძლეოს დადება სვან გოლიათთან.

— შენს იდეას ერთი ნაკლი აქვს, — შენიშნა გივიმ: — იასონი ხომ დევის ხვრელში ვერ გამოეტეოდა!

ოქრო აწონეს, ორმოცდაათი კილოგრამი აღმოჩნდა. ასეთი ზოდი დაახლოებით რვა ათასი ფრანკი ღირს.

— ესაა ათასობით ადამიანის მთელი დღის მძიმე შრომის

ნაყოფი, — თქვა მშვიდად მდნობელმა და ზოდი ცეცხლგამძლე სეიფში ჩაკეტა.

— ახლა კი ნახეთ, როგორ გროვდება ამ ზოდისათვის განკუთვნილი მისხლები მიწისქვეშა ჯურღმულებში, — დაუმატა ოსტატმა.

ამის შემდეგ უნივერსალელები ჩვეულებრივი წესით აწონეს, ხალათები ჩააცვეს და ლიფტი ქვესკნელისაკენ დაიძრა. გივიმ მაშინვე იხუმრა:

— უწინ ქვესკნელში ფასკუნჯით მოგზაურობდნენ, ახლა კი ლიფტით ვმოგზაურობთო.

მიწაში ბნელოდა, აუტანელ სიცხეში სუნთქვა ჭირდა.

— ისუნთქეთ პირით და ყლაპეთ ნერწყვი! — ურჩია ინჟინერმა ლიშმანმა.

— დაბოლოს, მე ვნახე ლაბირინთი! წამოიძახა ორი ათასი მეტრის სიღრმეში გივიმ, რომელიც ოფლის წმენდას ვერ აუდიოდა.

— ისიც არა უბრალო, არამედ ოქროს ლაბირინთი! — დაცინვით დაუმატა რეზომ, რომელიც არაფერს არ ხედავდა, გარდა უფერული გვირაბებისა და ზემოდან ჩამონადენი წყლის გუბეებისა, რომელზედაც ადამიანები შავი ლანდებივით ირეოდნენ.

სიტი-დიპის თეთრი მიწისქვეშეთი ძილგამკრთალი კაცის გულივით ფეთქავდა. ელექტრონის მკრთალ შუქზე მუშების ნახშირივით შავი სხეულები და დაქანცული ოფლიანი სახეები ყორნისფრად ლიცლიცებდნენ. ზოგი თხრიდა, ზოგს გადაჰქონდა, ზოგი მიწაზე ეგდო და ოფლს იწმენდდა. მათს გაწამებულ სახეებზე ალარ ციმციმებდა სიხარულის ნაპერწკალი. იგივე გვამები იყო, იმ განსხვავებით, რომ ეს გვამები დადიოდნენ, კვნესოდნენ, ყველაფერს გრძნობდნენ, ხედავდნენ და შურდათ ადამიანებისა, რომელთაც ამ ერთი საათის წინ მზე ნახეს.

— ვერ ვიტყვი, რომ მიცვალებულთა გარდა ამ ბედშავთა ბედი ვინმეს შეშურდეს, თუმცა ოქროს ფსკერზე არიან, — თქვა რეზომ.

— ხელზე კი სამაჯურები აქვთ, — შენიშნა გივიმ.

სამაჯურები კი არა, ნომრებია. — განმარტა ანდრესმა. —

შეხედეთ, რკინის რგოლზე აწერია: 576. აქ ჩამოსულიმუშა კარგავს გვარსა და სახელს, რჩება მხოლოდ ნომერი.

იჯდა აფრიკის ოქროს გულში ადამიანი N 576 და თავისი განურჩეველი მზერით, ნახევრად ჩამქრალი ფართო თვალებით აკვირდებოდა უნივერსალელებს: იქნებ შურდა, ან ახალი უფროსები თუ ეგონა.

იქვე იდგა თეთრკანიანი ზედამხედველი და უცხოელებს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა.

— რამდენს იღებს თვიურად ეს მუშა? — ჰკითხა მას ანდრესმა.

— სამ სტერლინგს, სერ. მაგრამ მათ წლიურად ქირაობენ და აქედან დაბრუნების შემდეგ ეკრძალებათ ტრანსვაალის მიწაზე ცხოვრება. სხვაგან სადაც ისურვებს, იქ იცხოვრებს. მაგრამ ვიდრე აქ არის, აკრძალული აქვს თავისიანებთან შეხვედრა.

— მიცვალებული განსაზღვრული ვადით! — თქვა გივიმ. — აი რას ვუწოდებდი.

— ხომ შეუძლია არ იმუშაოს? — იკითხა რეზომ.

— მაშინ ცოლს ვერ ითხოვს! — გაიცინა ლიშმანმა. — კაფრი ქალს არ გაატანს მას, ვინც გამოსასყიდ თანხას არ გადაიხდის, ე. ი. მშობელს ათიოდე ხარს არ მისცემს. ერთიც რომ დააკლოს, მამა ქალს უკანვე წაჰგვრის, ეს კი უმძიმეს სირცხვილად ითვლება. ღარიბი კაფრიც მოდის და მუშაობს.

— ეს ხომ კატორღაა! — ვერ მოითმინა ანდრესმა.

— ეს მაღაროა, სერ! — ღიმილით შეახსენა ზედამხედველმა.

— მაგრამ რა ღონისძიებებს ხმარობთ, რომ კატორღაში, ან როგორც ეძახით, მაღაროში, ადამიანთა სიცოცხლე საფრთხისაგან იხსნათ?

— ზანგებს რკინის ჯანმრთელობა აქვთ, სერ. — გაიცინა ზედამხედველმა. — ისინი უძლებენ .საჭმელს ჭამენ მხოლოდ იქ, ზემოთ დილას და საღამოს. ადამიანთა სიცოცხლე დაცულია, თუ მაღარო არ ჩამოიქცა. მაინც აქ წელიწადში ათასობით მუშა იღუპება! — ისეთი ხმით იყო წარმოთქმული ეს სიტყვები, თითქოს ზედამხედველი ამაყობდა: აი, ასეთ საგ-

ბირო საქმეში ვართო! — მაგრამ თქვენ ადამიანების ბედი უფრო გაინტერესებთ თუ მაღაროების, სერ? — დაუმატა ზედამხედველმა ორაზროვანი ღიმილით.

— უფრო პირველთა, — მიუგო ანდრესმა. — ჩვენს ქვეყანაში საერთოდ ჯერ ადამიანების ბედი აინტერესებთ და მერე მაღაროების.

— მომიტევეთ, რომელ ქვეყანას გულისხმობთ?

— საბჭოთა კავშირს.

— ოო!—მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ზედამხედველმა და უნებურად უკან დაიწია, თითქოს დასცხაო. მის თვალებში ანდრესმა ამოიკითხა გაოცება და ინტერესი.

— აქ ზოდებსაც პოულობენ? — იკითხა ინჟინერმა.

—არის შემთხვევები, სერ.—თავაზიანად უპასუხა ლიშმანმა. — იშვიათად, მაგრამ პოულობენ. ამსაწინათ ზანგმა მუშამ იპოვნა ორი ზოდი. ერთი მათგანის ღირებულება ასი ათას გირვანქა სტერლინგს აღწევდა.

— რამდენი მიიღო აქედან მპოვნელმა?

პასუხი გასცა ისევ ზედამხედველმა, რომელმაც უკვე მოასწრო გონს მოსვლა.

—ათი გირვანქა, სერ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა მმართველმა მეტისმეტი გულუხვობა გამოიჩინა. რად უნდა ზანგს ოქრო? მას შავი პური და წერაქვიც ეყოფა: პური იმისათვის, რომ წერაქვი იხმაროს, წერაქვი კი იმისათვის, რომ პური ჭამოს. ოქროს ქვიშაც რომ მოაყაროთ, მაინც შავი იქნება.

ამ დროს ისეთი გუგუნი გაისმა, თითქოს მეწყერი ჩამოწვაო.

— ეს რა ხმაურია? — იკითხა ანდრესმა.

— მაღარო ჩამოანგრიეს. თუ ხვრელში ოქრო აღარაა, კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით მას ანგრევენ. ქალაქის გარშემო აღმართული თეთრი მთები ასე თანდათან უბრუნდებიან იმავე მიწის წიაღს, საიდანაც ამოიღეს.

სამი ათასი მეტრის სიღრმეზე სიცხემ იმატა. უნივერსალელებს ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ.

— აქ ყოველ ას მეტრზე სამი გრადუსით მატულობს სიცხე,—განმარტა გამყოლმა ინჟინერმა, რომელიც ამ მოვალეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი სურვილით ასრულებდა.—აი „ტერ-შეფტიც“. მსოფლიოში არსად არ არის ამაზე ღრმა მაღარო. მისი სიღრმე სამ-ათას ორმოცდაათი მეტრია!

— ჯოჯოხეთის მესამე სფეროა! — წამოიძახა გივიმ. — ეს ნაკადი ალბათ ქვესკნელის მდინარეა. კაპიტანო, სტიქსი ეწოდება, არა?

— არა, პოეტო, ჩვეულებრივი წყალია,—გაიცინა ანდრესმა.—ამას განგებ უშვებენ, რომ ჰაერი გააგრილოს და ჩარეცხოს მტვერი, რაც ფილტვებისათვის დამღუპველია.

— მერე, რისთვის უნდა ჩარეცხოს? — დაცინვით შენიშნა რეზომ. — ზანგებს ხომ რკინის ფილტვები აქვთ, მტვერი მათრას დააკლებს!

უკან რომ ბრუნდებოდნენ, № 576 მიწაზე იწვა და სისხლს აღებინებდა.

— ო! ნამდვილი დილეგია!—სიბრალულისა და საშინელებისაგან სახე დაემანჭა გივის.—ახლა კი მჯერა, რომ ელდორადო პოეტების წარმოდგენაში უფრო მომხიბლავი ყოფილა, ვიდრე სინამდვილეშია. სიბნელე, მიწისქვეშეთი, სიცხე... ადამიანს სისხლს აღებინებს... კაპიტანო, ჩქარა წავიდეთ, მე ამას ვერ ვიტან, მეშინია!

— რაკი მოვედით, კიდევაც უნდა ვნახოთ ყოველივე... მაგრამ დროა!..

მაღლა რომ ამოვიდნენ, უარესად ცხელოდა. სუნთქვა ჭირდა. ხორშაკიანი ქარი ქროდა კალაჰარის უდაბნოდან.

— ესეც თქვენი ოქროს ქვეყანა!—არა ცხრებოდა გივი.—თუ სამოთხე ამაზე უკეთესი არ არის, საეჭვოა, რომელიმე წმინდა მოწამე მასში მოხვედრის მიზნით ხორცში გახურებული შანთის გაყრაზე დათანხმდეს.

— სამოთხე და ყველა სხვა საზღაპრო დაპირებაც იმავე ფანტაზიამ შექმნა, რამაც ოქროს ქვეყანა. მხოლოდ სინამდვილის ქვეყანაა დამაჯარებელი ქვეყანა,—თქვა შუბლშეკრულმა ანდრესმა. მიწაზე უნდა შეიქმნას ელდორადო, ზეცაში კი არა.

მიდიოდნენ ამ საუბრით და სამთავეს თვალწინ ედგათ ადამიანი № 576, სიბნელე, სიცხე და სისხლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარმა მძლავრად დაჰქროლა. თეთრი მთებიდან ავარდნილი მტვრის ნისლი ქალაქს გადაევლო და ყველაფერი დაფარა. მოგზაურებს თვალები მტვრით აევსოთ, გაძნელდა სულის მოთქმა.

— მტვრის ქარიშხალია!—დაიძახა ანდრესმა.—ახლოს მომყევით, ერთმანეთი არ დავკარგოთ.

საშინელი მტვრის ყვითელი ღრუბლები ქალაქს დასტრიალებდნენ, და გვის ეგონა, რომ იოჰანესბურგი პომპეოსის ბედს გაიზიარებდა, მაგრამ პოეტები ყველაფერს აზვიადებენ. უეცრად ქარიშხალი ჩადგა და ქალაქში ჩვეულებრივი ცხოვრება განახლდა.

მხოლოდ ახლა მოახერხეს ქალაქის დათვალიერება. ცენტრში შედარებით უბადრუკი შენობები იდგა, შუა მოედანი ლატაკთა ქოხმახებით იყო მოფენილი, გარშემო კი მდიდართა სასახლეები და მწვანეში ჩაფლული აგარაკები თვალს იტაცებდნენ. ანდრესს უკვირდა, როგორ მიიღო ასეთი სიძველის იერი ოთხმოციოდე წლის ქალაქმაო.

უნივერსალელების ყურადღება მიიპყრო უჩვეულო რიტმულმა ხმაურმა. ეს იყო კაფრების კონცერტი. ხის ძელი რკინის ფიცარზე იდო, ზედ არაკუნებდნენ ხის უბრალო ჯოხებით, რომლებსაც თავზე ჩვრები ჰქონდათ შემოხვეული. ამ თავისებურ აფრიკულ პიანინოს აყოლებდნენ საკმაოდ სასიამოვნო და მეტად სევდიან სიმღერას, თან ფარებსა და შუბებს ატრიალებდნენ და ძველ მხედრულ ცეკვას ასრულებდნენ. მოცეკვაველებს თავი შემკული ჰქონდათ ხარის დიდი რქებით, ყვავილებით, ბეწვითა და ფრთებით. მათ მუქსა და მრისხანე სახეზე ბავშვური ღიმილი თამაშობდა.

— რას მღერიან?—ჰკითხა ანდრესმა ნაცნობ ზედამხედველს.

—მათი სიმღერა მარტივია: „ჩვენ შავები ვართ. სისხლით გვღებავენ ათასი წელი, მაგრამ მაინც შავია ჩვენი კანი. ჩვენი.ბედი კი ჩვენს კანზე შავია. ჩვენ ვცეკვავთ ისე, როგორც

ცეკვავდნენ ჩვენი წინაპრები. ეს იყო მაშინ, როცა ისინი სამშობლო მიწას იცავდნენ“.

.— ეს მძიმე და კარგი სიმღერა ყოფილა, — თქვა რეზომ, —მაგრამ წინაპართა ფარები და შუბები იმავე თეთრების თავშესაქცევ სათამაშოებად უქცევიათ.

— ასე სასტიკად ნუ განსჯი, რეზო,—მიუგო ანდრესმა. —ზანგები იღვიძებენ. ცეკვის გარდა ისინი ბრძოლასაც სწავლობენ. დაე, იგრიალოს ბანტუს მუსიკამ—ამ მუსიკის ხმაზე ბალხები იღვიძებენ... ახლა კი განვაგრძოთ ჩვენი გზა.

მსოფლიოში უდიდესი ჩანჩქერები

შორს სამხრეთ აფრიკაში, ეკვატორიდან სამი ათას ხუთასი კილომეტრის დაშორებით, უფსკრულის თავზე იდგნენ უნივერსალელები და ტუგელას მქუხარე ჩანჩქერს ღასცქეროდნენ. გეგონებოდათ, აფრიკა აქ თავდებაო. მაგრამ აფრიკა მდინარე ტუგელაზე როდი თავდება.

— ტუგელას ვარდნის სიმაღლე რვაას ორმოცდაცამეტ მეტრს უდრის,—თქვა ანდრესმა.—დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთ ჩანჩქერს აქვს ამაზე დიდი სიმაღლე, თუმცა ქვეყნად მრავალია ამაზე უფრო წყალუხვი და გრანდიოზული სანახაობა. ვიქტორიას განთქმული ჩანჩქერის სიმაღლე მდინარე ზამბეზზე ას რვა მეტრია, კალამბოს ჩანჩქერის სიმაღლე ოთხჯერ მეტია — ოთხას ოცი მეტრი. სტენლის ჩანჩქერისა კონგოზე კი—მხოლოდ სამი მეტრი. აზიაში ცოტაა დიდი ჩანჩქერები. ყველაზე მაღალი მათგანი გერსოპა მდინარე შირავატზე ორას ორმოცდათორმეტ მეტრზე ვარდება.

— ამერიკაშიაც ხომ არის დიდი ჩანჩქერები, კაპიტანო?

— ძალიან დიდი და დიდებული. მე ვნახე ნიაგარის ჩანჩქერი და მინდა თქვენთან ერთად ის მეორედ ვნახო. ტუგელა ბავშვის სათამაშოდ მოწყობილი გეგონებათ მასთან შედარებით, თუმცა ეს მთელი 400 მეტრით მაღალია ნიაგარაზე, რომლის ვარდნა სულ სამოცი მეტრი სიმაღლიდან ხდება. ნიაგარა წყალუხვია, მშვენიერი, ბუნების ნამდვილი

სიამაყე, მისი თეთრი მტვერი ნისლივით ადის ცაში. ეიფელი-ტის ჩანჩქერის სიმაღლეა ოთხას ოცდათხუთმეტი მეტრი, იელო-უსტონისა კი—ოთხმოცდაცამეტი... მაგრამ მსოფლიოს ყველა ჩანჩქერზე დიდია თავისი ვარდნის სიმაღლით ანხელის ჩანჩქერი მდინარე ჩურუნის შენაკადზე, სამხრეთ ამერიკაში, გვიანას მთებში. ანხელი ვარდება ცხრაას ოთხმოცი მეტრი სი-მაღლიდან ...

მოგზაურები ტკბებოდნენ ტუგელას ჩანჩქერის ცქერით. ბუნების სილამაზე აოცებს, ხიბლავს და არინდებს ადამიანს... მაგრამ დრო მიდის და ჩვენი მოგზაურებიც განაგრძობენ გზას, რომლის გავლაც, ვინ იცის, იქნებ მხოლოდ სიზმარში იყოს შესაძლებელი.

ბ ნ უ

— კაპიტანო, რატომ არ არიან აფრიკაში ირმები?—რო-გორლაც იკითხა გაშლილ ველზე გივიმ.

— საყურადღებო კითხვაა!—თქვა ანდრესმა.—მართლაც, საოცარია, რატომ არ ვხვდებით შავ კონტინენტზე ამ მშვენიერ ცხოველს, რომელიც ცხოვრობს ყველა სხვა დასახლებულ კონტინენტზე და მრავალ დიდ კუნძულზე? თუ მიზეზი ცხელი ჰავაა, განა ინდოეთში და ბორნეოზეც ასევე არ ცხელა? მაგ-რამ იქ ირმების ნაკლებობა არ არის. საკვებით უხვი და მუ-დამ თბილი ტროპიკული ზონა — ნაირ-ნაირ ცხოველთა უძვე-ლესი და უმდიდრესი ზონაა დედამიწაზე, თან უფრო სრულიც ვიდრე ზომიერი სარტყელი, სადაც საკვების სიმცირე და ჰა-ვის მკვეთრი ცვლილება კატასტროფულად ცვლიდა ცხო-ველთა სამყაროს სახეს. მაინც აქ, აფრიკაში, არ არის ვეფხი, მგელი, არ არის ირემი, ჯიხვი, არჩვი და მრავალი სხვა. შენი კითხვა რომ მიგეცა დიდი სწავლულების ალფრედ უოლესის და ალფრედ ბრემისათვის ან პროფესორ ჟიტკოვისათვის, უფ-რო სწორ პასუხს მიიღებდი, ჩემი ვარაუდი კი მარტივია: აფ-რიკა ყველაზე უფრო ღონიერი მტაცებელი მხეცების ქვეყა-ნაა, და ირემმა ვერ გაუძლო მათს დამღუპველ თავდასხმებს...

თუმცა მტაცებელი ნადირები არც ინდოეთშია ნაკლები. ანდა მაშინ იგივე ვეფხი ვინღა შეავიწროვა? მაგრამ დავანებოთ თავი ვარაუდებს! უმჯობესია ვილაპარაკოთ იმაზე, რაც არის და არა იმაზე, რაც არ არის. თუ ირემი არა გვხვდება, სამაგიეროდ, აქ ბევრი ისეთი მხეცი და ფრინველია, რომ მთელი დედამიწის ზურგზე ტოლსა და ნათესავს ვერსად უპოვნით. ასეთებია: ჰირაქსი, ფრინველმდივანი, მიწის მგელი—ეს აფთრისმაგვარი კუდმოკლე ნადირი, რომელსაც მისი აღმომჩენის ლალანდის სახელი მიაკუთვნეს, და ზოგი სხვა. ასეთივეა მოუხეშავი ანტილოპი გნუ. აი, ისიც, ცოცხალი მოწმე! რა ჯიუტად გვაშტერდება! აი საოცარი დამთხვევა!

„უნივერსალის“ წინ იდგა ახირებული არსება, სამ მეტრადმე სიგრძისა და მეტრზე უფრო მაღალი ხარცხენა, რომელსაც წინ გამოშვერილი მსხვილი რქები, ბალნიანი დრუნჩი, ხარის ჩლიქები და ცხენის კუდი ჰქონდა. რეზო და გივი მანქანის მინიდან სხვადასხვანაირად ხედავდნენ ხეზე მოფარებულ გნუს, რომელიც ზღაპრულ არსებას ჰგავდა. ერთი ამტკიცებდა, ხარიაო, მეორეს კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საქმე ცხენთან აქვთ, და ორივე მართალი იყო: თავ-კისერი ხარისა ჰქონდა, მთელი უკანა მხარე და კუდი—ცხენისა.

გნუმ ხარივით დაიზმუვლა. მაშინვე მახლობელი გორაკების მიღმიდან გამოცვივდა ასეთივე არსებების მთელი ჯოგი, კუდების ქნევით დაურბინეს გარშემო „უნივერსალს“. ეტყობოდა, ეს ველურები სიკეთეს არ დააყრიდნენ მოწინააღმდეგეს. ერთი მათგანი „უნივერსალს“ მიუახლოვდა და უძრავად ჩააშტერდა თვალებში. ძალიან გაოცებული ჩანდა კონტინენტზე ამ ახალი ცხოველის გამოჩენით. არ მოეწონა, სწრაფად მიბრუნდა და გაიქცა. მას მიჰყვა მთელი ჯოგი.

— ახირებული ნათესავები ჰყოლიათ გაზელსა და ჯეირანს! — იცინოდა გივი.

ამის შემდეგ უნივერსალელებს მთელი დღე არაფერი შემთხვევიათ, გარდა იმისა, რომ გივის თევზაობის დროს თევზმა ტირზიტესმა უკბინა. ეს საშიში თევზი სამხრეთ აფრიკაში იცის, ჰოლანდიელები მას ქარიყლაპიას ეძახიან. ერთ დროს შხამიანი ეგონათ. მაგრამ ის შხამიანი არაა. ეს კია, მი-

სი ნაკბენიდან სამი-ოთხი დღე მოჟონავს სისხლი: ამ თევზის ნერწყვი შეიცავს ისეთ ნივთიერებას, რაც სისხლის შედედებას აფერხებს. გივის მთელი კვირა სდიოდა სისხლი — უფრო მეტხანს, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება — და რეზომ იხუმრა: მისთვის რომ თევზს კი არ ეკბინა, არამედ ვეფხვს, შიშისაგან სისხლის დენა მთელ თვეს არ შეუწყდებოდაო. ამაში კი იყო სიმართლის ნაწილი.

ეს იყო ერთადერთი ხიფათი, რაც შავ ხმელეთზე გივის შეემთხვა, თუ არ ჩავთვლით ფუტკრებთან შეხვედრას.

ხოლო რეზო... ო, რეზოს ერთხელ კიდევ შეხვდა თავისი ძველი ნაცნობი, შავი მარტორქა, ამჯერად უკვე მესამედ. მთელი ნახევარი წუთი იდგნენ ისინი ერთიმეორის პირისპირ — ერთი საიერიშოდ, მეორე კი მიწაში ჩასაძვრომად გამზადებული. საბედნიეროდ, ამ ნახევარ წუთში მარტორქას ბრაზმა გაუარა, რეზოს კი შიშმა, და საქმე მშვიდობიანად დამთავრდა.

აქ რეზო იხსნა ანდრესის რჩევამ: „არ დაიძრა! მთავარია ნერვები! ნადირი მხოლოდ გაქცეულს ესხმის თავს“.

ანდრესს ამ დროს ეძინა, და გივის ხელში ეს საიდუმლო საშიშ იარაღად იქცა. თუ კაპიტანი გაიგებდა, შეიძლებოდა რეზოს სანანებლად დარჩენოდა „საკუთარი გზებით სიარული.“

გივი სტუმრად მიდის ბელურების სოფელში

გაშლილ ველზე რაღაც სოფელი გამოჩნდა.

— სახლები ხეებზე! — თქვა რეზომ, რომელსაც მზვერავს ეძახდნენ. მაგრამ ამჯერად „მზვერავი“ შეცდა. ახლოს რომ მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ეს სახლები კი არა, „საზოგადოებრივი ბელურების“ ანუ მქსოველთა ბუდეებია, რომელთაც უზარმაზარი სოკოს სახე აქვთ და შორიდან ქოხის სახურავს მოგაგონებთ. ეს ჯგუფად მობინადრე ჩიტუნები მცენარეებისაგან დაწნულ ბუდეებს ხის ტოტებზე ერთიმეორეს გვერდით მიაქსოვენ. ასე გროვდება ერთ სახურავს ქვეშ ორასამდე ბუდე — ნამდვილი „ჩიტების სოფელი“, რომელსაც ასობით ფრინველის ჟივჟივი აცოცხლებს. ბუდეს ყველა თა-

ვისთვის აკეთებს, მაგრამ ყველა ერთად ქმნის საერთო სახურავს, რომლის ქვეშაც ასობით ხვრელია. ყოველ მომდევნო წელს ქვემოდან ახალ ბუდეს მიაქსოვენ და ასე გრძელდება მანამ, ვიდრე ბოლოს ტოტი სიმძიმისაგან არ მოტყდება, ასობით ბუდე დაინგრევა და მთელი „სოფელი" დაიღუპება; მაგრამ ამ მარცხმა ბელურებს ვერასოდეს ჭკუა ვერ ასწავლა.

რეზო მარდად აცოცდა „საზოგადოებრივი" ბელურების ბუდესთან და ხვრელებში შეიჭყიტა. ყოველ ბუდეში ეწყო სამი-ოთხი ლურჯი-მოთეთრო კვერცხი. ბელურები ირეოდნენ გარშემო და რეზოს თავი ფუტკრების სკაში ეგონა.

— ყურები მიბჟუის, ლამის დავყრუვდე, — თქვა, როცა ძირს დაბრუნდა.

— კიდევ მადლობა უთხარი, რომ თვალები არ დაგიკორტნეს, — უთხრა გივიმ.

— საამისო არაფერი დამიშავებია, მე მხოლოდ მათ სახლებში შევიჭყიტე და წარმატება ვუსურვე თავიანთ ძმურ ცხოვრებაში, — განაცხადა მზვერავმა.

მშვილდოსანი სირაქლემები

უცნაურ სანახაობათა ჯაჭვი სამხრეთისაკენ მიიწევდა. ნარინჯის მდინარის სამხრეთით გაშლილ უდაბურ ველზე სირაქლემას კვერცხი ნახეს. ერთ ასეთ კვერცხში თორმეტი ათასი კოლიბრის კვერცხი გადაისხმება, ის ოცდათხჯერ აღემატება ქათმის კვერცხს და თითქმის ერთნახევარ კილოგრამს იწონის. სირაქლემას კვერცხის პოვნა არც ისე ადვილია, რადგანაც ნახევარი მეტრის სიღრმეზე მარხავს ქვიშაში. ეტყობა, რაღაცას ამოეთხარა და შეჭმა ვერ მოესწრო. მოგზაურები ლოდებს ამოეფარნენ და დაიწყეს ლოდინი. მალე ტერმიტების სასახლის ხვრელიდან ფრთხილად ამოძვრა იქ შემალული ქურდიც — პაწია ქვიშისფერი მელაკუდა. ფაფუკი ქურქი ეცვა და უჩვეულოდ დიდი ყურები ჰქონდა. მარდად მიცუნცულდა კვერცხთან, ჰკრა წინა თათები და ქვიშაში გააგორა. ასეთი ხერხით მან ასიოდე მეტრზე წაიღო კვერცხი, რომლის

ნაჭუჭშიაც თვითონ თავის ცოლ-შვილიანად მოთავსდებოდა. „ფეხბურთის თამაშში ხომ არ ვარჯიშობს?“ — წყნარად თქვა რეზომ. მართლაც, მელიამ კვერცხი ფინიშთან ოსტატურად მიიტანა, ქვას დააჯახა, დაამტვრია და სადილობას შეუდგა.

— აი, თურმე სად მიჰქონდა კვერცხი ამ პაწაწკინტელა დიდყურას. — გულიანად გაიცინა გივიმ. — შეხედეთ, როგორ იჭყიტება!

მართლაც, მელია-ფენეკმა ნიჩბისოდენა ყურებით ადვილად გაიგონა გივის სიცილი და გიშრისფერი თვალები დაჭყიტა. საცოდავს მაინც არ დასცალდა სადილობა, ამიტომ უსადილოდ ისკუპა და საფარს მიაშურა.

ველზე გამოჩნდა სირაქლემების გუნდი. ქანდაკებასავით იდგა ათიოდე გოლიათი ფრინველი და ფხიზელი თვალებით აცქერდებოდა მათკენ მომავალ მეორე ჯგუფს, ერთობ საეჭვო სირაქლემებს, რომელთაც ჩვეულებრივზე მსხვილი თეთრი ფეხები ჰქონდათ.

უეცრად ბორცვების მიღმიდან გამოსულმა სირაქლემამ ბუმბულიდან ხელები გამოაჩინა, მშვილდი მოზიდა და ერთ თანამოძმეს დაუმიზნა. ასევე მოიქცა ორი დანარჩენიც.

— ბუშმენები! სირაქლემებზე მონადირეები! — წამოიძახა ანდრესმა.

რეზომ, დიდი ხანია, ისინი ადამიანებს მიამსგავსა, მაგრამ თავს იკავებდა, რომ ისევ არ გამტყუნებულიყო. ახლა მისი ვარაუდი გამართლდა. ისრებმა გაიზუზუნეს, ერთი სირაქლემა შეტორტმანდა და ქვიშაში დაეცა, სხვები გაიქცნენ. მონადირეებმა სირაქლემების ნიღბები გაიხადეს და ველზე გამოჩნდა სამი ბუშმენი.

— პირველად ვხედავ მშვილდ-ისრებით შეიარაღებულ სირაქლემას! — წამოიძახა გივიმ. — ასეთ რამეს მოფიქრება არ უნდა?

— ეს ძველი ბუშმენური ხერხია, — თქვა ანდრესმა. — სირაქლემებზე ნადირობა ადვილი საქმე არ არის. ეს მორბენალი ფასკუნჯები საოცრად ფხიზლად ზვერავენ მიდამოს, და საუკეთესო ცხენს ქანცავენ, ისე სწრაფად გარბიან, ისიც არა სწორი გზით, არამედ მიხვეულ-მოხვეულად. გამოცდილი მო-

ნადირეები სირაქლემას ტყავს გადაიცვამენ, ფეხებს ცარცით შეიღებავენ, ფრინველის თავს ჯოხით მაღლა ასწევენ, ხოლო საკუთარ თავს ნიღბის მკერდზე გამოჰყოფენ, ხელში ჰარპუნებს ან შუბებს აიღებენ და ასე შეიარაღებული დასეირნობენ ველზე. ვითომ ისინიც სირაქლემებია... მაგრამ მე ვხედავ სირაქლემაზე საოცარ არსებებს, მგონი, რვაფეხას... თუ ეს მცენარეა?

ველვიჩია, მცენარე—სპრუტი

— ველვიჩია! — წამოიძახა ანდრესმა და მანქანა გააჩერა ხრიოკი ველების საოცარ ხესთან; შორიდან მართლაც მიაგავდა რვაფეხა ურჩხულს, რომელსაც მხოლოდ ორი საცეცი შერჩენოდა.

— დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავთ ასეთ უცნაურ ხეს, — უთხრა ინჟინერმა გაკვირვებულ მეგობრებს. — ასეთი მცენარე პირველად ნახა 1859 წელს ბოტანიკოსმა ველვიჩმა და ამიტომ უწოდეს მისი სახელი. ეს ხე ახლა ლენინგრადის ბოტანიკურ ბაღშიც არის და თავს კარგად გრძნობს.

— განა ეს ხეა? — გულუბრყვილოდ წამოიძახა გივიმ, რომელიც აფრიკაში კითხვის ნიშანს დაემსგავსა.

მართლაც, ველვიჩია ნაკლებად ჰგავდა ხეს. უფრო მოჭრილი ხის ძირი ან კომბოსტო გეგონებოდათ, რომლის სიმაღლე მეტრამდე იქნებოდა, სიმსხო კი ოთხ მეტრს აღწევდა. ამ „ხის ძირს“ ორსავე მხარეს გაშვერილი ჰქონდა სიმინდის ფოთლების მოყვანილობის ორი უზარმაზარი მარადმწვანე ფოთოლი, რომელთა სიგრძე სამ მეტრამდე იქნებოდა. სწორედ ეს ფოთლები მიიღეს შორიდან რვაფეხას გველისებურ საცეცებად. ზოგს ისინი მიწაზე გაწოლილი მახრჩობელები ჰგონია.

— ამ ფოთლების ბოლოებს სტეპის ქარი დაცრეცს, გაწეწავს ხოლმე და ზოლებად შლის. — განმარტავდა ანდრესი. — ასეთი გაცრეცილი ზოლები ხმება და მათ ადგილზე იზრდება სხვა სალი ბოლოები. სხვა ხეს ფოთლები ცვივა, ამას კი არა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სოდეს არ ცვივა, და სამას წლამდე ცოცხლობს, მუდამ ახლად ამოსულს კი ჰგავს.

— რისთვის არის გამოსადეგი ველვიჩია? — იკითხა გივიმ.

— განა სავალდებულოა, რომ ყველაფერი, რაც ბუნებაში გვხვდება, გამოსადეგი იყოს? — გაიცინა ანდრესმა. — თუმცა ბევრი რამ, რაც დღეს გამოსადეგი არაა, შეიძლება ხვალ გამოსადეგი გახდეს. — დაუმატა მან. — ასევე, ველვიჩიასაც გამოიყენებენ რამეში, ჯერ კი ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

ჭანიბალის ხარები ცეცხლის რკალში

შთაბეჭდილებით დაქანცული ნატურალისტები ცეცხლოვან სამხრეთს უახლოვდებოდნენ. ცეცხლოვანს-მეთქი, ვამბობ, იმიტომ რომ მზით გადარუჯულ თვალუწვდენელ სტეპზე ხანძარი მძვინვარებდა. ჯერ შორეული კვამლი გამოჩნდა. შავ ბოლქვებად ადიოდა მოწმენდილ ცაში და ელვარებას ართმევდა ჩამავალ მზეს. აორთქლილი წყლისაგან წარმოქმნილი თეთრი ღრუბლები ქათქათა იალქნებივით მიცურავდნენ მტრედისფერ უსასრულობაში. მერე სამხრეთის ცა თანდათან ვარდისფრად აელვარდა, პორფირივით წითელ ხმელეთს შეუერთდა და შორეულ ჰორიზონტზე აზიდულმა ცეცხლოვანმა თაღმა შექმნა აფრიკული დაისის მომხიბლავი სურათი. კაპლანდიის სავანეში გამანადგურებელი ხანძარი მძვინვარებდა.

აფრიკული შამბნარი ჩვენებურ სათიბებს არა ჰგავს. ბალახი იქ ისე მაღალია, რომ სრულიად ფარავს ცხენოსანსა და ჟირაფებსაც კი. ცხადია, არის უფრო დაბალი შამბიც, მაგრამ სავანების უდიდესი ნაწილი ისეთი ჟალტამითაა დაფარული, რომ ქარავნები გზას გაჭირვებით მიიკვლევენ და ყოველ ნაბიჯზე ელიან მტაცებელი მხეცებისა თუ ავაზაკების თავდასხმას: ვიდრე ზედ არ წაადგები, ვერაფერს შენიშნავ. აი, როგორი იყო ველი, რომელზედაც ახლა ცეცხლის მხედარი დანავარდობდა. ხანძარი სწორედ გაქანებული ცხენის სისწრა-

ფით მოიწევდა და მალე „უნივერსალის“ წინ გაშლილი უსაზღვრო ველი ერთიანი ცეცხლის ოკეანედ იქცა. გაუმაძღარი ალი ნთქავდა ცოცხალსა თუ არაცოცხალ ბუნებას, იტრუსებოდა მიმოზა, აკაცია, უკვდავა, ბროლის ბალახი, მანანა, უთვალავი ძირხვენა ბალახი, თოვლივით თეთრი ჰელიქრიზუმი თუ ვერცხლის ხე, ეს ვერცხლივით მოელვარე მშვენიერი მცენარე, რომლის ხავერდივით რბილ ფოთლებს სამხრეთ აფრიკაში ნოსაწვევ ბარათებად იყენებენ... ბალახისა და ბუჩქების ტკაცანი ტყვიის წივილსა ჰგავდა და თავი ბრძოლის ველზე წარმოგიდგებოდათ.

კიდევაც იყო ეს თავისებური ბრძოლის ველი! ცეცხლი და სიცოცხლე ებრძოდა აქ ერთიმეორეს. საბრალო ცხოველთა დაფეთებული ჯოგები თავბრუდამხვევი სისწრაფით გარბოდნენ და ხსნას ვერსად პოულობდნენ. რა ჯურის მხეცს არ ნახავდით აქ: ანტილოპები, ლომები, სირაქლემები და ჟირაფები მორბოდნენ სპილოების, ზებრების, მიწის მგლებისა და კამეჩების გვერდით. მიწაზე მოხოხავდნენ გველები და ნიანგები. იყო დიდი ზათქი, გნიასი, ღმუილი და სისინი.

— ნამდვილი მიუნხენის პანიკაა!—წამოიძახა ანდრესმა. — და აქაც, ისევ, როგორც მიუნხენის პანიკის დროს, ყველაზე ჭკვიანად სპილოებს უჭირავთ თავი.

მართლაც, ეს გოლიათი ნადირი ამ საშინელ საფრთხეშიაც არ ჰკარგავდა თავის სიდარბაისლეს; ხორთუმი აეწია, ბრძნულად მიაბოტებდა ამ ჯუჯათა ლაშქარში და ცდილობდა, ზიანი არავისთვის მიეყენებინა. მაგრამ ვაი მას, ვინც წინ გადაეღობებოდა! ან ხორთუმით განზე გადაისროდა ან უბრალოდ ზედ გადაუვლიდა, ვითომ ბატკანი გადაეთელოს. ოღონდაც! ეს იყო გზა სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ! და ვინც ამ გზაზე კანონიერად მიდის, უფლება აქვს გოლიათური ძალით გაიკაფოს იგი.

ნადირთა ამ სოდომურ ჯოგში განსაცვიფრებელ სანახაობას ქმნიდა რამდენმე მარტორქა. გაოცებას იწვევდა არა მათი გიჟური რიალი და სირბილი — ამასვე სჩადიოდნენ სხვებიც — არამედ ის სასაცილო და თან სავალალო მდგომარეობა, რომელშიაც ისინი უცნაურ შემთხვევას მოეხვედრებინა. საქმე ისაა, რომ ამ სქელკანიან პირუტყვებს თავზე ცეცხლის გვირ-

გვინები ედგათ და ასე მოუძღოდნენ უწესრიგოდ უკან დახეულ ლეგიონებს. სხვა სახელს ვერ ვუწოდებდით საზოგადოებრივი ბელურების ცეცხლმოდებული ბუდეების ნაგლეჯებს, რომლებიც ამ საცოდავებს რქებზე ჰქონდათ ჩამოცმული და გადაგდების ყველა ცდის მიუხედავად ზედვე რჩებოდნენ. წლების მანძილზე ერთმანეთთან შეკრული, გამკვრივებული, მშრალი თივის ბოლქვები საუცხოოდ და დიდხანს იწვოდნენ... ცხადია, ხანძარმა ხის ტოტი დასწვა, გიგანტური ბუდე ჩამოანგრია და ცეცხლმოდებული „სოფელი“ მხეცებს თავზე ჩამოამხო.

რეზოს და გივის მუცელი ხელით ეჭირათ; კუდაპრეხილი, ტლანქი მარტორქების კუნტრუშს რომ უყურებდა, თვითონ ანდრესს სიცილით თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

— ნამდვილი ჰანიბალის ხარებია! ის ხარებიც ხომ აფრიკული ბალახით იყვნენ გალაღებული!

ისტორია მოგვითხრობს, როგორ მოატყუა დიდმა ჰანიბალმა კაზილინუმთან რომის დიქტატორი ფაბიუს კუნქტატორი; ღამით ბრძანება გასცა, ორი ათასი ხარისათვის რქებზე ცეცხლმოდებული ფიჩხის კონა მიებათ და გაეშვათ. გაგიჟებულმა ხარებმა ტყეს მიაშურეს და ხანძარი გააჩინეს. ფაბიუსი დაიბნა, არმია ტყისაკენ მიმართა, ჰანიბალმა ამით ისარგებლა და თავი დააღწია სახიფათო ხეობას.

კაპლანდიური „ხარები“ არანაკლები შეშფოთებით ატარებდნენ ცეცხლის გვირგვინებს, ვიდრე მათი ძველი ნუბიელი თანამემამულეები: ხტოდნენ, ეჯახებოდნენ, თელავდნენ და წვავდნენ ბედშავ თანამგზავრებს. იტრუსებოდნენ მათი ღორული ყურები და ბეცი თვალები.

— თუ ცოტაოდენი ჭკუა მაინც შეგრჩენიათ, აღმოსავლეთისაკენ წადით და ოკეანეში ჩაყავით თქვენი ცეცხლოვანი დრუნჩები!—ურჩევდა რეზო მარტორქებს, მაგრამ ისინი სულაც არ აპყრობდნენ თავიანთ დამწვარ ყურებს. თითქოს ეს ბავშვი ძველ ეგვიპტურ ენაზე ლაპარაკობდა.

უნივერსალელები ისე გაართო „ჰანიბალის ხარების“ თავბრუდამხვევმა კუნტრუშმა, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ მოადგა მათს ახალ ბანაკს ფერადი ურდო (ისინი ნელა უკან იხევდნენ იმ ვარაუდით, რომ მუდამ ახლო მანძილიდან ეცქი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რათ ამ „ურდოსათვის“).

— კაპიტანო! ჩვენ გადაგვთელავენ!—გააფრთხილა ანდრესი გივიმ.

— ახლავე გზას მივცემთ!

ანდრესი გამოერკვა და „უნივერსალი“ ხუთიოდე კილომეტრით განზე გადააქროლა. აქ იყო ცეცხლოვანი ველის ერთი კიდევ. მაგრამ პანიკა აქაც გრძელდებოდა. ყველა სულიერი, ჭიანჭველიდან დაწყებული სპილომდე, ერთი სურვილით იყო ატანილი: როგორმე თავი გადაერჩინა!

მხოლოდ ტერმიტებს ეძინათ მშვიდად თავიანთ მიწისქვეშა სასახლეში.

ფრინველმდივანი და ასპიტი

და ამ საერთო ორომტრიალში ერია ერთადერთი არსება, რომელსაც არ ეშინოდა არც ცეცხლის, არც შხამისა და არც სიკვდილის. პირიქით, ახლა დადგა მისი ამინდი! არწივის სიამაყით დანავარდობდა აკვამლებულ სივრცეში და ომახიანი ყიჟინით ამხნევებდა ლტოლვილ ლაშქარს, როგორც ცეცხლის დემონი. ეს იყო ფრინველმდივანი, ორბის სიდიდის არწივზე მამაცი მტაცებელი, ფრინველთა სამყაროს ნამდვილი რაინდი. თუმცა მდივნად არასოდეს არ უმუშავნია, მაგრამ თავზე კოხტად გადაწყობილი პოეტური ფრთების კონა სამართლიანად უსაკუთრებს ამ სახელს. არაბები მას ეძახიან „მაჰმადის შიკრიკს“, „ეშმაკის მერანს“, გრძნეულ ფრინველს, და კიდევ ბევრ რამეს. მაგრამ ეს სულერთია. მთავარი ისაა, რომ მდივანი ქვეწარმავლებს ანადგურებს და ომს უმართავს თვით ყველაზე უფრო ძლიერსა და საშიშარ შხამიან გველებს, როგორიც კი დედამიწის ზურგზე მოიპოვებიან. ფრენა არ უყვარს. სამაგიეროდ, არც ერთი მტაცებელი ფრინველი არ დარბის ასე სწრაფად. ყოფილა შემთხვევა, როცა მდივანს ლეოპარდი ვერ დაეწია, ლეოპარდს კი ნადირთა „ოლიმპიურ ასპარეზობაში“ არაერთხელ მიუღია „პირველი პრიზი“. დარბაისლურად დაალაჯებს სავანებში მდივანი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეძებს ვერცხლისპერანგიან სრიალა საკბილოს. მისი-ცოცხლე ერთიანი ბრძოლაა, ბრძოლა საბედისწერო და საინტერესო. ჭამს ბევრს და ყველაფერს, რაც იჭმევა და რაც არ იჭმევა, ყველაზე გემრიელად კი შხამიანი გველი მიაჩნია; გველებზე ნადირობაშივე ხედავს თავის უმაღლეს სიამოვნებას. ახლაც საკბილოს დასაზვერავად აფრინდა, რადგან კარგად იცის, რომ ხანძარი თავშესაფრიდან გამოაგდებს უამრავ ქვეწარმავალს.

უკან წაშვერილ გრძელ კანჭებსა და წინ წაწვდილ მოგრძო კისერზე ანდრესმა ადვილად განსაზღვრა, რა ფრინველიც ტრიალებდა მუქ სივრცეში.

— თუ ეს მდივანი არაა, მაშინ მე ისევე დიდად ვცდები, როგორც კოლუმბი შეცდა, როცა ამერიკა ინდოეთი ეგონა, რადგანაც მდივანი ისევე არა ჰგავს სხვა ფრინველებს, როგორც ამერიკა არა ჰგავს ინდოეთს. — თქვა მან ღიმილით.

ფრინველმდივანმა მდორედ გაშლილი ფრთები შეიკეცა და ისარივით დაეშვა ერთ მოტიტვლებულ ადგილზე.

აფრიკის სავანები მელოტი კაცის თავს მოგაგონებთ. მაღალი შამბით დაფარულ სივრცეთა შორის ყველგან იპოვნით სრულიად მოტიტვლებულ არეს. სადაც ბალახი ხარობს. ერთ ასეთ არეზე დაფრინდა ფრინველმდივანი.

— სწორედ მდივანია! — სწრაფად დააწვა ღილს ანდრესი. — ჩვენ ახლა ისეთ ბრძოლას ვნახავთ, როგორიც იშვიათად უნახავს კაცს.

ძირს კი, ქვიშაში, ვერცხლის ზოლივით გაიელვა სათვალიანმა გველმა, თვალშეუსწორები სისწრაფით დასორსალდა, ერთიან საზარელ მბზინავ ზვინად იქცა: ამ გროვიდან თავი სვეტივით სწორად ასწია მაღლა, ორკაპი ენა სისინით გამოჰყო, და როცა მდივანი მიწაზე დაეშვა, საბრძოლოდ გამზადებული დახვდა მას. ამიტომ ფრინველმა მხოლოდ ფრთის ვაკვრა მოახერხა და შორიახლო დაფრინდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა დაიწყო.

გველთა ბრაზი თანდათან მატულობს. გაბრაზება ყველაზე მკვეთრად კობრას შეეტყობა. თანდათან დაეძაბა, გაებერა

ყელის ძარღვები, ბურთივით დაუმსხვილდა კისერი და თან-
დათან უფრო ნათლად გამოესახა ზედ წითელი ბალისებრი
„სათვალეები.“ მომაკვდინებელი ბრაზისაგან თრთოდნენ შხა-
მიან ქვეწარმავალთა მეფის ყელის ძარღვები, რომელთაც პირ-
ველი დარტყმა მიაყენა მტაცებელ ფრინველთა მეფის ფრთამ.
ახლა მდივანი დინჯად მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს (ჯერ
ძნელი სათქმელია, რომელი მათგანი იქნება მსხვერპლი;
მარჯვენა ფრთა ფარად იფარა, მარცხენა კი გამეტებით დაჰ-
კრა და უკან გადახტა. გველი გაბრუვდა, მაგრამ სულ ერთი
წამით. აი, ისევ აზიდა თავი და საშინელი ნესტარი შხამიანი
ისარივით დაუმიზნა თავდამსხმელს, შიგ ფეხში. მაგრამ მდი-
ვანმა ისევ ფრთა მიიფარა და უცნაური ნახტომებით ახალ
იერიშზე გადავიდა. ამჯერად სცადა თავისი ბასრი ნისკარტი
ჩაეკრა თავში, მაგრამ ეს ამაო ცდა იყო. კობრა საოცარი სი-
მარდით იცილებდა ყოველ დარტყმას, თან წიოდა და სისი-
ნებდა. ბოლოს ელვის ენასავით მოწყდა ადგილიდან და ქვი-
შაში ისარივით გასრიალდა, გაიქცა. ფრინველი არ დაიბნა.
ისეთი სისწრაფით დაედევნა, გეგონებოდათ, მიწას ფეხს არ
აკარებსო. ათიოდე ნაბიჯზე დაეწია, კუდში ნისკარტი ჩაავლო
და იმავე წამს ცაში აიტაცა. ამ ფრინველს მხოლოდ გაქანე-
ბულს შეუძლია აფრენა, როგორც თვითმფრინავს, და, რაკი
გაქანებული იყო, სწორედ მსუბუქად აფრინდა. გველის სამ-
მეტრიანი სხეული ახლა ჰაერში იკლაკნებოდა. ვიდრე თავის
აწევას და ფეხში დაგესვლას მოასწრებდა, მდივანმა ის გაუშ-
ვა და დაუყოვნებლივ დაედევნა. დავარდნამ გველი დააბნია.
ვიდრე ხელახლა საბრძოლო იერს მიიღებდა, მდივანმა მოა-
ხერხა ის, რასაც მთელი ოცი წუთი ამაოდ ცდილობდა: თავში
კლანჭი ჩაჰკრა და „სათვალეები დაუმსხვრია“, როგორც იხუმ-
რა გივიმ. კიდევ ერთი იერიში. კიდევ ორიოდე სახიფათო
მეტაკება, და ბრძოლა დამთავრებული იყო. მდივანმა ნაფლე-
თებად აქცია კობრა, ცეცხლის რკალში ისადილა და თავის
სამდივნოში გასწია.

დაფეთებულმა ურდომ ზათქითა და ზრიალით ჩაიარა.

ცეცხლის კედელი მოახლოვდა. „უნივერსალი“ აფრინდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელვის ისარივით გააპო მოგიზგიზე სივრცე და შორს, ბაკაცე-ბის ხეივანში დაეშვა.

— მწყურია, — თქვა გივიმ.

— კეიპტაუნამდე მოითმინე, — გაეხუმრა ანდრესი, თუმცა თვითონაც პირი უშრებოდა.

წყალი უდაბურ ველზე

უდაბურ ველზე ბუშმენების ჯგუფი გამოჩნდა. ველვიჩიებს შორის მდგარი „უნივერსალი" მათ არ შეუნიშნავთ, სამაგიეროდ, თვით „უნივერსალი" კარგად ხედავდა სირაქლემებზე მონადირეებს. აი, მივიდა ერთი მათგანი გამოფიტულ ლოდთან, მიმოიხედა და მკერდით ცხელ ქვიშაზე გაწვა, მალე წამოდგა და ახლა მისი ადგილი მეორემ დაიჭირა. ასევე მოიქცნენ დანარჩენებიც. მერე ჭამას შეუდგნენ.

— განა ბუშმენები ჭამის წინ ასე ლოცულობენ? — იკითხა გივიმ.

— არა, — გაიცინა ანდრესმა, — თუ არ ვცდები, ბუშმენები ასე სვამენ წყალს.

— წყალზე არც მე ვიტყოდი უარს! — შესძახა რეზომ, — მაგრამ სად არის აქ წყალი?

— ჭაში. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს ერთ-ერთ საიდუმლო სამხრეთ-აფრიკულ ჭასთან. ამ ჭის მეპატრონე ბუშმენები ზედაპირს ფარავდნენ და ტოვებდნენ მხოლოდ პატარა მილს, საიდანაც საჭირო შემთხვევაში წყალს წრუპავდნენ. ზოგჯერ ჭა არაა, მაგრამ წყალი არის: ჯოხს თავზე ღრუბელას აბამენ და ქვიშის სიღრმეში ჰყოფენ. ღრუბელა წყლით იქღინთება, მაშინ იღებენ და წუწნიან.

— ყოველივე ამას საიდუმლოდ ინახავენ?

— ო, ამას ძველთაგანვე დიდი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. გახედეთ: ამ ზაფრანივით გადაყვითლებულ უზარმაზარ სივრცეზე წყალი არაა. შემოჭრილი მტერი აქ წყურვილით იღუპებოდა იმ დროს, როცა ადგილობრივი ხალხი წყურვილს ასე საიდუმლოდ . იკლავდა. ნუ გაგიკვირდებათ,

რომ აქ ადამიანები სალამის ნაცვლად იტყვიან: „წვიმა და მშვიდობა!“ ჩვენ შეიძლება საჰარაში წყალი მოგვწყურდეს და ნილოსში წყურვილი მოვიკლათ, ფეხით მოსიარულე ადამიანი კი სრულიად უმწეო ხდება უდაბნოს ქვიშაში... აი, ბუშმენები წავიდნენ. შევამოწმოთ ჩვენი ვარაუდი.

ყველაფერი ისე აღმოჩნდა, როგორც ანდრესმა თქვა. ვიდრე სტვირიდან სასიამოვნო სითხემ არ ამოჟონა, რეზომ ამ ხრიოკ უდაბნოში წყლის არსებობა არ დაიჯერა.

— ახლა კი ხელუხლებლად დავტოვოთ ბუშმენთა ძველი საგვარეულო განძი და ჩვენი გზით წავიდეთ. — თქვა ანდრესმა.

— მე არა ვარ ამგვარი საკუთრების მომხრე, — შენიშნა რეზომ: — წყალი ყველასია.

— მიდი, გააფრთხილე: თაღი აღმართონ უდაბნოში და ზედ წააწერონ: „წყლები“ — გამოექომაგა ბუშმენებს გივი.

— მე ამას არ ვამბობ, — მოიღუშა რეზო.

—მაშ რას ამბობ? ჭას თავი ახადონ? პირველსავე დღეს მასში რომელიმე ანტილოპა ჩავარდებოდა ან ქვიშა დაფარავდა: უდაბნოს ქვიშამ ქალაქი ხარა-ხოტო დაფარა და პატარა ჭას ვერ დაფარავს?

— ამჯერად გივი მართალია, — გაიცინა ანდრესმა. — უდაბნოში თავი და ბოლო წყალია. ამიტომაც ბუშმენებმა, უდაბნოს შვილებმა, საუკუნეების მანძილზე ისწავლეს ყველა ხერხი და ღონისძიება, რითაც ამ ძვირფასი სითხის მოპოვება და შენახვა შეიძლება. გარდა იმ ღონისძიებისა, რაც ახლა ვნახეთ, წყლის აღმოსაჩენად ისინი იყენებენ პავიანსაც.

— პავიანს? — გაიცინა რეზომ. — ეს ხომ მაიმუნია?

— და თანაც ყველაზე უფრო საძაგელი, ავი, ძაღლისთავიანი, როგორც უწოდა ძველი დროის დიდმა სწავლულმა არისტოტელემ. საკმარისია ერთი გაუფრთხილებელი ღიმილი ან სალანძღავი სიტყვის ხმარება, რომ გაშმაგებული პავიანი ეცეს თვითონ თავის მომვლელს და სახიფათო ჭრილობები მიაყენოს. ეს ყოვლად უსახური არსება უყოყმანოდ იჭერს მორიელს, შხამიან კუდს წააწყვეტს და მერე სიამოვნებით ახრამუნებს...

— წყალს როგორღა პოულობს? — ზიზღით დამანჭა სახე გივიმ.

— საოცარი ალღო აქვს. თოკს მოაბამენ და უდაბნოში გაუშვებენ, წინდაწინ კი მარილს აჭმევენ, რომ უფრო დაუზარებლად გაისარჯოს. წყურვილით შეწუხებული პავიანი დარბის, ქვებსა და ბუჩქებს ყნოსავს და ბოლოს იწყებს თხრას იქ, სადაც რამდენიმე მეტრის სიღრმეზე წყალია, ან გაუძღვება ადამიანებს იქით, სადაც წყალი ზედაპირზე გამოდის... აი, ბუშმენები სოფლისაკენ მიეშურებიან. დროა ჩვენც დავბანაკდეთ.

— ჩვენს დაბანაკებას რა უნდა, სახლი თან დაგვაქვს! — გაიცინა გივიმ.

მიწის გოჯი

ღამდებოდა. მოგზაურებმა ხრიოკ ველზე შენიშნეს ტერმიტების რამდენიმე სასახლე და მათ გვერდით ღრმა ორმო.

— თუ არ ვცდები, ეს მილკბილას სორო უნდა იყოს. — თქვა ანდრესმა.

— მილკბილა რა სულიერია, კაპიტანო? — იკითხა გივიმ.

— ეს ისეთი სულიერია, რომელთანაც ჯერ საქმე არა გვქონია. ნუთუ არ გაგიგონიათ სამხრეთ აფრიკის ამ სასაცილო არსების სახელი? ეს ახირებული ცხოველი მიწაში ცხოვრობს, დღისით სძინავს, ღამე კი ნადირობს ჭიანჭველებსა და ტერმიტებზე, რომელთაც მილიონობითა ნთქავს. პირველად კეთილი იმედის კონცხზე დასახლებულმა ჰოლანდიელებმა მას მიწის გოჭი უწოდეს და სამართლიანადაც, რადგანაც მილკბილა მიწიდან მხოლოდ სანადიროდ ამოდის და გარეული გოჭის მსგავსი ხორცი აქვს.

— მილკბილა რატომ დაერქვა?

ამ ოჯახის ცხოველებს მილივით ღრუ კბილები აქვთ და ამით ღეჭავენ მწერებს, რომლებითაც იკვებებიან, თუმცა რძესაც სვამენ და ხორცსაც მიირთმევენ.

— ალბათ საკმაოდ დიდია, რომ ამოდენა ხვრელი გაუკეთებია, — შენიშნა რეზომ.

— მილკბილა, ან როგორც არაბები ეძახიან, „ბრჭყალებია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი მამა," საკმაოდ დიდი მხეცია, ორ მეტრამდე სიგრძისაა და სამოც კილოგრამს იწონის... მაგრამ ნათქვამს ნანახი სჯობია. ჩვენ კარებთან დავუცდით ხვრელის პატრონს.

კარგად შეღამებული იყო, როცა ხვრელიდან ფრთხილად ამობობღდა ახირებული არსება, რომელსაც ჰქონდა უჩვეულოდ წვრილი და გრძელი დინგი, ვირის ყურები, ბრონტოზავრის კუდი და მჭრელი დიდი ბრჭყალებით შეიარაღებული თათები. მიიხედ-მოიხედა და სასაცილო ნახტომებით მიაშურა თავის „ბოსელს" — ტერმიტების უახლოეს სასახლეს. ხვრელთან რომ მივიდა, თავისი გრძელი ლორწოვანი ენა გამოჰყო. ასობით ტერმიტი მოხვეტა და ვიწრო პირში გაგზავნა. ვიდრე მიწის გოჭი ვახშმობდა, „უნივერსალმა" მისი ხვრელი თავისი კორპუსით ჩაკეტა. მცირეოდენ შრიალზე მილკბილამ ვირის ყურები დაცქვიტა და სასაცილო ნახტომებით სოროს მიაშურა, მაგრამ გზა შეკრული დახვდა. უნივერსალელებმა მისი შეპყრობა მოინდომეს, მაგრამ მილკბილამ ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ ეს შეუძლებელი გახდა. გასაქცევი გზაც რომ შეკრული დაიგულა, მილკბილამ წარმოუდგენელი სისწრაფით დაიწყო წინა თათებით მიწის თხრა. ამოთხრილ მიწას უკანა თათებით მოგზაურებს სახეში აყრიდა. მიწა, მტვერი და ქვიშა ისე ცვიოდა, გეგონებოდათ, აქ რაღაც საშინელი მიწის სათხრელი მანქანა მუშაობსო. რამდენიმე წუთის შემდეგ მილკბილა აღარ ჩანდა — მიწაში ჩაძვრა და მიიმალა.

— კარგი იქნებოდა, რომ მიწის სათხრელად ამ ცხოველების დაქირავება მოხერხდებოდეს, — თქვა რეზომ.

— ასეთი ამოცანა შენს მომავალ საინჟინრო მუშაობაში გაითვალისწინე, — ურჩია გივიმ.

სამივეს გაეცინა.

ანდრესი-ტოტალოტრი და კაფრული კამეჩი

ვიდრე „უნივერსალი" კეიპტაუნისაკენ გასწევდა, მოხდა ერთი სახიფათო შეხვედრა, რამაც კინაღამ იმსხვერპლა ათას ხიფათს გადარჩენილი ნორჩი უნივერსალი. მოგზაურები სამხრეთ განედის 30 გრადუსზე იმყოფებოდნენ და სწორედ იმა-

ვე მანძილით იყვნენ დაცილებული ეკვატორს, რამდენითაც ჩრდილოეთით დაცილებულია კაირო. მაგრამ აქ ისე საშინლად მაინც არ ცხელოდა, როგორც კაიროში. დილის მაცოცხლებელი სიო აღვიძებდა ღამის სადგომს, რომელიც ადამიანებს შეთაფლია ჩიტმა აპოვნინა. მახლობლად მდინარე ჩამოდიოდა. ანდრესმა მეგობრები გააღვიძა და პირის დასაბანად წაიყვანა.

მაგრამ პირის დაბანა ამჯერად არ მოუხერხდათ. მდინარის შლამში ჩაწოლილიყო და ზანტად იცოხნებოდა დიდი შავი კაფრული კამეჩი, სამხრეთ აფრიკის ერთი ყველაზე ღონიერი და საშიში გარეული ცხოველი. მის ფართო შუბლზე დახორგილივით ელაგა უზარმაზარი დანაოჭებული რქები, რომელთა მოკაუჭებულ ბოლოებს შორის მანძილი მეტრზე მეტი იქნებოდა. დიდ, განიერ და მოუხეშავ თავზე ბოლქვებად ეყარა შავი ბალანი, ჰქონდა ფართო შავი ყურები და შავი ბოროტი თვალები, რომელთაც არასოდეს არ იციან სიხარული და სიბრალული. კაფრული კამეჩი საშიში, ავი და დაუნდობელი პირუტყვია.

— უმჯობესია გავერიდოთ, — თქვა ანდრესმა წყნარად და შეჩერდა. — თუმცა მოდი, სურათი გადავუღოთ: ამ სიტყვებზე ჯიბის აპარატი მოიმარჯვა. წკაპანის ხმაზე კამეჩმა ყურები დაცქვიტა და ისე მარდად წამოხტა, თითქოს ფოლადის ზამბარებზე მდგარიყო. თვალები ბოროტად დაატრიალა, დაიზმუილა და ჩააშტერდა ხშირ ბუჩქნარს, რომელიც უნივერსალელებს ფარავდა. იწყინა უნებართვოდ სურათის გადაღება.

უნივერსალელები ფეხაკრეფით წავიდნენ უკან, მანქანისაკენ, თან გულმოდგინედ ცდილობდნენ არაფრით არ გაეცათ თავიანთი თავი, აღარ შეეშფოთებინათ ფურ-კამეჩი. მაგრამ ეს კამეჩი წერას აეტანა. გარეულ კამეჩებს მახვილი ყნოსვა აქვთ. მარცხად ნიავმა მის მხარეს დაიქროლა. მაშინვე იგრძნო ადამიანების სიახლოვე, დაიფრუტუნა და მოგზაურებს დაედევნა. ანდრესმა ესროლა. ჭრილობამ კამეჩი უფრო გააბოროტა.

უნივერსალელებმა მოფიქრებაც ვერ მოასწრეს, რომ დაჭრილი პირუტყვი აპრეხლი კუდითა და დახრილი თავით პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირ რეზოს დაეღევნა. რეზო მარდად გაურბოდა გაშმაგებულ ცხოველს. გივი ხეს მიეკრა და გაქვავდა. ანდრესმა კიდევ ორჯერ ესროლა, მაგრამ მძიმედ დაჭრილი კამეჩი ახლა კიდევ უფრო დაუნდობელი გახდა.

ანდრესი ოსტატის სიმარდით გაიჭრა წინ და კამეჩს წამოეწია სწორედ მაშინ, როცა ის რეზოს ტორტმანით უახლოვდებოდა, ჯიბიდან ამოიღო წითელი ცხვირსახოცი და თვალწინ დაუფრიალა. პირუტყვი გაგიჟდა, დაიბნა და მერე ანდრესს დაედევნა. ინჟინერმა მახვილი იშიშვლა და ტორეადორივით გაუმართა ბრძოლა გაგიჟებულ შავ ხარს. მისი სიმკვირცხლე და მოხერხება ამ საქმეში გაოცებას იწვევდა. რეზო და გივი სულშეგუბებულები შესცქეროდნენ ამ გაუგონარ ბრძოლას და საკუთარი გულისცემაც ესმოდათ.

ანდრესმა რამდენიმე ახალი ჭრილობა მიაყენა კამეჩს და შემდეგ გაერიდა, გაიქცა. კამეჩი ფრუტუნით დაედევნა. ანდრესი შეხტა და ხის გამოწვდილ ტოტზე დაეკიდა. კამეჩმა თავი ვერ შეიკავა, ასცდა, წინ გაექანა, ბორცვზე ვერ ავიდა და დახრილი თავით ანდრესის ნაცვლად მიწას დაეჯახა.

იწვა მძიმედ დაჭრილი კაფრული კამეჩი და ქშინავდა. ვიდრე ახალი იერიშისათვის ძალ-ღონეს მოიკრებდა, ანდრესი ხიდან გადმოხტა და მეგობრები სწრაფად მიიყვანა მანქანასთან.

როცა „უნივერსალი“ ლაჟვარდში აფრინდა, ანდრესმა თქვა:

— კარგია, რომ ფურ-კამეჩი მსხვერპლად არ შეეწირა თავის სიგიჟეს. მინდა გადარჩეს.

— თუ არ გადარჩება, თავს დააბრალოს, — წყრებოდა რეზო. — დღეიდან იცოდეს, რას ნიშნავს ლისაბონელ ტორეადორთან შებრძოლება.

— კაპიტანო, — მორიდებით დაიწყო გივიმ. — როდის დაეუფლეთ ასე ზედმიწევნით ფარიკაობის ხელოვნებას?

— აჰ, ქვეყნად ბევრია ჩემზე დახელოვნებული მოფარიკავეც, — გაიცინა ანდრესმა. — რაც შეეხება ხართან ბრძოლას, ეს თავისებური სპორტია, ფრიად ძველი და თავისებური. გადარეულ ხარებს ორთაბრძოლას უმართავდნენ გაბედული ადამიანები ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, კუნძულ კრიტოსზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომში, ესპანეთში კი ეს დიდ სანახაობად იქცა მეთერთმეტე საუკუნიდან. მოგეხსენებათ, პორტუგალია ახლოა ესპანეთთან, და თვითონ პორტუგალიაშიც არაერთხელ მინახავს მამაც ტორეადორთა სახიფათო ბრძოლა გაგიჟებულ ხართან, რომელსაც წლობით მზის სინათლე არ უნახავს. მაშინ ვისწავლე ზოგი ილეთი, ცოდნა კი მუდამ სასარგებლოა...

— თვითონ ხომ არ გიბრძოლიათ ხართან? — მოკრძალებით იკითხა ისევ გივიმ.

ანდრესმა გაიღიმა, ჩაფიქრდა, მერე სივრცეს გახედა და განაგრძო:

— მიბრძოლია! ეს იყო ყველაზე უფრო საბედისწერო ბრძოლა, როგორიც კი ოდესმე მქონია. ზღვასავით ღელავდა იმ დღეს ვალიადოლიდი, ესპანეთის მეფეთა ძველი პირქუში რეზიდენცია. ათასობით ადამიანი აწყდებოდა პიაცა დე ტოროსს, ფართო მოედანს, სადაც დანიშნული იყო კორიდა — ხართან ბრძოლა, ეს სახიფათო, რაინდული სამხრეთული სპორტული სანახაობა, რაც ესპანურ და პორტუგალიურ ქვეყნებში ყოველწლიურად ეწყობა, თუმცა არაერთხელ აიკრძალა. ყოველ დიდ ქალაქშია ასეთი მოედანი. მეგობარ ინჟინერთან ვიყავი გასული ქალაქიდან და, როცა მოედანზე მივედი, ასპარეზობა უკვე იწყებოდა. დაფისა და ნაღარის ქუხილში ფეხმალ ცხენებს დააჯირითებდნენ პიკადორები და განზე იდგნენ ეროვნულ სამოსელში გამოწყობილი ტორეადორები.

— ისინი ბევრნი იყვნენ? — იკითხა რეზომ.

— რამდენიმე იყო. შეიძლება ერთმა ან ორმა ტორეადორმა დიდების ნაცვლად სიკვდილი ნახოს ქვიშით მოფენილ ასპარეზზე, მაშინ სხვა უნდა შეებას გამარჯვებულ ხარს. წითელი მოხატული ხალათით, ხავერდის შარვლითა და ფართოფარფლებიანი ქუდით დამშვენებული ტორეადორები ფარული მღელვარებით ელოდნენ ბრძოლის დაწყებას. გომურის კარი ჭრიალით გაიღო. მოედანზე გამოვარდა შავი, მძვინვარე, კუდაპრეხილი ხარი. შედგა, გარემო დაზვერა. შუბლზე მზის სახის თეთრი ნიშანი ჰქონდა, თითქოს იმუქრებოდა: მზეს დავუბნელებო დღეს თავხედ ტორეადორებს. მაგრამ ტორეადორზე ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ასპარეზზე გამოვიდა ლამაზი ახალგაზრდა ქალი და საყოველთაო დუმილში დაიწყო სიმღერა.

— სიმღერა? — გაუკვირდა გივის.

— ჩვეულებრივი ამბავია. ხართან ბრძოლის დაწყების წინ მოედანზე გამოდის ხოლმე მომღერალი ქალი და მღერის ძველ ესპანურ სიმღერას. ხარს აგიჟებს ეს სიმღერა, მაგრამ ბრაზისა და სინათლისაგან არეული თვალებით ვერ ხედავს მომღერალს და გაშმაგებული დარბის. გაქვავებული ვიდექი და თვალს ვერ ვაშორებდი მომღიმარ ქალს, რომლის გარშემოც შავი ხარის სახით სიკვდილი ცეკვავდა. ეს იყო საშინელი წამები. უეცრად ქალს ხმა ჩაუწყდა, შეკრთა, შეჰკივლა და გულწასული დაეცა: გარინდებულ ხალხს გამოეყო სამი წლის ბიჭუნა და „დედის“ ძახილით მომღერლისაკენ გაიქცა. წითელი ხალათი ეცვა და მაშინვე მიიქცია ხარის ყურადღება. აბა წარმოიდგინეთ, რა ბედი ელოდა პატარას. ხალხი გაქვავდა. ხარი ჯერ მოშორებით იყო და ბავშვისაკენ გაექანა, მაგრამ მათ შორის ტორეადორზე ადრე მე გამოვჩნდი. ვიწრო მახვილი ვიშიშვლე და წითელი მოსასხამი დავაფრიალე. ხარს აგიჟებს წითელი ფერი. ბავშვს თავი ანება და მე მომვარდა. მოკლედ რომ გითხრათ, იმ დღეს ტორეადორებს ბრძოლა არ მოუხდათ ამ ხართან. რამდენიმე არტისტული ნახტომით გავერიდე ხარს, მისი საშინელი რქები სულ ერთი გოჯით ასცდნენ ჩემს სხეულს. შერე ის იყო შევურჩიე მომენტი და მახვილი მკერდში დავკარი, ვადამდე გავუყარე დაჭრილ ხარს. ბრძოლა სასტიკი იყო და ხანმოკლე. ჩვენ ორივე დავეცით, მაგრამ წამოდგომა მხოლოდ მე მეწერა. ხარი გულში იყო დაჭრილი. აღტაცების ღრიანცელი ატყდა მოედანზე. ათი ათასი კაცი ქუხდა ჩემს დიდებას, მაგრამ მე ამ ქუხილის გარეშეც ბედნიერი ვიყავი. იცით, ვინ იყო ეს ბავშვი?

რეზოს და გივის სუნთქვა შეეკრათ, კაპიტანმა კი განაგრძო:

— ბიჭუნამ მოირბინა ჩემთან და დამიძახა: „მამიკო, მომიტანე ფორთოხალი? აბა სად არის?“

— თქვენი შვილი იყო? — ჩურჩულით თქვა გივიმ.

— დიახ, სახლიდან რომ გამოვდიოდი, მე მას ფორთოხ-

ლებს დავპირდი და ახლა გაიხსენა, — გაურკვეველი ღიმილით თქვა ანდრესმა. — როცა ჩემი ფერნანდო ხელში ავიყვანე, დედაც მოგვიახლოვდა. მისი სახელი იყო ლუიზა ბლანკა. ჩვენ იმ დროს სტუმრად ვიყავით მის მშობლებთან, რომლებიც ვალიადოლიდში ცხოვრობდნენ. მამაცი და სიცოცხლით სავსე ქალი იყო ლუიზა ბლანკა...

— იყო? მერე ახლა სად არის? — ვეღარ მოითმინა რეზომ.

— ო, რომ შემეძლოს ამაზე პასუხის გაცემა! — ამოიოხრა ანდრესმა. — ესპანეთში ჩვენ ომმა მოგვისწრო. როგორც გითხარით, მე შევწყვიტე ჩემი ცდები და ფრონტზე წავედი, იმ დღიდან ცოლ-შვილისა ვერაფერი გავიგე. მწერდა, ფრონტზე მივდივარო, მეტი არა ვიცი რა. დრო გავიდა. დღემდე თვალწინ მიდგას გაშმაგებული ხარის რქებზე ასაგებად მოედანზე გაჭრილი პატარა ტორეადორი და მისი მომღერალი დედა, ჩემი ერთგული მეგობარი, რომელიც სიკვდილს სიმღერით ხვდებოდა. არ ვიცი, სად არის ჩემი ფერნანდო... მაგრამ ნუ გავიხსენებთ ძველ ჭრილობებს! — სწრაფად წარმოსთქვა ინჟინერმა და სულ სხვა ხმაზე განაგრძო: — ეს ძველი ამბავია! ჩემო პატარა მეგობრებო, განა დრო არ არის დავტოვოთ შავი კონტინენტი? აი, გამოჩნდა დიდი ნავსადგური კეიპტაუნი, მის მიღმა კეთილი იმედის კონცხია, რომელიც კეტავს ძველი კაპშტადტის ნახევარკუნძულს... ესეც ოკეანე! ო, ჩემო საყვარელო ოკეანევ!

რეზო და გივი ერთი ფიქრით იყვნენ მოცული: „აი, თურმე რისთვის აღელვებს კაპიტანს ასე მწვავედ ბავშვების ბედი!“

აფრიკა—მუმავლის კონტინენტი

ბუშმენებისა და ჰოტენტოტების მხარე დამრეცი ვაკედ ეშვებოდა სამხრეთის სანაპიროებისაკენ. რეზოს და გივის უკვე ესმოდათ ოკეანის შორეული გუგუნი და მათი ცნობისმოყვარე გულები მკერდიდან ამოვარდნას ლამობდნენ, როცა წარმოიდგენდნენ მოახლოებულ სახიფათო ცურვას ოკეანეთა მღელვარე ზვირთებს შორის.

„უნივერსალი“ კაპის მთებს შორის გაშლილ ჭალაში დაეშვა.

ულრან ტყეში სასიამოვნო სიომ დაჰქროლა.

—თვალი შეავლეთ შავ ხმელეთს, ხვალ ჩვენ მას დავემშვიდობებით, — თქვა ანდრესმა და სამხრეთის მზეში თავისი ოქროს კბილი ააციაგა.

— კაპიტანო, მე უკვე მესმის ოკეანის გუგუნი! — აიჩემა გივიმ.

— უკეთ რომ ვთქვათ, გსურს გესმოდეს. — მიუგო რეზომ. — ბიჭო, ეს ხომ ჩიტია და არა ოკეანე!

მართლაც, რომელიღაც ნარინჯისფერი ჩიტუნა ბუჩქზე იჯდა და ისეთი ხმით გაიძახოდა, რომ ოკეანის ტალღების შორეული გუგუნი გეგონებოდათ. ბოროტ მტაცებელს დაენგრია მშვენიერი ფრთოსნის ბუდე და ნელის ხმით ჩიოდა პატარა მერცხლის მსგავსი ჩიტი.

უნივერსალელები უკანასკნელ ღამეს ათევდნენ აფრიკის მიწაზე.

— მეგობრებო, ხვალ ჩვენი „უნივერსალი“ ოკეანის ზვირთებში შეცურდება, — ამბობდა დაძინების წინ ანდრესი. — უკან დარჩება შავი ხმელეთი თავისი ჯუნგლებითა და ტბებით, მარტორქებითა და ნიანგებით, პირამიდებითა და ბაობაბებით. უკან დარჩება აფრიკა. ეს მომავლის კონტინენტია. ჩვენ არ დაგვივლია მთელი აფრიკა, მაგრამ ვნახეთ იმდენი, რამდენის ნახვაც კი ასე მოკლე ხანში ადამიანს შეუძლია. ამის მიხედვითაც დაახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა ზღაპრული სიმდიდრე იმალება ამ ხმელეთის წიაღში. მაგრამ ხარბი ხელები ინაწილებენ ოქროს, ალმასს, კობალტს, ქრომსა და სპილოს ძვალს, შეუბრალებლად ჟლეტენ იშვიათ ნადირებს და ცდილობენ სისხლისფრად შეღებონ ზანგთა შავი კანი... სიმდიდრეს მზრუნველი ხელი ესაჭიროება. და, აი, აფრიკა იღვიძებს. თუ გასული საუკუნე აფრიკის დამონების საუკუნე იყო, ეს საუკუნე შავი ხმელეთის განთავისუფლების საუკუნეა. სენეგალი, მაროკო, სუდანი, კონგო, ოქროს ნაპირი ძმურად უწვდიან ერთიმეორეს იმედიან ხელს. ეს ის ხელებია, რომლებიც ააშენებენ ნამდვილ აფრიკას—მომავლის კონტინენტს.

—მაშინ მეორედ მოვალთ აფრიკაში! — წამოიძახა გივიმ.

— და ვიპოვნით ბიძია თომას ქოხის ნანგრევებს, — დაუმატა რეზომ.

— რათა მის შვილიშვილებს სასახლეების აშენებაში დაეხმარო, არა, ჩემო ინჟინერო? — გაიღიმა ანდრესმა.

ღია ფანჯარას მოსკიტების საწინააღმდეგო ბადე ჩამოაფარეს და თავი ძილს მისცეს.

ციხფერი ანდამატი ნაპოვნია!

კეიპტაუნში რეიდზე იდგა უთვალავი გემი. ორი ოკეანის შესაყარზე ირწეოდა საოკეანო ხომალდების, იალქნოსანთა და ნავთა უთვალავი კორპუსი, ანძა, აფრა და ნიჩაბი. გეგონებოდათ, ქალაქი შავი ხმელეთიდან ლურჯ ზღვაზე გაზიდულა და ქუჩებად წყალი დამდგარაო. თვითონ კაპიტან ანდრესს არ ენახა კანის, სამოსის, ხასიათებისა და დროშების ასეთი სიჭრელე. „შავი ვენეცია“ უწოდა კეიპტაუნს.

მაგრამ ვინ მიიქცია ადამიანთა და საგანთა ამ ქაოსში რეზოს გამორჩეული ყურადღება? „უნივერსალის“ ფანჯრიდან აკვირდება უცხო მეზღვაურებს, რომლებიც „ადმირალ დრეიკის“ გემბანიდან ჩამოდიან, და თითქოს თავისთვის ლაპარაკობს ნელი, უჩვეულო, მტკიცე ხმით:

— ჩემო კაპიტანო! თქვენ რომ ხელით არ გეხებოდეთ, თქვენ რომ გარიბალდის ქუდი და ტორეადორის ესპადრონი არა გქონდეთ, თქვენ რომ იცი წლით, ახალგაზრდა იყოთ, უყოყმანოდ ვიტყოდი, რომ „ადმირალ დრეიკის“ გემბანიდან კაპიტანი ანდრესი ჩამოდის-მეთქი.

ახოვანი ახალგაზრდა მტკიცე ნაბიჯით გადმოვიდა ხმელეთზე. ჩანდა, მარტო იყო.

დუმილი ჩამოვარდა. კაპიტანმა ჭოგრიტი მოიმარჯვა, მსუბუქად გააღო კარი და უხმოდ, ანგარიშმიუცემლად წავიდა ნაპირისაკენ. უცნობი ახალგაზრდა მეზღვაური ახლოვდებოდა. ახლა გივიც ხედავდა, რომ ის ზედმიწევნით ჰგავდა „უნივერსალის“ კაპიტანს.

ანდრესი ენერგიული ნაბიჯით მიუახლოვდა უცხოელს და ჰკითხა:

— მომიტევეთ, სერ. თუ ერთხელ მაინც ჩაგიხედავთ სარკეში, ჩემი ცნობისმოყვარეობა არ გაგაოცებთ. საიდან ჩამოხვედით?

— ლონდონიდან, — დინჯად თქვა უცნობმა და რატომღაც თვალები მოიფშვნიტა. — დიახ, სწორედ ლონდონიდან მოვდივარ. ვისთან მაქვს პატივი...

— ინგლისელი ხართ? — გააწყვეტინა მოუთმენლად ანდრესმა.

— არა, — გაიღიმა ჭაბუკმა, — ვინც ინგლისურ ხომალდზე იმყოფება, ყველა ინგლისელი როდია. მე, მაგალითად, პორტუგალიელი ვარ და ვცხოვრობ ლისაბონში...

— ვასკო და გამას ქუჩა, ნომერი თექვსმეტი? — ათრთოლებული ხმით შესძახა კაპიტანმა.

— მამაჩემო! — ამოხდა უცნობს, რომელიც აქამდე თითქოს თავსატეხსა ხსნიდა.

— ფერნანდო, ჩემო პატარავ! — თქვა უსაზღვროდ ბედნიერმა კაპიტანმა და მივარდა „თავის პატარას“, რომელიც მთელი თავით მაღალი იყო ასე მოულოდნელად ნაპოვნ მშობელზე.

რეზოს თვალში ცრემლი ციმციმებდა. გივის კი ჯერ გაოცების ჯუნგლები ვერ გადაელახა და იდგა ასე გაოგნებული იმ კაცის პოზაში, რომელმაც ნახა, რომ მოხდა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ გარკვევით კი ვერ გაუგია, სახელდობრ რა.

განა საჭიროა მამა-შვილის განცდების გადმოცემა? ეს შეუძლებელიც არის. მათ ხომ ოც წელზე მეტი არ უნახავთ ერთმანეთი! როგორ გაზრდილა პატარა ტორეადორი!

— დედა? — იკითხა მცირე ხნის შემდეგ ანდრესმა. —დედა სადღაა?

ჭაბუკმა თავი ჩაჰკიდა.

— ეს ცხრამეტი წლის ამბავია, მამაჩემო, — თქვა შუბლშეკრულმა. — შენთან წამოვიდა: არ იცოდა, ფრონტზე იყავი

თუ ტყვეობაში, უკან აღარ დაბრუნებულა. ამბობენ, ჯვარედინ ცეცხლში მოჰყვაო...

ანდრესის სახეზე ძარღვიც არ შეტოკებულა. დიდი მწუხარება მუნჯია.

— სწორედ ჯადოსნურია ჩვენი მოგზაურობა. — თქვა ბოლოს: — აქ მეტად ხშირია მოულოდნელი შემთხვევა — სწორედ ის, რაზედაც არასოდეს არ დამიმყარებია იმედი. დაბოლოს, აი ეს ბედნიერი შემთხვევაც! წამოდი, ჩემო პატარავ, ჩემს მეორე პირმშოსთან, რომ გულში ჩაგიკრას... ჯერ კი რეზო და გივი გაიცანი. გახსოვდეს, რეზო რომ არა, ნახევარ წუთში ეს ჩემი პირმშო „უნივერსალი“ ოკეანეში უშენოდ შეცურდებოდა.

ბედნიერი მოგზაურები „უნივერსალს“ უახლოვდებოდნენ.

— კეიპტაუნში რა გინდოდა? — იკითხა ანდრესმა.

— მამას ვეძებდი, — გაიღიმა ბავშვივით მიამიტმა გოლიათმა. — ეს მორიგი ქალაქი იყო, სადაც კაპიტან ანდრესის ამბის გასაგებად გავჩერდი: მე მაგელანის გზით მივდიოდი. მამაჩემო, შენ ხომ მისი სახელი მიწოდე! ასე დამიბარა დედამ.

— ლონდონში რაღას აკეთებდი?

— „ტიტანიკის“ მშენებლის მემკვიდრეებს ვეძებდი... თანაც მითხრეს, მსოფლიო ლონდონში იწყებაო, მეც იქ დავიწყე გარსაქვეყნო ცურვა.

— მსოფლიო ყველგან იწყება და არსად არ თავდება! — გაიცინა ანდრესმა და დაუმატა: — დაპირებული ფორთოხალი კი ახლა ნამდვილად მოგიტანე! მოგიტანე საქართველოდან. ჩემო პატარავ, იცნობ ამ მშვენიერ ქვეყანას? იქაც ჰყვავიან ფორთოხლები და ლიმონები! წავიდეთ იქით! აი „უნივერსალიც!“

„უნივერსალმა“ გააოცა ფერნანდო. — ჩემს დიდ წინაპარს რომ ასეთი მანქანა ჰყოლოდა, თავხედი სილაპულაპუ რას დააკლებდაო! — ხუმრობდა. „თავის დიდ წინაპარს“ ის მაგელანს ეძახდა.

რეზოს და გივის სიხარულიც უსაზღვრო იყო და გულწრფელი. ისე დაუმეგობრდნენ ფერნანდოს, რომ კაპიტანმა იხუმრა: — ეჭვიანობას ვიწყებ. ამბოხება არ მომიწყოთ და კა-

პიტნად ფერნანდო არ აირჩიოთ, მით უმეტეს, რომ კაპიტანი გენერალ მაგელანის სახელსაც ატარებსო!

მართლაც, ეს ბედნიერი დღე იყო. ერთად ისადილეს, დაათვალიერეს კეიპტაუნი და სანაპიროზე დაისვენეს.

— ახლა მხოლოდ ცისფერი ანდამატი გვაქვს საძებნელი, კაპიტანო! — თქვა სიხარულით გივიმ.

— დიახ... ცისფერი ანდამატი! — ორაზროვნად გაიღიმა ანდრესმა და უნებურად გადახედა შვილს, თვალი წყნარად გააყოლა მის მარჯვენა ხელს და შეაჩერა საჩვენებელ თითზე, რომელსაც პატარა ოქროს ბეჭედი ამკობდა. თვალისმომჭრელად ციმციმებდა ბეჭდის შუაგულში ფირუზისფერი მარგალიტის თვალი.

— ცისფერი ანდამატი! — შესძახა ანგარიშმიუცემლად რეზომ, რომელსაც არ გამოპარვია საყვარელი კაპიტანის ეს მოძრაობა. — კაპიტანო! ფერნანდოს ხელზე ცისფერი ანდამატი ციმციმებს!

— ეს ბეჭედი დედის ნაჩუქარია! — ამაყად თქვა ფერნანდომ და ხელი მაღლა ასწია, რადგან შენიშნა, რომ ყველა მის ბეჭედს უყურებდა.

— დედას კი მე ვაჩუქე, — დაუმატა ანდრესმა. — დანახვისთანავე ვიცანი და მადლობელი ვარ, რომ არ დაგიკარგავს.

— როგორ დავკარგავდი, უკვე დიდი ვიყავი! — გაიღიმა ფერნანდომ. — მერე, ვინც მე გამზარდა, კიდეც ჩამაგონა, რომ დედის საჩუქარი წმინდაა... ყველაფერს დაწვრილებით გიამბობ, მამა! ახლა კი მაცალე, ასე გიყურო.

— ოქროს გული აქვს ამ ჭაბუკს, — თქვა წყნარად გივიმ.

— მამის გული აქვს, — დაუდასტურა რეზომ, რომელმაც კეიპტაუნს უკვე უწოდა „კეთილი იმედის ნავსადგური“.

კაპიტანი ადგა და თქვა:

— წამოდექით, ყმაწვილებო! მე ვაცხადებ ჩემს უფლებას: დროა იალქანი ავაფრიალოთ. ფერნანდო, გადმოვიტანოთ შენი ჩემოდანი... ხომ არა ხარ „ადმირალ დრეიკის“ კაპიტანთან ან სხვა ვინმესთან რაიმე ვალდებულებებით შეკრული?

— არავითარი ვალდებულებით, მამაჩემო! მე თავისუფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრი ვარ და თავს მოვალედ ვთვლი მხოლოდ მამისა და სამშობლოს წინაშე!

— კაცობრიობის წინაშე! — შეუსწორა ღიმილით ანდრესმა. ვინც კაცობრიობის სასიკეთოდ იღწვის, მხოლოდ მას ეთქმის ვალმოხდილი, ჩემო პატარა ფერნანდო!

ხუთი წუთის შემდეგ „უნივერსალმა“ ცისფერ ტალღებში შესცურა.

— გაუმარჯოს დაუცხრომელ ოკეანეს! — შესძახა რეზომ.

ასე დასტოვეს კეიპტაუნი. „ტიტანიკივით“ შეჭრილიყო დაისის ქარიშხლიან წყლებში კაპშტადტის ნახევარკუნძული.

უკან დარჩა შავი ხმელეთი, საფრთხე და სიზმარი.

წინ არის ოკეანე, უნდო, ლურჯი და უსაზღვრო.

უზარმაზარ ზვირთებში, რომლებიც ცისფერ სპილოებს ჰგვანან, ტყვიასავით მისრიალებს პატარა, ვერცხლისფერი მანქანა. მის ქიმზე ტალღების ქაფში ჩნდება და იკარგება.— იკარგება და ჩნდება იდუმალებით მოცული ნაცნობი სახელი: „უნივერსალი“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

*** 5
თავი I. ფერადი ანდამატის მაძიებელი 7
თავი II. „უნივერსალი“ და მისი წინაპრები 30
თავი III. პირამიდების ქვეყანაში 45
თავი IV. ძველი და ახალი სუდანი 79
თავი V. აფრიკის გულში 133
თავი VI. მუქი სამხრეთი 187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორები: ნ. ჩხეიძე,
ვ. ძიძიგური
მხატვარი კ. ყარაშვილი
მხატვ. რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი მ. მეძმარიაშვილი
კორექტორი ე. ჯიქია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაეცა წარმოებას 27/VIII-59
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI-59
ანაწყობის ზომა 5,5×9
ქაღალდის ზომა 84×108 1/32
ნაბეჭდი თაბახი 15
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11, 14

ფასი 6 მან.

უე 06695 შეკვ. № 815 ტირაჟი 5.000

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4. Тбилиси, Медгородок.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Акакий Гелованн

ВОЛШЕБНОЕ ПУТЕШЕСТВИЕ

(На грузинском языке)

Художник К. Карашвили

Детюниздат Грузинской ССР
Тбилиси
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა